ევროკავშირი საქართველოსთვის
EU4Business

KONRAD ADENAUER STIFTUNG

პოლიტიკის ხედვები ეკონომიკურ განვითარებაზე

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

პრინტი

პოლიტიკის ხედვები ეკონომიკურ განვითარებაზე

თბილისი 2019

რედაქტორები: ირინა გურული, თამარ ხორბალაძე

კონსულტანტი: კრისტიან გესლი

„წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორთა ჯგუფი და არა კონრად ადენაუერის ფონდი საქართველოში ან მისი პარტნიორი ორგანიზაციები, პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია“

© ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

სარჩევი

შესავალი 4

ეკონომიკური განვითარება

საქართველოს პასუხი ტურიზმის გლობალურ ტრენდებზე 8

მუზეუმების ფინანსური მდგრადობა და ტურისტული პოტენციალი 18

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ – ეფექტი რიცხვებში 36

ინფრასტრუქტურული განვითარება

აგრარული რეფორმა საქართველოში – დასასრულებელი პროცესი? 48

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA-ს
შესაძლებლობების გამოყენება საქართველოში 56

DCFTA-ს შესაძლებლობების გამოყენება სოფლის მეურნეობაში 65

ეკონომიკური მიმოხილვა

საქართველოს კონკურენტუნარიანობის პერსპექტივების შეფასება
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების სფეროში 76

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ფიზიკური ინფრასტრუქტურის მდგომარეობის მოკლე
მიმოხილვა და რეკომენდაციები შემდგომი კვლევისა და პოლიტიკის განხორციელებისათვის 86

არასასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლები და პერსპექტივები
საქართველოს რამდენიმე რეგიონისათვის 97

რეკომენდაციები 114

შესავალი

წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილია ავტორთა ჯგუფის მიერ მომზადებული კვლევები, რომლებიც ეხება საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების სხვადასხვა მნიშვნელოვან ასპექტებს. კვლევები მომზადებულია ევროკავშირის პროექტის „სამოქალაქო საზოგადოება – მცირე და საშუალო ბიზნესის და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებენ კონრად ადენაუერის ფონდი და მისი პარტნიორი ორგანიზაციები: ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) და ასოციაცია „ათინათი“.

კვლევებში განხილულია აქტუალური ეკონომიკური საკითხები. ავტორები ცდილობენ, გამოკვეთონ სახელმწიფოსა და მისი პოლიტიკის როლი, როგორც კვლევაში დასმული სპეციფიკური პრობლემების მოგვარებაში, ასევე ქვეყანაში ზოგადი ეკონომიკური და სოციალური ფონის გაჯანსაღების, ინსტიტუციონალური რეფორმის, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებისა და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის, განსაკუთრებით კი ევროკავშირთან დაახლოების პროცესში ქვეყნისათვის სარგებლის მაქსიმიზაციაში. კვლევებში წარმოდგენილია განვითარების ხელშეწყობის ახლებური და ინოვაციური მიდგომები. საუბარია კვლევების გაღრმავებისა და გაფართოების საჭიროებაზე, რაც სასარგებლოა სახელმწიფოს პოლიტიკის უფრო ეფექტიანი ფორმულირებისა და განხორციელებისათვის, ასევე კერძო სექტორისა და სახელმწიფოს თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

კვლევები პირობითად დაყოფილია ეკონომიკური განვითარების, ინსტიტუციონალური მშენებლობისა და ეკონომიკური მიმოხილვის მიმართულებებად. ეკონომიკურ განვითარებაზეა აქცენტირებული შემდეგი კვლევები: **„საქართველოს პასუხი ტურიზმის გლობალურ ტრენდებზე“, „სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ – ეფექტი რიცხვებში“** და **„მუზეუმების ფინანსური მდგრადობა და ტურისტული პოტენციალი“. ინსტიტუციონალურ განვითარებაზეა** ფოკუსირებული შემდეგი მასალა: **„აგრარული რეფორმა საქართველოში – დასასრულებელი პროცესი?“, „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA-ს შესაძლებლობების გამოყენება საქართველოში“, „DCFTA-ს შესაძლებლობების გამოყენება სოფლის მეურნეობაში“. ეკონომიკური მიმოხილვის რუბრიკაში** გაერთიანებულია მიმოხილვის ტიპის შემდეგი სამი კვლევა: **„საქართველოს კონკურენტუნარიანობის პერსპექტივების შეფასება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების სფეროში“, „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ფიზიკური ინფრასტრუქტურის მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა და რეკომენდაციები შემდგომი კვლევისა და პოლიტიკის განხორციელებისათვის“, „არასასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლები და პერსპექტივები საქართველოს რამდენიმე რეგიონისათვის“.**

ეკონომიკური განვითარება

მასალაში **„საქართველოს პასუხი ტურიზმის გლობალურ ტრენდებზე“** საუბარია ტურიზმის გლობალურ ინდუსტრიაში მიმდინარე ცვლილებების გავლენაზე საქართველოს ტურისტულ პოტენციალზე. საქართველოს, როგორც ტურისტებისთვის მიმზიდველი ქვეყნის კონკურენტული უპირატესობები გაანალიზებულია გლობალური ტურისტული ინდუსტრიისთვის დამკვიდრებული კონკურენტუნარიანობის კრიტერიუმებზე დაყრდნობით. გამოვლენილია საქართველოს ტურისტული ინდუსტრიის ძლიერი და სუსტი მხარეები. მასალა შეიცავს რეკომენდაციებს, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორისათვის, საქართველოს ტურისტული ინდუსტრიის ძლიერი მხარეების მაქსიმალურად რეალიზაციისათვის და სისუსტეების დასაძლევად.

კვლევაში **„მუზეუმების ფინანსური მდგრადობა და ტურისტული პოტენციალი“** საქართველოს სამუზეუმო პოტენციალი განხილულია, როგორც ქვეყნის შიგნითა და გარეთ საქართველოს უნიკალური მემკვიდრეობის პრომოციის საშუალება, ასევე კომერციული შემოსავლის საინტერესო პერსპექტივის მქონე დარგი. მასალაში განხილულია მუზეუმების ფინანსური მდგრადობის საკითხები, სახელმწიფო პოლიტიკის ზოგადი და სპეციფიკური ასპექტები, ასევე კულტურული ტურიზმის პოლიტიკა სახელმწიფოში და საჯარო სექტორის როლი მის განვითარებაში. ავტორი რეკომენდაციის

სახით გვთავაზობს მოქნილი სამუზეუმო პოლიტიკის განხორციელებას, რაც, თითოეული ობიექტის თავისებურების გათვალისწინებითა და ტურიზმთან მჭიდრო ინტეგრაციით, მუზეუმების ფინანსური მდგრადობის მაქსიმალურ უზრუნველყოფას გახდის შესაძლებელს. შემოთავაზებულია კონკრეტული საკანონმდებლო, საგადასახადო, საინფორმაციო და საპრომოციო პოლიტიკის ღონისძიებები, პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელ ზომებთან ერთად. განხილულია საინტერესო მექანიზმები საერთაშორისო ჩართულობის უზრუნველსაყოფად, თანამედროვე ტექნოლოგიების დასანერგად და კერძო-საჯარო პარტნიორობის სქემების გამოსაყენებლად.

კვლევა **„სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ – ეფექტი რიცხვებში“** აანალიზებს 2014 წელს ამოქმედებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიერ დასახული მიზნების შესრულების ხარისხს. ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით მიმოხილულია პროგრამის ინდუსტრიული კომპონენტის ორი ნაწილი – ინდუსტრიული მიმართულება და სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების მიმართულება. კვლევაში წამოჭრილია პროგრამის განხორციელების პროცესში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებული პრობლემატიკა. პროგრამის თავდაპირველი მიზნების უკეთ შესასრულებლად, მათ შორის რეგიონული დივერსიფიკაციის ჩათვლით, ავტორი გვთავაზობს პროგრამის მონიტორინგის ინსტრუმენტების სრულყოფას, რეგიონული დაფარვისა და საინფორმაციო კამპანიის მექანიზმების დახვეწასა და პოტენციური ბენეფიციარების წინასწარი სკრინინგის ეფექტიანობის ამაღლებას.

ინსტიტუციონალური განვითარება

კვლევაში **„აგრარული რეფორმა საქართველოში – დასასრულებელი პროცესი?“** მოკლედაა მიმოხილული საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვებიდან უკანასკნელ პერიოდამდე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრებისა და თანამდევი საკითხების მოწესრიგების მიმართულებით. კრიტიკულადაა გაანალიზებული სახელმწიფოს მიერ ბოლო დროს განხორციელებული ინიციატივები, რომლებიც, ავტორის აზრით, არასრულყოფილია, როგორც დიზაინისა და მომზადების, ასევე პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით. ავტორი მიიჩნევს, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრებისა და თანამდევი პრობლემები ვერც ამჯერად მოგვარდება მიმდინარე პოლიტიკის არათანმიმდევრულობის გამო.

ნაშრომი **„DCFTA-ს შესაძლებლობების გამოყენება სოფლის მეურნეობაში“** განიხილავს მიმდინარე და განსახორციელებელ ინსტიტუციონალურ და საკანონმდებლო ცვლილებებს ევროკავშირის მოთხოვნებთან აპროქსიმაციისათვის, რაც აუცილებელია, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) მიერ შექმნილი შესაძლებლობები მაქსიმალურად იყოს ათვისებული საექსპორტო პოტენციალის მქონე სასურსათო წარმოების დარგების მიერ. კვლევაში გაანალიზებულია ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის პერსპექტივის მქონე რამდენიმე სასურსათო პროდუქტის წარმოების მაჩვენებლები და დინამიკა. წარმოდგენილია რეკომენდაციები ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო რეფორმის, ბიზნესის რეგულირების პოლიტიკისა და მოსახლეობის გათვითცნობიერებულობის გასაზრდელად.

კვლევა **„მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA-ს შესაძლებლობების გამოყენება საქართველოში“**, 2016 წელს დამტკიცებული დოკუმენტის „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“ ძირითადი მოთხოვნების ფონზე, მიმოიხილავს მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის განვითარების უმთავრეს ტენდენციებს და გამოწვევებს, კერძოდ, ევროკავშირთან გაღრმავებული სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობებით წამოჭრილი მოთხოვნების ფონზე. დოკუმენტში ხაზგასმულია კავშირები DCFTA-სა და სტრატეგიას შორის და წარმოდგენილია რეკომენდაციები, როგორც მთავრობის, ისე სხვა დაინტერესებული პირებისთვის, მეწარმეობის განვითარების, ასევე ევროინტეგრაციის პროცესის დასაჩქარებლად.

ეკონომიკური მიმიხილვა

კვლევაში **„საქართველოს კონკურენტუნარიანობის პერსპექტივების შეფასება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების სფეროში“** საუბარია იმაზე, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების დარგში კონკურენტული უპირატესობა რეალიზებულია სპეციფიკური, საწარმოო ფაქტორების მიწოდების ობიექტურად განპირობებული თავისებურებების მქონე მიმართულებით, სადაც სახელმწიფოს როლი უმნიშვნელოა. კვლევის ავტორის აზრით, საქართველოში გადამუშავებული სურსათის წარმოებისა და ექსპორტის მნიშვნელოვნად გასაზრდელად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პირველადი წარმოების მოცულობების ჯერადი ზრდა.

„საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ფიზიკური ინფრასტრუქტურის მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა და რეკომენდაციები შემდგომი კვლევისა და პოლიტიკის განხორციელებისათვის“ მოკლედ მიმოიხილავს სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის დღევანდელ მდგომარეობას საქართველოში და მისი განვითარების დინამიკას. ავტორის აზრით, სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის დღევანდელი მდგომარეობა არ უნდა ჩაითვალოს სოფლის მეურნეობის განვითარების უმთავრეს შემაფერხებელ ფაქტორად. წარმოდგენილია რეკომენდაციები სამომავლო კვლევების სპექტრსა და მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით.

ნაშრომი **„არასასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლები და პერსპექტივები საქართველოს რამდენიმე რეგიონისათვის“** ზოგადად ეხება საქართველოს ხუთი რეგიონის: სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, შიდა ქართლის, კახეთისა და ქვემო ქართლის ეკონომიკურ მდგომარეობას, განვითარების ძირითად პარამეტრებს და პერსპექტივებს. ნაჩვენებია მშპ-ს ზრდის, დასაქმების სტრუქტურის, შრომის ანაზღაურების, ინვესტიციებისა და წამყვანი დარგების ურთიერთკავშირები 2016-17 წლების პერიოდში. ავტორი გვთავაზობს დასკვნებსა და რეკომენდაციებს ჩემოთვლილ რეგიონებში ეკონომიკური ზრდისა და სოციალური განვითარების პერსპექტივების უფრო დეტალურად გამოსავლენად მომავალში ჩასატარებელი კვლევების მეთოდოლოგიასთან და ფოკუსთან დაკავშირებით.

ეკონომიკური განვითარება

საქართველოს პასუხი ტურიზმის გლობალურ ტრენდებზე

ირინა კვახაძე

შესავალი

ცვლილება დღევანდელ მსოფლიოში არახალია. გარემო ყოველწამიერად, ჩვენს თვალწინ ტრანსფორმირდება. გლობალიზაციასთან ერთად ეს სახეცვლილება უნივერსალური ხდება – გლობალური ტენდენციები ლოკალურ რეალობას განსაზღვრავს. გამონაკლისი არც ტურიზმის უნდუსტრიაა და მსოფლიო ტენდენციები აუცილებლად იმოქმედებს საქართველოში ტურიზმის პერსპექტივებზე.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ანგარიშის მიხედვით[1], რამდენიმე გლობალური მეგატრენდი ტურიზმზე არსებით გავლენას იქონიებს და მთელს მსოფლიოში შეცვლის მის ბუნებასა და რელიეფს. ვიზიტორების მოთხოვნის ევოლუცია, მდგრადი ტურიზმის ზრდა, ტექნოლოგიები და მოსახლეობების მზარდი მობილობა – ეს მეგატრენდები, OECD-ის თანახმად, მომდევნო ათწლეულის ეკონომიკურ პოლიტიკას დაედება სარჩულად და სხვადასხვა სფეროს დინამიკის განსაზღვრაში დიდ როლს ითამაშებს.

საქართველო, ცხადია, გლობალური ეკონომიკის ნაწილია. რაც შეეხება ტურიზმს, ის, პოლიტიკის სხვადასხვა დოკუმენტის და საქართველოს მთავრობის დეკლარაციების მიხედვით, ქვეყნის პრიორიტეტულ დარგად არის გამოცხადებული. სწორედ ამიტომ, იმის გააზრება, თუ როგორ იმოქმედებს საქართველოზე გლობალური ტენდენციები და რამდენად არის ქვეყანა მზად მათზე საპასუხოდ, სასარგებლოა ტურიზმის და მომიჯნავე დარგების ოპტიმალური პოლიტიკის შესამუშავებლად.

კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

წარმოდგენილი კვლევის მიზანია, გამოავლინოს, რა უპირატესობები და სისუსტეები გააჩნია საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიას, გლობალური ტრენდების გათვალისწინებით.

კვლევა საბაზისოა. მისი მიზნებისთვის გამოყენებულია სამაგიდე კვლევის მეთოდი და გაანალიზებულია ავტორიტეტული საერთაშორისო გამოცემები, ასევე, საქართველოს ეკონომიკური და ტურისტული სტრატეგიები და სხვა შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტები. სამაგიდე კვლევის პროცესი სამ ეტაპად წარიმართა:

1. საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის კონკურენტული პოზიციების გამოვლენა;
2. გლობალური ტრენდების შერჩევა;
3. გლობალურ ტრენდებზე საპასუხოდ საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის მზადყოფნის ანალიზი.

საქართველოს ტურისტული ინდუსტრიის კონკურენტული პოზიციების გამოსავლენად გამოყენებულია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მოგზაურობის და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის 2017 წლის ანგარიში[2].

რაც შეეხება გლობალურ ტრენდებს, კვლევაში გამოყენებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანგარიშის „ტურიზმის ტრენდები და პოლიტიკა 2018 წელს“ მიგნებები[3].

[1] OECD Tourism Trends and Policies 2018
[2] The Travel & Tourism Competitiveness Report 2017
[3] OECD Tourism Trends and Policies 2018

ტურიზმის სტატისტიკა – მსოფლიო და საქართველო

მსოფლიო

მსოფლიო ტურიზმის სტატისტიკა ძალზე ნათლად აჩვენებს, რომ ინდუსტრია მთელ მსოფლიოში იზრდება და, შესაბამისად, მისი ეკონომიკური გავლენა ქვეყნებზე ძლიერდება. ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით[4], გლობალური ტურიზმი 6 ათწლეულია, სტაბილურად იზრდება და 2030 წელს ვიზიტორების რაოდენობა 1.8 მილიარდს მიაღწევს (2016 წელს ვიზიტორების რაოდენობამ 1.6 მილიარდს მიაღწია).

ტურიზმის კონტრიბუცია ეკონომიკაში, დასაქმებაში, ექსპორტში ყოველწლიურად იზრდება: მსოფლიო მოგზაურობის და ტურიზმის საბჭოს ანგარიშის მიხედვით[5], 2017 წელს ტურიზმის პირდაპირმა კონტრიბუციამ მსოფლიო მშპ-ის 3.6% შეადგინა, ხოლო 2018 წელს მისი კონტრიბუცია კვლავ გაიზრდება (2.8%-ით). ტურიზმის მთლიანი კონტრიბუცია გლობალურ მშპ-ში კიდევ უფრო მაღალია – 2017 წელს მან მსოფლიო მშპ-ის 9.9% შეადგინა და 2018 წლისთვის კი 2.7%-ით ზრდას პროგნოზირებდნენ.

რაც შეეხება დასაქმებას, 2017 წელს ტურიზმის პირდაპირი წილი მთლიან დასაქმებაში 3.8% იყო, ხოლო მთლიანი წილი 9.8%. სხვა მაჩვენებლების მსგავსად, ტურიზმის წილი დასაქმებაში, 2018 წლის პროგნოზით, კვლავ გაიზრდება.

რაც შეეხება გლობალურ ექსპორტს, აქაც იზრდება ტურიზმის როლი. 2017 წელს ექსპორტში ვიზიტორების წილი 3.8% იყო, ხოლო 2018 წელს ეს მაჩვენებელი 3.8%-ით უნდა გაზრდილიყო.

საქართველო

საქართველოს ეკონომიკისთვის ტურიზმი ყოველწლიურად სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ინდუსტრია ბოლო წლებში ორნიშნა რიცხვით იზრდება. 2017 წელს ქვეყანაში 7 მილიონზე მეტი საერთაშორისო მოგზაური შემოვიდა, 17.6%-ით მეტი, ვიდრე 2016 წელს.

მსოფლიო მოგზაურობის და ტურიზმის საბჭოს ანგარიშის მიხედვით[6], ტურიზმის პირდაპირი წილი საქართველოს მშპ-ში 2017 წელს 9.3% იყო, ხოლო მთლიანი წილი – 31%. დასაქმებაში ტურიზმის პირდაპირი წილი 2017 წელს 7.8% იყო, ხოლო პირდაპირი და ირიბი წილი – 27%. რაც შეეხება ექსპორტს, 2017 წელს მთლიან ექსპორტში ვიზიტორების წილმა 46% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ, მსოფლიოს მსგავსად, 2018 წლის პროგნოზით, ყველა ჩამოთვლილი პარამეტრი იზრდება. ქვეყნის ეკონომიკისთვის ტურიზმის მნიშვნელობაზე მიუთითებს მსოფლიო მოგზაურობის და ტურიზმის საბჭოს პროგნოზიც, რომლის მიხედვითაც 2028 წელს ტურიზმის ჯამური კონტრიბუცია ქვეყნის მთლიან პროდუქტში 35%-მდე გაიზრდება.

საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის მიმოხილვა

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ტურიზმის ინდუსტრიას ორ წელიწადში ერთხელ აფასებს მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმი ანგარიშში „მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ანგარიში“. ანგარიში ოთხი მთავარი კრიტერიუმით და ქვეკრიტერიუმებით აფასებს 136 ქვეყნის ტურიზმის ინდუსტრიას და შედეგების მიხედვით ქვეყნების რეიტინგს ადგენს. ინდუსტრიის შეფასების ოთხი მთავარი კრიტერიუმია: ხელშემწყობი გარემო, მოგზაურობის და ტურიზმის პოლიტიკა და ხელშემწყობი პირობები, ინფრასტრუქტურა და ბუნებრივი და კულტურული რესურსები.

2017 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო 70-ე ადგილზეა 136 ქვეყანას შორის. ქვემოთ ცხრილებში მოცემულია მსოფლიოს ტოპ 10 ქვეყნის, ბალკანეთის და აღმოსავლეთ ევროპის, ევრაზიის და საქართველოს შედეგები ოთხი კრიტერიუმის მიხედვით. კრიტერიუმები, ანგარიშის მეთოდოლოგიით, ფასდება 1-დან 7-მდე ქულით, სადაც 1 ყველაზე ცუდი, ხოლო 7 – საუკეთესო შედეგია. ამ ცხრილებიდან ნათლად ჩანს, სად აქვს საქართველოს ძლიერი კონკურენტული პოზიციები და სად არის საჭირო მეტი ძალისხმევა, რომ ქვეყანაში ტურიზმი განვითარდეს.

[4] OECD Tourism Trends and Policies 2018
[5] TRAVEL & TOURISM ECONOMIC IMPACT 2018 EUROPE, World Travel and Tourism Council
[6] TRAVEL & TOURISM ECONOMIC IMPACT 2018 EUROPE, World Travel and Tourism Council

ცხრილი 1. სხვადასხვა ქვეყნის ტურისტული ინდუსტრიების კონკურენტული პოზიციები მსოფლიოში, I კრიტერიუმით

საქართველო: 70-ე ადგილზე 136-დან	ხელშემწყობი გარემო				
ტოპ 10 ქვეყანა	ბიზნეს გარემო	უსაფრ-თხოება	ჯანდაცვა და ჰიგიენა	ადამიანური რესურსი და შრომის ბაზარი	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
ესპანეთი	4.4	6.2	6.3	4.9	5.5
საფრანგეთი	4.7	5.4	6.5	5.1	5.9
გერმანია	5.3	5.6	6.9	5.6	5.8
იაპონია	5.3	6.1	6.4	5.2	6.1
გაერთიანებული სამეფო	5.9	5.3	5.8	5.5	6.2
აშშ	5.4	5.2	5.7	5.5	6
ავსტრალია	5.1	6.1	6.1	5.1	6
იტალია	3.9	5.4	6.2	4.6	5.4
კანადა	5.3	6.1	5.6	5.5	5.6
შვეიცარია	6	6.4	6.5	5.7	6.4
ტოპ ათის საშუალო	5.13	5.78	6.2	5.27	5.89
ბალკანეთის და აღმოსავლეთ ევროპის საშუალო	4.2	5.6	6.1	4.6	4.8
ევრაზიის საშუალო	4.5	5.2	6.2	4.8	4.2
საქართველო	5.3	6	6.1	4.8	4.5

წყარო: The Travel & Tourism Competitiveness Report 2017, World Economic Forum

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს ძლიერი პოზიციები აქვს ბიზნესგარემოს, უსაფრთხოების და ჯანდაცვა-ჰიგიენის კრიტერიუმების მიხედვით. ამ მიმართულებებში საქართველოს მსოფლიოს ტოპ 10 (აღნიშნული ანგარიშის მიხედვით) ქვეყნის მსგავსი ან უკეთესი შედეგები აქვს. თუ ორიენტირებად ტოპ 10 ქვეყანას, ბალკანეთსა და აღმოსავლეთ ევროპას ავიღებთ, საქართველოს, ხელშემწყობი გარემოს კატეგორიაში, სუსტი პოზიციები აქვს ადამიანური რესურსის/შრომის ბაზრის და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თვალსაზრისით.

ცხრილი 2. სხვადასხვა ქვეყნის ტურისტული ინდუსტრიების კონკურენტული პოზიციები მსოფლიოში, II კრიტერიუმით

საქართველო: 70-ე ადგილზე 136-დან	მოგზაურობის და ტურიზმის პოლიტიკა და ხელშემყობი პირობები			
ტოპ 10 ქვეყანა	მოგზაურობის და ტურიზმის პრიორიტეტულობა	ფასით კონკურენტ-უნარიანობა	საერთაშორისო ღიაობა	ეკოლოგიური მდგრადობა
ესპანეთი	5.9	3.9	4.5	4.6
საფრანგეთი	5.1	4.2	4.1	4.8
გერმანია	4.8	4.3	4.2	5.2
იაპონია	5.4	4.4	4.6	4.4
გაერთიანებული სამეფო	5	4.2	2.8	4.7
აშშ	5.3	4	4.4	3.6
ავსტრალია	5.1	4.8	3.8	4.5
იტალია	4.5	4.1	3.9	4.5
კანადა	4.9	3.3	4.5	4.7
შვეიცარია	5.6	4.1	2.8	5.8
ტოპ ათის საშუალო	5.16	4.13	3.96	4.68
ბალკანეთის და აღმოსავლეთ ევროპის საშუალო	4.2	3.2	4.9	4.4
ევრაზიის საშუალო	4.3	2.6	5.3	4
საქართველო	4.9	3.1	4.9	4.4

წყარო: The Travel & Tourism Competitiveness Report 2017, World Economic Forum

ამ კატეგორიაში საქართველოს ძლიერი პოზიციები აქვს საერთაშორისო ღიაობის თვალსაზრისით, ხოლო ფასით კონკურენტუნარიანობა მისი ყველაზე სუსტი მხარეა.

ცხრილი 3. სხვადასხვა ქვეყნის ტურისტული ინდუსტრიების კონკურენტული პოზიციები მსოფლიოში, III კრიტერიუმით

საქართველო: 70-ე ადგილზე 136-დან	ინფრასტრუქტურა		
ტოპ 10 ქვეყანა	საჰაერო ტრანსპორტი	სახმელეთო და საპორტო ინფრასტრუქტურა	ტურისტული მომსახურების ინფრასტრუქტურა
ესპანეთი	5	5.2	6.7
საფრანგეთი	4.9	5.6	5.7
გერმანია	4.9	5.8	6
იაპონია	4.6	5.4	5.3
გაერთიანებული სამეფო	5.2	5.4	6.2
აშშ	6	4.6	6.6
ავსტრალია	5.7	3.6	6.1
იტალია	4.4	4.7	6
კანადა	6.8	4	6
შვეიცარია	4.9	5.9	6.2
ტოპ ათის საშუალო	5.24	5.02	6.08
ბალკანეთის და აღმოსავლეთ ევროპის საშუალო	2.3	3.4	4.4
ევრაზიის საშუალო	2.5	2.9	3.4
საქართველო	2.2	3.3	4

წყარო: The Travel & Tourism Competitiveness Report 2017, World Economic Forum

საქართველოს ტურიზმის ინდუსტრია, ინფრასტრუქტურის სამივე ქვეკრიტერიუმის მიხედვით, სუსტ პოზიციებზეა. ის მნიშვნელოვნად ჩამორჩება ტოპ 10 ქვეყანას და მცირედით – ბალკანეთსა და აღმოსავლეთ ევროპას.

ცხრილი 4. სხვადასხვა ქვეყნის ტურისტული ინდუსტრიების კონკურენტული პოზიციები მსოფლიოში, IV კრიტერიუმით

საქართველო: 70-ე ადგილზე 136-დან	ბუნებრივი და კულტურული რესურსები	
ტოპ 10 ქვეყანა	ბუნებრივი რესურსები	კულტურული რესურსები და ბიზნესმოგზაურობა
ესპანეთი	4.9	6.9
საფრანგეთი	4.8	6.7
გერმანია	4	6.3
Japan	4.3	6.5
გაერთიანებული სამეფო	4.6	6
აშშ	4.9	4.8
ავსტრალია	5.2	5
იტალია	4.8	6.5
კანადა	4.6	4.1
შვეიცარია	3.7	2.9
ტოპ ათის საშუალო	4.58	5.57
ბალკანეთის და აღმოსავლეთ ევროპის საშუალო	2.7	1.7
ევრაზიის საშუალო	2.6	1.8
საქართველო	2.4	1.6

წყარო: The Travel & Tourism Competitiveness Report 2017, World Economic Forum

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველო, ამ კრიტერიუმის მიხედვით, ყველაზე სუსტ პოზიციებზეა. ის ჩამორჩება მსოფლიოს ტოპ 10 ქვეყანას, ბალკანეთს და აღმოსავლეთ ევროპას, ასევე, ევრაზიის რეგიონის საშუალო მაჩვენებელს.

რომ შევაჯამოთ, ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ძლიერი მხარეებია:

- ბიზნესგარემო;
- უსაფრთხოება;
- საერთაშორისო ღიაობა.

ძლიერი მხარეებად მივიჩნიეთ ანგარიშის ის კრიტერიუმები, სადაც საქართველოს მაჩვენებელი უტოლდება ან აჭარბებს ტოპ 10 ქვეყნისა და ბალკანეთ-აღმოსავლეთ ევროპის საშუალო მაჩვენებლებს.

რაც შეეხება სუსტ მხარეებს, ესენია:

- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- ფასით კონკურენტუნარიანობა;
- საჰაერო ინფრასტრუქტურა;
- სახმელეთო და საპორტო ინფრასტრუქტურა;
- ტურისტული ინფრასტრუქტურა;
- ბუნებრივი რესურსები;
- კულტურული რესურსები და ბიზნესმოგზაურობა.

სუსტ მხარეებად მიჩნეულია ის კრიტერიუმები, სადაც საქართველოს მაჩვენებელი ტოპ 10 ქვეყნის და ბალკანეთის და აღმოსავლეთ ევროპის საშუალო მაჩვენებლებს ჩამოუვარდება.

წარმოდგენილი კვლევისთვის საინტერესოა, როგორ აისახება მსოფლიოს მეგატრენდები საქართველოზე, ქვეყნის კონკურენტული უპირატესობების და სისუსტეების გათვალისწინებით. დოკუმენტის მომდევნო ნაწილში სწორედ ეს ანალიზია წარმოდგენილი.

გლობალური ტრენდები და საქართველო

როგორც შესავალში ითქვა, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოში რამდენიმე წამყვანი ტრენდია, რომელიც მომავალი ათწლეულების მანძილზე გლობალურ ეკონომიკაზე და, ცხადია, ტურიზმზე დიდ გავლენას იქონიებს. ეს ტრენდებია ვიზიტორების მოთხოვნის ევოლუცია, აქცენტი მდგრად განვითარებაზე, ტექნოლოგიები და მოსახლეობების მზარდი მობილობა.

ქვემოთ, კვლევის შეზღუდვებიდან გამომდინარე, გაანალიზებულია, რამდენად არის საქართველოს ტურისტული ინდუსტრია მზად, ფეხი აუწყოს ჩამოთვლილიდან ორ მთავარ ტრენდს: ვიზიტორების მოთხოვნის ევოლუციას და ტექნოლოგიების განვითარებას.

ვიზიტორების მოთხოვნის ევოლუცია

მსოფლიოში მოსახლეობის დემოგრაფიის ცვლილებასთან ერთად, იცვლება მომხმარებელიც. ბუნებრივია, ბაზრებიც ამ ცვლილებების მიხედვით ადაპტირდებიან ან უნდა ადაპტირდებოდნენ, თუ სურთ არ ჩამორჩნენ მსოფლიოს განვითარების ტემპს. მოსახლეობის დემოგრაფიის თვალსაზრისით, დღეს რამდენიმე მთავარი ტრენდია მსოფლიოში:

- იზრდება საშუალო კლასი;
- ბერდება მოსახლეობა;
- ჩნდება ახალი თაობის მომხმარებლები.

საშუალო კლასის ზრდა

მსოფლიოში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, საშუალო კლასი სწრაფად იზრდება. 2016 წლის ბოლოს საშუალო კლასი 3.2 მილიარდ ადამიანს ითვლიდა. ამ ჯგუფს ყოველწლიურად 140 მლნ ადამიანი ემატება[7]. საშუალო კლასის ზრდა კი მომსახურებასა და პროდუქტებზე, მათ შორის, ტურისტულ მომსახურებასა და პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდას ნიშნავს. 2017 წელს მსოფლიოში საერთაშორისო ტურისტების ვიზიტები 7%-ით გაიზარდა[8]. ყურადსაღებია, რომ საერთაშორისო ტურისტების უმეტესობა ევროპიდან, ამერიკიდან და აზიის მოწინავე ეკონომიკებიდან არიან, ლიდერი კი, ამ თვალსაზრისით, ევროპაა. ამავე რეგიონებს უკავიათ წამყვანი პოზიციები ტურიზმზე დახარჯული თანხების მიხედვითაც. ასევე, აღსანიშნავია, რომ ტურისტების უმეტესობა მოგზაურობს საჰაერო ტრანსპორტით.

საინტერესოა, რამდენად მეორდება მსოფლიო ტრენდები საქართველოში და რამდენად არის მზად ქვეყანა, ფეხი აუწყოს მათ. 2017 წელს საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა 17.6%-ით გაიზარდა, რაც 10 პროცენტულ პუნქტზე მეტით აღემატება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს. საქართველოში შემოსული მოგზაურების უმეტესობა მეზობელი ქვეყნებიდან – აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და რუსეთიდან არის. როგორც ვხედავთ, საქართველო ჯერჯერობით ვერ ახერხებს მოიზიდოს ტურისტები მოწინავე ეკონომიკებიდან, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ყველაზე აქტიურ და ყველაზე მაღალი მსყიდველობითი უნარის მოგზაურები სწორედ ამ ქვეყნებიდან არიან.

დოკუმენტში „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“ ვკითხულობთ, რომ ქვეყანას 2025 წლამდე დასახული აქვს რვა პრიორიტეტული ამოცანა, რომელთაგან ერთ-ერთია „ეფექტიანი მარკეტინგისა და საინფორმაციო კამპანიის საშუალებით ვიზიტორების მოზიდვა მაღალგადახდისუნარიანი ბაზრებიდან”. მიუხედავად ამისა, 2018 წლის საქართველოს ტურისტული ადმინისტრაციის ბიუჯეტში ქვეყნის სარეკლამო კამპანიების ბიუჯეტის 23% მოდის რუსეთზე, 10% – სპარსეთის ყურის ქვეყნებზე. ევროპის ქვეყნებზე ჯამურად კი – მხოლოდ 32%. ბიუჯეტის ამ კატეგორიის განაწილება თითქმის იგივე იყო 2017 წელს. ხოლო 2016 წელს სპარსეთის ყურეზე 40%-მოდიოდა, რუსეთზე კი – 15%-მდე. როგორც ვხედავთ, საქართველო ბოლო სამი წელია, სარეკლამო კამპანიების ბიუჯეტის 40-50% ახმარს რუსეთსა და სპარსეთის ყურეს, მაშინ, როდესაც, მსოფლიო ტენდენციის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე მეტს ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის და აზიის მოწინავე ეკონომიკის ქვეყნების მოქალაქეები მოგზაურობენ, ასევე, ყველაზე მაღალი გადახდის უნარი აქვთ ამ ქვეყნიდან შემოსულ მოგზაურებს. ბიუჯეტის განაწილება არც ტურიზმის სტრატეგიაში დასახულ, ზემოთ აღნიშნულ მიზანთან არის თანხვედრაში.

არათანმიმდევრული ტურისტული პოლიტიკა არ არის ერთადერთი ფაქტორი, რაც საქართველოს ხელს შეუშლის, სარგებელი ნახოს მსოფლიოში ტურიზმზე მოთხოვნის ზრდისგან და მოიზიდოს ევროპის, ამერიკის და აზიის მაღალი მსყიდველობითი უნარის მქონე მომხმარებელი. როგორც საქართველოს ტურიზმის დარგის კონკურენტული მიმოხილვიდან ჩანს, ქვეყანას განსაკუთრებით სუსტი პოზიციები აქვს, როგორც საჰაერო, ისე სახმელეთო თუ საპორტო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით. ამ ფონზე კი რთული იქნება არამეზობელი მზარდი ბაზრების ათვისება.

გარდა ამისა, ტურიზმის ზრდით მოტანილი შესაძლებლობების სრულად გამოსაყენებლად საჭიროა კომუნალური მომსახურებების ინფრასტრუქტურის – ენერგო და წყალმომარაგების, კანალიზაციის და ნაგავსაყრელების სისტემების მოწესრიგება. როგორც რეგიონული და ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტროს ვებგვერდზე ვკითხულობთ, 2017-2020 წლებში დაგეგმილია 2500 ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ბიუჯეტის შესრულების 2018 წლის ოქტომბრის მონაცემებით, კაპიტალური დანახარჯების მხოლოდ 60%-ია შესრულებული. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ, ტურიზმზე გაწეული კაპიტალური ინვესტიციების მიხედვით, საქართველო 130-ე ადგილზეა 185 ქვეყანას შორის[9]. ეს კი იმ ფონზე, რომ საქართველოში ტურიზმი გაცილებით დიდ როლს თამაშობს მშპ-ში და ექსპორტში, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

მოსახლეობის დაბერება

ტურიზმის ინდუსტრიაზე გავლენას ახდენს მოსახლეობის დაბერებაც. მსოფლიოში ხანდაზმულების ასაკობრივი ჯგუფი წლიურად 3%-ით იზრდება. ეს ტრენდი განსაკუთრებით ძლიერია ევროპაში, რომელზეც, აზიასთან ერთად,

[7] THE UNPRECEDENTED EXPANSION OF THE GLOBAL MIDDLE CLASS, Homi Kharas, GLOBAL ECONOMY & DEVELOPMENT WORKING PAPER 100 | FEBRUARY 2017

[8] UNWTO Tourism Highlights 2018 Edition

[9] TRAVEL & TOURISM ECONOMIC IMPACT 2018 EUROPE, World Travel and Tourism Council

მოდის საერთაშორისო ვიზიტორების უდიდესი ნაწილი. ევროპაში, მაგალითად, მოსახლეობის 25% უკვე 60 წელზე უფროსი ასაკის არის. ეს ტრენდი აჩენს მოგზაურთა ახალ სეგმენტს, რომელსაც სპეციფიკური მოთხოვნები აქვს. ამ სეგმენტის მოსაზიდად საჭიროა მოსახერხებელი, ადაპტირებული, კომფორტული ინფრასტრუქტურა, გადაადგილების კომფორტული საშუალებები, ლიფტები, ესკალატორები, საბაგიროები და სხვა. საქართველო ამ მხრივაც გამოწვევის წინაშე დგას და, თუ გვსურს, რომ ქვეყანა მზად იყოს ახალი, მზარდი და ფინანსურად შედარებით უზრუნველყოფილი სეგმენტისთვის, საჭიროა, ინფრასტრუქტურული და ტურისტული კაპიტალური ინვესტიციების განხორციელებისას ამ სეგმენტის საჭიროებების გათვალისწინება.

ახალი თაობის მომხმარებლების გაჩენა

ნელ-ნელა მსოფლიოში ახალი თაობის მომხმარებლები ბაზარზე თამაშის წესებს ცვლიან: ესენი ეგრეთწოდებული X თაობა და მილენიალების თაობა არიან. საინტერესოა, რა მახასიათებლები აქვთ ამ თაობებს, რა მოთხოვნები აქვთ ტურიზმის თვალსაზრისით და რამდენად არის საქართველო მზად ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, საინტერესოა, რამდენად აკმაყოფილებს საქართველო მისი ამჟამინდელი მომხმარებლების მოთხოვნებს? ოპტიმალობისთვის, ქვემოთ გაანალიზებულია X თაობისა და მილენიალების თაობის მახასიათებლები, რადგან ეს სეგმენტები საქართველოსთვის მეტად რელევანტურია.

საქართველოში შემოსული ტურისტების ყველაზე დიდ ნაწილს (44%) 31-50 წლის ასაკობრივი ჯგუფი შეადგენს. ეს არის X თაობის და მილენიალების თაობა. X თაობისთვის მნიშვნელოვანია ოჯახთან ერთად მოგზაურობა, მნიშვნელოვანია ფასი[10]. მათი უმეტესობა (65%) ამბობს, რომ მოგზაურობისას უპირატესობას ანიჭებს მუზეუმების, ისტორიული ადგილების, ხელოვნებისა და კულტურის ნიმუშების მონახულებას. ისინი არჩევანის გაკეთებისას ხელმძღვანელობენ რევიუებით, ონლაინ სააგენტოებით, საძიებო სისტემებით. რაც შეეხება მილენიალებს, ისინი გაცილებით უფრო ხშირად მოგზაურობენ, ვიდრე X თაობა, მაგრამ შედარებით მოკლე დროით და ნაკლები ბიუჯეტით. მათ იზიდავთ გაუკვალავი გზები, გამორჩეული, ახალი ადგილები, აინტერესებთ ადგილობრივი სამზარეულო, კულტურა.

საინტერესოა, რამდენად კონკურენტულია საქართველო X თაობისთვის: ფასის თვალსაზრისით, საქართველო კონკურენტუნარიანობით ჩამორჩება ბალკანეთს და აღმოსავლეთ ევროპას, ჩამორჩება ტოპ ათეულს, მაგრამ წინ უსწრებს ევრაზიას. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სააგენტო „აწარმოე საქართველოს“ მიერ სასტუმროს ინდუსტრიის განვითარების კომპონენტის წარმატებით განხორციელებამ და ქვეყანაში სხვადასხვა კლასის სასტუმროების გაჩენამ, შესაძლოა, ნაწილობრივ აღმოფხვრას ფასით კონკურენტუნარიანობის პრობლემა. X თაობისთვის საინტერესოა ბუნებრივი და კულტურული ღირსშესანიშნაობები. საქართველოს კი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშის მიხედვით, ყველაზე რთულად აქვს საქმე ბუნებრივი რესურსების და კულტურული ადგილების თვალსაზრისით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუ საქართველოს უნდა, X თაობის მეტი წარმომადგენელი მოიზიდოს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ სისუსტეების აღმოფხვრას.

რაც შეეხება მილენიალებს, მათთვის საქართველო საინტერესო ადგილი უნდა იყოს ქართული კულინარიის, სასმელის და ქვეყნის თავისებურების გამო. თუმცა, ქვეყნის დაბალი კონკურენტულობა ფასის მიხედვით, შესაძლოა, მათთვისაც დამაბრკოლებელი ფაქტორი აღმოჩნდეს, რადგან მილენიალების სამოგზაურო ბიუჯეტი შეზღუდულია, მათზე უფროსი თაობის ბიუჯეტებთან შედარებით.

როგორც ზემოთ დავინახეთ, საშუალო კლასის ზრდა და, შედეგად, ტურიზმზე მოთხოვნის ზრდა, მოსახლეობის დაბერება და ახალი ტიპის მომხმარებლების გაჩენა ტურიზმის დარგში შესაძლებლობებს ქმნის და, ამავდროულად, საქართველოს გამოწვევების წინაშეც აყენებს. ეს გამოწვევებია:

- ტურიზმის პოლიტიკისა და სტრატეგიის შესაბამისობაში მოყვანა მსოფლიო ტრენდებთან;
- სატრანსპორტო და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ბუნებრივი და კულტურული ღირსშესანიშნაობების განვითარება.

[10] FROM BOOMERS TO GEN Z: TRAVEL TRENDS ACROSS THE GENERATION, 19TH MAY 2017INTELLIGENCE

ტექნოლოგიების განვითარება

თანამედროვე ყოფა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გარეშე წარმოუდგენილია. ტექნოლოგიების როლი ბიზნესის თუ კერძო პირების ცხოვრებაში ყოველდღიურად იზრდება. ტურიზმის ინდუსტრიაში ტექნოლოგიები დიდ შესაძლებლობებს ქმნის, როგორც მომხმარებლის, ისე – მეწარმეებისთვის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. Booking.com, Airbnb, Tripadvisor და სხვა სატრანსპორტო, დასაჯავშნი, სარესტორნო თუ სამოგზაურო პლატფორმები, ერთი მხრივ, აადვილებს მოგზაურობას და, მეორე მხრივ, მცირე და საშუალო მეწარმეებს გზას უხსნის საერთაშორისო ბაზრებისკენ.

ციფრული ტექნოლოგიების მიერ მოტანილი შესაძლებლობების გამოყენებისთვის ტექნოლოგიური მზადყოფნაა საჭირო. ტურიზმის ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ერთ-ერთი სუსტი მხარე, ტოპ ათ ქვეყანასთან და ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონებთან შედარებით, სწორედ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებია.

საქართველოში საკმაოდ დაბალია საწარმოების მიერ ინტერნეტის გამოყენება კომერციული მიზნებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოების 98%-ს ინტერნეტთან წვდომა აქვს, მათგან მხოლოდ 40%-ს ჰქონდა ვებგვერდი, ხოლო ვებსაიტის მეშვეობით მიღებული შეკვეთები კი მხოლოდ 6%-მდეა. ეს ინფორმაცია დეტალურად არის მოცემული ქვემოთ, ცხრილებში 5-7.

ცხრილი 5. წვდომა ინტერნეტთან

ინტერნეტთან წვდომა და მისი გამოყენება საწარმოებში, პერიოდების მიხედვით (%)		
	დიახ	არა
ჰქონდა თუ არა თქვენს საწარმოს ინტერნეტთან წვდომა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით?	97.5%	2.5%
ჰქონდა თუ არა თქვენს საწარმოს ინტერნეტთან წვდომა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით?	98.4%	1.6%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო, www.საქსტატი.ge

ცხრილი 6. ვებგვერდი

ვებსაიტის ან ვებგვერდის გამოყენება საწარმოების მიერ, წლების მიხედვით (%)		
	დიახ	არა
ჰქონდა თუ არა თქვენს საწარმოს ვებსაიტი /ვებ-გვერდი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით?	44.3%	55.7%
ჰქონდა თუ არა თქვენს საწარმოს ვებსაიტი /ვებ-გვერდი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით?	44.7%	55.3%
ჰქონდა თუ არა თქვენს საწარმოს ვებსაიტი /ვებ-გვერდი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით?	40.3%	59.7%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო, www.საქსტატი.ge

ცხრილი 7. ვებგვერდით მიღებული შეკვეთები

საწარმოს მიერ ვებ-საიტის მეშვეობით მიღებული შეკვეთები, წლების მიხედვით (%)			
	2015	2016	2017
საწარმოს მიერ ვებ-საიტის მეშვეობით მიღებული შეკვეთები	9.5%	6.8%	5.6%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო, www.საქსტატი.ge

საწარმოების დიჯიტალიზაციის დაბალ დონეზე მიუთითებს ისიც, რომ საწარმოთა უმეტესობა არ იყენებს სოციალურ ქსელებს და ინფორმაციის გასაზიარებელ პლატფორმებს. ცხრილი 8 აჩვენებს, რომ საწარმოთა მხოლოდ 33% იყენებს სოციალურ ქსელებს კომერციული მიზნებით.

ცხრილი 8. სოციალური მედიის გამოყენება

საწარმოების მიერ სოციალური მედიის გამოყენება, პერიოდების მიხედვით (%)		
	01.01.2016	01.01.2017
სოციალური ქსელები (მაგ. Facebook, LinkedIn, Xing, Viadeo, Yammer, და ა.შ.)	32.9%	33.7%
საწარმოს ბლოგი ან მიკრობლოგები (მაგ.Twitter, Present. ly და ა.შ.)	5.0%	4.0%
მულტიმედიური შინაარსის გაცვლის ვებსაიტები (მაგ.YouTube, Flickr, Picassa, SlideShare და ა.შ.)	8.9%	9.3%
Wiki-ის ბაზაზე მოწყობილი ცოდნის გაზიარების საშუალებები	4.5%	5.3%
საწარმო არ იყენებს არცერთ ზემოთ აღნიშნული სოციალური მედიის საშუალებებს ან იყენებს მათ მხოლოდ ფასიანი რეკლამის განსათავსებლად	48.7%	47.7%
სულ	100.0%	100.0%

კვლევა დაინტერესდა, არის თუ არა ქვეყნის ტურისტული და ეკონომიკური პოლიტიკის დღის წესრიგის ნაწილი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ინფრასტრუქტურის განვითარება და მცირე და საშუალო მეწარმეების ჩართვა ეგრეთ წოდებულ გაზიარებულ ეკონომიკაში (shared economy). როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქართველოს ტურიზმის სტრატეგიაში[11] განსაზღვრულია 8 პრიორიტეტული ამოცანა, რომელზეც ქვეყანამ 2025 წლამდე პერიოდის მანძილზე უნდა იმუშაოს. პრიორიტეტული ამოცანები ქვეამოცანებად არის დაყოფილი და მათ შორის მხოლოდ ერთი ფარავს, ისიც ნაწილობრივ, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებას – მეოთხე ამოცანის ქვეამოცანა ასეა ფორმულირებული: „ტურიზმის სფეროში ციფრული და ჯავშნისა და ანგარიშსწორების სისტემებზე გადასვლის ხელშეწყობა.“

მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების სტრატეგიაში[12] გაწერილია სტრატეგიული მიმართულებები, რომელთაგან ერთ-ერთია ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა. სტრატეგიული მიმართულების ქვეამოცანები კი ასე გამოიყურება:

- პრიორიტეტული ქმედება 5.1: მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციების სტიმულირება;
- პრიორიტეტული ქმედება 5.2: ინოვაციების და R&D-ის დაფინანსების ეფექტიანი სქემების შემუშავება;
- პრიორიტეტული ქმედება 5.3: ინოვაციების და R&D-ის კომერციალიზაციის მხარდაჭრა;
- პრიორიტეტული ქმედება 5.4: მეწარმეობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენების უნარების გაუმჯობესება;
- პრიორიტეტული ქმედება 5.5: ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება (FabLabs; iLabs; TechPark; BroadBand; კომპიუტერიზაცია).

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარების გასაუმჯობესებლად 2017 წელს 10 ტრენინგი ჩაუტარდა 70-მდე ადამიანს[13]. ანგარიშიდან არ ჩანს ამ ტრენინგების შინაარსი. საინტერესო იქნებოდა „აწარმოე საქართველოს“ აქტივობების შესწავლა ამ კუთხით, რადგან მისი ერთ-ერთი მსხვილი კომპონენტია მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობა. თუმცა, სააგენტოს საქმიანობის ანგარიში საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის.

იმ პირობებში, როდესაც საქართველოში ტურიზმი ყოველწლიურად ორნიშნა რიცხვით იზრდება, ხოლო ტურიზმის მომხმარებლების უმეტესობა, მით უფრო X და მილენიალების თაობა სწორედ რომ ციფრულ ტექნოლოგიებს მოიხმარს მოგზაურობის დაგეგმვის და თავად მოგზაურობის დროს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მცირე და საშუალო მეწარმეების ჩართვას ამ პროცესში. ეს კი, დიჯიტალიზაციის სწრაფი ტემპის გათვალისწინებით, მათი საინფორმაციო-ტექნოლოგიური უნარების განვითარების გარეშე რთული იქნება.

[11] საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025
[12] საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის
[13] მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში (2017 წ.)

ზოგადი რეკომენდაციები

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველო მნიშვნელოვან სარგებელს იღებს მსოფლიოში ტურიზმზე მოთხოვნის ზრდიდან – ქვეყანაში საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა ყოველწლიურად ორნიშნა რიცხვით იზრდება, ტურიზმი ეკონომიკაში სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამ წარმატებას ხელს უწყობს ქვეყნის ძლიერი პოზიციები უსაფრთხოების, საერთაშორისო ღიაობის და ბიზნესგარემოს თვალსაზრისით. თუმცა, არსებობს გამოწვევები, რომლებიც რეალურ საფრთხეს უქმნის ტურისტული ინდუსტრიის მდგრად, უწყვეტ და გრძელვადიან განვითარებას. ეს საფრთხეები მომდინარეობს ძირეულ, კრიტიკულ მიმართულებებში – ინფრასტრუქტურაში, საინფორმაციო ტექნოლოგიებში – არსებული ჩავარდნებით და ტურისტული პოლიტიკის მსოფლიო ტრენდებთან შეუსაბამობით.

იმისათვის, რომ ქვეყანამ შეძლოს, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში მოიზიდოს მსოფლიოს ტურისტული ბაზრის ყველაზე მიმზიდველი – მაღალგადახდისუნარიანი სეგმენტი, გააძლიეროს ქვეყნის, როგორც ტურისტული დესტინაციის იმიჯი, საჭიროა, მუშაობა უწყვეტად მიმდინარეობდეს შემდეგი მიმართულებებით:

- საჰაერო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
- შიდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის გამართვა;
- მუზეუმების, პარკების და ატრაქციონების განვითარება;
- ტურისტული კამპანიების და პოლიტიკის დაგეგმვა სამიზნე ბაზრების და მსოფლიო ტრენდების მიხედვით;
- ტურიზმის და მომიჯნავე დარგის მცირე და საშუალო მეწარმეების საინფორმაციო-ტექნოლოგიური უნარების გამოყენება.

მუზეუმების ფინანსური მდგრადობა და ტურისტული პოტენციალი

ელენე კვანჭილაშვილი

შესავალი

მუზეუმების ფინანსური მდგრადობა თანამედროვე სამუზეუმო ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან გახსნილი საზღვრებისა და გაზრდილი გლობალური კონკურენციის პირობებში, წარმატებულად ჩაითვლება ის მუზეუმი, რომელსაც აქვს რესურსი, მუდმივად აუმჯობესოს საზოგადოებისთვის გასაწევი სერვისი და მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები კოლექციების მენეჯმენტთან დაკავშირებით. ფინანსური მდგრადობა მუზეუმებს უქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ახლებურად გაიაზრონ საკუთარი კოლექციების მნიშვნელობა, უფრო თანამედროვე მიდგომებით გადაჭრან ისეთი ძველი პრობლემები, როგორებიცაა კოლექციების დაცვა, ადგილობრივ თემებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება, საერთაშორისო სამუზეუმო სივრცეში ინტეგრაცია და, რაც მთავარია, დამთვალიერებლებისთვის დამატებული ღირებულების შექმნა იმ სერვისების მიწოდებით, რაც დადებითი შთაბეჭდილების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს და ერთხელ მისულ დამთვალიერებელს მეორედაც მიაბრუნებს უკან, შესაძლოა, ახალ დამთვალიერებლებთან ერთადაც. ფინანსური მდგრადობის გარეშე, ნაკლები ადგილი რჩება განვითარებისთვის, ინოვაციისა და კრეატივისთვის. ფინანსური მდგრადობის მიღწევა შეუძლებელია შემოსავლების დივერსიფიკაციის გარეშე. თანამედროვე მსოფლიო ტრენდი კი ნათლად აჩვენებს, რომ სახელმწიფო სუბსიდიები იკლებს. ამ კონტექსტში ჩვენი კვლევის მთავარი მიზანია, საქართველოს სამუზეუმო ცხოვრების კონტექსტში ვუპასუხოთ შემდეგ კითხვებს და ამ კითხვებზე პასუხების მიღების შემდეგ, გამოვკვეთოთ ძირითადი რეკომენდაციები.

#1: ფინანსური მდგრადობის რა შესაძლებლობები აქვთ დღეს საქართველოს მუზეუმებს? რამდენად საკმარისია ეს შესაძლებლობები? რისი წილი უფრო მაღალია: სახელმწიფო სუბსიდიების თუ დამოუკიდებლად მოზიდული შემოსავლების?

#2: როგორია მუზეუმების კუთხით სახელმწიფო პოლიტიკა? რა არეგულირებს ამ სფეროს? რამდენად იძლევა საკანონმდებლო ბაზა მუზეუმების მხრიდან დამოუკიდებელი სახსრების მოზიდვის შესაძლებლობას? ვინ უფრო აქტიურობს მუზეუმების პოპულარიზებისთვის ამ მოცემულ მომენტში – სახელმწიფო, პროფესიული გაერთიანებები, კერძო სექტორი თუ თავად მუზეუმები?

#3: რამდენად თანმიმდევრულია კულტურული ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკა? რამდენად კოორდინირებულად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მუზეუმებთან, მათ გაერთიანებებთან და კერძო სექტორთან, ტურისტულ სააგენტოებთან პასუხისმგებელი უწყებები?

#4: რა შეიძლება გაკეთდეს და ვინ უნდა იაქტიუროს მუზეუმების ფინანსური მდგრადობის მიღწევისთვის?

კვლევის აქტუალობა

ტურიზმი საქართველოში რეკორდს რეკორდზე ხსნის. 2017 წლის მონაცემებით, საქართველოს ყოველთვიურად საშუალოდ ნახევარ მილიონზე მეტი უცხოელი ვიზიტორი ეწვია. რა არის მათი ვიზიტის ძირითადი მიზანი? სტატისტიკა აჩვენებს, რომ ყველაზე მეტი ვიზიტი -თითქმის 40% – დასვენების, გართობისა და რეკრეაციის მიზანს ემსახურება.

მზარდია შიდა ტურიზმის სტატისტიკაც: საქართველოს მოქალაქეებიც უფრო აქტიურად მოგზაურობენ საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე. 2017 წელს თუ შევხედავთ, შიდა ტურიზმში ყოველთვიურად საშუალოდ მილიონზე მეტი ადამიანი იყო ჩაბმული. აქედან დასვენების, გართობისა და რეკრეაციის მიზნით მათი 9.9% მოგზაურობდა. ეს ყველაზე მაღალი მონაცემი არ არის, თუმცა – მზარდია.

ამ რიცხვებიდან ნათლად იკვეთება, თუ რამხელა პოტენციალი აქვს ქვეყანაში სამუზეუმო ცხოვრებას, თუკი სწორი სტრატეგიით მოხდება მუზეუმების მართვა. მეორე მხრივ, თუ მუზეუმების ცნობადობა არ გაიზრდება, თუკი მათზე

ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ იქნება და თუ არ მოგვარდება ის პრაქტიკული პრობლემები, რომლებსაც იგივე ტურისტული სააგენტოები ყოველდღიური საქმიანობისას აწყდებიან, პოტენციალი ისევ პოტენციალად დარჩება. სწორედ მსგავს ტენდენციას ვაკვირდებით დღეს, როდესაც სამუზეუმო ცხოვრების გაცხადებული მიზნები ერთია, ხოლო რეალური შედეგები – სრულიად საპირისპიროზე მეტყველებს.

მუზეუმების მეტი ინტეგრაცია კულტურულ ტურიზმში და მათთვის შემოსავლების დამოუკიდებლად მოზიდვის მეტი ბერკეტის გაჩენა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს მათ მეტ ფინანსურ სტაბილურობას და, მეორე მხრივ, შეამსუბუქებს წნეხს სახელმწიფო ბიუჯეტზე, ხოლო სუბსიდიებს, რომლებსაც ბიუჯეტი გასცემს, უფრო გაზომვადს და თარგეტირებულს გახდის, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს, როგორც თავად მუზეუმების უფრო ეფექტიან ფუნქციონირებას, ისე ბიუჯეტის სახსრების უფრო პასუხისმგებლიან ხარჯვას.

კვლევის მეთოდოლოგია

- სიღრმისეული ინტერვიუ: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; ICOM საქართველო; ტურისტული სააგენტო Travel to Georgia;
- კანონმდებლობის და მარეგულირებელი ჩარჩოს ანალიზი;
- საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა და ანალიზი;
- ოფიციალური სტატისტიკის ანალიზი.

1.1. სიტუაციის აღწერა

სტატისტიკა აჩვენებს, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში მუზეუმების რაოდენობა მუდმივად მზარდია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს კულტურული ტურიზმის განვითარების პოტენციალი აქვს. **უახლესი, 2017 წლის მდგომარეობით, საქართველოში სულ 241 მუზეუმია.** აქედან ყველაზე მეტი – 96 მუზეუმი – მემორიალური ტიპისაა. ამ ტიპის მუზეუმების რაოდენობა 2009 წლიდან სტაბილურად იზრდება. რაოდენობის მიხედვით, მეორე ადგილზეა – 69 მუზეუმით – ისტორიული, მხარეთმცოდნეობის მუზეუმები, თუმცა უნდა ვთქვათ, რომ 2017 წელი პირველი წელია, როდესაც ამ ტიპის მუზეუმების რაოდენობამ 69-ს მიაღწია. შარშანდელთან შედარებით, ამ ტიპის მუზეუმების რაოდენობა გაზრდილია 9 ერთეულით, ხოლო 2009-2010 წლებთან შედარებით, რაოდენობა გაორმაგებულია. საქართველოში ყველაზე გავრცელებული ტიპის მუზეუმების სამეულს ასრულებს ხელოვნების მუზეუმი – 2017 წლის მონაცემებით, ასეთი საქართველოში 24 მუზეუმია.

კულტურა

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
მუზეუმები								
რაოდენობა, ერთეული	118	183	188	191	193	207	219	241
დამთვალიერებელთა რიცხვი, 1000	730.1	705.1	993.7	1100.9	1065.8	1335.9	1674.9	1910.0
თეატრები								
რაოდენობა, ერთეული	44	45	44	48	49	49	49	49
დამთვალიერებელთა რიცხვი, 1000	359.9	404.2	353.7	433.9	486.9	554.5	601.8	576.8

მუზეუმები (სამუზეუმო გაერთიანებები) და მუზეუმ-ნაკრძალები												
											ერთეული	
2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
111	137	139	126	112	118	183	188	191	193	207	219	241
52	48	50	47	33	32	61	61	60	60	60	60	69

2	3	3	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
14	24	21	21	18	22	19	18	19	19	21	23	24
...	9	6	6	10	10	11	11	12	13	13	13	12
40	49	51	45	43	45	73	78	78	79	84	90	96
3	4	8	5	6	7	17	18	20	20	27	31	38
301,1	472,6	446,4	436,2	616,2	730,1	705,1	993,7	1100.9	1065.8	1335,9	1674,9	1910,0
11837	15472	13875	20369	23022	27336	26696	33018	35850	39595	47676	51339	58274
336	429	556	549	608	617	686	664	710	851	919	1008	1076
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონაცემები. 2011 წლიდან ინფორმაცია მოიცავს ცალკეული მუზეუმების მონაცემები.												

საინტერესოა, შევხედოთ, როგორ ნაწილდება მუზეუმები და მუზეუმ-ნაკრძალები რეგიონების მიხედვით. 2017 წლის მონაცემებით, თბილისი უპირობო ლიდერია – 55 მუზეუმით, მას მოსდევს იმერეთის რეგიონი 35 მუზეუმით, კახეთი – 32 მუზეუმით, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 31 მუზეუმით და აჭარა – 21 მუზეუმით. რეგიონებიდან ყველაზე ცოტა მუზეუმი არის რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – სულ 7 და სამცხე-ჯავახეთში – სულ 9. სტატისტიკა აჩვენებს, რომ ეს პროპორცია ბოლო 10 წლის განმავლობაში, პრაქტიკულად, შენარჩუნებულია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მუზეუმ-ნაკრძალებიც აქვს: 2007-2014 წლებში ამ ტიპის მუზეუმების რაოდენობა მზარდი იყო, ამ პერიოდში მათი რიცხვი გაორმაგდა და 13-ს მიაღწია. 2014-2016 წლებში მათი რაოდენობა უცვლელი იყო, ხოლო 2017 წელს ერთით შემცირდა.



რაც შეეხება, დამთვალიერებელთა რიცხვს, რეგიონების მიხედვით, ინტერესები, როგორც ჩანს, ცვალებადია, ამიტომ რაიმე ხელშესახები განმაზოგადებელი ტენდენციის გამოკვეთა, თუ კონკრეტულად რომელი რეგიონების

მუზეუმებზე იყო წლების განმავლობაში ყველაზე დიდი მოთხოვნა, საკმაოდ რთულია. თუმცა, ერთი რამ ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ – მუზეუმების რაოდენობა ნამდვილად არ განაპირობებს დამთვალიერებელთა რაოდენობას. ამას 2017 წლის მონაცემებიც აჩვენებს, რომლის მიხედვითაც, თბილისის შემდეგ, ყველაზე მოთხოვნადი იყო შიდა ქართლის მუზეუმები 432 ათასი დამთვალიერებლით, რაც, დიდი ალბათობით, განპირობებული იყო იმით, რომ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალმონახულებადი მუზეუმი არის სტალინის მუზეუმი. მაგალითად, 2016 წელს სტალინის მუზეუმს 90 000-ზე მეტი ვიზიტორი სტუმრობდა და ეს მაჩვენებელი მუდმივად მზარდია. მიუხედავად იმისა, რომ სტალინის მუზეუმს არც მნიშვნელოვანი რეაბილიტაცია გაუვლია, არც ისტორიის გადახედვა მომხდარა აქ და რეალურად არც მნიშნელოვანი „რებრენდინგი“, რაც წარსულის თანამედროვე სახით გააზრებას გულისხმობს, განსხვავებით უფლისციხისგან, რომელსაც 2017 წელს ჯამში 249 262 უცხოელი და ქართველი ვიზიტორი ეწვია. ამ მაჩვენებლით უფლისციხე მუზეუმ-ნაკრძალებს შორის პირველ ადგილზეა საქართველოში. ამ შემთხვევაში, დიდი ალბათობით, მნიშნელოვანი ფაქტორია თბილისთან სიახლოვეც, რაც ტურისტებს ამ რეგიონის დაფარვის საშუალებას თბილისიდან აძლევს.

შიდა ქართლის რეგიონს მოსდევს სამცხე-ჯავახეთი – 256 ათასი დამთვალიერებლით, შემდეგ მოდის კახეთი – 242 ათასი დამთვალიერებლით, კახეთს მოსდევს აჭარა – 162 ათასი დამთვალიერებლით, მუზეუმების თვალსაზრისით, ყველაზე მოთხოვნადი რეგიონების ხუთეულს ასრულებს სამეგრელო-ზემო სვანეთი – 122 ათასი დამთვალიერებლით.

დიაგრამა 2 – მუზეუმების ვიზიტორთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით



ზოგადად, 10 წლის ჭრილში თუ შევხედავთ, დამთვალიერებელთა რაოდენობა თითქმის 5-ჯერ არის გაზრდილი.

ბოლო, 2017 წლის მონაცემებით, ეს რიცხვი 1 მილიონ 910 ათასი ადამიანია. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე, საქსტატის მონაცემების მიხედვით, ამ რაოდენობის ჩაშლა ადგილობრივ და უცხოელ დამთვალიერებლად, პრაქტიკულად, შეუძლებელია, თუმცა საინტერესოა ის ტენდენცია, რომელიც პირდაპირ იკვეთება: დამთვალიერებელთა რაოდენობის სტაბილური ზრდა ემთხვევა საქართველოში ვიზიტორების რაოდენობის სტაბილურ ზრდას. ეს არის 2014-2017 წლები, როდესაც მზარდია, როგორც მუზეუმების, ისე დამთვალიერებელთა რიცხვიც. ამავე წლების ტურიზმის სტატისტიკას თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ ამავე წლებში 15 წლის და უფროსი ასაკის ვიზიტორების რაოდენობა ყოველწლიურად მზარდია, როგორც შიდა – ადგილობრივი, ისე გარე – უცხოელი ვიზიტორების რაოდენობაც.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში მუზეუმებში ყოველთვის გაცილებით უფრო მოთხოვნადი იყო ექსკურსიები, ვიდრე გამოფენები – 2017 წლამდე, ბოლო 2 წელს თუ არ ჩავთვლით, ექსკურსიების რიცხვი ხუთნიშნა იყო, გამოფენებისა კი – მხოლოდ სამნიშნა. ბოლო ორი წლის განმავლობაში გამოფენათა რაოდენობამ 1000-ს გადააჭარბა, მაშინ, როცა ექსკურსიების რაოდენობა ამავე პერიოდში 50 ათასზე მეტია და ზრდის ტენდენციას ინარჩუნებს. ამ ეტაპზე უფრო ჩაშლილი მონაცემები ჩვენთვის უცნობია, თუმცა ალბათ ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ ამ ექსკურსიებში დიდი წილი ინსტიტუციონალიზებულ სასკოლო ექსკურსიებზე მოდის.

ექსკურსიების რიცხვი	11837	15472	14875	20369	23022	27336	26696	33018	35850	39595	47676	51339	58274
გამოფენათა რაოდენობა	366	429	556	549	608	617	686	664	710	851	919	1008	1076

მუზეუმების შემოსავლები: მუზეუმების დაფინანსების მთავარი წყარო სახელმწიფო ბიუჯეტია. 2018 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებში სიტყვა – მუზეუმი – ხუთჯერ არის ნახსენები:

ა) „კულტურის სტრატეგია 2025“-ის შესაბამისი სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს სამუზეუმო სისტემის საერთაშორისო სამუზეუმო სივრცეში ინტეგრაციის, თანამედროვე სტანდარტებთან დაახლოების და არსებული პრობლემების გადაჭრის უზრუნველყოფა;

ბ) მუზეუმების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, მუზეუმების დაცვა და მათი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;

გ) მუზეუმებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის პრევენციული ზომების მიღება;

დ) მუზეუმების პოპულარიზაციის ღონისძიებების განხორციელება;

ე) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მართვის სისტემის ჩამოყალიბება.

აქვეა ნახსენები კულტურული ტურიზმის განვითარება და მისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნის ხელშეწყობაც.

სულ ამ და სხვა მიზნებისთვის 2018 წლის ბიუჯეტში 22 მილიონ ლარზე ოდნავ მეტია ჩადებული. ამ პროგრამული მუხლის – კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა – დაფინანსება, წინა 2 წელთან შედარებით, გაზრდილია, მომუშავეთა რიცხოვნობა კი – შემცირებული. მათ ხელფასებზე 2018 წლის ბიუჯეტში დაახლოებით 9 მილიონი ლარია გამოყოფილი.

„ICOM საქართველოს“ შეფასებით, მიუხედავად იმისა რომ კულტურული ძეგლების რეაბილიტაციასთან ერთად, სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის სტრატეგიულ მიმართულებათა ერთ-ერთ პრიორიტეტს იმთავითვე – 2004 წლიდან – წარმოადგენდა სამუზეუმო რეფორმის პროგრამა, სამწუხაროდ, სამუზეუმო საქმის განვითარებისთვის გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება 2009 წლამდე, ფაქტობრივად, არ არსებობდა, ხოლო დღეისთვის არსებული მინიმალური სახსრები (რამდენიმე ასეული ათასი ლარი) ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს არსებული ვითარების შეცვლისთვის აუცილებელ მოთხოვნებს. შესაბამისად, საერთაშორისო ორგანიზაციის ეროვნული კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ აქცენტი უნდა გაკეთდეს მუზეუმების დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდაზე, მათ შორის, ფინანსური თვალსაზრისითაც.

როდესაც მუზეუმების ფინანსურ დამოუკიდებლობაზე მიდგება საქმე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს განმარტებას ეყრდნობა: თანამედროვე მუზეუმი არის არაკომერციული, არამომგებიანი კულტურის კომპლექსური დაწესებულება, რომელიც დაკავებულია მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენით, შეგროვებით, დაცვით, შესწავლითა და პოპულარიზაციით: „მუზეუმი ვერ იქნება ცალსახად კომერციულ მოგებაზე ორიენტირებული. თუმცა, ქვეყნის მასშტაბით მოქმედ მუზეუმებს შეუძლიათ გარკვეული სახის კომერციული საქმიანობის წარმოება. კერძოდ – მუზეუმების მფლობელობაში არსებული ფართის იჯარით გაცემა, მაღაზიის ან კაფეს ფუნქციონირება. ზემოაღნიშნული საქმიანობიდან შემოსული მოგება კი მთლიანად სამუზეუმო საქმიანობის განვითარებისკენ უნდა იქნას მიმართული“, – აღნიშნულია სამინისტროს მიერ მოწოდებულ ოფიციალურ წერილში.

ამავე წერილში სამინისტრო განმარტავს, რომ მუზეუმები სსიპ-ებია, რაც იმას ნიშნავს, რომ „კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად, მუზეუმები არ არიან შეზღუდული დამატებითი დაფინანსების მოპოვების, დონორებთან ურთიერთობის, სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობისა და დამოუკიდებელი პროექტების

განხორციელების ნაწილში“. მეტიც, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მტკიცებით, „დამატებითი დაფინანსების მოპოვება სსიპ უწყების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს“.

მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს (ვის განმარტებასაც სამინისტრო იშველიებს) ეროვნულ კომიტეტში – „ICOM საქართველოში“ გვეუბნებიან, რომ დღეს, „როცა საკითხი ეხება გარკვეულ კონკრეტულ ეკონომიკურ საქმიანობას, მაგალითად, კაფეს ან მუზეუმის მაღაზიის გახსნას, მუზეუმი ამ აქტივობას რეალურად ვერ ახორციელებს, ვინაიდან მას უფლება აქვს მხოლოდ იჯარით გასცეს საკუთარი ფართი და სივრცე დაუთმოს შემოსულ კომპანიას“. ეს შეზღუდვა იმის მიუხედავად არსებობს, რომ რეგულირების ყველა დონეზე და ყველა დონის ოფიციალურ მარეგულირებელ დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ „მუზეუმს შეუძლია აწარმოოს გარკვეული ეკონომიკური საქმიანობა, ოღონდ მთლიანად სამეწარმეო საქმიანობაზე გადასვლის უფლება მათ, ცხადია, არ აქვთ“.

ზუსტად ამ ნიუანსის გათვალისწინებით **„ICOM საქართველო“ გვთავაზობს, ტერმინი „მუზეუმების კომერციალიზაცია“ შეიცვალოს ტერმინით – „მუზეუმებში ეკონომიკური საქმიანობა“**.

იმისთვის, რომ გავარკვიოთ, თუ რა ქმნის კონკრეტულად იმ პრობლემებს, რაც პრაქტიკულად არ აძლევს მუზეუმებს იმის საშუალებას, რომ დამატებითი სახსრები მოიზიდონ და შემდეგ, მუზეუმებისვე იდენტიფიცირებულ საჭიროებებს მოახმარონ, აუცილებლად უნდა გადავხედოთ რეფორმას, რომელიც დაახლოებით 15 წლის წინ დაიწყო. სად ვიყავით და სად ვართ დღეს – მიღწეული თუ მიუღწეველი შედეგების შედარება ნათლად გვაჩვენებს, რომ სამუზეუმო რეფორმის სტრატეგიულ მიმართულებათა უმთავრესი პუნქტები ჯერ კიდევ განუხორციელებელია.

მუზეუმების რეფორმა 2003-2004 წლებში დაიწყო, როდესაც UNESCO-სა და ICOM-ის ექსპერტებთან კონსულტაციით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მუზეუმების სამმართველოსა და საქართველოს მუზეუმების ასოციაციის მიერ მოკვლევებისა და ანალიზის მთელი სერია ჩატარდა. მაშინ კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოს სამუზეუმო სივრცეში ძალიან ბევრი პრობლემა იჩენდა თავს.

კერძოდ:

ა) მუზეუმთა უმრავლესობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სავალალო მდგომარეობაში იყო;
ბ) საკანონმდებლო ბაზა არასრულყოფილი და მოუქნელი იყო;
გ) სამუზეუმო მენეჯმენტი განუვითარებელი იყო;
დ) სამუზეუმო ფონდების აღრიცხვიანობა მოუწესრიგებელი იყო;
ე) სამუზეუმო მარკეტინგისა და სახსრების მოზიდვის სტრატეგია განუვითარებელი იყო;
ვ) საზოგადოებასთან კომუნიკაცია პრაქტიკულად არ ხდებოდა, რაც კატასტროფულად ამცირებდა მუზეუმების დამთვალიერებელთა რაოდენობას;
ზ) მუზეუმებში პრაქტიკულად უგულებელყოფილი იყო სპეციალისტთა გადამზადება/მომზადების პროცესი;
თ) მუზეუმების პოპულარიზაცია სათანადო დონეზე არ ხდებოდა.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამულ პრიორიტეტებს კიდევ ერთხელ თუ გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ 2003-2004 წლებში იდენტიფიცირებული პრობლემების ნაწილის გადაჭრა დღემდე გამოწვევად რჩება.

როგორც 2003-2004 წლების რეფორმის პროცესების უშუალო მონაწილე, „ICOM საქართველო“ ამბობს, რეფორმამ გარკვეული პოზიტიური ძვრები მაინც მოიტანა: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით, 50-მდე მუზეუმში განხორციელდა ფორმალური რეორგანიზაციის პროცესი, საქართველოს მუზეუმების ასოციაციისა და ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის ინიციატივით მომზადდა და გამოიცა მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები, შემუშავდა რეკომენდაციები, შეიქმნა საქართველოს მუზეუმების მონაცემთა ბაზა, ვებ-გვერდი – www.georgianmuseums.ge, რომელიც განახლების რეჟიმშია და ჩვენი კვლევის პერიოდში ხელმისაწვდომი არ ყოფილა. ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის ანალიზით, ნაბიჯები გადაიდგა მუზეუმების დამოუკიდებლების ხარისხის გაზრდისკენაც, თუმცა დღეს ეს პროცესი შეფერხებულია: „2005-2007 წლებში საჯარო სამართლის იურიდიულ პირად (სსიპ) ჩამოყალიბდა 38 მუზეუმი და მუზეუმ-ნაკრძალი, თუმცა ამჟამად მათი რაოდენობა მხოლოდ 16-ს აღწევს, ვინაიდან კულტურის სფეროს დეცენტრალიზაციის საპირისპიროდ, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ჩამოყალიბებით, ავტომატურად გაუქმდა მათი სტატუსიც. ფაქტობრივად, მუზეუმ-ნაკრძალები და მუზეუმები იქცნენ ამ ინსტიტუციების სტრუქტურულ ქვედანაყოფებად, რამაც, ჩვენი შეფასებით, შეზღუდა მუზეუმების დამოუკიდებლობის ხარისხი, მათ შორის, ფინანსური თვალსაზრისითაც“.

ფინანსური დამოუკიდებლობის გაზრდა დღესაც სამუზეუმო რეფორმის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა და ამოცანაა. თუმცა, რამდენად ქმნის ამის შესაძლებლობებს კანონმდებლობა, ამისთვის კანონმდებლობის დეტალური ანალიზი გვჭირდება.

სამუზეუმო სფეროს რამდენიმე კანონი და დებულება არეგულირებს.

პირველი, რაზეც სამინისტრომაც მიგვითითა, ეს საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ) შესახებ კანონია, რომელშიც წერია, რომ სსიპ-ის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს: ა) საწევროები და შენატანები; ბ) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები; გ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი და დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მეორე, ეს არის საქართველოს კანონი მუზეუმების შესახებ, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო მუზეუმს, მიუხედავად მისი დაქვემდებარებისა, უფლება აქვს: ა) განახორციელოს მუზეუმში დაცული ექსპონატების პირველი პუბლიკაცია; ბ) საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, მისცეს თანხმობა სხვადასხვა სახის ბეჭდვით პროდუქციაზე, აგრეთვე სუვენირებსა და ფართო მოხმარების საგნებზე სამუზეუმო ექსპონატების, მუზეუმის შენობის და მის ტერიტორიაზე არსებული სხვა ობიექტების სიმბოლოებად გამოყენებაზე; გ) დაამზადოს მუზეუმის ფონდში დაცული ექსპონატების ასლები და გამოიყენოს ისინი დადგენილი წესით და დ) საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, განახორციელოს მუზეუმისათვის აუცილებელი ეკონომიკური საქმიანობა.

მესამე, რაც ადგენს უკვე კონკრეტულ წესებს, ეს არის ქვეყნის მთავარი მუზეუმის – საქართველოს ეროვნული მუზეუმის დებულება, რომლის მეშვიდე მუხლიც განსაზღვრავს მუზეუმის დაფინანსების წყაროს. ამ მუხლის მიხედვით, მუზეუმის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს: ა) საწევროები და შენატანები; ბ) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები; გ) სახელმწიფო შეკვეთების შესრულებიდან მიღებული შემოსავალი; დ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი; ე) მუზეუმის მიერ ბილეთების, ბუკლეტებისა და სხვა თვალსაჩინო მასალების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი და ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

ის, რაც ყველა ამ დოკუმენტს ყველა დონეზე აერთიანებს, არის ის, რომ **არცერთ დონეზე არ არის დაკონკრეტებული, თუ კონკრეტულად რა იგულისხმება სხვა შემოსავლებში**. ასევე, „ICOM საქართველოს“ შენიშვნის მიხედვით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დებულებაში მეშვიდე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს განსხვავებული რედაქციით და ნაცვლად „მუზეუმის დაფინანსების წყაროებისა“, რაც მუზეუმის კომერციალიზაციას და მისი მხრიდან პროაქტიულად დამატებითი შემოსავლების მოძიების პროცესს, პრაქტიკულად, გამორიცხავს, ეს მუხლი უნდა იკითხებოდეს ასე: „მუზეუმის დაფინანსების და შემოსავლის მიღების წყაროები“.

კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, ყველაზე ზოგადი დოკუმენტი, რომელიც განვითარების ზოგად ტრენდებზე მიუთითებს, ეს არის „კულტურის სტრატეგია 2025“. ამ სტრატეგიაში მუზეუმების განვითარების პერსპექტივებს ცალკე თავი ეძღვნება და შემდეგ მიმართულებებს გამოყოფს: ა) მუზეუმების განვითარების მიზნით, პროფესიული ცოდნისა და სამუზეუმო პრაქტიკის გაზიარება ადგილობრივი დ საერთაშორისო თანამშრომლობით და მუზეუმების კადრების გადამზადების პროგრამების შემუშავება (აუდიტორიის განვითარება, უცხო ენა, პარტნიორებისა და ფონდების მოძიება, სპეციალურ საჭიროებათა მქონე ჯგუფებთან ურთიერთობა, სტრატეგიული დაგეგმვა, მარკეტინგი და ა.შ.); ბ) მუზეუმების პოპულარიზაციის მიზნით, ახალი ინიციატივების დაგეგმვა (მაგ. ღამე მუზეუმში, ღია კარის დღე, მუზეუმი სკოლაში და სხვა); გ) საქართველოს ერთიანი სამუზეუმო ფონდის დაცვის და შევსების მხარდაჭერა კულტურული ფასეულობების, მათ შორის, ექსპონატების, არტეფაქტების, გადარჩენისა და ქვეყნიდან გადინების თავიდან აცილების მიზნით; დ) მუზეუმების წახალისება ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციური მეთოდების, ინტერაქციული ელექტრონული მომსახურების, მრავალფეროვანი პროგრამული აპლიკაციების განვითარებასა და გამოყენებაში, სხვა მუზეუმებთან, კულტურის სექტორის ინსტიტუტებთან, უნივერსიტეტებთან და ბიზნესსექტორთან თანამშრომლობის გზით; ე) სამუზეუმო კოლექციების გაციფრულების და შესაბამისი ინტერნეტპლატფორმების საშუალებით ვირტუალური მუზეუმების შექმნა და განვითარება, კვლევის წახალისების, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდის, ვიზიტორთა მოზიდვის და საერთაშორისო პოპულარიზაციის მიზნით; ვ) მუზეუმის, როგორც საზოგადოებრივი სივრცის, საგანმანათლებლო-კვლევითი დაწესებულების განვითარების მხარდაჭერა, სხვადასხვა სახის პროგრამების, მათ შორის, საბავშვო თუ მოზარდთა პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის გზით; ზ) თემატური მუზეუმების დაარსებისა და განვითარების ხელშეწყობა და თ) მუზეუმების მხარდაჭერა მაღალი დონის სარესტავრაციო ცენტრების შექმნასა და განვითარებაში.

როგორც სტრატეგიიდანაც ირკვევა, აქცენტი კეთდება არა მუზეუმების მხრიდან დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის წახალისების, არამედ, სამინისტროს მხრიდან დაფინანსების კუთხით, რაც თავისთავად ვერ პასუხობს მუზეუმების მთავარ გამოწვევას – ფინანსურად მეტად დამოუკიდებლები იყვნენ და შესაბამისად, თავადაც განსაზღვრონ თავიანთი განვითარების პრიორიტეტები.

„ICOM საქართველოს“ პრეზიდენტი ინგა ქარაია თავად მუშაობდა კულტურის სამინისტროში 2002-2014 წლებში, როგორც მუზეუმების სამმართველოს უფროსად, ასევე, მინისტრის მრჩევლად, შესაბამისად, ამ პერიოდის განმავლობაში მას არაერთხელ აქვს მიწოდებული რეკომენდაციები მინისტრებისთვის, თუმცა, როგორც თავად გვიხსნის, მინისტრების ხშირ ცვლილებასთან ერთად – 12 წელიწადში 7 მინისტრი და 28 მოადგილე – დამოკიდებულებებიც იცვლებოდა: „ეხლანდელი სიტუაციაც (გაერთიანება განათლების სამინისტროსთან) არ იძლევა გარანტიას, რომ უახლოეს მომავალში რაიმე შეიცვლება და მუზეუმების დამოუკიდებლობის ხარისხიც გაიზრდება“.

სამუზეუმო რეფორმის მსგავსი არამდგრადი განვითარება, თავის მხრივ, პირდაპირ აისახება მუზეუმებში დამთვალიერებელთა რაოდენობასა და იმ არასაბიუჯეტო შემოსავლებზე, რასაც მუზეუმები დამოუკიდებლად მოიზიდავენ.

ვინაიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური მუზეუმების შემოსავლების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს, ჩვენ მივმართეთ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მის სისტემაში შემავალი სსიპ მუზეუმების შემოსავლების შესახებ ინფორმაციისთვის. მათ მოგვაწოდეს ორ კატეგორიად ჩაშლილი 2017 წლის მონაცემები, კერძოდ, მუზეუმები, რომელთა შემოსავალმაც გადააჭარბა 500 ათას ლარს და მუზეუმები, რომელთა შემოსავალიც არ აღემატებოდა 20 ათას ლარს. ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გვაინტერესებდა, რა თანხა მიიღეს ამ მუზეუმებმა არასაბიუჯეტო გზებით.

პირველ კატეგორიაში – ანუ მუზეუმები, რომელთა შემოსავლებმა გადააჭარბა 500 ათას ლარს – სულ მოხვდა 4 მუზეუმი. მათგან არასაბიუჯეტო შემოსავლებით უპირობო ლიდერია საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თითქმის 6 მილიონი ლარით. მას მოსდევს სტალინის სახელმწიფო მუზეუმი – თითქმის 2 მილიონი ლარით და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი – მილიონ ლარზე მეტით. 2017 წლის მონაცემებით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურულმა მუზეუმ-ნაკრძალმა 707 ათას 486 ლარის არასაბიუჯეტო შემოსავალი მიიღო.

მეორე კატეგორიაში – ანუ მუზეუმები, რომელთა შემოსავალი არ აღემატებოდა 20 ათას ლარს – სულ მოხვდა 7 მუზეუმი. საინტერესოა, რომ მათგან 10 ათას ლარზე მეტი არასაბიუჯეტო შემოსავალი მიიღო სულ სამმა მუზეუმმა: ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიული მუზეუმი; ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი და ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმი. ყველაზე ცოტა არასაბიუჯეტო შემოსავალი 2017 წელს მიიღო ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმმა და მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმმა. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრომ ისინიც 20 ათასლარიან ზღვარში გაიყვანა, სინამდვილეში მათ მიერ მოზიდული არასაბიუჯეტო სახსრები 1000 ლარსაც კი ვერ აღწევს.

„ICOM საქართველოს“ პრეზიდენტი ინგა ქარაია ამბობს, რომ რეგიონებში სახელმწიფო ისეთ მუზეუმებსაც ინახავს, რომელთაც დამთვალიერებლები საერთოდ არ ჰყავს. საერთაშორისო ორგანიზაციის ეროვნული კომიტეტის შეფასებით, დღეს ვიზიტორთა 73% ძირითადად ისტორიული ტიპის მუზეუმებს და მხოლოდ რამდენიმე მუზეუმ-ნაკრძალს სტუმრობს. ასეთი მაღალი კონცენტრაციის გამო, „ICOM საქართველო“, როგორც წესი, საერთო სტატისტიკის გასაჯაროებისგან თავს იკავებს: „გვქონდა (და გვაქვს) მოპოვებული ინფორმაცია მუზეუმების შემოსავლებსა და ვიზიტორთა რაოდენობაზე, მაგრამ იმდენად მცირეა მათ მიერ მოწოდებული რიცხვები, რომ საჭიროდ არ მივიჩნიეთ დაგვედო, რადგან ჩვენს ვებ-გვერდს ჩვენი უცხოელი კოლეგებიც ნახულობენ“.

1.2. საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა და მოკლე ანალიზი

მუზეუმს აუცილებლად სჭირდება რესურსები იმისთვის, რომ მოსახლეობას მიაწოდოს საჯარო სიკეთე და სერვისები. მსოფლიო მასშტაბითაც რომ შევხედოთ, ამ დრომდე ბევრი მუზეუმის შემოსავალი საბიუჯეტო სუბსიდიებია. თუმცა, ბოლო პერიოდის გლობალური ტრენდი ამ გრანტების მკვეთრი კლებაა.

ამ კონტექსტის გათვალისწინებით, განსაკუთრებით ბოლო წლების გლობალურ გამოცდილებაზე დაკვირვების საფუძველზე, იკვეთება აუცილებლობა, რომ მუზეუმებმა მოახერხონ და შეიმუშაონ მდგრადი განვითარების სტრატეგიები. იმისთვის, რომ მუზეუმების უმეტესობამ ოპერირების გაგრძელება შეძლოს, თავი უნდა გაართვას მთავარ გამოწვევას: გაზარდოს შემოსავლები და მკაცრად გააკონტროლოს ხარჯები, რაც, როგორც მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, შეუძლებელია კერძო კომპანიებისთვის დამახასიათებელი მენეჯმენტისა და მარკეტინგული სტრატეგიების გამოყენების გარეშე.

კიდევ ერთი მიდგომა, რომელიც ბოლო პერიოდში სერიოზულ კონკურენტულ უპირატესობად ითვლება, საერთაშორისო სტრატეგიაა, რომელიც საშუალებას აძლევს მუზეუმებს, გაზარდონ საკუთარი შემოსავლები სალიცენზიო ხელშეკრულებების საფუძველზე, უზოგავს ექსპონატების შენახვის ხარჯებს, საერთაშორისო არენაზე წარმოაჩენს მემკვიდრეობას, გაუმჯობესებს მათ საბაზრო იმიჯს და კიდევ უფრო აახლოვებს თავის მომხმარებლებს. ამ მიდგომის კარგი საილუსტრაციო მაგალითია ლუვრის მუზეუმი საფრანგეთში.

2007 წელს საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა ოფიციალურად გაეფორმებინა ლუვრის მუზეუმსა და ქალაქ აბუ-დაბის შორის პარტნიორობა. ბრენდინგისა და ტრენინგის ხელშეკრულება 30-წლიანია და მისი ჯამური ღირებულება 1.3 მილიარდი ამერიკული დოლარია. აბუ-დაბი დათანხმდა საფრანგეთის მთავრობას, გადაეხადა 520 მილიონი ამერიკული დოლარი ლუვრის ბრენდში და დამატებით კიდევ 747 მილიონი ამერიკული დოლარი ლუვრის მუზეუმში დაცული ექსპონატების თხოვებისა და ადგილობრივად დროებითი გამოფენების გამართვისთვის. ლიცენზირების სტრატეგიის ამოქმედებით და საერთაშორისო ბაზარზე პენეტრაციით, ლუვრი ფულზე მეტ რამეს იგებს: ჯერ ერთი, ის უფრო ეფექტიანად ახდენს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზებას და გავრცელებას. გარდა ამისა, სხვა კონტინენტზე გამოფენების ორგანიზებით, ლუვრი იზიდავს იმ დამთვალიერებელსაც, რომელსაც დიდი სურვილი აქვს მისი ექსპოზიციების დათვალიერების, მაგრამ დრო ან სახსრები არ ჰყოფნის, რომ ამისთვის მაინცდამაინც საფრანგეთში ჩაფრინდეს. სხვა ტიპის სარგებელია, რომ ასეთი გამოფენები ზრდის მუზეუმის წონას და რეპუტაციას, ხოლო ლიცენზირებიდან დამატებით მოზიდული სახსრებით, მუზეუმს შესაძლებლობა უჩნდება, გაზარდოს თავისი კოლექცია ან უკვე არსებული ექპონატების რესტავრაცია ან უკეთესი კონსერვაცია შეძლოს. რიცხვებში რომ შევაჯამოთ ლუვრის მუზეუმის საერთაშორისო ინტეგრაციის ეფექტი, მუზეუმის დამოუკიდებელი შემოსავლები 2007 წელს გაიზარდა 275%-ით, ხოლო თვითდაფინანსების წილმა მთელი შემოსავლების 67%-ს გადააჭარბა.

მსოფლიოში არსებული მაგალითების ანალიზიდან ნათლად იკვეთება, რომ იმის მიხედვით, ვის შეუძლია აყვეს 21-ე საუკუნის ყველაზე მთავარ მოთხოვნას – კომერციალიზაციას – და ვის – ვერა, შეგვიძლია გამოვყოთ ძირითადად ორი ტიპის მუზეუმები: ტრადიციული და თანამედროვე.

ტრადიციული მუზეუმი გულისხმობს, რომ მუზეუმი პრაქტიკულად იგივე არქივია და მისი მთავარი ამოცანაა, შეინახოს ყველაფერი, რაც საზოგადოების წარსულს უკავშირდება. ამ ტიპის მუზეუმების მთავარი დამახასიათებელი ის არის, რომ ისინი აქცენტს წარსულის მემკვიდრეობაზე აკეთებენ და არა – მომხმარებლებზე. მათი ექსპონატები, როგორც წესი, ნაკლებად დივერსიფიცირებულია, ნაკლებად არის წარმოდგენელი თანამედროვე ფორმატებში, რაც უარყოფითად აისახება მომხმარებელთა ინტერესსა და კმაყოფილებაზე და შესაბამისად, საკმაოდ მცირე შემოსავალიც მოაქვს.

თანამედროვე მუზეუმი გულისხმობს, რომ ვიზიტორებმა მუზეუმისგან მაქსიმალურად უნდა მიიღონ დამატებული ღირებულება. ამ მიზნის მიღწევას თანამედროვე მუზეუმი ცდილობს სწრაფი ინოვაციით, მაღალი ხარისხის პროდუქტებითა და სერვისებით, ვიზიტების გაზრდილი დროით და ექსპონატების ფართო არჩევანით. დივერსიფიკაციის სტრატეგია საშუალებას აძლევს ამ მუზეუმებს, გაზარდონ ვიზიტორთა რიცხვი და შესაბამისად, შემოსავალიც.

მუზეუმებთან დაკავშირებული დასავლური ლიტერატურის ანალიზი გვაჩვენებს, რომ უმეტესობა ეყრდნობა ICOM-ის მიერ 2013 წელს შემუშავებულ განმარტებას, რომლის მიხედვითაც „მუზეუმი არამომგებიანი, მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული ინსტიტუტია, რომელიც ღიაა საზოგადოებისთვის და მოიპოვებს, ინახავს, იკვლევს, განმარტავს და გამოფენს ექსპონატებს მათი შესწავლის, საზოგადოების განათლების და მათთვის სიამოვნების მინიჭების მიზნით და ხალხის და მათი გარემოს უკეთესი იდენტიფიცირებისთვის“. ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ მუზეუმი, რომელიც არ არის ორიენტირებული მომხმარებლისა და საზოგადოების ინტერესების ჯეროვნად დაკმაყოფილებაზე, ვერ ამართლებს მუზეუმის სტატუსს, რადგან ის არ შეესაბამება საყოველთაოდ გავრცელებული განმარტების პირველ ნაწილს.

კვლევები აჩვენებს, რომ ევროპის მასშტაბით, ჯერ კიდევ დომინირებს ტრადიციული მუზეუმები, თუმცა ისიც იკვეთება, რომ ყველაზე ხშირად სწორედ ევროპაში სვამენ კითხვას – რამდენად აქვს მომავალი ამ ტიპის მუზეუმს? პასუხი უარყოფითია.

და ეს ლოგიკურიცაა: ციფრული საუკუნე თავისას მოითხოვს. ბევრი მუზეუმი დღეს უკვე აძლევს საკუთარ ვიზიტორებს შესაძლებლობას, სამუზეუმო ექსპონატები ახალი გზებით აღმოაჩინონ – ძირითადად, ინტერაქტიური და მულტისენსორული ტექნოლოგიების გამოყენებით.

ყველაზე ახალი და თანამედროვე მიდგომა განვითარებულ მსოფლიოში ბიომეტრული ინფორმაციის ანალიზს ეფუძნება, კერძოდ, საინტერესო ფაქტორი ხდება ვიზიტორების ქცევასა და ფსიქოლოგიაზე დაკვირვება – აკვირდებიან, როგორ აღიქვამს აუდიტორია არტს: სად იყურება, როგორ მოძრაობს სამუზეუმო სივრცეში, როგორ ეცვლება გულისცემა და ა.შ. ნეიროფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ამ ტიპის მიდგომით შესაძლებელია ვიზიტორს უფრო დიდხანს დავამახსოვრებინოთ მიღებული ინფორმაცია და მას გავუღვიძოთ სურვილი, გასცეს მუზეუმების

მონახულების რეკომენდაცია. მაგალითად, მელბურნის სამეცნიერო მუზეუმი, რომელიც 2020 წელს უნდა გაიხსნას, უკვე ცდილობს ამ მიდგომის ინკორპორირებას და სპეციალური საექსპერიმენტო გამოფენების ორგანიზებას 15-25 წლის დამთვალიერებლებისთვის.

ტექნოლოგიური გადაწყვეტები იმის შესაძლებლობასაც იძლევა, რომ მუზეუმებმა, რომელთაც სხვა შემთხვევაში პულსი არ ესინჯებათ, ახალი ფორმით მიიზიდონ დამთვალიერებლები და გაამართლონ საკუთარი არსებობა. ამის კარგი მაგალითია ბრაზილია, სადაც სხვადასხვა კვლევებით დასტურდება, რომ მოსახლეობის დაახლოებით მესამედი არცერთხელ არ ყოფილა მუზეუმში. სან პაულოს მუზეუმმა შექმნა სპეციალური ინტერაქტიული გზამკვლევი, რომელმაც სამუზეუმო კოლექციები ხელოვნურ ინტელექტთან დააკავშირა (IBM Watson) – ეს სუპერმძლავრი კომპიუტერია, რომელიც ხელოვნურ ინტელექტს დისტანციაზე ახმარს ვიზიტორების კითხვებზე პასუხების გაცემას. ამდენად, მუზეუმი არ ელოდება ბრაზილიელების ქცევის ცვლილებას, არამედ ცდილობს, კითხვებზე პასუხებით დააინტერესოს ისინი და მიიზიდოს მუზეუმში. ამასთან, მუზეუმის არსებობაც გამართლებულია. მთავარი ბენეფიტი კი მაინც ის არის, რომ ციფრული ტექნოლოგიებით შესაძლებელი ხდება კულტურული ინტერპრეტაციის ხელშეწყობა და დაჩქარება, რამაც შეიძლება მიიზიდოს ახალი კულტურული აუდიტორიებიც.

შედარებით ღარიბი ქვეყნების მუზეუმებს შესაძლოა, ასეთი ტექნოლოგიური გადაწყვეტების შესაძლებლობა ნაკლებად ჰქონდეთ. თუმცა ამ შემთხვევაშიც პროფესიული ორგანიზაციები, მაგალითად, როგორიცაა, Heritage Creative, მუზეუმებს სთავაზობს, მეტი პატივი სცენ იმ შესაძლებლობებს, რასაც, ვიზიტორების მოზიდვის კუთხით, ვებგვერდი იძლევა.

ორგანიზაციის კვლევები აჩვენებს, რომ საუკეთესო ვებგვერდებს აქვთ სულ მცირე 5 საერთო ნიშანი:

- ვიზიტორებს უქმნის იმის განწყობას, თუ რა გამოცდილებას მიიღებენ ისინი მუზეუმში. აქ მთავარია, პასუხი გაეცეს მთავარ კითხვას – რით არის ეს კონკრეტული მუზეუმი განსაკუთრებული? ამ მომენტში რა განსაკუთრებული გამოფენა ან ღირსშესანიშნაობაა იქ? არის თუ არა საჩუქრების მაღაზია? არის თუ არა ადგილი, სადაც წახემსება შეიძლება?
  მარტივი კითხვებია, მაგრამ ამ კითხვებზე პასუხები აუცილებელია იმისთვის, რომ პოტენციურმა ვიზიტორმა თავი უკვე მუზეუმში წარმოიდგინოს და ფსიქოლოგიურად თავისი მოგზაურობა უკვე კომპიუტერის ეკრანიდან დაიწყოს.

- ვიზიტორებს აჩვენებს, რამდენი მათი მსგავსი ადამიანი სტუმრობს მუზეუმს ყოველდღიურად. კარგია, თუ ათვლა რეალურ დროში ხდება, უწყვეტად. შეიძლება ფოტოების დამატებაც – როგორ ერთობიან, განიტვირთებიან და განათლებას იღებენ ვიზიტორები. ასევე შესაძლებელია, ვიზიტორთა მიმოხილვების და შეფასებების დემონსტრირება. აქ უნდა ჩანდეს მუზეუმის ბაზრის რაც შეიძლება ფართო სეგმენტები – ოჯახები, წყვილები, სტუდენტები და ა.შ., რაც იქნება დადგენილი წინასწარი კვლევის საფუძველზე.

- ვიზიტორებს აძლევს ზუსტ დირექტივებს, თუ როგორ მიაგნონ მუზეუმს – ინტერაქტიური რუკა, პარკინგის ადგილების მითითება, შშმ პირებისთვის განკუთვნილი ადგილები და სერვისები – ეს ყველაფერი ზრდის ვიზიტორების მოზიდვის შესაძლებლობას.

- ვიზიტორებს უმაღლებს მოტივაციას: ვებგვერდის ვიზიტორებისთვის შეიძლება გათვალისწინებული იყოს ვაუჩერი ან კოდი, რომლის მიხედვითაც ისინი მუზეუმში შესვლაზე ფასდაკლებას მიიღებენ, ან უფრო ნაკლებ ფასად შეძლებენ შეიძინონ მათთვის სასურველი სუვენირი მუზეუმის მაღაზიაში – ეს იქნება მადლიერების გამოხატვა მათთვის, ვინც გამოიწერა მუზეუმის ნიუსლეტერი ან შეავსო უკუკავშირის ფორმა.

- აწარმოებს განახლებად სტატისტიკას. ყველაზე ადვილი Google Analytics-ის გამოყენებაა, თუმცა, რაც უფრო ზუსტია სტატისტიკა, მით უფრო ადვილი ხდება ვიზიტორთა ნაკადების ზრდა და მართვა.

დღეს უკვე არავის ეპარება ეჭვი, რომ სოციო-კულტურული განზომილება არ არის მხოლოდ საკმარისი, აუცილებელია მუზეუმების ფინანსური მდგრადობაც. მთავარი კონტრარგუმენტი, რომელიც პერიოდულად თავს იჩენს ხოლმე, ის არის, რომ კომერციალიზაციის ბერკეტების მუზეუმებისთვის მიცემით, შეიძლება გამრუდდეს კულტურის ინტერპრეტაცია, რადგან კომერციულმა მოთამაშეებმა, მუზეუმის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის ხარჯზე, შეიძლება მოითხოვონ ვიზიტორებისთვის სწორედ მათთვის მისაღები ინტერპრეტაციების შეთავაზება. თუმცა, ამის საპირისპიროდ კულტურის მკვლევრების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს რისკი ზედმეტად გადაჭარბებულია.

ფაქტორები	სოციო-კულტურული	ეკონომიკური
შიდა	მისიის შესრულება	გადარჩენა და განვითარება
გარე	საზოგადოების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება; რეგიონის კულტურული განვითარება	რეგიონის კულტურული განვითარება კულტურული ტურიზმის ზრდის გზით; ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება

მუზეუმების ეკონომიკური მდგრადობა ნიშნავს რესურსების ეფექტიან გადანაწილებას, არა ყველა შემთხვევაში მათ შემცირებას, არამედ მათ სწორად გადათამაშებას იმისთვის, რომ, ერთი მხრივ, მუზეუმის პროდუქტი იყოს საუკეთესო, როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად და, მეორე მხრივ, მაქსიმალურად უპასუხოს მომხმარებლების მოთხოვნებს.

ეკონომიკური მდგრადობის მიღწევა შესაძლებელია არასაჭირო ხარჯების შემცირებით, ვიზიტორთა რაოდენობის ზრდით და მუზეუმის საკუთარი შემოსავლის დივერსიფიცირებითა და ზრდით. თუმცა, ამისთვის აუცილებელია რისკების სწორად გათვლა, ინოვაციური და ანტრეპრენიორული მიდგომა მუზეუმის განვითარებისკენ და გაბედული ნაბიჯების გადადგმა.

თუ განვაზოგადებთ, ასეთი ნაბიჯები არც ისე ბევრია, თუმცა, მათი გადაწყვეტის გზები შეიძლება აურაცხელი იყოს და ის დამოკიდებულია მუზეუმების მენეჯერების გამოცდილებასა და კრეატიულობაზე. ამ ნაბიჯებს შორის, როგორც წესი, მოიაზრება: სამეწარმეო საქმიანობა, კვების ორგანიზება, ადგილის გაქირავება სხვადასხვა ღონისძიებებისთვის, ფონდების მოზიდვა, დონაციის ყუთების უზრუნველყოფა. მთავარი იდეა აქ ის არის, რომ მუზეუმმა დაგეგმვის პროცესში ბიზნესმიდგომა გამოიჩინოს: გაითვალისწინოს ყველა ხარჯი, მათ შორის, დასაქმებისაც, წინასწარ განსაზღვროს პრიორიტეტები და შემოსავლისა და მოგების ნიშნულები. მხოლოდ ამ პირობებში ხდება შესაძლებელი გაცილებით უფრო ზუსტად იმ იდეების გამოკვეთა, რამაც ინვესტიციაზე სასურველი ამონაგები უნდა მოიტანოს.

შეგვიძლია განვიხილოთ რამდენიმე კონკრეტული მაგალითი.

ა) **გაერთიანებული სამეფოს ერთ-ერთი გამორჩეული მუზეუმი – Black Country Living Museum**, რომელიც არსებობის 40 წელს ითვლის და დამთვალიერებლისთვის 300 წლის ისტორიას ინახავს. როდესაც მუზეუმს შემოსავლების ზრდის აუცილებლობა დაუდგა, მუზეუმი BBC-ის დაუკავშირდა და მუზეუმში პოპულარული სერიალების გადაღება შესთავაზა. როგორც მუზეუმში განმარტავენ, ფილმების გადაღებას მუზეუმების ტერიტორიაზე რამდენიმე ბენეფიტი აქვს: პირდაპირი შემოსავალი, რეკლამა და ნაციონალურ დონეზე გაშუქება, სოციალური მედიის გააქტიურება. მუზეუმის მარკეტინგის ხელმძღვანელის ლაურა უაკელინის თქმით, მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ BBC-ისთან თანამშრომლობას მუზეუმისთვის 100 ათასი ფუნტის ღირებულების რეკლამა მოაქვს. საინტერესოა ისიც, რომ პრეცედენტის შექმნის შემდეგ, მუზეუმთან საქმიანი წინადადებები არ წყდება.

„ რა თქმა უნდა, ყველას ვერ ვთანხმდებით, რადგან მთავარი ჩვენი დამთვალიერებელია და მას მუზეუმში მყუდროება არ უნდა დაერღვეს, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კვირაში ერთხელ, სულ მცირე ერთ შეთავაზებას მაინც ვიღებთ, რაც წელიწადში 50-ს უახლოვდება“, – ამბობს უაკელინი. ბოლო 2 წლის განმავლობაში, მუზეუმის ტერიტორიამ საშუალოდ 15 სხვადასხვა გადაღებას უმასპინძლა.

ბ) **მეტროპოლიტენის მუზეუმი ამერიკის შეერთებულ შტატებში**: 2018 წლის იანვრიდან ამ მუზეუმში შესვლის საფასურმა ტურისტებისთვის მნიშვნელოვნად მოიმატა. ნიუ იორკის მკვიდრს თუ უფასოდ სურს მუზეუმში შესვლა, მაშინ მან მუდმივი მაცხოვრებლის დამადასტურებელი მოწმობა უნდა წარადგინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოუწევს, ტურისტებისთვის განკუთვნილი ნიხრებით გადაიხადოს – 25$ მოზრდილებისთვის, 17$ მოხუცებისთვის და 12$ სტუდენტებისთვის. ბევრი ამ პოლიტიკას აკრიტიკებს და დისკრიმინაციულს უწოდებს, თუმცა მეტროპოლიტენის პასუხი ერთია: მიუხედავად იმისა, რომ ამ მუზეუმის წლიური ბიუჯეტი 300 მილიონ ამერიკულ დოლარს აჭარბებს, მუზეუმს დამატებით ყოველწლიურად 6-დან 8 მილიონ ამერიკულ დოლარამდე სჭირდება იმისთვის, რომ ყველა საკუთარი ხარჯი დაფაროს და მუზეუმის განვითარების თანამედროვე ტრენდებს არ ჩამორჩეს.

გ) **Newmann Brothers Museum ინგლისში**, რომელმაც ცნობილი ძმების კონსერვირებული ავეჯის ქარხანაში დაიდო ბინა. როგორც ყველა დამოუკიდებელი მუზეუმი, Newmann Brothers Museum-იც იყენებს კომერციალიზაციის ტრადიციულ მეთოდებს, იქნება ეს მაღაზია, თუ ვიზიტის საკომისიო, თუმცა ბოლო პერიოდში დამატებითი შემოსავლების მოზიდვა გაცილებით უფრო კრეატიული მეთოდებით ხდება. მუზეუმმა გადაწყვიტა ქარხნისთვის თემატურ მცირე ბიზნესებს მიაქირაოს ტერიტორია და კულტურული მემკვიდრეობის შენახვას მთელი მუზეუმის მხოლოდ ნახევარი დაუთმოს. ამით ის დამთვალიერებლებისთვის დამატებით ღირებულებასაც ქმნის, რადგან მათ არა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა, არამედ ცოცხალ სამუშაო პროცესზე დაკვირვებაც შეუძლიათ.

„ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აშკარა გახდა, რომ მუზეუმების შენახვა ადვილი არ არის, რადგან დაფინანსება ამ მიმართულებით მხოლოდ კლების ტენდენციით ხასიათდება. სწორედ ამიტომ მოგვიწია უფრო ბიზნესივით გვეფიქრა და მუზეუმისთვის დივერსიფიცირებული შემოსავლის წყარო გვეშოვა. ამით ჩვენ მუზეუმის მდგრადი განვითარება შევძელით“, – განმარტავს მუზეუმის განვითარების ოფიცერი სიუზან კარტერი.

დ) **ვაშინგტონის სმითსონის ინსტიტუტი** – სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო ინსტიტუტი აშშ-ში, რომელიც აერთიანებს მუზეუმების კომპლექსს და კვლევით ცენტრებს, რომელსაც განაგებს აშშ-ის მთავრობა. დაარსებულია აშშ-ის კონგრესის 1846 წლის 10 აგვისტოს აქტით. ოფიციალურად ითვლება სახელმწიფო დაწესებულებად. ფინანსდება აშშ-ის მთავრობის მიერ, ასევე, კერძო შემოწირულობების, აგრეთვე საგამომცემლო და კომერციული მოღვაწეობის ანგარიშებით, ძირითადად, განმავითარებელი სასწავლო თამაშების, პროგრამების, ვიდეომასალების, სუვენირების და ა.შ. გამოშვება-გაყიდვით. ინსტიტუტის დაწესებულებათა უმრავლესობა – 19 მუზეუმი, 9 კვლევითი ცენტრი და ეროვნული ზოოპარკიც კი – მდებარეობს ვაშინგტონში. სმითსონის კომპლექსს აქვს მეტროს საკუთარი ხაზები. აქ მხოლოდ ბავშვები არ ერთობიან. სამუშაო საათების შემდეგ, როგორც წესი, სპეციალური თემატური ღონისძიებები ეწყობა ხოლმე – დასწრება კოქტეილების, ცოცხალი მუსიკისა და გემრიელი საკვების ფონზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს ტოვებს და დამთვალიერებლებს კიდევ და კიდევ უკან დაბრუნებისკენ უბიძგებს.

ე) **მუზეუმების კვარტალი ვენაში** ერთ-ერთი ყველაზე დიდი კულტურული კვარტალია მთელს მსოფლიოში. ის აერთიანებს კულტურის სხვადასხვა სფეროებს, რესტორნებს, კაფეებს მაღაზიებს და ეს ყველაფერი 60 ათას კვადრატულ მეტრზეა განთავსებული. მთელი ტერიტორია ჰარმონიულად ითავსებს ძველი ბაროკოს სტილისა და თანამედროვე არქიტექტურის შენობებს, რაც მთელ კვარტალს კიდევ უფრო მეტად დასამახსოვრებელს ხდის.

ვ) **სამუზეუმო კუნძული ბერლინში** – სახელწოდება, რომელიც მდინარე შპრეზე მდებარე კუნძულ შპრეინზელის ჩრდილოეთ დაბოლოებამ მიიღო. სამუზეუმო კუნძული, რომელიც 5 სხვადასხვა მუზეუმს აერთიანებს, მსოფლიოს სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული ტურისტებისა და ხელოვნების მოყვარულთა მიზიდულობის ცენტრია. 1999 წლიდან არქიტექტურული და კულტურული კომპლექსი UNESCO-ს მსოფლიო საგანძურის სიაშია შეტანილი.

ჩვენს მიერ მოყვანილი ბოლო სამი მაგალითი განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან 2015-2016 წლებში, მაშინ ჯერ კიდევ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო გეგმავდა სამუზეუმო უბნის შექმნას და წარმატებულ მოდელებად სწორედ ეს მაგალითები მოჰყავდა, თუმცა საქართველოში მსგავსი მოდელ(ებ)ის შესატყვისი სამუზეუმო უბნის შესაქმნელად პრაქტიკული ნაბიჯები ამ დრომდე არ გადადგმულა.

1.3. კულტურული ტურიზმი

ყველგან, ლიტერატურაში თუ იმ პრაქტიკულ მაგალითებში, რომლებიც მოვიყვანეთ, ცალსახაა, რომ კულტურა და ტურიზმი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და არასაბიუჯეტო შემოსავლების ზრდისთვის ტურისტული პოტენციალის უკეთ ათვისება მუზეუმებისთვის ყველაზე ეფექტიანი და მოკლე გზაა.

„ICOM საქართველო“ მუზეუმების ტურისტულ მარშრუტებში ინტეგრაციის ნაკლებობას ადასტურებს, თუმცა ამბობს, რომ ამას ობიექტური მიზეზებიც აქვს, მათ შორის სათანადოდ მოუწყობელი, მოძველებული ექსპოზიციები, ასევე მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, კვალიფიციური გიდების დეფიციტი, მარკეტინგის დაბალი დონე. „საქართველოს თითქმის ყველა მუზეუმში დაცულია საკმაოდ დიდი ფასეულობისა და კულტურული მემკვიდრეობის შემცველი კოლექციები, რაც სათანადოდ, თანამედროვე სტანდარტებით ექსპონირების შემთხვევაში, უდავოდ დააინტერესებს ვიზიტორებს“, – ამბობს ორგანიზაციის დირექტორი ინგა ქარაია. მისივე თქმით, ამ მიზნების მიღწევა შეუძლებელი იქნება, თუკი მუზეუმებს არ მიეცემათ შესაძლებლობა, გაზარდონ თავიანთ სივრცეში დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობა და დამატებით მიღებული სახსრები სწორედ და კონკრეტულად ამ მიმართულებებით მიმართონ.

„ICOM საქართველო“ რეგულარულად ატარებს ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებს, ტრენინგებს, აქვს მეორე ორგანიზაცია – საქართველოს მუზეუმების ასოციაცია, რომელიც მუზეუმების რეაბილიტაციის პროექტებს ამზადებს, თუმცა, ორგანიზაციის შეფასებით, კანონმდებლობა იმდენად მოუქნელია, რომ ეს ყველაფერი პრაქტიკულად აზრს კარგავს: „ჩვენი ხედვაა, გავაუმჯობესოთ კომერციული აქტივობები მუზეუმებში, რათა ხელი შეეწყოს დამატებითი ფინანსური სახსრების მოზიდვას და მის გამოყენებას მუზეუმების საჭიროებებისთვის. ამ მიმართულებით ჩატარებული ეროვნული ტრენინგების ფარგლებში მუზეუმების თანამშრომლებს მოვამზადებინეთ სხვადასხვა პროექტებიც, მაგრამ, სამწუხაროდ, არსებული კანონმდებლობა (კანონი მუზეუმების შესახებ) არ იძლევა ამგვარი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას. მეტიც, დღეს მუზეუმებს ხშირად აქვთ მუზეუმის საჭიროებისთვის საკუთარი შემოსავლების საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვის პრობლემაც კი“.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ამის საპირისპიროდ ამბობს, რომ კულტურული ტურიზმის მნიშვნელობა მთავრობას ძალიან კარგად ესმის და შესაბამისად, აქცენტს სწორედ ტურიზმისა და სამუზეუმო სფეროს ურთიერთთანამშრომლობაზე აკეთებს. ეს აქცენტები ჩადებულია „კულტურის სტრატეგია 2025“-შიც, თუმცა, ჩამონათვალიდან ირკვევა, რომ გასაკეთებელი უფრო მეტია, ვიდრე აქამდე გაკეთებული.

უფრო დეტალურად, ამ ზოგადი სტრატეგიის მიხედვით, იმისთვის, რომ ქვეყანაში კულტურული ტურიზმი განვითარდეს, აუცილებელია:

ა) ტურიზმის მდგრად განვითარებაში კულტურული რესურსის (მაგალითად, არამატერიალური, მატერიალური და ბუნებრივი მემკვიდრეობა, გამოფენები, კონცერტები, ფესტივალები, სახალხო დღესასწაულები და სხვ.) ეკონომიკური პოტენციალის წარმოჩენა და მისი გამოყენება უნიკალური, ავთენტური და საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანი ტურისტული შთაბეჭდილების შესაქმნელად;

ბ) კულტურის ობიექტების მენეჯერებისა და ტურიზმის ინდუსტრიებისთვის გადამზადების პროგრამების შემუშავება ტურისტული ბაზრის, შესაბამისი ტენდენციების, ტურისტული მარკეტინგის, ასევე, სხვადასხვა კულტურული რესურსის მნიშვნელობის და ტურიზმის განვითარებაში მისი გამოყენების შესაძლებლობების, კულტურული ტურიზმის ეკონომიკის, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების და სხვა შესაბამისი საკითხების შესახებ;

გ) კოორდინაციის გაძლიერება სახელისუფლებო ორგანოებს, ტურიზმის, კრეატიული ინდუსტრიის წარმომადგენლებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კულტურული ტურიზმის, მისი ეკონომიკური სარგებლიანობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების მოძიების და კვლევებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით;

დ) კულტურული ტურიზმის განვითარების მიზნით, საჯარო-კერძო პარტნიორობის ხელშეწყობა (მაგალითად, საკანონმდებლო ინიციატივების, საინტვესტიციო პაკეტების, პარტნიორობის მოდელების შემუშავება, ქვეყნის ცნობადობისთვის მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა, ბრენდ-პაკეტების შემუშავება, საერთაშორისო დონორთა დახმარების პროგრამების გამოყენება და სხვ.);

ე) ადგილობრივი და საერთაშორისო კულტურული მარშრუტების განვითარება (მატერიალური, არამატერიალური და ბუნებრივი მემკვიდრეობის მარშრუტები შესაბამისი საინფორმაციო-საორიენტაციო მანიშნებლებით, ბილიკებით და ა.შ.) და საქართველოს ჩართვა საერთაშორისო კულტურული მარშრუტების პროგრამებში (მაგ. „ევროპის კულტურული მარშრუტების პროგრამა“, გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის „აბრეშუმის გზის პროგრამა“ და ა.შ.);

ვ) შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლებზე და გარემოზე ტურიზმის უარყოფითი გავლენის შემცირების, ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური სარგებლის გაზრდის მიზნით;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სამინისტრო ჩართული იყო ტურიზმის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესშიც.

კულტურის სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლების უწყებათაშორისი სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2017 წლის მდგომარეობით, ყველა სსიპ მუზეუმი (24) ჩართულია ტურისტულ მარშრუტში. მუზეუმებში, 2016 წელთან შედარებით, 10%-ით არის გაზრდილი ვიზიტორთა რაოდენობა, რაც 480 ათას კაცზე მეტია, ხოლო შემოსავლები გაზრდილია 15%-ით, რაც 4.8 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს. სამოქმედო გეგმის მიხედვით, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან დაფუძნებულია თანამშრომლობის მუდმივი პლატფორმა – უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციაც ადასტურებს, რომ ტურიზმის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხილვა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ნამდვილად შედგა, თუმცა უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფის ფორმატში შეხვედრები ჯერ არ გამართულა.

რაც შეეხება კულტურულ ტურიზმს უფრო ზოგადად, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია დასვენებისა და ტურიზმის განათლების ასოციაციის – ATLAS-ის განმარტებას ეყრდნობა, რომლის მიხედვითაც, კულტურული ტურიზმი ეს არის ადამიანთა გადაადგილება კულტურული ღირსშესანიშნაობების მიმართულებით (მემკვიდრეობის ძეგლები, ხელოვნებისა და კულტურული მანიფესტაციები, ხელოვნების ნიმუშები და დრამატურგია) ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილისგან განსხვავებულ გარემოში, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში, ახალი ინფორმაციის და გამოცდილების მიღების და კულტურული საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

„ტურიზმის სტრატეგია 2025“-ში, კულტურული ტურიზმის პრიზმაში, შეიძლება განვიხილოთ ორი პუნქტი, კერძოდ,

ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის რესურსების გამოყენებით ტურიზმში უნიკალური და ავთენტური შეთავაზების შექმნა, რომელიც მოიცავს არქეოლოგიური გათხრების ადგილებისა და მუზეუმების შენობების გამოყენებას დროებითი და თემატური გამოფენების მოწყობის მიზნით, ასევე, სპეციალური ღონისძიებების მოწყობას, მხარდაჭერასა და რეკლამირებას და მეორე – საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა, დაცვა და წარმოჩენა, რაც ზოგადი დებულებაა და კონკრეტულად მუზეუმებზე აქცენტს არ სვამს. სიტყვა მუზეუმი მთელ სტრატეგიაში მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის განმარტებით, ვიწროდ მუზეუმების განვითარების პოლიტიკის განსაზღვრასა და წარმართვაში ცენტრალური როლი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უჭირავს და, შესაბამისად, უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფის ფორმატში შეხვედრებიც მაშინ გაიმართება, როდესაც სამინისტრო ამისთვის ბოლომდე მზად იქნება. მანამდე კი საკუთარი ძალებით, პროაქტიულად ცდილობენ მუზეუმების ინტეგრაციას ადგილობრივ თუ უცხოურ პრეს-ტურებში, ასევე, ტუროპერატორებთან შეხვედრებისას მუდმივად აწვდიან მათ განახლებულ ინფორმაციას მუზეუმების შესახებ იმისთვის, რომ მუზეუმების ცნობადობა გაიზარდოს და მათ მეტი დამთვალიერებელი მიიზიდონ.

ტურისტული სააგენტოს Travel to Georgia-ს დირექტორი ლაშა ბერეკაშვილი გვეუბნება, რომ დღეს ტუროპერატორებს მუზეუმებთან ურთიერთობისას ორი მთავარი პრობლემა აქვთ: პირველი – 1 ფანჯრის პრინციპის არარსებობა და მეორე – სამუზეუმო ბარათების არარსებობა.

სამუზეუმო ბარათების ნაწილში საუკეთესო მაგალითად გამოდგება მეზობელი თურქეთი, რომელიც ამავდროულად საქართველოს კონკურენტიც არის ტურისტების მოზიდვის ნაწილში. ეს ბარათები ამ ქვეყანაში გეოგრაფიული დაფარვის, ფასისა და მოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით არის განაწილებული. ნებისმიერ შემთხვევაში, ინდივიდი, რომელიც ბარათს შეიძენს, ავტომატურად იძენს იმის უფლებასაც, რომ მუზეუმების და არქეოლოგიური ადგილების გარკვეული ნაწილი დამატებითი ხარჯების გარეშე მოინახულოს. მეტიც, ასეთი ტიპის ბარათების მფლობელებს არ სჭირდებათ რიგში დგომა, რაც ნამდვილად დამატებითი სარგებელია, როდესაც საქმე განსაკუთრებით პოპულარული ადგილების მონახულებას ეხება. ბარათების მოქმედების ვადა 3 დღიდან 2 კვირამდეა. 2-კვირიანი ბარათები მთელ თურქეთს ფარავს და ვიზიტორს პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი და პოპულარული მუზეუმის მონახულების საშუალება ექმნება. ამ ტიპის ბარათების საშუალო ფასი 150 თურქული ლირა ანუ დაახლოებით 120 ლარია.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული პირისპირ ინტერვიუს დროს, ლაშა ბერეკაშვილი გვიხსნის, რომ ეს ტურისტსაც უადვილებს მუზეუმების დათვალიერებას, რადგან ბარათი, როგორც წესი, ამ მუზეუმების შესახებ ინფორმაციასაც მოიცავს, გარკვეულ ადგილებში ფასდაკლებების ან საჩუქრების სისტემა მუშაობს, რაც ტურისტს ბარათზე არსებული თანხის სრულად ამოწურვის და რაც შეიძლება მეტის დათვალიერების მოტივაციას უჩენს. მოგზაურობის გამოცდილებაც გაცილებით უფრო მრავალფეროვანი, ემოციური და შემეცნებითია – ეს ყველაფერი კი ტურისტს უკან დაბრუნებისკენ უბიძგებს, რაც ქვეყნისთვის, ტუროპერატორებისთვის და მუზეუმებისთვის დამატებით ცნობადობას და შემოსავალს ნიშნავს: „ბარათები შეიძლება იყოს ლოკალური, რეგიონული, ქვეყნის მასშტაბით. სულ რაღაც ორი ოპერაციით – ბარათის ყიდვით და მასზე თანხის დარიცხვით ძალიან ბევრი მუზეუმი ტურისტისთვის თუ ვიზიტორისთვის ხდება მისაწვდომი. ეს ზრდის ამ მუზეუმების არა მხოლოდ შემოსავალს, არამედ მათ ცნობადობასაც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია“.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ტუროპერატორებს თავიანთ ტურებში მუზეუმების ინტეგრაციას ურთულებს, 1 ფანჯრის პრინციპის არარსებობაა. როგორც ლაშა ბერეკაშვილი გვეუბნება, ქვეყანაში ძალიან ცოტა მუზეუმების გაერთიანებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ტუროპერატორმა მუზეუმებთან ინდივიდუალურად უნდა იმუშაოს, ანუ ცალ-ცალკე გაიაროს ბიუროკრატიული პროცედურები, ცალ-ცალკე გააფორმოს ხელშეკრულებები და შემდეგ ასევე ცალ-ცალკე აწარმოოს ანგარიშსწორება, რაც პროცესს დროში ჭიმავს და აძვირებს.

ლაშა ბერეკაშვილს უჭირს იმ გაერთიანების გახსენება, რომელთანაც მისი ტურისტული სააგენტო რეგულარულად თანამშრომლობს, თუმცა, ამბობს, რომ რეგიონული თუ ცენტრალური მუნიციპალური გაერთიანებები ძირითადად ისეთ მუზეუმებს აერთიანებენ, რომელთაც მეტ-ნაკლები ცნობადობა უკვე აქვთ, შესაბამისად, თამაშგარე მდგომარეობაში რჩებიან ის მუზეუმები, რომელთაც ან ინფორმაცია არ აქვთ გაერთიანების შესაძლებლობებზე, ან თავად პასიურობენ. მუზეუმების გაერთიანებების ერთიანი რეესტრი არ არსებობს, შესაბამისად, ბიზნესსაც უჭირს, მიიღოს ინფორმაცია და გაერთიანებების მეშვეობით მეტი მუზეუმი ჩართოს თავის ტურებში.

საქართველოში ყველაზე დიდი სამუზეუმო გაერთიანება საქართველოს ეროვნული მუზეუმია, რომელიც 2004 წლიდან არსებობს. მის შემადგენლობაშია 10 მუზეუმი, ეროვნული გალერეა, 4 სახლ-მუზეუმი და 2 სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. ყველაზე ახალი სამუზეუმო გაერთიანება კი 2016 წლის 29 ივლისს დაფუძნდა – თბილისის მუზეუმების გაერთიანება 9 დამოუკიდებელ მუზეუმს აერთიანებს.

„ICOM საქართველოს“ მიერ ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, „ამჟამად ქვეყანაში წამოწყებულია საუბარი შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებაზე, სადაც მუზეუმებიც მოიაზრება, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ საწყის ეტაპზეა, საუბრის დონეზე“. მეტ დეტალს ამ მიმართულებით არავინ აკონკრეტებს.

კვლევის შეჯამება

თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც მოგზაურობა ძალიან მარტივია, მუზეუმები მაღალი კონკურენციის პირობებში მხოლოდ იმ შემთხვევაში გადარჩებიან, თუკი აღარ იქნებიან დამოკიდებულები მხოლოდ სახელმწიფო სუბსიდიებზე, არამედ შეძლებენ დამოუკიდებლად მოიპოვონ დამატებითი შემოსავლები. ამასთან, მუზეუმებს უნდა ჰქონდეთ იმის შესაძლებლობაც, რომ მათ ხელთ არსებული სახსრები დამოუკიდებლად და უფრო მოქნილად გამოიყენონ კონკრეტული საჭიროებების შესაბამისად.

საჭიროებები კი მხოლოდ მატულობს. ამ კუთხით განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ის ტენდენცია, რომ, თუ ადრე მუზეუმი ძირითადად კულტურული მემკვიდრეობის ერთგვარ საცავად მიიჩნეოდა, დღეს მას გაცილებით მეტი ფუნქცია აქვს, მათ შორის, შემეცნებითი, საგანმანათლებლო, გასართობი, სოციალიზაციის ხელშემწყობი და ა.შ. იცვლება მუზეუმების აუდიტორიაც და ის გაცილებით უფრო მრავალფეროვანი ხდება. შესაბამისად, მუზეუმი ის ადგილი უნდა იყოს, რომელიც ბავშვსაც მიიზიდავს და მოზრდილსაც, სხვადასხვა სქესის, ასაკის, რასის ადამიანებს ერთ – „მუზეუმის ენაზე“ დაელაპარაკება და მათ უკან დაბრუნების სურვილს გაუჩენს.

„მუზეუმის ენის“ შექმნა ცალკე პროფესიად ჩამოყალიბდა, რომელიც ძალიან ბევრ ასპექტს ითვალისწინებს, მათ შორის, დამთვალიერებლის ფსიქოლოგიას, მის ემოციურ მიჯაჭვულობას, ცნობიერებასა და განათლებას. 21-ე საუკუნეში გაცილებით ძვირად ფასობს არა უბრალოდ დამთვალიერებელი, არამედ ისეთი დამთვალიერებელი, რომელიც მუზეუმში ერთხელ ვიზიტის შემდეგ, კიდევ დაბრუნდება და შეიძლება, ახალი დამთვალიერებლებიც თან მოიყვანოს.

დამთვალიერებელთა რაოდენობა და დამატებითი ეკონომიკური სახსრები (ანუ, როგორც ამ კვლევაში ვუწოდებთ, კომერციალიზაციის შესაძლებლობა) ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია: ერთი მხრივ, ბევრი ვიზიტორი იმის გარანტია, რომ, მაგალითად, მეტი რეკლამა, მეტი პროდუქცია, თუნდაც მეტი ყავა და საკვები შეუძლია გაყიდოს მუზეუმმა და მოზიდული თანხები ისევ კულტურული მემკვიდრეობის შენახვას, რესტავრაციას, ახლების მოპოვებას და მათ საერთაშორისო ქსელებში ინტეგრაციას მოახმაროს და მეორე მხრივ – დამატებითი ეკონომიკური სახსრები შეიძლება მუზეუმმა გამოიყენოს თავად მუზეუმის პოპულარიზაციისა და რეკლამირებისთვის, რომ უფრო მეტ პოტენციურ დამთვალიერებელს მისწვდეს და მოიზიდოს და ამით გაზარდოს მათი რაოდენობა.

ნებისმიერ შემთხვევაში, ამ მიზნების განხორციელება და მიღწევა შეუძლებელი იქნება, თუ მუზეუმი მთლიანად იქნება დამოკიდებული პირდაპირ სუბსიდიებზე და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ამ ტიპის სახელმწიფო სუბსიდიები კლების ტენდენციით ხასიათდება, არამედ, შეიძლება უფრო მეტადაც – იმიტომ, რომ ანტრეპრენიორული აზროვნებისა და მიდგომების გარეშე, შეუძლებელი იქნება განვითარების იმ ტემპს დაწევა, რითაც გამოირჩევა 21-ე საუკუნე. ანტრეპრენიორული აზროვნება და მიდგომები კი ვერ ჩამოყალიბდება იმ პირობებში, როდესაც გარანტირებული შემოსავალი არსებობს, მხოლოდ მისი დახარჯვაა ამოცანა და ეფექტიანობა არავის აინტერესებს.

საქართველოს შემთხვევაში აშკარა აცდენა შეინიშნება სამუზეუმო ცხოვრების განვითარების წინაშე არსებულ გამოწვევებსა და საკანონმდებლო თუ გრძელვადიანი სტრატეგიებით გათვალისწინებულ გადაწყვეტებს შორის. არც კანონმდებლობაში და არც გრძელვადიან ხედვაში გამოკვეთილი აქცენტი არ კეთდება მუზეუმების დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის, მათი დეცენტრალიზაციისა და შემოსავლების დამოუკიდებლად მოზიდვის შესაძლებლობების გაფართოების მიმართულებით. პირველადი ისევ ცნობიერების ამაღლება და ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაჭრაა, რაც ჯერ კიდევ პირველი რეფორმის ანუ დაახლოებით 15 წლის წინ იყო მთავარი ამოცანა.

კვლევა აჩვენებს, რომ სამუზეუმო ცხოვრების განვითარების ძალიან ნელი ტემპის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რეფორმის ფრაგმენტული ხასიათია, კერძოდ, რეფორმის განხორციელებას თანმიმდევრული ხასიათი არასდროს ჰქონია, რადგან პასუხისმგებელი პირების ხშირი ცვლის პირობებში, როგორც წესი, რადიკალურად იცვლებოდა პრიორიტეტებიც. ამასთან, აშკარა პრობლემად იკვეთება უწყებათშორისი კოორდინაცია, რაც განსაკუთრებით ადვილად შესამჩნევია კულტურული ტურიზმის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი მხრივ, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და, მეორე მხრივ, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას გრძელვადიანი განვითარების ხედვებში ერთმანეთთან აქვს დაკავშირებული ეს ორი სფერო – კულტურა და ტურიზმი

და, მეტიც, კონკრეტულად მუზეუმების განვითარება და აქ არსებული გადაკვეთებიც თითქოს იდენტიფიცირებულია, როცა საქმე კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაზე მიდგება, ეს უწყებები ერთობლივად მაინც არ მუშაობენ.

2.1. მთავარი გამოწვევები

როგორც ამ მოკლე კვლევიდანაც კარგად გამოჩნდა, მთავარი გამოწვევების უმრავლესობა, პრაქტიკულად, წლიდან წლამდე და სტრატეგიიდან სტრატეგიამდე უცვლელი რჩება.

კერძოდ:

ა) ცნობიერების ამაღლება და განათლება;
ბ) მუზეუმების ხელმისაწვდომობა და მრავალფეროვნება;
გ) სამუზეუმო ინფრასტრუქტურა;
დ) მუზეუმების დაფინანსება და კომერციალიზაცია;
ე) მუზეუმების მენეჯმენტი;
ვ) მუზეუმების საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაცია;
ზ) კულტურული ტურიზმის განვითარება;
თ) კვლევების და სტატისტიკის სიმწირე და, რიგ შემთხვევებში, არარსებობა;
ი) უწყებათშორისი მისკომუნიკაცია და არათანმიმდევრულობა.

2.2. რეკომენდაციები

როგორც ამ მოკლე კვლევიდანაც კარგად ჩანს, მუზეუმების კომერციალიზაცია და მათ მიერ დამატებითი სახსრების დამოუკიდებლად მოზიდვა კულტურის სტრატეგიის გამოკვეთილი მიზანი არ არის. აქცენტი ისევ სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებაზე მიბმულ პრიორიტეტებზე კეთდება. აქედან გამომდინარე, შეჯამების სახით გაწვდით იმ ცენტრალურ რეკომენდაციებს, რომელთა აუცილებლობაც პირდაპირ იკვეთება და რომელთა გარეშეც მომავალში უფრო ამბიციური მიზნები ისევ მიზნებად დარჩება.

კერძოდ:

1) შემუშავდეს ცალკე ერთიანი სამუზეუმო პოლიტიკა, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელდება და რომლის მთავარი ამოსავალი იქნება თითოეული მუზეუმის სპეციფიკის, ადგილმდებარეობის, რესურსებისა და პოტენციალის გათვალისწინება და მისი ტურიზმის სფეროსთან მჭიდრო ინტეგრაცია.

2) გასაჯაროვდეს არა მხოლოდ ზოგადი სტრატეგიები, არამედ კონკრეტული სამოქმედო გეგმებიც, განსაკუთრებით, კულტურის ტურიზმის მიმართულებით, რათა გაცილებით ადვილი იყოს, როგორც გადადგმული ნაბიჯების, ისე სულ მცირე ამ ორი უწყების – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის თანმიმდევრული პოლიტიკის მონიტორინგი.

3) მოწესრიგდეს საკანონმდებლო ბაზა, კერძოდ, ცვლილებები და დამატებები შევიდეს საქართველოს კანონში „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ და საქართველოს კანონში „მუზეუმების შესახებ“, რადგან, როგორც გამოჩნდა, რიგ შემთხვევებში, კანონის მუხლები ეწინააღმდეგება ერთმანეთს და არა მხოლოდ ერთმანეთს, არამედ, მომიჯნავე სფეროებში მოქმედ კანონებსაც.

უფრო კონკრეტულად:

3.1. დაზუსტდეს სამუზეუმო ტერმინების დეფინიცია;

3.2. დაიხვეწოს მუზეუმებისთვის სტატუსის მინიჭების, მათი დამოუკიდებლობის ხარისხისა და უფლებამოსილების საკითხები (რაც, „ICOM საქართველოს“ შეფასებით, საერთოდ არ არის ასახული კანონში);

3.3. მომზადდეს საკანონმდებლო ცვლილებები, რაც შესაძლებელს გახდის მუზეუმების მიერ სამეწარმეო საქმიანობის წარმოებას, საიდან მიღებული დამატებითი შემოსავლებიც უნდა მოხმარდეს ისევ მხოლოდ მუზეუმის განვითარებას;

4) მეტი ყურადღება დაეთმოს მუზეუმების ფინანსურ მდგრადობას. მაგალითად, დამხმარე საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები არ დაიბეგროს დღგ-ს გადასახადით, მუზეუმში გამოყენებული უძრავი აქტივები არ დაიბეგროს ქონების გადასახადით;

5) ყურადღება მიექცეს მუზეუმის თანამშრომელთა პროფესიული გადამზადების, სტაჟირებისა და მუზეუმებში ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვას. ასევე, უმაღლეს სასწავლებლებში დაინერგოს სასწავლო პროგრამები კულტურული ტურიზმის, კულტურის მენეჯმენტისა და სხვა რელევანტური მიმართულებებით;

6) მუზეუმი გარდაიქმნას ცოცხალ, ქმედით ორგანიზმად, რომელსაც ექნება უნარი, შეიმუშავოს ახალი, ბევრად უფრო ხელმისაწვდომი და ინტერაქტიური მეთოდები სამუზეუმო მასალის აღსაქმელად, ასევე, არატრადიციული, თანამედროვე კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამები ბავშვების, მოზრდილებისა და ყველა სოციალური ფენის თუ შესაძლებლობების მნახველთათვის (რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს მუზეუმი შემდგომ განვითარებას, დამატებითი სახსრების მოზიდვას და კომერციული ხედვისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას);

7) ყურადღება გამახვილდეს სპეციფიკური სამუზეუმო ინფრასტრუქტურების შექმნის მიმართულებითაც, კერძოდ, ინფორმაციული მასალების მომზადება და დარიგება, მუზეუმების სივრცეში არსებული მაღაზიების მუშაობა, სხვადასხვა ტიპის კაფეების უზრუნველყოფა, ცალკე სივრცის გამოყოფა ნებისმიერი ტიპის კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნებისთვის და სხვა (რადგან სხვანაირად მნახველთა ჯგუფების მომსახურების ხარისხი ვერ გაიზრდება);

8) დაიხვეწოს და ამუშავდეს მარკეტინგული და საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ე.წ. მესიჯ ბოქსი და სტრატეგია და გადაიდგას ნაბიჯები, რომლებიც მუზეუმებს ჩამოაცილებს საგანძურის საცავის მოძველებულ სტერეოტიპს და უფრო გასაგებ, თანამედროვე ენაზე დაამყარებს კომუნიკაციას საზოგადოებასთან, რითაც ხელს შეუწყობს მუზეუმის ინტეგრაციას სოციუმში;

9) საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიქმნას სამუზეუმო კლასტერები, უბნები და ა.შ. რაც შესაძლებლობას მისცემს მუზეუმებს, გააერთიანონ, როგორც ადამიანური, ისე ფინანსური რესურსები და მეტ დამოუკიდებლობას და ეფექტიანობას მიაღწიონ;

10) აქცენტი გაკეთდეს დეტალიზებული და საჯარო სტატისტიკისა და ვალიდური კვლევების წარმოებაზე, რომლებიც სამუზეუმო სფეროზე სპეციალიზდება;

11) ქვეყანაში წახალისდეს მუზეუმთა გაერთიანებების ჩამოყალიბება და კერძო სექტორს შესაძლებლობა ჰქონდეს ერთი საგადასახადო ქოლგის ქვეშ, ე.წ. 1 ფანჯრის პრინციპით აწარმოოს ანგარიშსწორება.

2.2.1. რა შეუძლია საქართველოს გაითვალისწინოს საერთაშორისო გამოცდილებიდან

12) გაუმჯობესდეს მუზეუმების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იმისთვის, რომ მუზეუმის სრულყოფილი ფუნქციონირება გახდეს შესაძლებელი და ყველა საერთაშორისო სტანდარტი იყოს დაცული (ჩვენს მიერ განხილულ ყველა შემთხვევაში, ეს ბაზა გამართულია);

13) მეტი თავისუფლება მიენიჭოთ მუზეუმებს, სარფიანად გამოიყენონ ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც მათ გააჩნიათ, იქნება ეს მუდმივი, დროებითი თუ მოძრავი გამოფენების მოწყობა, კინოგადაღებებისთვის ადგილის გაქირავება, მუზეუმებში საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარება და ა.შ. (ჩვენს მიერ განხილულ ყველა შემთხვევაში, დამატებითი შემოსავლის მიღების გზები ძალიან დივერსიფიცირებულია);

14) სამუზეუმო სივრცეს დივერსიფიცირებული პარტნიორები უნდა ჰყავდეს: სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდები, უმაღლესი სკოლები, ტურისტული კომპანიები, საგამომცემლო სახლები, კინო-ცენტრები, მედია, პროფესიული ორგანიზაციები (ჩვენს მიერ განხილულ ყველა შემთხვევაში, კომუნიკაცია გადამწყვეტია მუზეუმების სოციუმში ინტეგრაციისთვის);

15) მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობების სტრატეგიისა და ხერხების დახვეწა და ფართოდ დანერგვა (ჩვენს მიერ განხილული ყველა მაგალითი იმას გვაჩვენებს, რომ, როდესაც მუზეუმი ანტრეპრენიორულ მიდგომებს იყენებს, გაცილებით უფრო ეფექტიანი ხდება);

16) მუზეუმებს მეტი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, კავშირები დაამყარონ სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებთან, სამეცნიერო თუ სასწავლო ინსტიტუტებთან და შეიმუშაონ ერთობლივი პროექტები (ჩვენს მიერ მიმოხილული ლიტერატურა გვაჩვენებს, რომ საერთაშორისო კავშირებს მოაქვს ცოდნა, ნოუ-ჰაუ და ტექნოლოგიების ტრანსფერიც კი).

17) ყველა მუზეუმს ჰქონდეს დამოუკიდებელი ვებგვერდი, სადაც გაითვალისწინებს ვებგვერდის დიზაინის და მისი მართვის საუკეთესო პრაქტიკებს და მაქსიმალურად დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის ვიზიტორს მუზეუმის, იქ დაცული კულტურული მემკვიდრეობისა და სხვა დამატებითი სერვისების შესახებ, რითიც სარგებლობას მუზეუმში შეძლებს (ყველა ჩვენს მიერ მოყვანილ მუზეუმს აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, ე.წ. User-friendly ვებგვერდი);

18) აეწყოს და ჩამოყალიბდეს სამუზეუმო ბარათების სისტემა, რაც ვიზიტორს საშუალებას მისცემს გარკვეული დროით და გარკვეულ ფასად ერთდროულად რამდენიმე მუზეუმში შესვლის უფლება იყიდოს და დაელოდოს ფასდაკლებებს, საჩუქრებს და მოტივაციის სხვა ასამაღლებელ აქციებს, რაც მას უნიკალურ გამოცდილებას შეუქმნის და გაზრდის თავად მუზეუმების ცნობადობასაც.

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ – ეფექტი რიცხვებში

თელარა გელანტია

შესავალი

უმუშევრობა საქართველოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, უმუშევრობის დამარცხება კი – მთავრობების ტრადიციული დაპირება. საქსტატის მონაცემებით, ბოლო ხუთ წელიწადში (2013-2017) ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელი 16.9%-დან 13.9%-მდე შემცირდა, თუმცა სხვადასხვა საზოგადოებრივი გამოკითხვების მიხედვით, ეს მაჩვენებელი ბევრად მაღალია. NDI-ის 2018 წლის ივნისის კვლევის თანახმად, გამოკითხულ მოქალაქეთა 51% ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხად სამუშაო ადგილებს ასახელებს, 32% კი – სიღარიბეს.

მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება საქართველოს მთავრობას ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ორიენტირად აქვს აღიარებული. ქვეყნის მმართველ ძალას პრიორიტეტად აქვს გამოცხადებული მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერაც, რაც ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში – „საქართველო 2020“ და ასევე სამთავრობო პროგრამაში – „თავისუფლება, სწრაფი განვითარება და ეკონომიკური კეთილდღეობა“, რომელიც პერიოდულად ახლდება. გარდა ამისა, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიმუშავა „საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“.

სწორედ ადგილობრივი წარმოების და ბიზნესის ხელშეწყობისთვის და ამ გზით, ქვეყანაში სიღარიბის დასამარცხებლად საქართველოს მთავრობა ხშირად გამოდის სხვადასხვა საგადასახადო ინიციატივებით და სახელმწიფო პროგრამებით.

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“

სამთავრობო პროგრამებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ძველია/“ასაკიანია“ სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომელიც 2014 წელს ამოქმედდა. პროგრამის მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით.

პროექტს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ახორციელებს, რომელმაც საინვესტიციო სააგენტოს ფუნქციებიც შეითავსა და სამი ძირითადი კომპონენტი გააერთიანა: ბიზნესი (ადგილობრივი წარმოება), ექსპორტი და ინვესტიციები.

„აწარმოე საქართველოში — ბიზნესის“ მიმართულება საქართველოში მეწარმეობის განვითარებისთვის საჭირო სხვადასხვა მექანიზმებს ახორციელებს. ესენია: ინდუსტრიული მიმართულება, სასტუმრო ინდუსტრია და მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერა(საგრანტო კომპონენტი).

2014 წლიდან 2018 წლის 31 ივლისის ჩათვლით, სსიპ "აწარმოე საქართველოში" სააგენტოს მიერ სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" ინდუსტრიული ნაწილის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის (ინდუსტრიული კომპონენტი – 358,985,296 ლარის სესხი და სასტუმრო ინდუსტრიის კომპონენტი – 66,759,720 ლარის სესხი) ფარგლებში საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემულია ჯამში, 425,744,916 ლარის სესხი და, სახელმწიფო თანადაფინანსების სახით, უკვე გადახდილმა სუბსიდიამ შეადგინა 41,301,243 ლარი (დანართი 1).

დანართი 1 – საფინანსო ინსტიტუტების მიერ პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში გაცემული სესხი

ფინანსური ინსტიტუტი	ბენეფიციართა რაოდენობა	დამტკიცებული სესხის მოცულობა	სახელმწიფოს მიერ გაცემული სუბსიდია (31 ივლისის მდგომარეობით)
თიბისი ბანკი	80	125,941,280	11,047,569
პროკრედიტ ბანკი	50	77,150,500	9,357,833
საქართველოს ბანკი	49	86,407,300	7,269,513
თიბისი ლიზინგი	43	23,550,402	2,142,451
ქართუ ბანკი	23	40,719,000	4,726,397
ვითიბი ბანკი	18	18,906,842	1,933,348
ბაზის ბანკი	13	25,568,000	2,336,243
ტერა ბანკი	7	4,020,500	369,743
საქართველოს სალიზინგო კომპანია	5	8,496,757	643,891
ხალიკ ბანკი	3	10,425,000	862,536
ბანკი რესპუბლიკა	3	1,727,335	254,854
პროგრეს ბანკი	2	2,832,000	356,865
სულ	**296**	**425,744,916**	**41,301,243**

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ინფორმაციით, 2014 წლიდან 2018 წლის ივნისის ჩათვლით, „აწარმოე საქართველოში—ბიზნესის“ კომპონენტების ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, 5609 პროექტი განხორციელდა (ინდუსტრიული მიმართულება – 244, სასტუმრო ინდუსტრია – 52 და მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერა – 5313). მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ფარგლებში მხარდაჭერილი პროექტების ჯამური საინვესტიციო ღირებულება 49,471,485 ლარია; ინდუსტრიული მიმართულების ბენეფიციარებმა სულ 581,581, 311 ლარის ინვესტიცია უნდა განახორციელონ, ხოლო სასტუმრო ინდუსტრიის კომპონენტის ბენეფიციარების მიერ განსახორციელებელი ინვესტიციის ჯამური მოცულობა 142,675,915 ლარია. ჯამში, სახელმწიფო პროგრამის საშუალებით, ქვეყანაში 773,728,711 ლარის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს.

საკვლევი კითხვებია: რამდენად ემსახურება პროექტი რეალურად დეკლარირებულ მიზანს, კერძოდ კი, დასაქმებას; აქვს თუ არა სახელმწიფოს პროგრამის შეფასების ობიექტური კრიტერიუმები და რამდენად ხდება მონიტორინგი; ემსახურება თუ არა პროექტი ეკონომიკურ განვითარებას, მათ შორის – რეგიონული განვითარების პერსპექტივით და ა. შ.

ამ მიზნისთვის კვლევის ფარგლებში ჩვენ შევისწავლეთ პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული და სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტები. კომპონენტები შერჩეულ იქნა განსახორციელებელი ინვესტიციების მოცულობიდან გამომდინარე.

კვლევის მეთოდოლოგია: გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოდან „აწარმოე საქართველოში“, პროექტის განმახორციელებელი ბანკებიდან, სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან. ასევე ჩატარდა პირისპირ ინტერვიუები 2 ბენეფიციართან და მომზადდა ქეისები.

1. „აწარმოე საქართველოში“ – ინდუსტრიული მიმართულება

ინდუსტრიული მიმართულების მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმის მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნისა და არსებული საწარმოების გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა. პროგრამა ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში.

პირობები შემდეგია: საბოლოო პროდუქტი უნდა შედიოდეს საქართველოს მთავრობის მიერ მოცემული პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულ პრიორიტეტთა ნუსხაში (სამშენებლო მასალები, ხის გადამუშავება, ქიმიური წარმოება, საკვები პროდუქტები და ა.შ. სრული სია იხ. www.enterprisegeorgia.gov.ge)

რაც შეეხება იმას, თუ რის საფუძველზე განისაზღვრა პრიორიტეტული სფეროების ნუსხა, სააგენტოში განმარტეს, რომ პროგრამის შემუშავების მომენტისთვის, საქართველოს მთავრობა, კერძოდ კი, ეკონომიკური გუნდი, ხელმძღვანელობდა საქართველოში ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივების ამოცანიდან გამომდინარე, ხოლო აღნიშნულ პრიორიტეტთა ნუსხა თითქმის ყველა სამეწარმეო მიმართულების შემადგენლობით შედგა, რაც იმ მომენტისთვის საქართველოში იწარმოებოდა ან შეიძლებოდა, რომ წარმოებულიყო (გარდა ნავთობის მოპოვება/გადამუშავებისა, სასოფლო-სამეურნეო და სამთო-მოპოვებითი საქმიანობისა და ალკოჰოლური პროდუქციის წარმოებისა).

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ინფორმაციით, 2014 წლიდან 2018 წლის ივნისის ჩათვლით, ინდუსტრიული კომპონენტის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, 244 პროექტი განხორციელდა, რომლებიც მოიცავს კრედიტის, ლიზინგისა და ტექნიკური მხარდაჭერით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობას. პროექტების რაოდენობით ყველაზე აქტიური რეგიონების ხუთეულშია: ქვემო ქართლი (24), იმერეთი (19), მცხეთა-მთიანეთი (16), აჭარა (14) და სამეგრელო-ზემო სვანეთი (10), თუმცა პროექტების რაოდენობით და განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობით ლიდერია დედაქალაქი. კერძოდ, ინდუსტრიული კომპონენტით თბილისში 147 პროექტი ხორციელდება, ჯამური საინვესტიციო ღირებულება 340 მლნ ლარს აჭარბებს.

ეს სტატისტიკა ცხადყოფს, რომ პროექტს რეალურად არ ჰქონდა დასახული უპირატესად რეგიონებში ბიზნესის განვითარების მიზანი (ეს არც იყო ღიად დეკლარირებული), რაც, ჩვენი აზრით, პრობლემატურია. სააგენტოს განმარტებაც მოწმობს, რომ ხედვა ამ მიმართულებით პრიორიტეტს არ ითვალისწინებდა.

„თბილისის ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და ა.შ. დონე გაცილებით აღემატება საქართველოს დანარჩენ რეგიონებს, შესაბამისად, სამეწარმეო აქტივობაც თბილისში გაცილებით მაღალია, ვიდრე რეგიონებში, ამასთან, თბილისის მოსახლეობისა და მეწარმე სუბიექტთა რაოდენობრივი მაჩვენებელი მთლიანი ქვეყნის თითქმის ნახევარს შეადგენს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო პროგრამის ინდუსტრიული ნაწილის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტით მოსარგებლე ბენეფიციარების უმრავლესობა თავმოყრილია თბილისში“, – ასე ახსნეს სააგენტოში ის ფაქტი, რომ 244 პროექტიდან 147 თბილისში ხორციელდება/განხორციელდა (დანართი 2).

დანართი 2.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „აწარმოე საქართველოში“ მიერ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში მხარდაჭერილი ბენეფიციარები			
რეგიონი	პროექტების რაოდენობა	სულ განხორციელებული ინვესტიცია (₾)	პროექტის ფარგლებში შესაქმნელი ახალი სამუშაო ადგილები
თბილისი	147	340,485,798	5,414
ქვემო ქართლი	24	46,621,999	720
იმერეთი	19	28,570,806	1,055
მცხეთა-მთიანეთი	16	90,077,477	532
აჭარა	14	27,868,365	327
სამეგრელო-ზემო სვანეთი	10	25,319,241	1,943
გურია	4	8,945,377	187
შიდა ქართლი	4	7,004,048	66
სამცხე-ჯავახეთი	3	3,597,000	64
კახეთი	2	1,651,200	63
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	1	1,440,000	12
სულ	**244**	**425,744,916**	**10,383**

პროექტის ფარგლებში სულ 10 383 სამუშაო ადგილი უნდა შეიქმნას. ყველაზე მეტი სამუშაო ადგილის შექმნა თბილისშია დაგეგმილი. შემდეგ, დაგეგმილი სამუშაო ადგილების შექმნის რაოდენობით, მოდის სამეგრელო-ზემო სვანეთი და იმერეთი.

ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ პროექტის განხორციელების დროს სწორედ საქართველოს რეგიონული განვითარების ფოკუსიც იყოს ჩადებული მასში. სტატისტიკა აჩვენებს, რომ რეგიონებში დასაქმებული მოსახლეობის უმეტესობა (ზოგადად საქართველოს მოსახლეობის 50%-მდე) სოფლის მეურნეობის სფეროშია ჩართული, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის მშპ-ს 8.2%-ს შეადგენს[1]. ანუ ქვეყნის მოსახლეობის 50%-მდე ქმნის ქვეყნის მშპ-ს 8,2%-ს. ეს მოწმობს, რომ ამ სფეროში რეგიონების ჩართვა არაეფექტურია და აუცილებელია ალტერნატიული გზების, მათ შორის ინდუსტრიული კომპონენტის განვითრების ხელშეწყობა.

საინტერესოა შემდეგი საკითხიც – სააგენტოში „აწარმოე საქართველოში“ არ ფლობენ ინფორმაციას კონკრეტულად უკვე განხორციელებული პროექტების რაოდენობის, ინვესტიციის მოცულობის და შექმნილი სამუშაო ადგილების შესახებ, რასაც იმით ხსნიან, რომ მხარდაჭერილი ბენეფიციარების მიერ მიღწეული შედეგების შესაფასებლად, დაფინანსებიდან გარკვეული პერიოდის გასვლაა საჭირო, რადგან მეწარმე სუბიექტებისთვის პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული კრედიტის მათ მიერ ათვისებას და საწარმოების აღჭურვას/გადაიარაღებას გარკვეული პერიოდი სჭირდება.

„ასევე, გარკვეული პერიოდი სჭირდება ახალი პროდუქციის ადგილობრივ და უცხოურ ბაზრებზე პოზიციონირებას. შესაბამისად, სანამ ბენეფიციარებისთვის პროგრამით სარგებლობის ვადა არ ამოიწურება, მათი მაჩვენებლებისა და პროგრამის ზეგავლენის შეფასება არასრულყოფილი იქნება და აზრს მოკლებულია. სწორედ ამიტომ, სააგენტომ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ (დაახლოებით, 2 წელი ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვიდან) გადაწყვიტა პროგრამის შედეგების შეფასების კვლევის განხორციელება“, – განმარტეს სააგენტოში.

რაც შეეხება ინდუსტრიული ნაწილის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში მხარდაჭერილ **ბენეფიციართა რაოდენობას სექტორების მიხედვით**, ირკვევა, რომ 244 პროექტიდან საფინანსო ინსტიტუტებმა ყველაზე მეტი სამშენებლო მასალების, საკვები და სასმელის და ქაღალდის შეფუთვის ბიზნესები დააკრედიტეს (დანართი 3).

დანართი 3.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „აწარმოე საქართველოში“ მიერ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის (ინდუსტრიული) კომპონენტით მხარდაჭერილი ბენეფიციარები	
სექტორი	**პროექტების რაოდენობა**
სამშენებლო მასალები	80
საკვები და სასმელი	40
ქაღალდი და შესაფუთი მასალები	34
პლასტმასი	24
სხვა წარმოება	17
ხის დამუშავება	13
ტანსაცმელი და ტექსტილი	11
ფარმაცევტული და ქიმიური წარმოება	11
ლითონები	10
ელექტროტექნიკა	4
სულ	**244**

სტატისტიკა ადასტურებს, რომ მშენებლობის სექტორი საქართველოში დღეს კვლავ ყველაზე აქტიური სექტორია. დაფინანსებული პროექტების 30% სწორედ ამ სექტორზე მოდის (ამის შესახებ წარმოდგენას ქმნის სტარტაპების დაფინანსების სტატისტიკაც – იხ. ქვემოთ). ამასთან, საინტერესოა, რომ ახალი ტექნოლოგიების წარმოების მიმართულებას ამ ჩამონათვალში პრაქტიკულად არ უჭირავს ადგილი, თუ, ვთქვათ, ელექტროტექნიკის წარმოებას ამ მიმართულებას არ მივაკუთვნებთ.

რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ ამ კომპონენტზე გაწეულ რეალურ ხარჯს – ის 36 მილიონს აჭარბებს.

[1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სოფლის მეურნეობა საქართველოში

30 ივნისის მონაცემებით, ინდუსტრიული კომპონენტის ფარგლებში, საფინანსო ინსტიტუტების მიერ 244 პროექტზე დამტკიცებულია ჯამში, 358,985,196 ლარის სესხი, რისთვისაც სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“, რომელიც, თავის მხრივ, საბიუჯეტო ორგანიზაციაა, თანადაფინანსების სახით გადაიხადა 36,134,783 ლარი.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სააგენტოში ვერ დაასახელეს კონკრეტული რიცხვი (უკვე დამტკიცებულ სესხებზე), თანადაფინანსების სახით ბიუჯეტიდან გასაცემ თანხებთან დაკავშირებით;

„სახელმწიფოს მხრიდან გასაცემი თანხის ზუსტი პროგნოზი ამ ეტაპზე შეუძლებელია, რადგან იგი დამოკიდებულია მეწარმე სუბიექტების ეკონომიკურ აქტივობაზე, სესხის წინსწრებით დაფარვაზე, სესხის რეფინანსირებაზე, სესხის გაუქმებაზე, სესხის პროცენტის ცვლილებაზე და ა.შ.“, – განმარტეს „აწარმოე საქართველოში“.

ვფიქრობთ, სააგენტო უნდა ფლობდეს ინფორმაციას უკვე დამტკიცებულ სესხებზე, თანადაფინანსების სახით გასაცემ საბიუჯეტო თანხებთან დაკავშირებით, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური სცენარის დაშვებით.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის დაწყებიდან 2018 წლის 6 თვის ჩათვლით, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ ხელშეკრულება შეწყვიტა ინდუსტრიული ნაწილის მხოლოდ ერთ ბენეფიციართან – შპს „გრანიტთან“ („გრანიტის“ (ს/კ 204977203) მიერ ვერ მოხდა იმ საწარმოსთვის/პროექტისათვის პროფილის შენარჩუნება, რომლის თანადაფინანსება განახორციელა სააგენტომ). აღნიშნული ბენეფიციარისთვის სესხი დამტკიცებული იყო სს „საქართველოს ბანკის“ მიერ, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის, თანადაფინანსების სახით, ანაზღაურებული იყო 70,800 ლარი, რომელიც სააგენტოს ინფორმაციით, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ, ბენეფიციარმა უკან დააბრუნა. („აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის #365 დადგენილების მე-10 მუხლი არეგულირებს პროგრამის ინდუსტრიული ნაწილის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს).

რაც შეეხება ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზებს – უკავშირდებოდა თუ არა ეს სავალუტო რყევებს, გაუმართავ ბიზნეს-გეგმას ან სხვა ფაქტორებს და ჩატარდა თუ არა ერთგვარი ანალიზი, სააგენტოში განაცხადეს, რომ, რადგან მხოლოდ 1 შემთხვევა დაფიქსირდა, „ბენეფიციარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზების ანალიზის საჭიროება დღის წესრიგში არ დამდგარა“.

ბენეფიციარების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზების გარდა (რაც საბანკო სექტორის ჩართულობის შემთხვევაში, საბანკო სექტორის რისკით არის დაზღვეული და მათი რისკის დაზღვევის მეთოდებით), ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია პროექტის შეფასებისას გათვალისწინებული იყოს შემდეგი:

რამდენად საჭიროებდნენ პროექტის კომპონენტში ჩართული ბენეფიციარები რეალურად სახელმწიფო დახმარებას და თუ ისინი წარმატებული ბიზნეს-კომპანიები იყვნენ (რაც ასეც არის) და ისედაც არ ჰქონდათ საბანკო პროდუქტების მოხმარებისა და გადახდის პრობლემა, რა საჭირო იყო ამ პროცესში სახელმწიფოს ჩართვა, მით უმეტეს, თუ ისინი არ ნერგავდნენ ინოვაციურ პროდუქტებს ან არ ქმნიდნენ ახალ წარმოებას განსხვავებულ გეოგრაფიულ არეალებში (რეგიონული განვითარების კონტექსტის გათვალისწინებით).

სამწუხაროდ, ამის შეფასება იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც დღეს შეგვიძლია სააგენტოდან და/ან ბანკებიდან მოვიპოვოთ, კვლევის ფარგლებში შეუძლებელია. თუმცა, მიგვაჩნია, რომ „გაფუჭებული სესხის“ გარდა, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა და შეფასების კრიტერიუმი უნდა იყოს სესხების თანადაფინანსების დროს, მით უფრო მაშინ, როცა 36 მილიონი ლარი ამ მიმართულებით უკვე დახარჯულია.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ასევე სტარტაპების დაფინანსების სტატისტიკის განხილვა, რაც შემაჯამებელი დასკვნების გამოტანაში დაგვეხმარება.

ინდუსტრიული მიმართულება – სტარტაპები

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ინფორმაციით, 2014 წლიდან დღემდე, სააგენტოს მიერ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში, მხარდაჭერილია ახლად შექმნილი 98 ბიზნესი, რომლებიც, ჯამურად, პროექტის ფარგლებში, შექმნიან 4,000-ზე მეტ ახალ სამუშაო ადგილს (98 სტარტაპი ჯამურ 244 პროექტში შედის). აღნიშნულ 98 ახალშექმნილ საწარმოს, პროექტის ფარგლებში, ჯამურად დამტკიცებული აქვს 154,593,258 ლარის სესხი.

98 სტარტაპიდან საფინანსო ინსტიტუტებმა ყველაზე მეტი სამშენებლო მასალების, საკვები და სასმელის და პლასტმასის დამწყები ბიზნესები დააკრედიტეს (დანართი 4).

დანართი 4.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „აწარმოე საქართველოში“ მიერ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის (ინდუსტრიული) კომპონენტით მხარდაჭერილი ახალი ბიზნესები	
სექტორი	**რაოდენობა**
სამშენებლო მასალები	29
საკვები და სასმელი	17
პლასტმასი	14
ქაღალდი და შესაფუთი მასალები	10
სხვა წარმოება	7
ფარმაცევტული და ქიმიური წარმოება	6
ტანსაცმელი და ტექსტილი	5
ხის დამუშავება	4
ლითონები	4
ელექტროტექნიკა	2
სულ	**98**

პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი სტარტაპების 50%-ზე მეტი თავმოყრილია თბილისში (დანართი 5).

დანართი 5.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „აწარმოე საქართველოში“ მიერ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის (ინდუსტრიული) კომპონენტით მხარდაჭერილი ახლად შექმნილი ბიზნესები რეგიონების მიხედვით	
რეგიონი	**რაოდენოა**
თბილისი	51
ქვემო ქართლი	13
იმერეთი	9
მცხეთა-მთიანეთი	7
აჭარა	6
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4
გურია	3
შიდა ქართლი	2
სამცხე-ჯავახეთი	1
კახეთი	1
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	1
სულ	**98**

შესაბამისად, ამ შემთხვევაში, როცა საუბარია არა უკვე არსებულ ბიზნესებზე (რაც იყო „აწარმოე საქართველოს“ არგუმენტი თბილისში მხარდაჭერილი ბიზნესების რაოდენობის კომენტირებისას), არამედ სტარტაპების უმრავლესობაც თბილისშია. ვფიქრობთ, ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

98 სტარტაპის დაკრედიტებაში ყველაზე აქტიურები „თიბისი ბანკი“, „თიბისი ლიზინგი“ და „საქართველოს ბანკი“ იყვნენ.

სამწუხაროდ, ვერც სააგენტოსაგან და ვერც ბანკებიდან ვერ მივიღეთ შემდეგი ტიპის ინფორმაცია: ჯამში, რამდენი განაცხადი იყო შემოსული და მათგან რამდენი დაკმაყოფილდა? ბიზნეს-გეგმების დაწუნების შემთხვევაში, ძირითადად რა ტიპის პრობლემები იყო გამოკვეთილი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა საშუალებას მისცემდა სააგენტოს ბიზნეს-განათლების საჭიროების შესახებაც გაეკეთებინა დასკვნები. ამასთან, დაინტერესების მასშტაბსაც განსაზღვრავდა.

ზოგადად, იქიდან გამომდინარე, რომ ამ შემთხვევაში პროექტის ბენეფიციარი, რეალურად, არის არა მხოლოდ ბიზნესი, რომლის დაფინანსებაც ხდება ბანკების მიერ, არამედ ბანკიც, რომელშიც დამატებითი მსესხებლების მოზიდვა ხდება, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია ბანკებმაც აიღონ გარკვეული პასუხისმგებლობა პროექტის ეფექტიანობის გაზრდაზე, შესაბამისი ანალიტიკური ინფორმაციის მობილიზების გზით.

სააგენტოში არც იმის თაობაზე აქვთ ინფორმაცია, კონკრეტულად რამდენი ახალი სამუშაო ადგილია უკვე შექმნილი ახალი საწარმოების მიერ და არის თუ არა ყველა სტარტაპი დღესაც მოქმედი.

„მხარდაჭერილი მეწარმეების შედეგობრივი მაჩვენებლებისა და სიცოცხლისუნარიანობის შესაფასებლად ამჟამად სააგენტო ახორციელებს შედეგების შეფასების კვლევას, რის დასრულებამდეც მოკლებული ვართ შესაძლებლობას, ზუსტად განვსაზღვროთ აღნიშნული მეწარმე სუბიექტები დღემდე მოქმედნი არიან თუ – არა“, – განმარტეს სააგენტოში „აწარმოე საქართველოში“.

სააგენტოში ასევე არ აქვთ ინფორმაცია ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში მხარდაჭერილი სტარტაპების მიერ ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების შესახებ, რაც აქტივობისა და ეფექტიანობის შეფასებისთვის საინტერესო გზა შეიძლება ყოფილიყო.

2. „აწარმოე საქართველოში” – სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების მიმართულება

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ერთ-ერთი მსხვილი მიმართულებაა და, თბილისის და ბათუმის გარდა, საქართველოს ყველა რეგიონში ხორციელდება. პროექტი მეწარმეებს შესაძლებლობას აძლევს რეგიონებში განავითაროონ სასტუმრო ბიზნესი, შექმნან ახალი სამუშაო ადგილები, მოიზიდონ მეტი დამსვენებელი და ხელი შეუწყონ რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას. კომპონენტი მეწარმეებს სთავაზობს ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას. მიმართულების ფარგლებში, აგრეთვე, ხდება საქართველოში წარმატებული საერთაშორისო გამოცდილების დანერგვა, ქვეყანაში საერთაშორისო ბრენდების დამკვიდრების სტიმულირების გზით.

სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულებაც, თავის მხრივ, სამ კომპონენტს აერთიანებს. ესენია: საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება, თანადაფინანსება საერთაშორისო ბრენდის გამოყენებით და ტექნიკური დახმარება.

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ინფორმაციით, 2014 წლიდან 2018 წლის ივნისის ჩათვლით, „აწარმოე საქარ-თველოში“ სასტუმრო ინდუსტრიის ფარგლებში 52 პროექტი განხორციელდა. ბენეფიციარების მიერ განსახორციელ-ებელი ინვესტიციის ჯამური მოცულობა 142,675,915 ლარია, შესაქმნელი სამუშაო ადგილების რიცხვი – 1517, საფინანსო ინსტიტუტების მიერ ბენეფიციარებზე უკვე დამტკიცებულია 66,759, 720 ლარის სესხი და, თანადაფინანსების სახით, ბიუჯეტიდან გაცემულია 3,522,857 ლარი.

მათივე ცნობით, გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ სასტუმრო ინდუს-ტრიის ხელშეწყობის ნაწილი დაემატა 2016 წელს და საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „აწარმოე საქართვე-ლოში“, პროგრამით გათვალისწინებული ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის თანახმად, კომერციული ბანკის მიერ ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინან-სებას პირველი ორი წლის განმავლობაში ახორციელებს, დღეის მდგომარეობით, პროგრამით სარგებლობა დას-რულებული აქვს მხოლოდ რამდენიმე სასტუმროს, ამიტომ სააგენტოს ამ ეტაპისთვის განხორციელებული არ აქვს პროგრამის შედეგების შეფასების კვლევა ბენეფიციართა სიცოცხლისუნარიანობის დადგენის მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამას ყველაზე მეტი ბენეფიციარი კახეთში ჰყავს (დანართი 6).

დანართი 6.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „აწარმოე საქართველოში“ მიერ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულების ფარგლებში მხარდაჭერილი ბენეფიციარები	
რეგიონი	**რაოდენობა**
კახეთი	15
სამცხე-ჯავახეთი	9
სამეგრელო-ზემო სვანეთი	8
მცხეთა-მთიანეთი	8
იმერეთი	5
გურია	3
აჭარა	2
შიდა ქართლი	1
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	1
სულ	**52**

საქსტატის მონაცემებით, 2017 წელს უცხოელი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების მიხედვით, ყველაზე მონახულებადია თბილისი, რომელსაც ვიზიტორების 33.7% სტუმრობდა, შემდეგ მოდის აჭარა 20.5%-ით და ქვემო ქართლი – 12.9%-ით. ყველაზე მონახულებადი რეგიონების ხუთეულშია მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი. თუ არ ჩავთვლით, თბილისს და ბათუმს, სადაც პროგრამა არ ხორციელდებოდა, შესაძლოა, სწორედ ვიზიტორების მზარდი ტენდენციით აიხსნას მცხეთა-მთიანეთსა და სამცხე-ჯავახეთში, სასტუმრო ინდუსტრიის კომპონენტის ფარგლებში, 17 სასტუმროს დაფინანსება.

როგორც ინდუსტრიული მიმართულების, ისე ამ შემთხვევაშიც, სააგენტოში განაცხადეს, რომ სახელმწიფოს მხრიდან გასაცემი თანხის ზუსტი პროგნოზი ამ ეტაპზე შეუძლებელია, რადგან იგი დამოკიდებულია მეწარმე სუბიექტების ეკონომიკურ აქტივობაზე, სესხის წინსწრებით დაფარვაზე, სესხის რეფინანსირებაზე, სესხის გაუქმებაზე, სესხის პროცენტის ცვლილებაზე და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ, ოფიციალური ინფორმაციით, პროგრამის დაწყებიდან დღემდე, სააგენტოს მიერ სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულების ფარგლებში მხარდაჭერილი 52 სასტუმროდან 44 ახალია, რომელთაგან, დღეის მდგომარეობით, 7 სასტუმრო მოქმედია. აღნიშნულმა ახალმა სასტუმროებმა შექმნეს 230 ახალი სამუშაო ადგილი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „აწარმოე საქართველოში“ მიერ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის სასტუმრო ინდუსტრიის კომპონენტით მხარდაჭერილი მოქმედი სასტუმროები			
დასახელება	**საიდენტიფიკაციო კოდი**	**რეგიონი**	**თვითმმართველი ქალაქი / მუნიციპალიტეტი**
შპს ბარაკონი	404486597	მცხეთა-მთიანეთი	ყაზბეგი
შპს მეღვინეობა ხარება	404427928	მცხეთა-მთიანეთი	ყაზბეგი
შპს სასტუმრო გუდაური ინნ	441484948	მცხეთა-მთიანეთი	ყაზბეგი
შპს ბმ პლაზა	441484948	სამცხე-ჯავახეთი	ბორჯომი
შპს მუზე	445492235	აჭარა	ბათუმი
შპს ალგორა	205009809	კახეთი	თელავი
შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა	200075113	კახეთი	გურჯაანი

უახლოეს 2 წელიწადში დაგეგმილია ყველა დანარჩენი ახალშექმნილი სასტუმროს ამოქმედებაც, რომლებიც, პროექტის ფარგლებში, დამატებით შექმნიან 1 000-ზე მეტ ახალ სამუშაო ადგილს (სულ უნდა შეიქმნას 1517 სამუშაო ადგილი, საიდანაც 290-მდე სამუშაო ადგილს პროგრამაში ჩართული გაფართოების პროცესში მყოფი სასტუმროები შექმნიან, დანარჩენს კი – ახალი 44 სასტუმრო).

„აწარმოე საქართველოში“ ცნობითვე, საერთაშორისო ბრენდის გამოყენებით თანადაფინანსება მიიღო 4-მა პროექტმა.

ინდუსტრიული მიმართულების მსგავსად, სააგენტო სასტუმრო ინდუსტრიის კომპონენტშიც არ ფლობს ინფორმაციას ბენეფიციარების მიერ ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ, დღეის მდგომარეობით, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულების არცერთ ბენეფიციართან ხელშეკრულება შეწყვეტილი არ არის.

დასკვნა

<<2014 წლიდან 2018 წლის 31 ივლისის ჩათვლით, სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" ინდუსტრიული ნაწილის (ინდუსტრიული და სასტუმრო ინდუსტრიული ნაწილი) ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემულია, ჯამში, 425 744 916 ლარის სესხი და **სახელმწიფო თანადაფინანსების სახით უკვე გადახდილმა სუბსიდიამ შეადგინა 41,3 მლნ ლარი**.

<< 2014 წლიდან 2018 წლის ივნისის ჩათვლით, ინდუსტრიული კომპონენტის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, 244 პროექტი განხორციელდა, რომელთაგან 98, ანუ მესამედი სტარტაპ ბიზნესი იყო.

<< პროგრამის ინდუსტრიული კომპონენტი ვერ ასრულებს ბიზნესის რეგიონული დივერსიფიკაციის ფუნქციას, რადგან მხარდაჭერილი პროექტების 50%-ზე მეტი, მათ შორის სტარტაპების 50%-ზე მეტი, თავმოყრილია თბილისში.

<< ინდუსტრიული კომპონენტის ფარგლებში დაფინანსებული 244 პროექტიდან საფინანსო ინსტიტუტებმა ყველაზე მეტი სამშენებლო მასალების, საკვები და სასმელის და ქაღალდის შეფუთვის ბიზნესები დააკრედიტეს.

<< ინდუსტრიული კომპონენტის ფარგლებში მხარდაჭერილი 98 სტარტაპიდან საფინანსო ინსტიტუტებმა ყველაზე მეტი სამშენებლო მასალების, საკვები და სასმელის და პლასტმასის დამწყები ბიზნესები დააფინანსეს. ამ შემთხვევაშიც არ მომხდარა რეგიონული დივერსიფიკაციის ამოცანის დასახვა და შესრულება.

<< 98 სტარტაპის დაკრედიტებაში ყველაზე აქტიურები „თიბისი ბანკი“, „თიბისი ლიზინგი“ და „საქართველოს ბანკი“ იყვნენ.

<< 2016 წლიდან 2018 წლის ივნისის ჩათვლით, „აწარმოე საქართველოში“ სასტუმრო ინდუსტრიის ფარგლებში 52 პროექტი განხორციელდა, რომელთაგან 44 ახალი სასტუმროა და მათგან – 7 მოქმედია.

<< სასტუმრო ინდუსტრიის კომპონენტს ყველაზე მეტი ბენეფიციარი (15 პროექტი) კახეთში ჰყავს.

<< სასტუმრო ინდუსტრიის კომპონენტის ფარგლებში, საერთაშორისო ბრენდის გამოყენებით, თანადაფინანსება მიიღო 4-მა ბიზნეს-პროექტმა.

მიუხედავად მილიონობით დახარჯული სახელმწიფო ბიუჯეტის რესურსისა, სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ არ ახორციელებს ერთგვარ მონიტორინგს, თუ როგორ ვითარდებიან პროგრამის ბენეფიციარები, როგორ მიყვებიან ბიზნეს-გეგმის განხორციელებას, რამდენი სამუშაო ადგილია ფაქტობრივად შექმნილი და ა.შ.

პროგრამის განმახორციელებელი სახელმწიფო სსიპ ძირითადად კომერციული ბანკებისაგან მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობა, თუმცა, სააგენტოში განაცხადეს, რომ პროექტის მასშტაბურობიდან გამომდინარე, მონიტორინგისა და შეფასების ეფექტიანობისათვის, გადაწყვიტეს „პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის, ტექნიკური მხარდაჭერის და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტების შედეგების კვლევის” განხორციელება,

რისთვისაც სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა. გამარჯვებულია შპს BDO. შესყიდვის ღირებულება 252 950 ლარია (დღგ-ის გარეშე).

„აღნიშნული კვლევის მიზანია, გამოავლინოს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა და ტექნიკური დახმარების კომპონენტების ეფექტიანობა და შეაფასოს აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარების მიერ მიღწეული შედეგები პროექტში ჩართვის შემდეგ. ასევე, გამოავლინოს პროექტის პირდაპირი და ირიბი ეკონომიკური ეფექტი, როგორც პროექტში მონაწილე ბენეფიციარებზე, ასევე სხვადასხვა ინდუსტრიებსა და მთლიანად ეკონომიკაზე“, – განმარტავენ სააგენტოში „აწარმოე საქართველოში“.

მათივე ინფორმაციით, ტენდერით განსაზღვრული პირობების მიხედვით, კვლევის პირველი ნაწილი, რომელიც გულისხმობს პროგრამის ეფექტიანობისა და შედეგების შეფასებას, ცნობილი გახდება მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში, ხოლო კვლევის მეორე ნაწილი, რაც გულისხმობს პროგრამის ბენეფიციართათვის ინდივიდუალური რეკომენდაციების გაცემას მათი სამეწარმეო საქმიანობის ეფექტურად განხორციელების შესახებ, 2019 წლის მარტისთვის დასრულდება.

ფაქტია, პროექტის ეფექტიანობის შეფასებისთვის მნიშვნელოვან მთავარ კითხვებზე ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ-ში ამ ეტაპზე პასუხები არ აქვთ, ამიტომ მხოლოდ ბენეფიციარების რაოდენობის, საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სესხების მოცულობის და ე.წ. „გაფუჭებული სესხების“ სტატისტიკის მიხედვით, რთულია ვიმსჯელოთ პროექტის წარმატებაზე ან წარუმატებლობაზე და შევაფასოთ სამთავრობო პროგრამის გავლენა, როგორც უშუალოდ ბენეფიციარებზე, ისე – მთლიანად ეკონომიკაზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ეფექტიანობის აუდიტი ჩატარებული არ აქვს.

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ 2019 წელსაც გაგრძელდება.

რეკომენდაციები

1. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის ინდუსტრიული კომპონენტის ფარგლებში დაფინანსებული 244 პროექტიდან 147 დედაქალაქშია, შესაძლოა, გადაიხედოს პროგრამის გეოგრაფიული დაფარვის არეალი. მაგალითად, მსგავსად სასტუმრო ინდუსტრიის კომპონენტისა, რომელიც ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა თბილისისა და ბათუმისა;

2. გამომდინარე იქიდან, რომ ინდუსტრიული მიმართულების ფარგლებში დაფინანსებული 244 პროექტიდან რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში მხოლოდ 1 პროექტი დაფინანსდა, კახეთში -2, სამცხე-ჯავახეთში – 3, შიდა ქართლსა და გურიაში კი – 4-4, სასურველია, სააგენტომ განახორციელოს არსებული საინფორმაციო კამპანიების/არხების ეფექტიანობის შეფასება იმის დასადგენად, უკავშირდება თუ არა რეგიონებში პასიურობა სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმირებულობის დაბალ დონეს (სააგენტოში „აწარმოე საქართველოში“ აცხადებენ, რომ პროგრამის შესახებ პოტენციური ბენეფიციარების ინფორმირების მიზნით, იყენებენ სხვადასხვა ინსტრუმენტს, კერძოდ: სატელევიზიო რეკლამა (ეროვნული მაუწყებლები და რეგიონალური ტელე-მედია); ონლაინ რეკლამა – პროგრამის პირობებისა და შედეგების შესახებ ბანერები, წარმატების ისტორიების ვიდეო ვრცელდება, როგორც საინფორმაციო სააგენტოებში, ისე სააგენტოს ოფიციალურ გვერდებზე სოციალურ ქსელში: (Facebook, Twitter, LinkedIn, სააგენტოს ვებ-გვერდი enterprise.gov.ge;); რეგიონალური ბეჭდური მედიასაშუალებები; რეგიონალური ონლაინ-პორტალები; რადიოსადგურები; შეხვედრები რეგიონალური საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით; საკონსულტაციო მომსახურება სააგენტოს მომსახურების ცენტრებში თბილისსა და ბათუმში. პროგრამის შესახებ ფლაერები, ტრიპლეტები, ბროშურები; კამპანიური ხასიათის სამეწარმეო გამოფენა-გაყიდვების ორგანიზება რეგიონებსა და თბილისში, სადაც მუდმივად განთავსებულია სააგენტოს საინფორმაციო დახლი და ადგილზე შესაძლებელია კონსულტაცია პროგრამის კომპონენტებთან დაკავშირებით;

3. სამთავრობო პროგრამის ეკონომიკაზე გავლენის შესაფასებლად, სასურველია, სსიპ-მა „აწარმოე საქართველოში“ შემოსავლების სამსახურიდან ან უშუალოდ ბენეფიციარებისგან გამოითხოვოს ინფორმაცია მათ მიერ ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების შესახებ;

4. სსიპ-მა „აწარმოე საქართველოში“ წელიწადში ორჯერ ან ერთხელ მაინც ბენეფიციარებს შესავსებად გაუგზავნოს ელექტრონული კითხვარები, რომლის დახმარებით, შეძლებენ მიიღონ ინფორმაცია ბენეფიციარ კომპანიებში/საწარმოებში დასაქმებულთა შესახებ, ახალ სამუშაო ადგილებზე და ა.შ.

5. მნიშვნელოვანია, სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ საფინანსო ინსტიტუტებისგან ფლობდეს სტატისტიკურ ინფორმაციას იმ პოტენციურ ბენეფიციარებზე, რომელთაც ბანკებმა კრედიტი არ დაუმტკიცეს, ასევე, აღნიშნულის მიზეზებზე. ეს გარკვეულწილად საშუალებას მისცემდა სააგენტოს, მიეღო ინფორმაცია ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის სურვილის მქონე მეწარმეების სუსტ წერტილებზე.

ინფრასტრუქტურული განვითარება

აგრარული რეფორმა საქართველოში – დასასრულებელი პროცესი?

ლაშა დოლიძე

შესავალი

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის რეფორმა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, პირველივე წლებში დაიწყო. იგი ქონების მასშტაბური განსახელმწიფოებრიობის პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენდა. როგორც სასოფლო-სამეურნეო მიწის, ასევე, ზოგადად, პრივატიზაციის პროცესი მიმდინარეობდა დროის ქრონიკული დეფიციტის პირობებში, საფუძვლიანი მომზადების გარეშე, რამაც შექმნა მთელი რიგი პრობლემები, როგორც რეფორმის განხორციელების ეტაპზე, ასევე მის შემდეგაც. მოგვიანებით სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისების პროცესში დაშვებული ხარვეზების გამოსასწორებლად არაერთი ნაბიჯი გადაიდგა, მათ შორის, საერთაშორისო დონორების დახმარებითაც. ამჟამად სახელმწიფო ახორციელებს ინიციატივას, რომელშიც მსოფლიო ბანკიცაა ჩართული. შესაბამისი კანონის საფუძველზე მიმდინარე პროგრამა მიზნად ისახავს „მიწის ნაკვეთების სრულყოფილი უფლებრივი და საკადასტრო მონაცემების შექმნის უზრუნველყოფას“[1]. ამ პროგრამის მიმდინარეობა და ზოგადად, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სახელმწიფოს მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრების უფლების უზრუნველსაყოფად და მიწის მართვის სფეროს მოსაწესრიგებლად გადადგმული ნაბიჯები საკმაოდ არაერთგვაროვნად ფასდება. როგორც ჩანს, ამ საკითხს კვლავაც არ დაუკარგავს აქტუალობა, ხოლო არსებული პრობლემების სრულფასოვან მოგვარებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება.

საქართველოში მიწის რეფორმის საკითხს ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი 2013 წელს გამოეხმაურა ნარკვევით ***„მიწის ბაზრის არსებული მდგომარეობა – ანალიზი და რეკომენდაციები“***. ამ კვლევით შევეცადეთ მოგვეხდინა საქართველოს მიწის ფონდის განსაზღვრული ნაწილის – ***1992-99 წლების სასოფლო-სამეურნეო მიწის რეფორმის ფონდის ნაკვეთების პირველადი რეგისტრაციის*** პროცესის ***მიწის ნაკვეთების ცენტრალიზებული სახელმწიფო პროგრამის მეშვეობით პირველადი რეგისტრაციის*** *ადვოკატირება*. პროცესის მხარდაჭერა აუცილებლად მიგვაჩნდა, როგორც ***ეკონომიკური ეფექტიანობის, ასევე ეკონომიკური სამართლიანობის*** პერსპექტივიდან. მას შემდეგ ქვეყანაში სერიოზულად შეიცვალა ეკონომიკური და პოლიტიკური ფონი. ამასთანავე, სამწუხაროდ, მიწის მართვისა და მიწის ბაზრის განვითარების სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ სანდო სტატისტიკური მონაცემები კვლავაც არაა ხელმისაწვდომი. ამიტომაც, ამჯერად ჩვენი ანალიზი მხოლოდ მთავრობის მიმდინარე ინიციატივის ***თანმიმდევრულობის, სისრულისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის*** შეფასებით თუ შემოიფარგლება. ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ მთელი რიგი მიზეზების გამო, შესაძლებელია, გადაიხედოს ჩვენი მიდგომა იმის თაობაზე, თუ რამდენად არის პრაქტიკულად მიზანშეწონილი ჩვენს მიერ შემოთავაზებული ფორმით მიწის რეფორმის ***სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სპეციალური პროექტების განხორციელების გზით დასრულება. ამავე დროს, კვლავაც ერთგულნი ვრჩებით იმ ფუნდამენტური პრინციპების, რომელთა დაცვა აუცილებლად მიგვაჩნდა რეფორმის სრულფასოვანი, ეფექტიანი, სამართლიანი და გონივრულ ვადებში განხორციელებისათვის. ეს მიდგომა ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, თუ ამას სახელმწიფო სპეციალური პროექტის განხორციელების მეშვეობით გადაწყვეტს.***

მიწის რეფორმა ხანგრძლივი, მრავალგანზომილებიანი და წინააღმდეგობრივი პროცესია. მას გააჩნია დადებითი და უარყოფით მხარეები, ჰყავს მომხრეები და მოწინააღმდეგეები და, რაც მთავარია, დასახული მიზნების წარმატებით შესრულების შემთხვევაშიც კი, არ არის სერიოზული ხარვეზებისგან დაცული. ამასთანავე, მიწის რეფორმა ქვეყნის განვითარებისა და მასში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების განუყოფელი ნაწილია, რაც ართულებს როგორც მის დაგეგმვასა და განხორციელებას, ასევე მისი შედეგების ანალიზსაც. ცხადია, საქართველოში განხორციელებულ მიწის რეფორმასაც ახასიათებს ეს თვისებები, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ დღემდე არ წყდება დისკუსია ამ თემის ირგვლივ და მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეთა და დონორი ორგანიზაციების განცხადებებით, რეფორმის სრულფასოვნად დასასრულებლად ჯერ კიდევ გადასადგმელია მნიშვნელოვანი ნაბიჯები.

[1] საქართველოს კანონი სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ

ამაში გულისხმობენ მიწაზე საკუთრების უფლების უზრუნველყოფისათვის რეგისტრაციის სისტემის ***საბოლო ფორმით ჩამოყალიბებას და მოსახლეობისთვის მიწის რეფორმის ფარგლებში გადაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთების პირველადი რეგისტრაციის დასრულებას.***

ზოგადად, მიწის რეფორმა რამდენიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნით ხორციელდება. პირველი მათგანი ***სამართლიანობაა.*** საქართველოს შემთხვევაში, მიწის თავდაპირველი გადანაწილება გამართლებული იყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სახელმწიფო მიწის ფონდის მოსახლეობის ფართო ფენებისათვის მეტ-ნაკლებად თანაბრად გადანაწილების მოტივით (აქ ამ საკითხს ფართოდ აღარ განვიხილავთ). მეორე მოტივი ***თანაბარი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა და სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობაა.*** ამ აზრით, 90-იანი წლების რეფორმამ, სავარაუდოდ, შეძლო შეერბილებინა მოსახლეობისათვის სამოქალაქო ომისა და ეკონომიკის ნგრევის შედეგები და მას მცირეოდენი საარსებო წყარო შეუქმნა (სამწუხაროდ, ამ ფუნდამენტურ საკითხს საქართველოში ეკონომიკური განვითარების შესწავლისას სათანადო ყურადღება არ ექცევა). გარდა ამისა, მიწის რეფორმის მესვეურები ხშირად მოსახლეობის დიდი რაოდენობისთვის მიწის ფონდის გადანაწილების დროს ***ეფექტიანობის*** კრიტერიუმითაც ხელმძღვანელობენ. სამწუხაროდ, მიწის რეფორმის არც ეს ასპექტია სათანადოდ გამოკვლეული ჩვენში, არადა, მცირე ზომის მეურნეობების განვითარება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ჩვენი აზრით, საქართველოში სწორედ მცირე ზომის მეურნეობების განვითარებისა და მათი კონკურენტუნარიანი საოჯახო ფერმების სახით ჩამოყალიბების ხელშეწყობაა პოლიტიკის პერსპექტიული მიმართულება. მიწის რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ***მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობაცაა.*** ეს მიზანი დღეს მუდმივად მოიხსენიება მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეთა მიერ როგორც წერილობით, ისე საჯარო გამოსვლებით, თუმცა არსებული რეალობა აჩვენებს, რომ ამ მიმართულებით ქვეყანაში დიდი წინსვლა არ აღინიშნება.

სახელმწიფო მუდმივად ცდილობს მიწის მმართველობისა და მიწაზე საკუთრების საკითხის მოწესრიგებას სხვადასხვა ინიციატივით, მათ შორის დონორთა დახმარებითაც, თუმცა, ჩვენი აზრით, ეს მცდელობა ხშირად არათანმიმდევრული და არასრულია. ამიტომაც, პრობლემა, რომელიც დაურეგისტრირებელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების ზუსტ მდებარეობასა და ფართობს უკავშირდება, კვლავაც გადაუჭრელი რჩება. სამწუხაროდ, სიტუაციის რაოდენობრივი მახასიათებლები, რასაც ოფიციალური სტატისტიკა უზრუნველყოფდა, ჩვენთვის ხელმიუწვდომელია. სხვადასხვა ექსპერტული შეფასებით, დღეისათვის საქართველოში 20-30%-მდე სასოფლო-სამეურნეო მიწაა რეგისტრირებული, რომლის უმეტესი წილი, სავარაუდოდ, გასული საუკუნის 90-იან წლებში მოსახლეობაზე მიწის რეფორმის ფარგლებში გადაცემულ ნაკვეთებზე მოდის. ამის მიზეზი შესაძლებელია იყოს არასრულყოფილი პროცედურები და კანონმდებლობა, მოსახლეობის უნდობლობა ხელისუფლებისადმი, გადასახადების შიში და სხვა მრავალი ფაქტორი. ბოლო დროს ამ საკითხებს არეგულირებს 2016 წლის ივნისში დამტკიცებული საქართველოს კანონი „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“. წარმოდგენილი ნარკვევით შევეცდებით გავიაზროთ ეს კანონი, ამასთანავე, მთავრობის ინიციატივა მიწის მართვის სფეროს მოწესრიგების კონტექსტში და გავარკვიოთ, როგორ ემსახურება იგი საკუთრებაზე უფლების დაცვის, მიწის ბაზრის განვითარების, სახელმწიფო პოლიტიკისა და სხვა ასპექტებში. ამ მიზნით განვიხილავთ, თუ რამდენად თანმიმდევრულად, სრულად და ეკონომიკურად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ეს ინიციატივა.

მთავრობის ინიციატივის მიმოხილვა

2016 წლის ივნისის კანონი „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ მიზნად ისახავს საპილოტო რეგიონში საკადასტრო სამუშაოების სისტემურად ჩატარებას, ხოლო ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე სისტემური რეგისტრაციის განხორციელებას. ასევე, კანონის მიზნებს წარმოადგენს საკადასტრო მონაცემების ფაქტობრივ მდებარეობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, უკვე რეგისტრაციაში არსებული მონაცემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და საჯარო რეესტრში არსებული მონაცემების სრულყოფა და მათი ურთიერთშესაბამისობის უზრუნველყოფა.

კანონში აღნიშნულია, რომ მისი მოცვის სფეროა არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მიწის, არამედ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებიც. ამასთანავე, კანონში ვკითხულობთ, რომ სპორადული რეგისტრაცია წარმოებს „ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე დაინტერესებული პირის განცხადების, სარეგისტრაციო დოკუმენტაციისა და ამ კანონის შესაბამისად შედგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის საფუძველზე, ამავე

კანონით გათვალისწინებული შეღავათების შესაბამისად.“ ამავე დროს, „საპილოტო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების სისტემური რეგისტრაცია წარმოებს საპილოტო პროექტით გათვალისწინებულ საქართველოს 12 დასახლებაში სააგენტოს მიერ პროაქტიულად და სისტემურად მოპოვებული სარეგისტრაციო დოკუმენტაციისა და მის მიერვე პროაქტიულად და სისტემურად შედგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის საფუძველზე, ამ კანონით გათვალისწინებული შეღავათების შესაბამისად.“ პილოტი მსოფლიო ბანკის პროექტის თანადგომით ხორციელდება. გარდა ამისა, კანონით გამოიყოფა კიდევ ერთი ფუნქციონალური კომპონენტიც, კერძოდ, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება საპილოტო პროექტისთვის განსაზღვრული წესით.

კანონი საკმაოდ დაწვრილებით ეხება მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის, სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთისა და თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების აღიარების წესებს. კარგად იმიჯნება მართლზომიერი მფლობელისა და მესაკუთრის კატეგორიებიც. ამ თვალსაზრისით იგი აქამდე არსებული შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი აქტების გაგრძელებაა. საინტერესოა მედიაციისა და მედიატორის კატეგორიების გაჩენა ამ საკანონმდებლო აქტში.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ კანონი აწესრიგებს სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის სარეგისტრაციო დოკუმენტების ლეგალიზების საკითხსაც. ჩამონათვალში გვხვდება დოკუმენტები, რომელთაც უნდა გააჩნდეთ აუცილებელი რეკვიზიტები (ბეჭედი, ხელმოწერა, და სხვ) იმისათვის, რათა შესაძლებელი გახდეს მიწის რეგისტრაციის პროცესში მათი სრულფასოვანი გამოყენება.

კანონის მოქმედების ვადად 2016 წლის 3 ივნისიდან 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდია დადგენილი, თუმცა ბოლო დროს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი მოქმედების ვადის კიდევ 6 თვით, ***2019 წლის 1 იანვრამდე*** *გაგრძელების შესახებ, 2018 წლის ბოლოს კი გადაწყდა კანონის მოქმედების კიდევ 6 თვით გაგრძელება.*

მთავრობის მიმდინარე ინიციატივის ანალიზი

მიგვაჩნია, რომ მიწის მართვის სფეროში სახელმწიფოს მიერ ამჟამად განხორციელებული ინიციატივა უფრო ფართო პოლიტიკური პროცესის ნაწილი უნდა ყოფილიყო. ამას უნდა მოეცვა ფართო საზოგადოების შესაბამისი მომზადება, პრობლემის სიღრმისეული დასმა და გააზრება, პროექტის მართვის პროცესში, იუსტიციის სამინისტროს გარდა, სხვა სახელმწიფო სტრუქტურების ჩართვა და მონიტორინგის პროცესის შესაბამისი დაგეგმვა. ეს პირობები წარმოდგენილ კანონპროექტსა და მიმდინარე ინიციატივაში არ ჩანს. ამ გლობალურ საკითხებს ჩვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის დასკვნით ნაწილში განვიხილავთ. ამ სექციაში კი წარმოვადგენთ სახელმწიფოს მიმდინარე ინიციატივის წარმართვის უმთავრესი მექანიზმის – ***„სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“*** კანონის შეფასებას მისი ***თანმიმდევრულობის, სისრულისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით***, ხოლო დოკუმენტის დასკვნით ნაწილში შევეცდებით ეს ანალიზი მოვათავსოთ ზოგად სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში და შევაფასოთ იმ ფუნდამენტური პრინციპების გათვალისწინებით, რაც აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო მიწის რეფორმის წარმატებით განსახორციელებლად.

თანმიმდევრულობა

1. შინაგანი თანმიმდევრულობის თვალსაზრისით, კითხვებს ბადებს საპილოტო პროექტის მიმართება სახელმწიფო პროექტთან. დოკუმენტში მკაფიოდ არ იკვეთება, რომ საპილოტო პროექტში დაფიქსირებული შედეგები შემდგომში მთელი ქვეყნის მასშტაბით სარეგისტრაციო ღონისძიებების რეპლიკაციის საფუძველი გახდება ან მისი გარკვეული ასპექტები მაინც იქნება გამოყენებული. გარდა ამისა, არ იკვეთება პილოტისა და სახელმწიფო პროექტის დროში სინქრონიზაციაც.

2. სახელმწიფო პროექტს პროექტი შეიძლება მხოლოდ პირობითად ეწოდოს. სახელმწიფო, ფაქტობრივად, დღეს არსებული წესებით, მიწის რეგისტრაციის საშუალებას აძლევს მაძიებელს, თუმცა გარკვეული შეღავათების გათვალისწინებით. ამასთან განსაზღვრულია გარკვეული დამატებითი ინოვაციებიც. მიგვაჩნია, რომ ეს საკმარისი არ არის, რომ ამ ღონისძიებათა ერთობლიობა, მიუხედავად კანონში არსებული განმარტებებისა, კლასიკური აზრით პროექტად მივიჩნიოთ.

3. საპილოტო პროექტი შერჩეულ არეალზე ხორციელდება მსოფლიო ბანკის „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის[2]“ მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ მიწის რეგისტრაციის კომპონენტი ამ პროექტის საკმაოდ მცირე ნაწილია და მსოფლიო ბანკს არ დაუფიქსირებია თავისი განზრახვა და, რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, არც საქართველოს ხელისუფლებას მიუმართავს მისთვის მომავალში მსგავსი სახის საქმიანობის დაფინანსების მოთხოვნით. იმისათვის, რომ მთავრობის ინიციატივა ამ თვალსაზრისით თანმიმდევრულად ჩაითვალოს, აუცილებელია შესაბამისი თანამშრომლობის ჩარჩოს არსებობა მსოფლიო ბანკსა და საქართველოს მთავრობას შორის, რაც საქმიანობათა დროსა და სივრცეში გარკვეულ კოორდინაციას უზრუნველყოფდა.

4. კითხვები გვიჩნდება თავად კანონის ცალკეულ მიზნებთან დაკავშირებითაც, ასე მაგალითად, კანონის მიზნები გ), დ) და ე). ჩვენი აზრით, თითოეული მათგანი ეხება ფუნქციებს, რომლებიც ისედაც არის ან ისედაც უნდა იყოს იუსტიციის სამინისტროსა და საჯარო რეესტრის პრეროგატივა. იმ შემთხვევაში, თუ საჭირო და აუცილებელია საჯარო რეესტრის ფუნქციების მოდიფიკაცია, ეს უნდა განხორციელდეს უშუალოდ ამ უწყების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ფარგლებში და არა მიწის რეგისტრაციის პროცესის რეფორმირების მიზნით შექმნილი კანონის შესაბამისად. მაგალითად მოვიხმობთ მხოლოდ მიზან ე)-ს: „საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების სრულყოფა და მათი ურთიერთშესაბამისობის უზრუნველყოფა“. ვფიქრობთ, რომ საჯარო რეესტრში დაცული მონაცემების სრულყოფა და ურთიერთშესაბამისობის უზრუნველყოფა წმინდად ტექნიკური ამოცანაა და ეს კანონის გარეშე უნდა კეთდებოდეს. იკვეთება სურათი, რომ მონაცემები წესრიგში არაა და ამავე დროს, გაურკვეველია ის, თუ რა არის ამ უზუსტობების მიზეზი და ხარისხი. რა ვადებში და რა გზით უნდა მოხდეს მათი სრულად აღმოფხვრა, კანონში განმარტებული არ არის.

სისრულე

1. საკმაოდ საინტერესოა გეოგრაფიული მოცვის საკითხი. საჯარო რეესტრის ინტერნეტ- გვერდზე[3] ვკითხულობთ, რომ სისტემური რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს შემდეგ 12 დასახლებულ პუნქტში: მანგლისი, ჯიმითი, არბო-შიკი, არხილოსკალო, სალხინო (ვანის მუნიციპალიტეტი), კარალეთი, ზარიძეები, ვედიდკარი, ლახამულა, საგურამო, მზისგული, შუახევი. ეს 12 დასახელებული პუნქტი შერჩეულია „გეოგრაფიული მრავალფეროვნების გათვალისწინე-ბით.“ ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში, დასახლებული პუნქტების შესარჩევად გეოგრაფიულ მრავალფეროვნებაზე დაყ-რდნობა სრულიად გაუგებარი მოტივია. სასურველი იქნებოდა ისეთი დასახლებული პუნქტების შერჩევა, სადაც შე-საძლებელი გახდებოდა რეგისტრაციის პროცესის სრულყოფილად და იაფად წარმართვისთვის რაც შეიძლება მეტი ალტერნატიული ვარიანტის გამოცდა და ამავე დროს ყველაზე მეტი თვისობრივი პრობლემის გამოკვეთაც, რომელთა გადაჭრის გზებზე მუშაობა სასარგებლო გახდებოდა პილოტის შედეგების მთელი ქვეყნის მასშტაბით რეპლიკაციის ეტაპზე. საკითხავია, რამდენად გამოირჩევიან შერჩეული პუნქტები სხვებისგან თავისსავე რეგიონში უფლებადამდგე-ნი დოკუმენტების არსებობის, მიწის რეფორმასთან დაკავშირებული სპეციფიკური გარემოებების, მიწის ნაკვეთების კონფიგურაციის, დასახლების ტიპის, ეკონომიკური მოწყობისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით. სამწუხაროდ, ამ კითხვებზე პასუხის მოპოვება საჯარო რეესტრის ინტერნეტ-გვერდზე შეუძლებელია.

2. გეოგრაფიული მოცვის თვალსაზრისით, შესაძლოა უფრო მისაღები ყოფილიყო ერთი ან რამდენიმე რეგიონის აღება და მათში მხოლოდ ერთი ტიპის საქმიანობის პილოტირება, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო მიწის რეგისტრაციისა. ეს, პილოტის რეპლიკაციის შემთხვევაში, გააადვილებდა მეთოდოლოგიის დიდ გეოგრაფიულ არეალზე გავრცელებას. ნახსენებ 12 საპილოტო პუნქტში მიმდინარეობს ქონების განსხვავებული ტიპების რეგისტრაციის პროცესი, რაც შეიძლება არც იყოს აქტუალური ქვეყნის დანარჩენი რეგიონებისათვის.

3. სისრულის თვალსაზრისით, უცნაურია ის, რომ პროცესში არ ფიგურირებენ მნიშვნელოვანი სამინისტროები, მაგალითად, ფინანსთა, ინფრასტრუქტურისა და განსაკუთრებით, გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ეკონომიკის სამინისტროც კი წარმოდგენილია მხოლოდ მინისტრის სახით და ისიც მხოლოდ საკადასტრო/აგეგმვითი და აზომვითი სამუშაოების საფასურის ანაზღაურების ნაწილში. შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ კანონპროექტის მომზადების პროცესში აუცილებლი წესით მონაწილეობა უკვე მიიღეს ხსენებულმა და სხვა სამინისტროებმა, მაგრამ პროცესის მაღალ დონეზე წარმართვის, საჭიროების შემთხვევაში, მის მიმდინარეობაში კორექტივების შესატანად, ექსპერტული კომპეტენციის ხელმისწავდომობისათვის და ანგარიშვალდებულების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად აუცილებელი იყო კანონშივე ფიქსირდებოდეს დაინტერესებული სამინისტროების ჩართულობა.

[2] Irrigation and Land Market Development Project. http://projects.worldbank.org/P133828/?lang=en&tab=documents&subTab=projectDocuments
[3] https://napr.gov.ge/p/1465

4. მნიშვნელოვანია იმის გახსენებაც, რომ ჯერ კიდევ 2013 წლის 2 ოქტომბრის მთავრობის #253 დადგენილებით შეიქმნა საქართველოში მიწის მართვის განვითარების სამართლებრივი უზრუნველყოფის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო და დამტკიცდა მისი დებულება[4]. ამ სტრუქტურის მუშაობაში იუსტიციის სამინისტროსა და საჯარო რეესტრის გარდა მონაწილეობდნენ სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ფინანსთა და ენერგეტიკის სამინისტროები, ასევე პარლამენტის წარმომადგენლებიც. საბჭო ჯერ კიდევ მაშინ განიხილავდა საქართველოში მიწის მართვის პრობლემების მოწესრიგების ალტერნატივებს, რომლებიც მთავრობის მაღალი რანგის წარმომადგენლების თანამშრომლობითა და შესაბამისი მექანიზმის შექმნით მოიაზრებოდა. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, წარადგინა თუ არა ამ საბჭომ ანგარიში თავისი საქმიანობის შესახებ საქართველოს მთავრობასთან, ან რამდენად წარმოადგენს მიწაზე საკუთრების რეგისტრაციის პროცესის რეფორმირების ინიციატივა 2013 წელს დაწყებული პროცესის გაგრძელებას. მიგვაჩნია, რომ კანონის დონეზე დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა, ასევე სამინისტროებისა და პარლამენტის მონაწილეობის გარეშე, კლასიკური გაგებით, ვერც სპორადული და ვერც პილოტური რეგისტრაცია ჩაითვლება პროექტად და მით უმეტეს, პროცესს ვერც სისრულის პრეტენზია ექნება. მიგვაჩნია, რომ პროექტს უნდა ჰყავდეს სპეციფიკურად მისი მიზნების შესრულებაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელი და პერსონალი, ასევე, ჰქონდეს დაგეგმვის, განხორციელებისა და ანგარიშვალდებულების მკაფიოდ ჩამოყალიბებული მექანიზმი, უკუკავშირის, მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმები, ასევე განხორციელების ვადები და შესაბამისი ბიუჯეტი.

5. ის გარემოება, რომ კანონში არ იკვეთება პილოტის შედეგების დანარჩენ ქვეყანაზე რეპლიკაციის განზრახვა და შესაბამისი მექანიზმები, ასევე, ის, რომ არ ჩანს მიწაზე საკუთრების რეგისტრაციის ქვეყნის მასშტაბით მოწესრიგებასთან დაკავშირებული იურიდიული, ეკონომიკური, საგადასახადო, ინფრასტრუქტურული თუ გარემოსდაცვითი საკითხები, გვაფიქრებინებს, რომ მთავრობის ინიციატივა სხვა არაფერია, თუ არა ამჟამად არსებული სპორადული რეგისტრაციის პროცესის მექანიკური დაჩქარების მცდელობა. ცხადია, მივესალმებით ერთიანი აზომვითი სტანდარტის შემოღებას, მედიაციის შეთავაზებას განმცხადებლებისათვის და სხვა ინოვაციებს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს სიტუაციას არსებითად არ ცვლის და კანონის მიხედვით, საქართველოში მიწასა და სხვა უძრავ ქონებაზე საკუთრებითი ურთიერთობების მოწესრიგების საკითხი მხოლოდ რეგისტრაციის სუბსიდირებამდეა დაყვანილი.

6. კანონში და მთავრობის მიერ გაცხადებულ გეგმებში არ ჩანს უკუკავშირისა და მონიტორინგის მექანიზმები. მართალია, არ არის აუცილებელი, ეს კანონშივე იყოს ჩაწერილი, მაგრამ აუცილებელია, იყოს მიმართება რაიმე სხვა დოკუმენტზე, რომლითაც განსაზღვრულია კანონის მოქმედებით მიღწეული შედეგების შეფასების მექანიზმები. ამაში ვგულისხმობთ იმას, რომ ნებისმიერ პროექტში საჭირო ხდება შუალედური შედეგების შეფასება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შესაბამისად. ამის შემდეგ მუშავდება და ხორციელდება სათანადო მაკორექტირებელი ღონისძიებები. ამ მექანიზმების არსებობას სამთავრობო სტრუქტურების მაღალი დონის ჩართულობა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა უზრუნველყოფდა, რაც, სამწუხაროდ, გათვალისწინებული არ არის. ასევე, გაუგებარია ის, თუ როგორ უნდა შეფასდეს პროგრამის საბოლოო რაოდენობრივი და ხარისხობრივი შედეგები. თავად პროგრამის ინტერნეტ გვერდზე. 2018 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობით, ვკითხულობთ, რომ რეფორმის ფარგლებში წარმატებით დასრულდა 547 995 განცხადება, 274 471 საკადასტრო/აზომვით ნახაზზე განხორციელდა აზომველისთვის საფასურის გადახდა, ხოლო 1 285 სანოტარო რეგისტრაცია წარმატებით დასრულდა.[5] გაუგებარია, რა იგულისხმება წარმატებით დასრულებაში და, სამწუხაროდ, არც ის ჩანს ამ ინფორმაციიდან, რომელი ქონების პირველად რეგისტრაციაზეა საუბარი, რასაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

ეკონომიკური მიზანშეწონილობა

1. სამწუხაროდ, ჩვენთვის მიუწვდომელია კანონის მოქმედების პერიოდში შესასრულებელი სამუშაოების ეკონომიკური მიზანშეწონილობის შეფასების მეთოდოლოგია და კრიტერიუმები. ამისათვის წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო პროგრამის დაახლოებითი ბიუჯეტი და მისი შედარება ჰიპოთეტურ სიტუაციასთან. უნდა განსაზღვრულიყო პროგრამის განხორციელების პირდაპირი ხარჯები (პერსონალი, კომპიუტერული პროგრამირება, საველე სამუშაოები, მართვა, საზოგადოების ინფორმირება და სხვა), ასევე არაპირდაპირი ხარჯები (რესურსების გადასროლასთან დაკავშირებული ხარჯები, დრო და სხვა). გასაგები უნდა ყოფილიყო ის, თუ რას წარმოადგენს პირდაპირი სარგებელიც (მაგალითად, ქონების გადასახადის აკრეფის გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურული და სხვა პროგრამების განხორციელების გამარტივება) და, ცხადია, არაპირდაპირი სარგებელი, რომელიც მიწის ბაზრის

[4] http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/380
[5] https://napr.gov.ge/chart

განვითარებას, გარემოსდაცვითი პრობლემების მოწესრიგებას და პროგრამის სხვა ეფექტებს დაუკავშირდებოდა. პროგრამის დაწყების წინ ალტერნატიული ვარიანტები (პროგრამის სახელმწიფოს მიერ ცენტრალიზებული წესით განხორციელება, მასშტაბის ეფექტის გათვალისწინებით, პირობითი ამნისტიის გამოცხადება და რეგისტრაციის არსებული წესით უცვლელად დატოვება სუბსიდირების გარეშე) ასევე უნდა ყოფილიყო განხილული და ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისათვის.

2. გაუგებარია, რა გახდა რეგისტრაციის პროცესის სუბსიდირების გადაწყვეტილების საფუძველი. არსებობს გონივრული რისკი, რომ სუბსიდირება კიდევ უფრო წაახალისებს 90-იან წლებში დაწყებული მიწის რეფორმის ხარვეზების ფიქსაციას იმ აზრით, რომ შემჭიდროებულ ვადებში სუბსიდირების გამო სწრაფად გაზრდილი განცხადებების რიცხვის დამუშავება მეტისმეტად გაართულებს ველზე არსებული ნაკლოვანებების გასწორებას. არ არის გამორიცხული, რომ აპლიკანტების ნაწილი შეეცდება, პროექტის ფარგლებში მოახდინოს დარღვევების თავისი ინტერესების სასარგებლოდ და სხვათა საზიანოდ „ლეგალიზება.“

3. ეკონომიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, ვერ დავეთანხმებით მიდგომას, რომლითაც რეგისტრირდება, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები და ნაგებობები. არასასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების ერთეულის საბაზრო ფასი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთის ერთეულის ფასზე ჯერადად მაღალია და აპლიკანტს შესაბამისი საფასურის გადახდა არ უნდა უჭირდეს; არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების ბაზარი გაცილებით განვითარებულია და ტრანზაქციების ინტენსივობა დავების გადაწყვეტის საშუალებას ისედაც ქმნის, მათ შორის, როგორც სასამართლოს, ისე მედიაციის სხვა საშუალებებით; არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გამოყენების დიაპაზონი გაცილებით ფართოა, ვიდრე სასოფლო-სამეურნეოსი, ასევე მისი მიმართება ძირითად ინფრასტრუქტურასთან და გეოგრაფიული განფენილობა რადიკალურად განსხვავდება სასოფლო-სამეურნეო მიწის ანალოგიური მახასიათებლებისგან; ასევე, ვფიქრობთ, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის პირველადი რეგისტრაციისას აუცილებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს საკარმიდამო ნაკვეთებისა და რეფორმის ფონდით მოსახლეობისთვის გადაცემული მიწის ნაკვეთების პირველადი რეგისტრაცია. საკარმიდამო ნაკვეთები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში მოსახლეობას უვადო სარგებლობაში ჰქონდა, მათ გააჩნდათ მკაფიო საზღვრები, მდებარეობდნენ კომპაქტურ ტერიტორიაზე, მათზე იდგა ნაგებობები და მათი რიცხვი შედარებით ნაკლები იყო, რეფორმით გადაცემულ მიწის ნაკვეთების რიცხოვნობასთან შედარებით. გასახსენებელია ისიც, რომ მიწის რეფორმის ერთ-ერთ მიზნად 90-ინ წლებში საკარმიდამო ნაკვეთების გარკვეულ ფართობამდე შევსება განისაზღვრა. ამის გამო და იმის გათვალისწინებით, რომ საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ერთეულის ფასიც, ზოგადად, გაცილებით მაღალია რეფორმის ფონდით გაცემული ნაკვეთების ერთეულის საშუალო ფასზე, არ ახასიათებს ფრაგმენტაცია და უფრო დაცულია, როგორც საკუთრების უფლების სიმტკიცის, ისევე მეზობლებთან და სახელმწიფოსთან შესაძლო დავისაგანაც, ამ ტიპის ქონების პირველადი რეგისტრაციის სუბსიდირება გაუმართლებელია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საკარმიდამო ნაკვეთები (თუ მათ მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით გადავითვლით) მდებარეობს მჭიდროდ დასახლებულ რაიონულ ცენტრებში, რომელთა უმეტესობა ქალაქად ითვლება. ამ ქონების პირველადი რეგისტრაციის იმპლიკაციები, საგადასახადო და ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების თვალსაზრისით, რადიკალურად განსხვავდება 90-იანი წლების მიწის რეფორმის ფარგლებში გაცემული მიწის ნაკვეთების პირველადი რეგისტრაციის იმპლიკაციებიდან.

4. ექსპერტთა არაფორმალური შეფასებებით, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების 25-30%-ია რეგისტრირებული. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მხოლოდ ვარაუდებია, ვინაიდან დაუდგენელია, თუ, ოფიციალურად, რამდენია იმ მიწის ფართობი, რომელზედაც პირველადი რეგისტრაციის პროგრამა უნდა გავრცელდეს. სხვადასხვა დროს გამოთქმული ექსპერტული ვარაუდით, მათ შორის ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის შეფასებით, რეფორმის ფონდით გაცემული ნაკვეთების პირველადი რეგისტრაციით ქვეყნის უმეტესი ტერიტორიის დაფარვას მინიმუმ სამი წელი დასჭირდებოდა (ამაში, ცხადია, არ შედის საკარმიდამო ნაკვეთების რეგისტრაცია)[6]. მთავრობის ინიციატივის მოქმედების ვადა, ჩვენი აზრით, არარეალისტურია ამ ამოცანის დასასრულებლად. მსოფლიო ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით კი, საპილოტო დასახლებებში ნაჩვენები შედეგები 2017 წლის ბოლოსათვის მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა დაგეგმილს[7].

5. ჩვენი აზრით, ეკონომიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, გაუმართლებელია სპორადული რეგისტრაციის სუბსიდირება, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, იკარგება მასშტაბის ეფექტი და, მართალია, აპლიკანტები სარგებლობენ შეღავათებით, მთელს ეკონომიკას პროგრამის განხორციელება ბევრად მეტი უჯდება, ვიდრე ცენტრალიზებული წესით, სახელმწიფოს მიერ პროაქტიულად ჩატარების შემთხვევაში. ამას ადასტურებს ამ სფეროში მთელს მსოფლიოში დაგროვებული უდიდესი გამოცდილება, რის შესახებაც ინფორმაცია მოიპოვება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების ანგარიშებში.

[6] http://eprc.ge/admin/editor/uploads/files/Report_210x280mm_WEB.pdf
[7] http://projects.worldbank.org/P133828/?lang=en&tab=results

დასკვნა

მიწის რეგისტრაციის მარეგულირებელი გარემოს დახვეწა მიწის ბაზრის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, მაგრამ, თუ სახელმწიფოს ინიციატივაში საუბარია მიწის რეგისტრაციის პროცესის რეფორმაზე, მაშინ უპრიანია, დაისვას შემდეგი კითხვები: 1) მოიაზრება თუ არა რეგისტრაციის რეფორმა მიწის რეფორმის შემადგენელ კომპონენტად? 2) თუ რეგისტრაციის რეფორმა მიწის რეფორმის შემადგენელ კომპონენტად მოიაზრება, რა ნაწილშია გასული საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული მიწის რეფორმა? რა არის მისი საბოლოო მიზანი? ვინ არიან მისი ბენეფიციარები? როგორ აპირებს მთავრობა პრობლემების მოგვარებას? 3) თუ რეგისტრაციის რეფორმა არ უკავშირდება გასული საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული მიწის გადანაწილების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას, რა საჭიროა რეგისტრაციის პროცესის დასახვეწად დამატებითი კანონმდებლობის შექმნა? თუკი კანონის ამოცანა მხოლოდ რეგისტრაციის პროცესის რეფორმაა, რა საჭიროა და გამართლებულია თუ არა განმცხადებლებისათვის პროცედურის შეზღუდული ვადით სუბსიდირება? ცხადია, ამის გარდა მიმდინარე ინიციატივის ირგვლივ შეიძლება ბევრი სხვა ლეგიტიმური კითხვაც დაისვას, რაც სცილდება წარმოდგენილი პოლიტიკის ნარკვევის მიზნებს. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, მაინც შესაძლებელია მოკლედ შეჯამდეს მიმდინარე ინიციატივის ავკარგიანობა მიწის რეფორმის დასრულებისა და მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობის ამოცანების ფონზე.

მიწის რეფორმის ***პრაქტიკაში განხორციელებისათვის*** საჭიროა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარება. ეს ღონისძიებები და მათი შესრულების ხარისხის ჩვენი შეფასება მოცემულია ქვემოთ:

- **საზოგადოებასთან და თავად ხელისუფლებაში თანხმობის მიღწევა მიწის რეფორმის ფართო და ტექნიკურ მიზნებთან დაკავშირებით**
  მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული დღემდე მრავალი ნაბიჯია გადასადგმელი საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებისა და ამოცანების სწორად გააზრების ჩათვლით;

- **მიწის რეფორმის/მართვის გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავება**
  საქართველოში ამ საკითხისადმი სისტემური მიდგომის მცდელობა არასოდეს იქნა ბოლომდე მიყვანილი. ხშირად ადგილი აქვს ამოცანების აღრევას. ინიციატივები წყვეტილი ხასიათისაა. დროდადრო ხდება საკითხის წინა პლანზე წამოწევა და ხანმოკლე, არაპროდუქტიული და უადგილოდ პოლიტიზებული დებატების შემდეგ პრობლემები ისევ დავიწყებას მიეცემა ხოლმე;

- **კანონმდებლობის მიღება/მოწესრიგება და უფლებამოსილებათა განსაზღვრა**
  ჯერაც გასარკვევია, უნდა ჰქონდეს თუ არა მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფოს ეკონომიკის ამ სფეროში და რით უნდა განისაზღვროს იგი. რა პრინციპებით უნდა იმართებოდეს სახელმწიფო მიწის ფონდი, როგორი უნდა იყოს მიწაზე გადასახადის პოლიტიკა და სხვა. გარდა ამისა, აუცილებლად მიგვაჩნია მიწასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინვენტარიზაცია, დუბლირებების აღმოფხვრა, მისი წესრიგში მოყვანა და სხვა;

- **ბენეფიციარების გამოვლენა**
  ეს პრობლემაც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დგას. მაშინ მიწის ფონდი ორ ნაწილად დაიყო. ერთი ნაწილი გაიცა მცირე ზომის მრავალრიცხოვან მოსარგებლეებზე, ხოლო მიწის ფონდის მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი გადაინახეს შედარებით დიდ ლოტებად პრივატიზაციისათვის, რაც 2010 წლამდე გაგრძელდა. ამჟამად მიმდინარე სახელმწიფო ინიციატივა არ აზუსტებს, ეკუთვნის თუ არა პირველადი უფასო რეგისტრაცია თანაბრად 1 ჰექტრისა და 100 ჰექტრის მფლობელებსა და მოსარგებლებს?

- **გადასანაწილებელი მიწის ფონდის გამოვლენა (შესყიდვა მსხვილი ფერმერებისგან შემდგომი განაწილებისათვის/სახელმწიფო მიწის ფონდის მომზადება საპრივატიზაციოდ)**
  ჯერაც არ ვიცით, გასული საუკუნის 90-იან წლებში რა ხარისხის მიწა გაიცა მცირე ზომის ნაკვეთებად და რა ხარისხის მიწა გამოიყო შედარებით მსხვილი მესაკუთრეებისათვის პრივატიზაციისათვის. ცხადია, ამ პროცესის შედეგები არ შეიცვლება, მაგრამ ობიექტური ინფორმაციის არსებობა სასარგებლო იქნება, როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე ბაზრის სუბიექტებისათვის;

- **საკუთრების უფლების დაცვა**
  ამ მიმართულებით პრობლემების არსებობა ახალი არ არის. სახელმწიფოს მცდელობა, ხელი შეუწყოს მიწის პირველადი რეგისტრაციის დასრულებას, ამის ერთგვარი ირიბი აღიარებაცაა;

- **დავების გადაწყვეტის ქმედითი მექანიზმების დანერგვა**
  შესაბამისი მექანიზმების შესაქმნელად გარკვეული ნაბიჯები იდგმება, მაგრამ ჯერჯერობით დაუდგენელია, რამდენად ქმედითი და სანდოა დავების გადაწყვეტის ეს საშუალებები რეალობაში;

- **ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა**
  დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამ მიმართულებით სახელმწიფოს პოლიტიკა მეტად არათანმიმდევრულია. ერთი ხელისუფლება მინიმალურად უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელს და იმედებს უცხოელ ინვესტორებზეც ამყარებს, სხვა ხელისუფლების პერიოდში კი მცირე და დიდი ფერმერები სხვადასხვაგვარი სტიმულირების პროგრამებით სარგებლობენ და მიწების უცხოელებზე მიყიდვა იზღუდება, ამავე დროს ხდება როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების პირველადი რეგისტრაციის სუბსიდირება;

- **მონიტორინგი და შეფასება**
  მონიტორინგი და შეფასება საქართველოში მიწის მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი სუსტი წერტილია. საზოგადოებისთვის მიუწვდომელია ზუსტი ინფორმაცია მიწის სტატუსის, მსხვილი ნაკვეთების პრივატიზაციის შედეგად მიღებული ეკონომიკური შედეგების შესახებ და სხვა.

თუ ზემოთმოყვანილ არგუმენტაციას მივიღებთ, საქართველოში მიწის რეფორმა თავის დროზე სრულფასოვნად არ წარმართულა და ამ სფეროში სახელმწიფოს სათანადო კონცენტრირებული ღონისძიებების გარეშე ვითარების გასწორებას მრავალი წელი დასჭირდება. 2013 წელს მიგვაჩნდა და დღესაც მიგვაჩნია, რომ 90-იანი წლების რეფორმის მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდეგ სახელმწიფოს აუცილებლად უნდა უზრუნველეყო მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო ***მიწაზე საკუთრების უფლების მტკიცე გარანტიები.*** შემდგომში მიწის თავდაპირველი განაწილების რეფორმის ხარვეზების გასასწორებლად არაერთხელ წამოწყებულ სახელმწიფო ინიციატივებს, სხვა ბევრ სისუსტესთან ერთად, ყოველთვის აკლდა ერთი ფუნდამენტური პრინციპის ირგვლივ მუშაობა – ***თავდაპირველად სახელმწიფოს, კერძო სექტორთან შეთანხმებით, უნდა დაედგინა გასხვისებული მიწის ფონდის საზღვრები და ფართობი, მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი სახელმწიფო მიწის ფონდის ადეკვატური განკარგვა და სხვა დამატებითი მიზნების მიღწევა (ინფრასტრუქტურული, გარემოსდაცვითი, საგადასახადო, ინვესტორების მოზიდვა და სხვა). ეს კი მხოლოდ შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოების სათანადოდ ჩატარებით იქნებოდა შესაძლებელი.***

ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ მიწის რეფორმა გასული საუკუნეების ეკონომიკური ფენომენია. ჩვენი აზრით, ეს საკითხი აქტუალობას არც 21-ე საუკუნეში დაკარგავს, ვინაიდან ურბანული განვითარება არაურბანული, მათ შორის, სასოფლო ტერიტორიების განვითარების გარეშე შეუძლებელია. საკითხი სცილდება მხოლოდ მიწის მართვას, საკუთრებისა და პროდუქტიულობის საკითხებს და უკავშირდება გარემოსდაცვითი, ინფრასტრუქტურული, საგადასახადო და ზოგადად, ქვეყნის დემოკრატიულ მოწყობასთან დაკავშირებული პრობლემების ფართო სპექტრს. ამ აზრით, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის რეფორმის დასრულება საშური საქმეა. მიუხედავად ამისა, წარსულში დაგროვილი გამოცდილება, რაც სახელმწიფოს მოუმზადებელი და სანახევრო ინიციატივების ჩავარდნას უკავშირდება, გვაფიქრებინებს, გამოვთქვათ პესიმისტური მოსაზრება, რომ სჯობს სახელმწიფომ თავი დაანებოს ამ საკითხის მოგვარების მცდელობას და ეს საქმე მთლიანად საბაზრო ძალებს მიანდოს.

რეკომენდაცია

საქართველოს პირობებში მიწის რეფორმის სათანადოდ დასასრულებლად აუცილებელია მოხდეს საკითხის ჩამოცილება საარჩევნო ციკლიდან და ქვეყნის უმაღლესმა ხელისუფლებამ იკისროს პოლიტიკური პასუხისმგებლობა რთული და დროში გაწელილი პროექტის განხორციელებაზე.

ჯერ კიდევ 2013 წელს ***ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი*** მიწის რეფორმის დასასრულებლად მთავრობასა და საზოგადოებას, ცენტრალიზებულ პროაქტიულ მიდგომასთან ერთად, ***სხვა ორ*** ალტერნატიულ ვარიანტს სთავაზობდა. პირველი ალტერნატივა ეგრეთ წოდებული ***პირობითი ამნისტია იყო.*** *ეს გულისხმობდა ქვეყნის მასშტაბით, როგორც მართლზომიერ, ისე არამართლზომიერ მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებაში დამტკიცებას. მეორე ალტერნატივა* ***სტატუს ქვოს*** *შენარჩუნება, ანუ მაშინ არსებული რეგისტრაციის წესის შენარჩუნება იყო. პირველი ალტერნატივის განხორციელება ეკონომიკურად ყველაზე იაფია, მაგრამ ძალიან ძლიერი პოლიტიკური ნების დაფიქსირება სჭირდება. რაც შეეხება სტატუს ქვოს, ფაქტობრივად, თუ ძველი პროცედურების გარკვეულ მოდიფიკაციას არ ჩავთვლით, დღესაც მოქმედებს, თუმცა გაუმართლებელ სუბსიდიებთან არის მიბმული. ჩვენი აზრით, მთავრობის ამჟამინდელი ინიციატივის დასრულების შემდეგაც დარჩება ფუნდამენტური პრობლემები სასოფლო-სამეურნეო მიწის მართვის, მიწაზე საკუთრების უფლებისა და ბაზრის განვითარების მიმართულებით. ეს პრობლემები დროთა განმავლობაში საბაზრო ურთიერთობებითა და კანონმდებლობისა და შესაბამისი ტექნიკური კომპეტენციის ევოლუციის გზით გადაწყდება. ეს გზა მიწის რეფორმის დასრულების დროში ყველაზე მეტად გაწელილი გზაა, მაგრამ მას არ სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფა. ეს მას, ამჟამად მიმდინარე ინიციატივასთან შედარებით, დიდ უპირატესობას ანიჭებს.*

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA-ს შესაძლებლობების გამოყენება საქართველოში

გიორგი ჩიტაძე

ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის, რომელიც თავის თავში აერთიანებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (შემდგომში DCFTA) საქართველოს უახლეს ისტორიაში განიხილება, როგორც გამორჩეული მოვლენა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას. საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია შესაძლებელია, განხილულ იქნას უამრავ ასპექტში, თუმცა საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაცია ევროკავშირში ცალსახად მოიცავს, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის ვაჭრობის ინტენსიფიკაციას.

კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი მრავალჯერ აღნიშნულ ფაქტს, რომ DCFTA ქართველი მეწარმეებისათვის ძალაში შევიდა 2014 წლიდან და ამ პერიოდიდან უკვე შესაძლებელია ქართული პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე ტარიფების გარეშე განთავსება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტარიფების გაუქმებასთან ერთად, შეთანხმებამ არ გააუქმა ეგრეთ წოდებული არასატარიფო ბარიერები, რომელიც სხვაგვარად განიხილება, როგორც ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში და რომლებიც განსაზღვრავენ ევროკავშირის ბაზარზე განსათავსებელი პროდუქტებისათვის უსაფრთხოების მინიმალურ მოთხოვნებს. სწორედ არასატარიფო ბარიერები წარმოადგენენ საქართველოს ევროკავშირში ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითად მიზეზს.

იმ შემთხვევაში, თუ გავაანალიზებთ ზემოაღნიშნულს, დავინახავთ, რომ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების და მისი ნაწილის – DCFTA-ს ხელმოწერა და, თუნდაც ძალაში შესვლა, არ შეიძლება ჩაითვალოს პროცესის დასრულებად. შეთანხმების ხელმოწერა და ძალაში შესვლა თავისთავად არაფერს არ ნიშნავს, თუ არ მოხდება შეთანხმებით გათვალისწინებული შესაძლებლობების გამოყენება.

მას მერე, რაც ძალაში შევიდა DCFTA, მკაფიოდ გამოჩნდა, რომ ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევა სირთულეს წარმოადგენს ქართველი მეწარმეებისათვის. ეს სირთულე განსაკუთრებით თვალში საცემია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, რომლებსაც ჯერ კიდევ არ გააჩნიათ რესურსი და შესაძლებლობა, რომ შეძლონ საკუთარი წარმოებების გადაიარაღება, საწარმოებში კვალიფიციური პერსონალის დაქირავება და ამ გზით ევროინტეგრაციის გამოწვევების გამკლავება. პროცესს ისიც ართულებს, რომ DCFTA ასევე ითვალისწინებს კანონმდებლობის დაახლოების პროცესს, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში გულისხმობს იმას, რომ საქართველოში არსებული მცირე და საშუალო საწარმოები გარკვეული პერიოდის შემდეგ ვეღარ მოახდენენ საკუთარი პროდუქტების ქართულ ბაზარზე განთავსებასაც კი. სწორედ ამ ფაქტების გაანალიზების შემდეგ, 2016 წელს, DCFTA-ს ძალაში შესვლიდან 2 წლის თავზე, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის (შემდგომში სტრატეგია).

წინამდებარე დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს მკაფიო გახადოს ის კავშირები, რაც არსებობს DCFTA-სა და სტრატეგიას შორის და განსაზღვროს ის რეკომენდაციები, რომლებიც სამომავლოდ შეიძლება გამოადგეს, როგორც მთავრობას, ისე სხვა დაინტერესებულ პირებს მეწარმეობის განვითარებისა და ევროინტეგრაციის პროცესის დასაჩქარებლად.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია და DCFTA

ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რატომაც იქნა მიღებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრატეგია, იყო ის, რომ სათანადოდ ვერ ხდებოდა DCFTA-ს შესაძლებლობების ათვისება ქართველი მეწარმეების მიერ. მას მერე, რაც საქართველომ ინტენსიურად დაიწყო ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია, საჭირო გახდა, რომ ყველა სტრატეგიული დოკუმენტი, რომლის მიღებასაც მოახდენდა მთავრობა, ყოფილიყო თანხვედრაში ევროპულ სტანდარტებთან. სწორედ ამ პრინციპის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სტრატეგია შემუშავებული ყოფილიყო ევროკავშირის მიერ 2008 წლის მაისში მიღებული

ევროპული მცირე ბიზნესის აქტზე – „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ – დაყრდნობით. ევროპული მცირე ბიზნესის აქტი ეყრდნობა 10 ძირითად პრინციპს, მათ შორისაა მეწარმეობისათვის საუკეთესო გარემოს შექმნა, კეთილსინდისიერი მეწარმეებისათვის, გაკოტრების შემთხვევაში, მეორე შანსის მიცემა, მარეგულირებელი წესების დამყარება პრინციპზე – „უპირველესად იფიქრე მცირეზე“, საჯარო სექტორის რეაგირება მცირე და საშუალო საწარმოების საჭიროებებზე, მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობისათვის საჭირო სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, საწარმოებისათვის ხელის შეწყობა ევროკავშირის ერთიანი ბაზრის ფარგლებში მეტი სარგებლის მიღების კუთხით, მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციური უნარ-ჩვევების განვითარება, მცირე და საშუალო საწარმოების დახმარება, რომ გარემოსდაცვითი გამოწვევები აქციონ უპირატესობად, მცირე და საშუალო საწარმოების დახმარება და ხელშეწყობა ბაზრების გაფართოებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულ ქვეყნებში (მათ შორის, ევროკავშირის ქვეყნებში), მცირე და საშუალო საწარმოებს საკმაოდ დიდი წილი უკავიათ ქვეყანაში მოქმედი საწარმოების რაოდენობაში. სწორედ მცირე და საშუალო საწარმოები ქმნის სამეწარმეო სექტორის მთლიანი ბრუნვის 50%-ზე მეტს და ყოველი სამი სამუშაო ადგილიდან ორს კერძო სექტორში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში, კომპანიების 99%-ზე მეტს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ და საშუალოდ ქმნიან მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2/3-ს. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოები საწარმოების მთლიანი რაოდენობის 90%-ზე მეტს წარმოადგენენ, თუმცა მათი წილი მშპ-ში ზოგადად საკმაოდ დაბალია – ხშირ შემთხვევაში 20%-ზე ნაკლები.

ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლების მიღწევის მიზნით და საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერებისა და ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის სტრატეგიაში განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

სტრატეგიული მიმართულება 1: საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიმართულება 2: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიმართულება 3: მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;

სტრატეგიული მიმართულება 4: ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია;

სტრატეგიული მიმართულება 5: ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა.

სტრატეგიის 5 მიმართულება მოიცავს 33 პრიორიტეტულ ქმედებას, რომლებიც უნდა განხორციელდეს 2020 წლამდე და რომელთა განხორციელებამაც შესაძლებლობა უნდა მოგვცეს, რომ საქართველოში არსებული მცირე და საშუალო საწარმოები დაუახლოვდნენ ევროპულ სტანდარტებს. პრიორიტეტული მიმართულებები მოიცავს მცირე და საშუალო საწარმოების ოპერირების გარემოს საკანონმდებლო და ინსტიტუციურ გაუმჯობესებას და ისეთი მექანიზმების შემოტანას, როგორიცაა რეგულირების გავლენის შეფასება იმ საკანონმდებლო აქტების პროექტებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მცირე და საშუალო საწარმოებზე. გარდა აღნიშნულისა, პრიორიტეტული მიმართულებები ასევე მოიცავს მცირე და საშუალო საწარმოების ბუღალტრული ანგარიშგების სტანდარტის გაუმჯობესებას და გამჭვირვალობის გაზრდას. სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა წარმოებაში ევროპული სტანდარტების, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას. სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს პროფესიული განათლების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც მორგებული იქნება ადგილობრივი მეწარმეების საჭიროებებზე და გააუმჯობესებს ქვეყანაში წარმოების შესაძლებლობებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიაში ცალკე მიმართულებად არის გამოყოფილი ექსპორტის ხელშეწყობა და ქართული საწარმოების ინტერნაციონალიზაცია. დოკუმენტის მე-4 სტრატეგიულ მიმართულებაში DCFTA-ს მოთხოვნებთან დაახლოება მიჩნეულია, როგორც ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა და აქცენტია გაკეთებული იმაზე, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მცირე და საშუალო მეწარმეებს, რომ, რაც შეიძლება სწრაფად, ეფექტიანად და ნაკლები დანახარჯებით დანერგონ ევროპული სტანდარტები საკუთარ საწარმოებში.

იმ მიზნით, რომ სტრატეგიით განსაზღვრული მიზნები ყოფილიყო გაზომვადი პროგრესის შეფასებისათვის, სტრატეგიის საზომად განისაზღვრა OECD[1]-ის მცირე და საშუალო საწარმოების პოლიტიკის ინდექსი. ინდექსი შეიქმნა 2006 წელს ევროკომისიასთან, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან და ტრენინგების ევროპულ

[1] ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1961 წელს და აერთიანებს ყველაზე განვითარებულ 36ქვეყანას. http://www.oecd.org/about/

ფონდთან თანამშრომლობით. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგია მიღებულ იქნა 2016 წელს, ინდექსით განსაზღვრულ სფეროებში პროგრესის გასაზომად გამოყენებულ იქნა შესაბამისი მაჩვენებლები 2013 წლის მდგომარეობით, ნაცვლად 2016 წლისა, რაც მნიშვნელოვნად აადვილებს სტრატეგიის მიზნების შესრულებას.

სტრატეგიის მიზნების შესრულების ვადად დადგენილია 2020 წელი და მისაღწევი შედეგები ფორმულირებულია შემდეგნაირად:

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნები (საბაზისო – 2013 წელი):

1. 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად საშუალოდ 10%-ით;
2. 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 15%-ით;
3. 2020 წლისთვის მწარმოებლურობის ზრდა 7%-ით.



წყარო: საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის.

მცირე და საშუალო საწარმოების სფეროსთან დაკავშირებული სტატისტიკის მიმოხილვა

მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებასთან დაკავშირებული სტატისტიკის განხილვამდე, მნიშვნელოვანია, ერთიანი აღქმა ჩამოყალიბდეს იმაზე, თუ რა არის მცირე და საშუალო ბიზნესი. შესაბამისად, საჭიროა, რომ მცირე და საშუალო საწარმოების განსაზღვრა იყოს მკაფიო და ცალსახა, რომ არ იყოს ციფრებით მანიპულირების შესაძლებლობა. სწორედ ერთიანი დეფინიციის შემოტანა წარმოადგენდა სტრატეგიის ერთ-ერთ ძირითად მიზანს. OECD-ის შეფასებით, საქართველომ 2017 წლის ბოლომდე შეასრულა სტრატეგიით აღებული ვალდებულება და დაადგინა მცირე და საშუალო საწარმოების მკაფიო განმარტება სტატისტიკური გათვლებისათვის, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე საქართველოს კანონმდებლობა მოიცავს რამდენიმე სახის განმარტებას, მათ შორის, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონი მცირე და საშუალო ზომის საწარმოდ მიიჩნევს შემდეგ სუბიექტებს:

აქტივების ჯამური ღირებულება	≤ 1 მლნ ლარი
შემოსავალი წლის განმავლობაში	≤ 2 მლნ ლარი
დასაქმებულთა რაოდენობა საანგარიშო პერიოდში	≤ 10

საქართველოს საგადასახადო კოდექსი საგადასახადო მიზნებისათვის განსაზღვრავს შემდეგს:

საწარმოს ზომა	ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში
მიკრო ბიზნესი	≤ 30,000 ლარი
მცირე ბიზნესი	≤ 500,000 ლარი

გარდა აღნიშნული განსაზღვრებებისა, საქართველოში ასევე მოქმედებს ახალი მეთოდოლოგია, რომელსაც საქსტატი იყენებს სტატისტიკური მონაცემების საწარმოებლად და რომელიც არის შემდეგი:

საწარმოს ზომა	დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	ბრუნვა (მლნ ლარი)
საშუალო	20 – 100	0,5 – 1,5
მცირე	<20	<0,5
მიკრო	=1	<0,03

მოყვანილი განმარტებებიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოში არსებული კანონმდებლობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან და შესაბამისად, რთულია სტატისტიკური მონაცემები ერთნაირი იყოს ყველა სფეროსთვის. იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულია საქსტატის მონაცემები, შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტისათვის მცირე და საშუალო ბიზნესი განიმარტება საქსტატის მეთოდოლოგიის შესაბამისად.



წყარო: საქსტატი

საქსტატის მონაცემების შესაბამისად, მცირე და საშუალო საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქცია და მომსახურება მუდმივად იზრდებოდა. საშუალო საწარმოებში წლიურმა საშუალო ზრდამ, 2014 წლიდან 2017 წლის ჩათვლით, 12% შეადგინა, ხოლო მცირე ზომის საწარმოებში იგივე მონაცემი 15%-ს აღწევს. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულობა საკმაოდ მაღალია, რამაც, წესით, შესაძლებლობა უნდა მისცეს მცირე და საშუალო საწარმოებს, რომ ეფექტურად მოახდინონ ევროპული სტანდარტების დანერგვა. მიუხედავად ასეთი მაღალი ზრდისა, საწარმოები მაინც ნელა და არათანმიმდევრულად ახორციელებენ ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევას.



წყარო: საქსტატი

საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების კუთხით კვლევ ლიდერობენ მცირე საწარმოები, რომლებშიც ინვესტიციების ზრდამ 2014-2016 წლებში, წელიწადში, საშუალოდ, 13% შეადგინა, მაშინ, როდესაც იგივე მაჩვენებელმა საშუალო საწარმოებში 9% შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ ინვესტიციების სფეროში 2013-2014 წლებში დაფიქსირდა მნიშვნელოვანი – 10%-იანი ვარდნა.

საწარმოებში ინვესტირების მაჩვენებელი პირდაპირ არის დაკავშირებული სტრატეგიის ერთ-ერთ ძირითად მიზანთან, რომელიც საწარმოების ინტერნაციონალიზაციას გულისხმობს. ინვესტიციების მაჩვენებლებში მკვეთრი ვარდნა დაფიქსირდა 2014-2015 წლებში, როდესაც ინვესტიციების რაოდენობა მცირე საწარმოებში შემცირდა 32%-ით. საგულისხმოა, რომ ამ მაჩვენებლის გაუმჯობესება დამოკიდებულია ბევრ რეფორმაზე და ერთ-ერთი ასეთი რეფორმაა მცირე და საშუალო საწარმოებში IFRS[2]-ის სტანდარტების დანერგვა. IFRS-ის სტანდარტების დანერგვით საწარმოებში მნიშვნელოვნად გაიზრდება ფინანსური გამჭვირვალობის ხარისხი, რაც შესაძლებლობას მისცემს საერთაშორისო ინვესტორებს, იოლად მიიღონ გადაწყვეტილებები საწარმოებში ინვესტირების შესახებ.



წყარო: საქსტატი

[2] საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ფონდის მიერ გამოცემული სტანდარტები https://www.ifrs.org/

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ციფრების თანახმად, მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა 2014-2017 წლებში, წელიწადში, საშუალოდ, 3,3% და 4,1%-ით იზრდებოდა, მაშინ, როდესაც მსხვილ საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა იგივე პერიოდში იზრდებოდა 7,2%-ით. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, მცირე საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 10%-ით.

კიდევ ერთი სტატისტიკური მაჩვენებელი, რომელიც კარგად აჩვენებს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების დინამიკას, არის საწარმოების ბრუნვა. სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, საწარმოების ბრუნვა ყოველწლიურად სტაბილურად იზრდება და 2014-2017 წლებში, წელიწადში, საშუალოდ, 12%-ს აღწევს. ამ შემთხვევაში სურათი საპირისპიროა – საქართველოში საწარმოების ბრუნვის ზრდის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მსხვილ საწარმოებში და ამ მაჩვენებელმა იგივე პერიოდში, საშუალოდ, 15% შეადგინა, მაშინ, როდესაც საშუალო საწარმოებში ეს მაჩვენებელი 11,3%, ხოლო მცირე საწარმოებში 12,1% იყო.



წყარო: საქსტატი

წინამდებარე დოკუმენტის სტატისტიკის ნაწილის დასასრულს ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დოკუმენტში არ იქნა მოყვანილი ციფრები მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობის შესახებ. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ეს მიმართულება ბევრ პრობლემასთან არის დაკავშირებული. საერთო ჯამში უნდა ითქვას, რომ საქართველოში არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა საწარმოების დახურვის შესახებ არცთუ ეფექტურია და ამის გამო მეწარმეები უკვე გახსნილ საწარმოებს არ ხურავენ ბიუროკრატიული ბარიერების გამო. შესაბამისად, აღნიშნული მაჩვენებელი წლების განმავლობაში მხოლოდ ზრდით ხასიათდებოდა, რაც არ ასახავს რეალობას. საწარმოების გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონში შესაბამისი ცვლილებები შეტანილ იქნა 2017 წელს, რამაც მნიშვნელოვნად უნდა შეამციროს ბიუროკრატიული ბარიერები და ხელი შეუწყოს ამ პროცესების ეფექტიანად და ნაკლები დანახარჯით წარმართვას, თუმცა, აღნიშნული ცვლილებების შედეგები რამდენიმე წელში გამოჩნდება.

გამოწვევები მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების გზაზე

იმ გამოწვევების გარდა, რომლებიც იდენტიფიცირებულ იქნა სტრატეგიაში და რომლებზეც შემუშავდა სამოქმედო გეგმები, საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების პრობლემები გაცილებით მრავალფეროვანია და მოიცავს ფართო სპექტრს. ეს არის პრობლემები, რომლებსაც საწარმოები ყოველდღიურ საქმიანობაში აწყდებიან და რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებენ მათ განვითარებას. სხვადასხვა კვლევებისა და რეგიონული შეხვედრების დროს გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

ადგილობრივი ფერმერები და მეწარმეები საუბრობენ იმის საჭიროებაზე, რომ სახელმწიფო პროგრამები უნდა გახდეს უფრო მეტად გახსნილი ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კუთხით, განსაკუთრებით, სტარტაპებისათვის.

არსებულ პროგრამებში ხშირად არის შემთხვევები, როდესაც გამოტოვებულია რომელიმე რეგიონი და ამ რეგიონის მოსახლეობას არ აქვს შესაძლებლობა, მონაწილება მიიღოს პროგრამაში, როგორც ბენეფიციარმა. ამ პრობლემის კარგი მაგალითებია:

- სახელმწიფო პროგრამით – „დანერგე მომავალი“ – გათვალისწინებული მეთოდოლოგიის გამო, მეწარმეებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, პროგრამის ფარგლებში მოაწყონ შავი მოცვის ბაღები, ვინაიდან პროგრამით ასეთი კულტურის დაფინანსება აკრძალულია.

- კოოპერატივების მხარდამჭერი პროგრამები ითვალისწინებს სხვადასხვა ფერმერული აღჭურვილობის გადაცემას. მეწარმეებმა მთიანი აჭარიდან აღნიშნეს, რომ რთული რელიეფის გამო, კოოპერატივის წევრები ცხოვრობენ ერთმანეთისაგან მოშორებით და ერთეული ტექნიკა/აღჭურვილობის გადაცემის შემდეგ პრობლემაა ამ ტექნიკის/აღჭურვილობის გადაადგილება.

- EMPARD-ის პროგრამის გაფართოება სვანეთზე – პროგრამამ უარი თქვა მესტიის მუნიციპალიტეტში პროექტის დაფინანსებაზე. სვანეთში გამართული შეხვედრის დროს ადგილობრივმა ფერმერებმა მოითხოვეს, რომ პროგრამას მთავრობის მხრიდან მისცემოდა რეკომენდაცია, რომ პროექტები სვანეთშიც განეხორციელებინა.

- სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ დაფინანსება, რომლის გაზრდაც სასურველია, რომ უფრო მეტმა ფერმერმა შეძლოს პროგრამით სარგებლობა. ასევე საჭიროა ჩაის პროდუქტებისათვის მარკეტინგული პროგრამების განხორციელება, გამოფენებში მონაწილეობა და სხვა.

სამრეწველო წყლის არინების საკითხი – შიდა ქართლში ადგილობრივ ქარხნებს და სხვა საწარმოებს მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის წარმოების პროცესში გამოყენებული წყლის არინების საკითხი. არსებული პრაქტიკით, წყალს მეწარმეები უშვებენ საკანალიზაციო სისტემებში, სწორედ ამის გამო ხდება შემდგომში მათი დაჯარიმება ადგილობრივი წყლის კომპანიების მხრიდან. თუმცა, რეალურად არ არსებობს სხვა ალტერნატიული სისტემა, სადაც შესაძლებელი იქნება წყლის ჩაშვება. მართალია, პრობლემა დასახელდა მხოლოდ შიდა ქართლში ჩატარებული შეხვედრების დროს, თუმცა, ეს არ გამორიცხავს, რომ იგი თავს იჩენს სხვა რეგიონებში.

წყლის კომერციული ტარიფების სიძვირე – წარმოების გაზრდის ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად დასახელდა წყლის და ენერგორესურსების კომერციული ტარიფების სიძვირე. მაგალითად, წყლის ჩვეულებრივი ტარიფი არის 0,26 ლარი 1მ3, ხოლო სამრეწველო ტარიფი არის 4,4 ლარი 1მ3. კომერციული ტარიფების განსაკუთრებული სიძვირე მნიშვნელოვნად აზარალებს ტურიზმის ბიზნესსაც. საოჯახო საწარმოები, რომლებიც, საქმიანობის დეკლარირების შემთხვევაში, დაექვემდებარებიან მაღალ ტარიფს გაზზე და დენზე, ცდილობენ თავი აარიდონ ამ საფასურის გადახდას და ამიტომ ასეთი ბიზნესები ქვეყანაში, ხშირ შემთხვევაში, მუშაობენ დაფარულად.

ადგილობრივი ფერმერები და მეწარმეები თითქმის ყველა რეგიონში აღნიშნავენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის პრობლემას. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად ფერმერები ფიქრობენ, რომ საქართველოს მთავრობამ კომერციულ ბანკებთან ერთად უნდა იმუშაოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ლიზინგის შემოღებისათვის, რათა მეწარმეებს გაეზარდოთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობა. ამბობენ, რომ კომერციული ბანკები სასოფლო ტექნიკის შესაძენად ლიზინგის ხელშეკრულებით სარგებლობის უფლებას არ იძლევიან.

რეგიონული შეხვედრების ფარგლებში, ადგილობრივი მეწარმეების მიერ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა სასოფლო თუ არასასოფლო სამეურნეო მიწის პრივატიზების დროს მიწის სააუქციონო მინიმალური ფასის განსაზღვრა. მიწის შესაძენად ინტერესის გამოხატვის შემთხვევაში, ხდება მიწის შეფასება აუქციონის მინიმალური ფასის დასადგენად. ფასი, უმეტეს შემთხვევაში, გამოდის იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე ადგილობრივი საბაზრო ფასია.

პრობლემის აღმოსაფხვრელად არსებობს რამდენიმე გზა:

- ✓ გადაიხედოს მიწის შეფასების მეთოდოლოგია და მიღებულ იქნას უფრო ადეკვატური კრიტერიუმები;

- ✓ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსთან ერთად, ალტერნატიული შეფასების საწარმოებლად, მოხდეს სხვა, თუნდაც, კერძო შემფასებლების ჩართვა ამ სფეროში.

თაფლის მწარმოებლების მიერ გამოითქვა ინიციატივა, რომ დაარსდეს ფუტკრის/თაფლის ფესტივალი, რომელიც ყოველწლიურად გაიმართება იმ რეგიონებში, სადაც არის თაფლის წარმოების შესაძლებლობები. მათი შეფასებით, ასეთი ფესტივალი ხელს შეუწყობს ფუტკრის და თაფლის მიმართ ცნობადობის გაზრდას. თაფლის წარმოებაზე საუბრის დროს, მეწარმეებმა სამეგრელოს რეგიონიდან აღნიშნეს, რომ შეფერხებით ხორციელდება წალენჯიხაში ფუტკრის ცენტრის რეაბილიტაციის სამუშაოები. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოები მაღალი ტემპით დაიწყო, ამ ეტაპზე რეაბილიტაციის პროცესი არის შენელებული. ფერმერების განცხადებით, წალენჯიხის ფუტკრის ცენტრის

ამუშავება შესაძლებელს გახდის მუხურის ფუტკრის ჯიშის შენარჩუნებას. მეწარმეების აზრით, მეფუტკრეობის დარგის განვითარებისათვის ასევე მნიშვნელოვანია დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით სპეციალური ბილიკების მოწყობა, რომ, თაფლის წარმოების გაზრდის მიზნით, შესაძლებელი იყოს ფუტკრის სკების განთავსება ამ ბილიკებზე.

მაღალმთიან რეგიონებში მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა იქ არსებული სასტუმროებისა და კვების ობიექტების ხელმისაწვდომობა სასაკლაოს მომსახურებაზე. იმის გამო, რომ ადგილობრივ ტურისტულ ობიექტებს ძვირი უჯდებათ პირუტყვის წაყვანა შესაბამის სასაკლაოზე და შემდგომში ხორცის უკან წამოღება, ისინი ცდილობენ თავი აარიდონ ამ რეგულაციას, თუმცა პრობლემა ექმნებათ სურსათის სააგენტოსთან შესაბამისი სერტიფიკატის არქონის გამო, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათი დაჯარიმება.

შეჯამება და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მცირე და საშუალო საწარმოებს საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევა აქვთ დასაძლევი. წარმოდგენილი დოკუმენტი კარგად ასახავს იმ რეალობას, რაც ქვეყანაში არსებობს. პრობლემები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის პირობითად, შესაძლებელია, დაჯგუფდეს ორ ძირითად მიმართულებად. პირველი მათგანია პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც მთავრობამ და სახელმწიფო ორგანიზაციებმა განსაზღვრეს, როგორც ძირითადი პრობლემები. ეს პრობლემები საკმაოდ სისტემურად და სტრუქტურულად არის გადმოცემული სტრატეგიაში, რომლის განხორციელების გეგმა ასევე შემუშავებულია და შესაბამისი სახელმწიფო აპარატი მუშაობს ამ პრობლემების მოგვარებაზე.

პრობლემების მეორე ჯგუფია ის პრობლემები, რასაც თვითონ მეწარმეები ხედავენ და აწყდებიან ყოველდღიურად და რომლებიც ასევე მოცემულია წინამდებარე დოკუმენტში. პრობლემების ეს ჯგუფი უფრო ქაოტურია და, ხშირ შემთხვევაში, შესაბამის ჯგუფამდე დახვეწილი ფორმით არ არის მიტანილი, თუმცა, ამავე დროს ეს არის პრობლემები, რომლებიც რეალურად ახდენენ გავლენას საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებაზე.

რასაკვირველია, რთულია ამ ორი სახის პრობლემებს და გამოწვევებს შორის არჩევანის გაკეთება და მათი ცალ-ცალკე განხილვა, ვინაიდან ერთმანეთთან იმდენად მჭიდროდ არიან დაკავშირებული, რომ ხშირად ერთი მათგანის მოგვარებამ ავტომატურად შეიძლება მეორეს მოგვარებაც კი განაპირობოს. მაგალითად, სტრატეგიაში განსაზღვრული ქმედებით, რომელიც ითვალისწინებს რეგულირების გავლენის შეფასების გაზომვას, შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს იმ კანონმდებლობის ცვლილებაზე, რომელიც ითვალისწინებს კომუნალურ სერვისებზე სამრეწველო ტარიფის არაეფექტურ დაანგარიშებას.

სტრატეგიით განსაზღვრული, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ეფექტიანმა განხორციელებამ, შესაძლებელია, მოაგვაროს ადგილობრივი ფერმერების პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივი ფერმერებისათვის სასოფლო სამეურნეო ტექნიკის მიწოდებასა თუ საბანკო კრედიტზე ხელმისაწვდომობის გაზრდასთან.

სწორედ ასეთი ურთიერთკავშირის ანალიზის ნაკლებობა განაპირობებს საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების დაბალ რიტმს. ბევრად უფრო ეფექტური იქნებოდა სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შედგენის დროს გათვალისწინებული იყოს ადგილობრივი ფერმერების მოთხოვნები, რაც დოკუმენტებს გახდიდა უფრო შედეგზე ორიენტირებულს. მსგავსი მიდგომა შესაძლებელს გახდიდა დოკუმენტით განსაზღვრული ქმედებების შედეგების ასახვას რეალურ ცხოვრებაზე და ადგილობრივი ფერმერებიც საკუთარ თავზე გამოცდიდნენ რეალურ შედეგებს.

დოკუმენტში წარმოდგენილი ძირითადი მიგნებების თანახმად, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა რეგულირების გავლენის შეფასების სისტემის დანერგვა, რომლის ამოქმედებაც დაგეგმილია 2019 წლიდან. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამ სისტემის დანერგვას ბევრი წინააღმდეგობა ახლავს თან, მათ შორის, რთულია პოლიტიკური ნების მოპოვება ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეფასებით გამოვლინდება, რომ პოლიტიკურად მიღებული გადაწყვეტილება დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ასევე, რეგულირების გავლენის შეფასების სისტემის შემოღება ცალსახად გავრცელდება იმ ნორმატიულ აქტებზე, რომელთა მიღებაც მოხდება სისტემის ამოქმედების შემდეგ. ხოლო იმ აქტების მომავლის განსაზღვრას, რომლებიც უკვე მიღებულია და მცირე და საშუალო საწარმოებისათვის პრობლემას წარმოადგენს, ცალკე პოლიტიკური გადაწყვეტილება ჭირდება.

კიდევ ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეყრდნობა წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილ მიგნებებს, არის კომუნალურ სერვისებზე კომერციული ტარიფების სიძვირე, რაც განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწევს მცირე და საშუალო საწარმოებს. ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კომუნალურ ტარიფებს

განსაზღვრავენ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები და მათ საქმიანობაში პირდაპირი ჩარევის ბერკეტები სახელმწიფოს არ გააჩნია. თუმცა, საკანონმდებლო დონეზე შესაძლებელია ამ პრობლემების ეფექტიანად მოგვარება.

კიდევ ერთი რეკომენდაცია, რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია, არის მცირე და საშუალო საწარმოების ერთიანი დეფინიციის შემოტანა საკანონმდებლო დონეზე. როგორც კვლევამ აჩვენა, ამ ეტაპზე რთულია შეფასდეს მცირე და საშუალო საწარმოების რეალური მდგომარეობა, ვინაიდან სტატისტიკა ითვლის სხვა მაჩვენებელს, საგადასახადო ცვლილებები სხვა ზომის საწარმოებს ეხება და ფინანსური გამჭვირვალობის მოთხოვნა განსხვავებული ზომის კომპანიებს წარედგინება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დღეს არსებულ დეფინიციებს შორის წინააღმდეგობა არ არსებობს, თუმცა სხვაობები იმდენად დიდია, რომ სტატისტიკური ანალიზის დროს მნიშვნელოვანი ცდომილებები შეიძლება დაფიქსირდეს.

მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას და მათ მიერ ინვესტიციების შეფერხებას მნიშვნელოვნად განაპირობებს პრივატიზების არსებული სისტემა. დოკუმენტში წარმოდგენილმა მიგნებებმა მკაფიოდ გამოკვეთა ის ფაქტი, რომ მცირე და საშუალო საწარმოებს იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს გასაფართოებლად ესაჭიროებათ უძრავი ქონების შეძენა, არ შეუძლიათ ამ მიმართულებით მოახდინონ ინვესტირება. საჭიროა, რომ საპრივატიზაციო ქონების შეფასება ხდებოდეს უფრო რაციონალურად, კომერციული მომგებიანობის თვალსაზრისით.

კვლევაში წარმოდგენილი რეკომენდაციების დახვეწას და სრულფასოვან წინადადებებად ჩამოყალიბებას სჭირდება დამატებითი კვლევა და შესწავლა. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, რომ ფართო საზოგადოების წინაშე სამსჯელოდ გამოიტანოს ის პრობლემები და გამოწვევები, რომელსაც მცირე და საშუალო ზომის მეწარმეები ყოველდღიურად აწყდებიან.

DCFTA-ს შესაძლებლობების გამოყენება სოფლის მეურნეობაში

გიორგი ჩიტაძე

AA და DCFTA

საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ძირითადი ნაწილი – ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო არეალის შესახებ შეთანხმება (შემდგომში DCFTA) ძალაში შევიდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან და მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ვალდებულების განსაზღვრა. სწორედ აღნიშნული ვალდებულება გამოარჩევს DCFTA-ს შეთანხმებას სხვა მსგავსი შეთანხმებებისგან, რომლებიც საქართველოს აქვს გაფორმებული თავის სავაჭრო პარტნიორებთან. უკვე 2012 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ორი კანონი, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეცვალა არსებული სისტემა, როგორც სურსათის უსაფრთხოების, ისე ტექნიკური რეგულირების სფეროში. საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველთა საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“ და საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ – ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორი ნორმატიული აქტი მიიჩნევა ერთ-ერთ პირველ ნაბიჯად ევროკავშირთან საქართველოს საკანონმდებლო დაახლოების გზაზე, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას. კანონების მიღებით შესაძლებელი გახდა სურსათის უვნებლობის სფეროში ფართო სპექტრის რეფორმების დაწყება, რაც შემდგომში გაგრძელდა ევროპულ დირექტივებთან საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოების პროგრამით. ეს პროცესი ჯამში მოიცავს 270 ევროპულ დირექტივასა და რეგულაციას და გაწერილია 2027 წლამდე.

საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველთა საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“ განსაზღვრავს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, მცენარეთა სიჯანსაღის დაცვას, აგრეთვე სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო რეგულირების ერთიან პრინციპებს და სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის პირობებს. რაც შეეხება საქართველოს კანონს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, ის სურსათის ნაწილში განსაზღვრავს ტექნიკური რეგლამენტების სტრუქტურას, საქართველოს სტანდარტების, შესაბამისობის შეფასებისა და სერტიფიკაციის სისტემებს. სწორედ ამ ორი ნორმატიული აქტის ერთობლიობა ქმნის იმ ბაზისს, რომელზეც უნდა დაშენდეს ევროპული საკანონმდებლო სისტემა, რაც უზრუნველყოფს ასოცირების შესახებ შეთანხმების მიზნების ეფექტურ შესრულებას.

როგორც უკვე აღინიშნა, სწორედ სანიტარული და ფიტოსანიტარული მიმართულება, ამ სფეროში საქართველოს საკანონმდებლო დაახლოების შედეგები და დაახლოებიდან მომდინარე გამოწვევების გაანალიზება წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის ძირითად მიზანს.

DCFTA-ს შესაძლებლობების კვლევის შედეგები საქართველოში

DCFTA-ს შესახებ შეთანხმების ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საქართველოს საკანონმდებლო დაახლოების ვალდებულება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან. შეთანხმება დაახლოების ვალდებულებას განსაზღვრავს სხვადასხვა სფეროში, როგორებიცაა ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები, სანიტარული და ფიტოსანიტარული სფერო, სახელმწიფო შესყიდვები, ინტელექტუალური საკუთრება და სხვა. იმის მიხედვით, თუ რომელ სფეროში უფრო მეტ ევროპულ აქტებს უნდა დაუახლოვდეს საქართველოს კანონმდებლობა, შეგვიძლია, ვთქვათ ის, თუ რომელ სფეროში უფრო რთული იქნება დაახლოების პროცესი. იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე დოკუმენტი ეხება სანიტარულ და ფიტოსანიტარულ სფეროში დაახლოების ვალდებულებას, ქვემოთ აქცენტი გაკეთდება DCFTA-ს მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც ეხება ამ სფეროს.

საერთო ჯამში DCFTA-ს ფარგლებში გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის 335 სამართლებრივ აქტთან დაახლოება და ეს პროცესი გაწერილია 2027 წლის ბოლომდე. არსებული გეგმის მიხედვით, 2020 წლის მდგომარეობით, საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებული იქნება ევროკავშირის 202 საკანონმდებლო აქტთან, რითაც DCFTA-ით განსაზღვრული საკანონმდებლო დაახლოების ვალდებულებები შესრულდება 60%-ით.

სფერო	საკანონმდებლო აქტების რაოდენობა სულ	2020 წლის მდგომარეობით დაახლოებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა	შესრულების პროცენტული მაჩვენებელი 2017 წლისათვის
სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა	272	146	54%
ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში	21	16	76%
სატელეკომუნიკაციო მომსახურების სფერო	6	6	100%
საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა	5	5	100%
საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტის სფერო	22	22	100%
სახელმწიფო შესყიდვები	6	4	68%
საფოსტო და საკურიერო მომსახურება	3	3	100%
მთლიანი ჯამი	335	202	60%

DCFTA-ს საკითხებზე ზედაპირული დაკვირვებითაც კი კარგად ჩანს ის ფაქტი, რომ ყველაზე უფრო რთული სფერო, რომელშიც უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, არის სანიტარული და ფიტოსანიტარული სფერო. სირთულე გამოიხატება მრავალი ფაქტორით, მათ შორისაა დასაახლოებელი ევროპული რეგულაციებისა და დირექტივების რაოდენობა, რაც საერთო ჯამში შეადგენს 270 აქტს. იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის კანონმდებლობა საკმაოდ მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და უმეტესწილად ერთ დოკუმენტთან დაახლოება საჭიროებს სხვა მასთან დაკავშირებულ დოკუმენტებთან დაახლოებასაც, ადვილი მისახვედრია, რომ რეალურად დაახლოება უნდა განხორციელდეს არა 270 აქტთან, არამედ კიდევ უფრო მეტ აქტთან. კიდევ ერთი სირთულე, რომელიც ამ სფეროში დაახლოების პროცესს ახლავს თან, არის ქვეყნის ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი დამოკიდებულება რეგიონებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაზე, რომლის მიზანს მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში წარმოადგენს მეწარმეობა, უფრო ხშირად კი ასეთი მეურნეობების მიზანია საკუთარი მოხმარებისათვის წარმოება და მოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილის მიმართვა ხდება კომერციული მიზნებისათვის. სწორედ აღნიშნულის გამო, სანიტარულ და ფიტოსანიტარულ სფეროში საკანონმდებლო დაახლოება არის კიდევ უფრო რთული, ვინაიდან პირებს, რომლებიც პროდუქტს აწარმოებენ საკუთარი მოხმარებისათვის, ნაკლები სტიმული აქვთ, რომ ინვესტირება მოახდინონ წარმოების პროცესში. კიდევ ერთ სირთულეს წარმოადგენს მთავრობის ადმინისტრაციული შესაძლებლობების ნაკლებობა. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის დახმარებები ამ მიმართულებით საკმაოდ ეფექტურად მუშაობს, რესურსის ნაკლებობა მაინც შეიმჩნევა ეფექტური და სწრაფი რეფორმების გატარების მიმართულებით, რაც შესაძლებელია, მომავალში გამოიხატოს მიღებული რეგულაციების არაეფექტურ შესრულებაში.

იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო სიღრმისეული ანალიზი იქნას განხორციელებული ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევების თაობაზე, სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები მუდმივად ახორციელებენ კვლევებს და სხვადასხვა სახის პროექტებს. სწორედ კერძო სექტორის DCFTA-ს მოთხოვნებთან შესაბამისობის მზაობის დადგენაზე იყო მიმართული კვლევები, რომელიც განხორციელდა პროექტის „სამოქალაქო საზოგადოება მცირე და საშუალო ბიზნესის და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად“ ფარგლებში (შემდგომში პროექტი). პროექტი განხორციელდა საქართველოში კონრად ადენაურის ფონდის, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC) და ასოციაცია „ათინათის“ თანამშრომლობით. პროექტის განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ მომზადდა 20-ზე მეტი კვლევა საქართველოს ყველა რეგიონიდან, რომლებიც ეხებოდა რეგიონებში სანიტარული და ფიტოსანიტარული მოთხოვნების დანერგვისათვის ადგილობრივი მეწარმეების მზაობას. იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე დოკუმენტი შეეხება სოფლის მეურნეობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობების განსაზღვრას, მასში შეძლებისდაგვარად მოკლედ და მკაფიოდ იქნება ასახული ის მიგნებები, რომლებიც გამოვლინდა რეგიონებში ჩატარებული კვლევებიდან.

- გამოვლენილი მიგნებებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გამოკითხული მეწარმეების უდიდესი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ DCFTA არის პოზიტიური ნაბიჯი და მისი საშუალებით შესაძლებელია, რომ გაიზარდოს მათი შემოსავალი. თუმცა, ამავე კონტექსტში აღსანიშნავია ისიც, რომ DCFTA-ით განსაზღვრული შესაძლებლობების გამოყენების ასპექტში მეწარმეები იმაზე უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებენ მთავრობას, ვიდრე ეს რეალურად საჭიროა. მთავრობის დავალდებულებით მეწარმეები ცდილობენ, რომ შეიმსუბუქონ საკუთარი პასუხისმგებლობა.

- კიდევ ერთი გამოწვევა, რომელიც საერთოა ყველა რეგიონში გამოკითხული ფერმერებისათვის, არის ინფორმაციის ნაკლებობა არა მხოლოდ DCFTA-ს შესახებ, არამედ იმ სახელმწიფო პროგრამებისა და დონორების დახმარებების შესახებ, რომლებიც მიმართულია მეწარმეების დასახმარებლად DCFTA-ს ვალდებულებების შესრულების ირგვლივ. პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ, მიუხედავად იმ დიდი ძალისხმევისა, რასაც საზოგადოების ინფორმირების კუთხით იჩენს, როგორც მთავრობა, ისე სხვადასხვა ორგანიზაციები, ამ კუთხით პრობლემები მაინც არსებობს. რეგიონებში მცხოვრები ფერმერების, ადგილობრივი მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ვალიდურ და სწორ ინფორმაციაზე სწრაფი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად კიდევ ბევრია გასაკეთებელი. კვლევებმა აჩვენა, რომ ადგილობრივი მეწარმეებისათვის ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროს წარმოადგენს ტელევიზია, რაც, სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ აძლევს ადეკვატურ და საფუძვლიან ინფორმაციას ადგილობრივ ფერმერებს და მიღებული ინფორმაცია არის ძალზედ ზედაპირული.

- პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევებიდან კარგად ჩანს ის გარემოება, რომ უმრავლეს შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები არ ფლობენ სწორ ინფორმაციას DCFTA-ს შესახებ. გამოკითხვების დროს მკაფიოდ გამოჩნდა ის გარემოება, რომ საჭიროა ამ კუთხით აქტიური მუშაობა იმისათვის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ცოდნა DCFTA-ს შესახებ გაიზარდოს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებას.

ქართული თაფლი ევროპულ ბაზარზე

პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევებიდან გამოიკვეთა რამდენიმე სპეციფიკური საკითხი, რაც დაკავშირებულია კონკრეტული სფეროს ეფექტურ განვითარებასთან. მაგალითად, იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირში დაშვებულია საქართველოში წარმოებული თაფლის შეტანა, მეწარმეებმა ხაზგასმით აღნიშნეს რამდენიმე საკითხი, რაც, მათი აზრით, ხელს შეუწყობდა ქართული თაფლის ევროპულ ბაზარზე გატანას. ასეთი საკითხებია თაფლის ანალიზისა და კვლევებისათვის ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის განვითარება და შესაბამისი მომსახურების მიწოდება რეგიონებში. კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს წარმოებული თაფლის არასაკმარისი მოცულობა, რაც დაბრკოლებაა ევროკავშირის ტერიტორიაზე მოქმედი სხვადასხვა მაღაზიებისა და დისტრიბუციის ქსელებისათვის უწყვეტი მიწოდების უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, საქართველოში წარმოებული თაფლის მცირე მოცულობა ართულებს პროდუქტის ერთგვაროვნების მიღწევას. ადგილობრივი ფერმერების განცხადებით, მეფუტკრეობის განვითარებას ხელს უშლის, ასევე, ისეთი გზების არარსებობა, რომლებიც მათ საშუალებას მისცემდა მოეხდინათ ფუტკრის გაყვანა მეტი თაფლის დასაგროვებლად საჭირო შესაფერის გარემოში. მიუხედავად იმისა, რომ ქართული თაფლი დაშვებულია ევროკავშირის ბაზარზე, მწირი წარმოების გამო ვერ ხდება მისი ექსპორტი, რასაც ადასტურებს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ თაფლის წარმოებასთან დაკავშირებული ციფრები.

ქართული თაფლი ბოლო წლების განმავლობაში ექსპორტზე ძირითადად ლიბიაში, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, საუდის არაბეთში, ერაყსა და ლიბანში გადის. ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ არაოფიციალურად ქართული თაფლი გადის თურქეთსა და აზერბაიჯანშიც. ამ ქვეყნების მოქალაქეები საქართველოში შესყიდულ პროდუქციას თავად გადააადგილებენ სახელმწიფო საზღვარზე.

წარმოებული თაფლის უდიდესი ნაწილი შიდა ადგილობრივ ბაზარზე იყიდება და 1 კგ-ის საშუალო საცალო სარეალიზაციო ფასი 15 ლარს შეადგენს. აღნიშნული ფასი მნიშვნელოვნად აღემატება იმპორტირებული პროდუქციის ფასს, თუმცა, შესაბამისი სხვაობა არსებობს ასევე ხარისხშიც, რის გამოც ქართველი მომხმარებლის არც თუ მცირე ნაწილისათვის ეროვნული პროდუქტი მაინც მისაღებია.

თაფლის წარმოების სექტორში არსებული გამოწვევების საპასუხოდ სახელმწიფო ახორციელებს სხვადასხვა პროგრამებს, მათ შორის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ თაფლის მწარმოებელთა კოოპერატივების დახმარების პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს თაფლის მწარმოებელი კოოპერატივებისათვის

თაფლის წარმოებისათვის სხვადასხვა სახის ხელსაწყოების გადაცემას, ტექნიკური დახმარებების გაწევას და სხვა. მიუხედავად გაწეული ძალისხმევისა, საქართველოში წარმოებული თაფლი ჯერაც ვერ შედის ევროკავშირის ბაზარზე.



წყარო: საქსტატი

მეცხოველეობა, რძე, რძის წარმოება

კიდევ ერთი სფერო სოფლის მეურნეობის სექტორიდან, რომელზეც, პროექტის ფარგლებში, კვლევები განხორციელდა, არის მეცხოველეობა, უფრო კონკრეტულად, ყველის წარმოების განვითარება საქართველოს რეგიონებში და ყველის ექსპორტის შესაძლებლობები ევროკავშირში. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ყველის წარმოება საქართველოში კარგად არის განვითარებული, ოღონდ ეს ყველაფერი მხოლოდ ერთი შეხედვით. იმისათვის, რომ ყველის წარმოება საქართველოში განვითარდეს ევროპული სტანდარტების შესაბამისად, პირველ ეტაპზე საჭიროა, საქართველოს მთავრობის, უფრო კონკრეტულად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ქვეყანაში შეიქმნას მიკვლევადობის სისტემა, რაც საშუალებას მისცემს შესაბამის ორგანოებს ეფექტურად აკონტროლონ პირუტყვის დაავადებები და ეფექტური ღონისძიებები გაატარონ მათი პრევენციისათვის. ასევე, მეწარმეებმა უნდა უზრუნველყონ საწარმოებში უვნებლობის და ჰიგიენის მინიმალური სტანდარტების დანერგვა. რაც შეეხება ყველის ევროკავშირში ექსპორტს, ამ მიმართულებით საჭიროა, რომ ევროკავშირის მიერ აღიარებულ იქნას ის მიკვლევადობის სისტემა, რომელსაც შექმნის სახელმწიფო. პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა კვლევებმა გამოავლინა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც აწუხებთ ადგილობრივ მეწარმეებს. ყველის წარმოება საქართველოში ხორციელდება მცირე მეურნეობების მიერ, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაძლებლობა, საკუთარი ძალებით დანერგონ საწარმოებში ჰიგიენური სტანდარტები. იმის გამო, რომ საქართველოში ცხოველური პროდუქტების მწარმოებელი ნებისმიერი პირისათვის 2020 წლიდან სავალდებულო ხდება მინიმალური ჰიგიენური მოთხოვნების დანერგვა საწარმოებში, მოსალოდნელია, რომ ბევრი ფერმერი ვეღარ შეძლებს ყველის გაყიდვას, რამაც შესაძლებელია, გამოიწვიოს საკმაოდ დიდი ეკონომიკური გავლენა განსაკუთრებით რეგიონებზე. სწორედ ამ ნეგატიური ეფექტის შესამცირებლად საჭიროა, რომ ყველის წარმოებაში ჩართულმა ყველა დაინტერესებულმა მხარემ, მათ შორის სახელმწიფომ, კიდევ უფრო დიდი ძალისხმევა მიმართოს საინფორმაციო კამპანიისაკენ, ვინაიდან სწორედ ინფორმაციის ნაკლებობა დასახელდა ერთ-ერთ პრობლემად. უფრო კონკრეტულად კი, ადგილობრივ მეწარმეებს არ გააჩნიათ სრული ინფორმაცია მოსალოდნელ რეგულაციებზე, არ იციან, თუ სად უნდა მოიძიონ ინფორმაცია HACCP-ის სტანდარტის შესახებ და სხვა. გარდა მარეგულირებელი გარემოს შესახებ ინფორმაციის ნაკლებობისა და ფინანსური რესურსის უქონლობისა, ყველის მწარმოებელი ფერმერები ასევე პრობლემად ასახელებენ საქართველოში არსებული საქონლის ჯიშებს. მათი თქმით, საქართველოში არსებული საქონლის ჯიშები

ხასიათდებიან მცირე გამოსავლიანობით, რასაც ემატება ფერმერების მიერ პირუტყვისათვის არასწორი კვებითი რაციონის მიცემა. ფერმერების ცოდნის გაზრდა ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა მდგომარეობას ყველის წარმოების დარგში. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ, საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, საქართველოში 2017 წელს რძის წარმოება მნიშვნელოვნად შემცირდა.



წყარო: საქსტატი

ხილის და ბოსტნეულის წარმოება

კიდევ ერთი მიმართულება, რომელზეც პროექტის ფარგლებში მომზადდა კვლევები, ეხება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ხილისა და ბოსტნეულის წარმოებას. კვლევები მომზადდა ლურჯი მოცვის, მწვანილის, პომიდვრის, ქლიავისა და სხვა პროდუქტების წარმოების ან მათი გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის შესაძლებლობებზე. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქართველოდან ევროკავშირში გადის ფიტოსანიტარული მიმართულების პროდუქტები, მათ შორის არის კივი, თხილი, კაკალი, მწვანილი და სხვა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სფეროში ბევრად უფრო მარტივია პრაქტიკული ინფორმაციის მოძიება იმ ნაბიჯების შესახებ, რაც მეწარმეებმა უნდა გაითვალისწინონ იმ შემთხვევაში, თუ უნდათ, რომ ხილი და ბოსტნეული ევროკავშირში გაიტანონ. როგორც სხვა სფეროებში, ამ სფეროშიც პრობლემები და გამოწვევებიც ყველა რეგიონში ერთნაირია. სფეროში ძირითად გამოწვევად რჩება ინვესტიციების მოზიდვა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა წარმოების მოცულობის გაზრდის მიზნით, იმისათვის, რომ ქართულ კომპანიებს შეეძლოთ პროდუქტის უწყვეტად მიწოდება შემსყიდველებისათვის. ხილისა და ბოსტნეულის წარმოებისათვის ქართველი მეწარმეების ძირითად პრობლემას წარმოადგენს წარმოებაში GLOBAL GAP-ის სტანდარტების დანერგვა, ასევე, მნიშვნელოვანია ადგილობრივი მეწარმეებისათვის შესაბამისი ცოდნის მიღება. ფიტოსანიტარულ სფეროში ერთ-ერთი წარმატებული პროდუქტი, რომელსაც საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია, არის ლურჯი მოცვი. სწორედ ლურჯი მოცვის წარმოების განვითარებას ეხებოდა ერთ-ერთი კვლევა, რომელმაც გამოავლინა ის ძირითადი საჭიროებები, რომლებიც ამ მიმართულებით არსებობს საქართველოში. ქართველი მეწარმეები ლურჯი მოცვის წარმოების განვითარებისათვის ასახელებენ შემდეგ გამოწვევებს:

- მოცვის პლანტაციის გაშენებისათვის დიდი ფინანსური რესურსის საჭიროება;
- კვალიფიციური აგრონომი, რომელმაც კარგად იცის მოცვის კულტურის მოვლა-პატრონობა;
- სამაცივრე მეურნეობები, სადაც შესაძლებელი იქნება მიღებული მოსავლის დაბინავება;
- „Global Gap"-ის სტანტარტის შემოღება და დანერგვა მოცვის წარმოებაში, რომელიც სპეციალურად გაიცემა სოფლის მეურნეობის პროდუქტის პირველადი წარმოებისთვის.

მწვანილის წარმოება

კვლევების დროს აქცენტი ასევე გაკეთდა მწვანილის წარმოებაზე. მწვანილის წარმოების განვითარებას, ლურჯი მოცვის მსგავსად, საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს. ეს პოტენციალი განსაკუთრებით დიდია იმერეთის რეგიონში. მწვანილის მწარმოებლებმა კვლევის განმავლობაში დაასახელეს შემდეგი სახის გამოწვევები:

- დსთ-ს ქვეყნების ბაზრები, რომლებშიც ამჟამად ხდება ქართული მწვანილის ექსპორტი, არ ხასიათდება სტაბილურობით. უკანასკნელ წლებში მათ ეკონომიკებში არსებულმა რყევებმა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა მწვანილის ფასებსა და მოთხოვნაზე;
- ევროპის ბაზარი ქართული მწვანილისათვის მიმზიდველია მაღალი სარეალიზაციო ფასისა და სტაბილურობის გამო. ამასთან, ბაზარი მზარდია, როგორც რაოდენობრივ, ისე ღირებულებით მაჩვენებლებში და დიდ წილად დამოკიდებულია იმპორტირებულ პროდუქციაზე;
- ქართული მწვანილის ხარისხი, თუ მწარმოებელი დაიცავს GLOBAL GAP-ის სტანდარტით განსაზღვრულ ტექნოლოგიურ ციკლს, იქნება საკმაოდ მაღალი და, შესაბამისად, კონკურენტუნარიანიც ევროპულ ბაზარზე;
- მწვანილის მოყვანისას ორგანული სასუქების გამოყენება კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ქართულ პროდუქციას ევროპული ბაზრისათვის;
- მწვანილის ქართველი მწარმოებლების უმეტესობის მეურნეობა და, შესაბამისად, წარმოების მოცულობა უაღრესად მცირე ზომისაა, რის გამოც ცალკეულ მწარმოებლებს არ შეუძლიათ ინდივიდუალურად GLOBAL GAP-ის სერტიფიკატის მიღება;
- ევროპის ბაზარი ითხოვს მაღალი ხარისხის და უსაფრთხოების მქონე ერთგვაროვანი მწვანილის დიდი რაოდენობით სტაბილურ მიწოდებას, რისი დაკმაყოფილებაც ამ ეტაპზე ქართველ მწარმოებლებს არ შეუძლიათ;
- წარმოების მოცულობის გაზრდა შესაძლებელია ორი გზით: 1. არსებული მცირე ფერმერული მეურნეობების გაერთიანებით კოოპერატივში და 2. მსხვილი მეურნეობების შესაქმნელად დარგში ინვესტიციების მოზიდვით;
- კოოპერირების მიმართ ფერმერებს წლების განმავლობაში მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდათ. ამ მიმართულებით სახელმწიფოს და დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულმა მუშაობამ შედეგი გამოიღო და უკვე სახეზე გვაქვს მწვანილის მწარმოებელთა კოოპერატივის შექმნა-ფუნქციონირების რამდენიმე წარმატებული შემთხვევა, თუმცა მათი როლი დარგში ჯერ-ჯერობით არ არის მნიშვნელოვანი და ისინი შემდგომ გაძლიერებას საჭიროებენ;
- მწვანილის არსებული მწარმოებლები არ იყენებენ თანამედროვე ტექნიკასა და ტექნოლოგიას, რის გამოც დაბალია მწარმოებლურობა და წარმოებული პროდუქციის ხარისხი;
- ადგილობრივი პროდუქცია ექსპორტზე გადის რამდენიმე შუამავალი რგოლის მეშვეობით და წვრილ მწარმოებლებს ექსპორტიორებთან უშუალო ურთიერთობა არ აქვთ, განსხვავებით მსხვილი მწარმოებლებისაგან;
- მწვანილის ადგილობრივი მწარმოებლები აცხადებენ, რომ მათ აქვთ ინფორმაცია, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს პროდუქცია ევროპის ბაზარზე გასასვლელად, თუმცა მათი წარმოდგენები ზოგადი და ზედაპირულია. ისინი აფასებენ სახელმწიფოს და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერას, მაგრამ აღნიშნავენ, რომ ეს არ არის საკმარისი დარგის სწრაფი განვითარებისათვის;
- მწვანილის ადგილობრივი მწარმოებლები განიცდიან თანამედროვე ტექნიკის ნაკლებობას, რომელიც გაზრდის მათი შრომის ნაყოფიერებას.



წყარო: საქსტატი

უნდა აღინიშნოს, რომ გამოწვევების და პრობლემების ჩამონათვალი იგივეა ყველა სხვა ფიტოსანიტარული პროდუქტის წარმოებისათვის. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ეს გამოწვევებია ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, პროდუქტის შენახვისათვის ინფრასტრუქტურის განვითარება, წარმოებაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, კვალიფიციური კადრების მომზადება და სხვა. ჩამოთვლილი გამოწვევების საპასუხოდ გარკვეული რეკომენდაციები დოკუმენტის ბოლო ნაწილშია მოცემული.

ევროკავშირთან სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის სტატისტიკა

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები სულ უფრო მეტად ძლიერდება, რაც პოზიტიურად აისახება საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესზე. უნდა აღინიშნოს, რომ DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია ჩქარი ტემპებით ხორციელდება, თუმცა მასზე გავლენას ახდენს გარე ფაქტორებიც, რაც კარგად აისახება ხოლმე სტატისტიკურ მაჩვენებლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირთან, როგორც სავაჭრო პარტნიორ რეგიონთან საქართველოს ექსპორტი ხასიათდება დინამიურად მზარდი ტენდენციით, ხოლო სხვა რეგიონებთან, მაგალითად, როგორიცაა GUAM[1]-ი, BSEC[2]-ი და დსთ[3], 2014 წლიდან 2017 წლის ბოლომდე ხასიათდებოდა კლებადი ტენდენციით, რაც ასევე მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ქართველი მეწარმეები, მართალია, ნელი ტემპით, მაგრამ აქცენტს ევროკავშირის ბაზარზე აკეთებენ.

[1] სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1997 წელს და აერთიანებს საქართველოს, აზერბაიჯანს, უკრაინასა და მოლდოვას რესპუბლიკას.

[2] შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია – აერთიანებს ალბანეთს, სომხეთს, აზერბაიჯანს, ბულგარეთს, საქართველოს, საბერძნეთს, მოლდოვას რესპუბლიკას, რუმინეთს, რუსეთის ფედერაციას, თურქეთს და უკრაინას.

[3] დსთ – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, აერთიანებს რუსეთის ფედერაციას, ყაზახეთს, ყირგიზეთს, ბელორუსს, მოლდოვას რესპუბლიკას, აზერბაიჯანს, სომხეთს, უზბეკეთს და ტაჯიკეთს. უკრაინამ ორგანიზაცია დატოვა 2018 წლიდან.



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო



წყარო: საქსტატი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემებით, 2018 წლის პირველ 5 თვეში, გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 23%-ით. ამავე პერიოდების შედარებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტი საქართველოდან

ევროკავშირში გაიზარდა 36%-ით. ამავე პერიოდში ზრდა დაფიქსირდა ისეთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტში, როგორიცაა ხილ-ბოსტნეულის კონსერვები – 15%-ით, ხილის ჯემები – 18%-ით, მინერალური წყლები – 17%-ით, ღვინო – 46%-ით, თხილი და კაკალი – 2%-ით, სპირტიანი სასმელები – 135%-ით.

როგორც ანალიზი ცხადყოფს, საქართველოდან ევროკავშირის მიმართულებით იზრდება გადამუშავებული პროდუქტების ექსპორტი და არა პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქტების, რაც იმის მაჩვენებელია, რომ განვითარების პერსპექტივა ქვეყანამ უნდა ეძიოს გადამამუშავებელი წარმოებების შექმნაში და არა პირველადი ნედლეულის წარმოებაში.

შეჯამება და რეკომენდაციები

კვლევის ეტაპზე კარგად გამოიკვეთა ის გარემოება, რომ სანიტარულ და ფიტოსანიტარულ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების პროცესი იმდენად ფართო და ყოვლისმომცველია, რომ მისი მხოლოდ მთავრობის რესურსებით წარმართვა შეუძლებელია. ამ პროცესში კერძო სექტორმაც უნდა კარგად გააცნობიეროს საკუთარი ვალდებულებები. როდესაც ვახსენებთ კერძო სექტორს, ამ შემთხვევაში არ შეიძლება იგულისხმებოდეს მხოლოდ მსხვილი ან საშუალო ბიზნესი, რომელთაც გააჩნიათ შესაძლებლობა, მოახდინონ კანონმდებლობის დაახლოების პროცესში მათ წინაშე მდგარი ამოცანების შედარებით მსუბუქად და იოლად მოგვარება, არამედ ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, უნდა ვიგულისხმოთ მცირე და მიკრო საწარმოები.

კვლევამ ცხადყო, რომ მიკრო და მცირე მეწარმეები, როგორც რეგიონებში, ისე თბილისში, ევროკავშირთან დაახლოების გზაზე მთავრობისაგან ელოდებიან დახმარებას და ერთგვარად ლოდინის რეჟიმში არიან, როდის მიიღებენ ფინანსურ რესურსებს სახელმწიფოს თუ საერთაშორისო დონორებისაგან, რაც ცალსახად არასწორია. პირველ რიგში, რაც ასეთმა საწარმოებმა უნდა გააკეთონ, არის შესაბამისი რეგულაციების თუ სტანდარტების შესწავლა, იმისათვის, რომ შეძლონ მოსალოდნელი გამოწვევების წინასწარი შეფასება. მიკრო და მცირე საწარმოების მფლობელებმა მნიშვნელოვნად უნდა გააქტიურონ ძალისხმევა იმისათვის, რომ აქტიურად ჩაერთონ საგანმანათლებო პროგრამებში, რომელსაც რეგიონებში ახორციელებენ როგორც სახელმწიფო უწყებები, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები.

კიდევ ერთი რეკომენდაცია, რომელიც მიმართულია სანიტარული და ფიტოსანიტარული სფეროს ევროკავშირში ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიმართულებით, არის ქვეყანაში ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის განვითარება. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ კერძო სექტორს ამ სფეროშიც არასწორი მოლოდინები აქვს ჩამოყალიბებული, რაც გამოიხატება იმაში, რომ, მათი აზრით, სახელმწიფომ უნდა შექმნას ლაბორატორიები იმისათვის, რომ შემდგომში კომპანიებმა ადგილზე შეძლონ შესაბამისი სერტიფიკატების მიღება. ამ მოლოდინის მცდარობა გამოიხატება იმაში, რომ სამართლიანობის პრინციპის დაცვა საკმაოდ რთული იქნება. მაგალითად, თუ სახელმწიფო შექმნის თაფლის გამოცდის ლაბორატორიას, ცხადია, ამაში დახარჯავს რძის გადამამუშავებელი მეწარმეების მიერ ბიუჯეტში შეტანილ ფინანსურ რესურსსაც, შემდგომში რძის პროდუქტების მწარმოებლები მოითხოვენ მსგავს მხარდაჭერას, შემდგომში – ვაშლის მწარმოებლები და ა.შ. საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ არ არსებობს საკმარისი რესურსი ყველას მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამიტომ, აღნიშნულის გათვალისწინებით, ბევრად იოლი იქნება, რომ სხვადასხვა ბიზნეს-ასოციაციებმა, სექტორების მიხედვით, შეაჯერონ ინტერესები, რომ სახელმწიფოსთან ერთად, საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში, მოხდეს სფეროების მიხედვით ლაბორატორიების შექმნა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სფეროში 2018 წლის 24 მაისს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ.

მომდევნო რეკომენდაცია შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული პირების ინფორმირებას ევროინტეგრაციის მიმართულებით. როგორც განხორციელებულმა კვლევამ ცხადყო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მაღალ თანამდებობებზე დასაქმებული პირები, უმეტეს შემთხვევაში, არასწორ ინფორმაციას ფლობენ DCFTA-ს შესახებ. ადგილობრივი ჩინოვნიკების სწორი ინფორმირება მნიშვნელოვნად გაზრდიდა ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერებას DCFTA-ს მიმართულებით და მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს. როგორც კვლევამ ცხადყო, ერთ-ერთი გამოწვევა სწორედ რეგიონებში სწორი და დროული ინფორმაციის ქონაა და ამ გამოწვევაზე ერთ-ერთი სწორი რეაგირება იქნებოდა ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებული პირების ტრენინგი DCFTA-ს საკითხებთან დაკავშირებით.

ვიმედოვნებთ, დოკუმენტში მოყვანილი კვლევის შედეგები და წარმოდგენილი რეკომენდაციები დაეხმარება შესაბამის ორგანოებს, რომ სწორად დაგეგმონ მომავალი საქმიანობა იმისათვის, რომ ევროინტეგრაციისთვის დაგეგმილი ღონისძიებები მიმართულ იქნას უფრო მდგრადი შედეგების მისაღწევად.

ეკონომიკური მიმოხილვა

საქართველოს კონკურენტუნარიანობის პერსპექტივების შეფასება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების სფეროში

ლაშა დოლიძე

შესავალი

2012 წლიდან დღემდე საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტად ითვლება. სახელმწიფო კერძო საფინანსო ინსტიტუტების ჩართულობით ახორციელებს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მრეწველობის სტიმულირებას სხვადასხვა ინსტრუმენტებითა და ღონისძიებებით. ამ ღონისძიებათა ნუსხას მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელთათვის მოქმედი შეღავათიანი პროგრამები, რომლებიც საშუალებას იძლევა დაფინანსდეს როგორც მუდმივი, ასევე ცვალებადი კაპიტალი. მნიშვნელოვანია, რომ მსესხებლებს ხელი მიუწვდებათ რესურსებზე საბაზროზე დაბალი განაკვეთით, მოქმედებს პირველადი წარმოების დაზღვევის სქემები, ასევე კონცესიური ღონისძიებები ხეხილის ახალი ბაღების გაშენების ხელშესაწყობად.

თანდათანობით უფრო გამოკვეთილი ხდება საქართველოს კონკურენტული უპირატესობა სოფლის მეურნეობისა და გადამუშავების პროდუქტების გარკვეული დარგების მიმართულებით. ეს უმეტესწილად ეხება თხილისა და მანდარინის ექსპორტს, ასევე ყურძნის პროდუქტების, მათ შორის ღვინის წარმოებას. ამასთან, საკმაოდ ხშირად გაისმის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს სოფლის მეურნეობის ***პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების საკმარისი სიმძლავრეები***, რაც ამ დარგში ***საქართველოს კონკურენტული უპირატესობის რეალიზაციის*** შემაფერხებელი ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია. ამაში უმეტესად გულისხმობენ იმას, რომ მწარმოებლებს არ აქვთ შესაძლებლობა, პროდუქცია დიდი რაოდენობით ჩააბარონ გადამამუშავებლებს, რომლებიც შემდგომში სხვადასხვა სახის პროდუქციით შეძლებდნენ ბაზარზე თავის დამკვიდრებას. ეს კი, თავის მხრივ, სტიმულს მისცემდა პირველადი წარმოების გაფართოებას და ინტენსიფიკაციას.

წარმოდგენილი მასალით ვეცადეთ, ვაჩვენოთ, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების დარგში კონკურენტული უპირატესობა რეალიზებულია იმ სპეციფიკური მიმართულებით, სადაც ობიექტურად არსებობს შესაბამისი მოთხოვნა და ამ პროცესში სახელმწიფოს როლი უმნიშვნელოა. ასევე ვფიქრობთ, რომ ზოგადად იმისათვის, რომ ქვეყანამ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების დარგში რაიმე კონკურენტული უპირატესობა მოიპოვოს, საჭიროა ის სათანადო რაოდენობით აწარმოებდეს საჭირო ნედლეულს კონკურენტულ ფასად, რაც გადამამუშავებელ სიმძლავრეებში ინვესტირებას გამართლებულს გახდის. ამ აზრით, ვფიქრობთ, რომ საქართველო გამონაკლისი პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცალკეული დარგების პროდუქციის გადამუშავების გარდა, კონკურენტულ პოზიციებს არ ფლობს.

მეთოდოლოგიური განმარტება

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, სოფლის მეურნეობის გადამუშავების პროდუქტების კონკურენტულობის დადგენა პირველადი წარმოების პროდუქტებთან შედარებით გაცილებით უფრო რთულია, ვინაიდან აქ წარმოებაში უფრო დიდ როლს ასრულებს საერთაშორისო კომპონენტი. ასე მაგალითად, სხვადასხვაგვარი წვენისა თუ კონსერვის დამზადებაში მნიშვნელოვანია იმპორტირებული ინგრედიენტები და ტექნოლოგია. გარდა ამისა, პროდუქციის შენახვასა და დამუშავებაში აუცილებელი კაპიტალური დანადგარებიც ძირითადად უცხოური წარმოებისაა. ჩვენი კვლევის ამოცანა არ არის გადამუშავების პროდუქტების წარმოების კონკურენტულობის ასეთი სიღრმისეული შესწავლა, რის გამოც აუცილებლად მიგვაჩნია კვლევის დასაწყისშივე რამდენიმე მეთოდოლოგიური განმარტების გაკეთება:

1. კვლევის მიზანია სოფლის მეურნეობის გადამუშავების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზოგადესი შეფასება შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. სოფლის მეურნეობის გადამუშავების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ***აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობად მიგვაჩნია ნედლეულის შესაბამისი რაოდენობითა და ფასით ქვეყნის შიგნით ხელმისაწვდომობა.*** მხოლოდ ნედლეულის ფარდობითი სიჭარბე იძლევა

საშუალებას შესაბამისი გადამუშავების სიმძლავრეების განვითარებისათვის და არა – პირიქით. ეს ადვილად დასტურდება, როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და სურსათის ინდუსტრიის ზედაპირული მიმოხილვითაც.

2. კონკურენტუნარიანობა საქართველოს ღია სავაჭრო რეჟიმის პირობებში მხოლოდ საერთაშორისო კონტექსტში მოიაზრება. ამაში ის იგულისხმება, რომ პროდუქციასა და მომსახურებაზე მსოფლიო ფასი მიღებული უნდა იყოს როგორც უპირობო მოცემულობა შიდა ბაზარზეც კი. ეს ფაქტორი ძალზე მნიშვნელოვანია გადამუშავების პროდუქტებისათვის, რომელთა შენახვა-ტრანსპორტირება გაცილებით მეტ მანძილზე და მეტ დროშია შესაძლებელი, პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქტთან შედარებით. აქედან გამომდინარე, გადამუშავებული სურსათი შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე გაცილებით უფრო მძაფრ კონკურენციას აწყდება უცხოური ანალოგებისგან, ვიდრე ეს პირველადი წარმოების პროდუქტების შემთხვევაშია. აქედან გამომდინარე, თუ ქართული პირველადი წარმოების პროდუქცია ვერ ახერხებს საექსპორტო ბაზრებზე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პოზიციების მოპოვებას, შესაბამისი გადამამუშავებელი ინდუსტრიის წარმოება კონკურენტუნარიანად ვერ ჩაითვლება.

3. გამორიცხული არ არის, რომ ერთეული საწარმოების, ან, თუნდაც, საწარმოთა ჯგუფის დონეზე საქართველოდან უცხოეთის ქვეყნებში ხორციელდება ამა თუ იმ პირველადი თუ გადამუშავებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ექსპორტი ან რეექსპორტი, მაგრამ ეს ზოგადად არ ადასტურებს ქვეყნის კონკურენტუნარინობას მაშინ, როცა მთლიანად ქვეყანა ამავე პროდუქტის ნეტო-იმპორტიორია.

4. არსებობს ისეთი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულიც, რომელიც მთლიანად ან თითქმის მთლიანად გადამუშავებული სახით მოიხმარება. ასეთი ტიპის პროდუქცია საქართველოში დიდი რაოდენობით არ იწარმოება და არ შეადგენს ჩვენი კვლევის ობიექტს.

5. საერთაშორისო სავაჭრო კლასიფიკაციით, მინერალური წყლების ექსპორტი მიჩნეულია სურსათისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის ნაწილად, თუმცა ის არ შედის სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოების ნუსხაში. ამგვარად, წარმოდგენილი კვლევა ამ პროდუქციას არ შეეხება.

ასევე მნიშვნელოვანია გაირკვეს ის, თუ რა უნდა უძღოდეს კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების ინდუსტრიის განვითარებას საქართველოში – შესაბამისი ნედლეულის საკმარისი რაოდენობით მიწოდება, თუ სიმძლავრეების შექმნა, რაც შექმნის მოთხოვნას და შესაბამისად, უბიძგებს ნედლეულის წარმოების ზრდას.

კვლევაში გაანალიზებულია საქართველოს პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო კონტექსტში. ასევე შეფასებულია ნედლეულის ცალკეული სახეობების წარმოებისა და მოსავლიანობის დინამიკა და შედარებულია სავარაუდო კონკურენტი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან. დასკვნის სახით გამოყოფილია ის ცალკეული დარგები, რომლებშიც საქართველოს შესაძლოა, გააჩნდეს კონკურენტული პოზიციები.

საქართველოს საერთაშორისო კონკურენტული პოზიცია დინამიკაში

2015 წლის სექტემბერში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ მოამზადა კვლევა საქართველოს სოფლის მეურნეობის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შესახებ. კვლევის მიხედვით, კონკურენტუნარიანობა ამა თუ იმ პროდუქტის წარმოებასა და ვაჭრობაში განისაზღვრებოდა რამდენიმე ფაქტორის კომბინაციით. კერძოდ, მოიცავდა საქართველოს წილს მსოფლიო წარმოებაში, ასევე წარმოების ზრდის ტემპებს დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით. გაანალიზდა საქართველოს სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის წარმოება, მათ შორის ხილის (ბაღჩეულისა და ციტრუსის ჩათვლით), კაკლოვნების, ყურძნის, ზეთოვანი კულტურების, მარცვლეულის, რძისა და კვერცხის, ხორცისა და ბოსტნეულის ჩათვლით. ასეთი კლასიფიკაცია შედარებით აადვილებს საქართველოს პოზიციების სხვა ქვეყნებთან შედარებას. ამავე დროს, ამ მეთოდოლოგიით შესაძლებელი იყო საქართველოს კონკურენტუნარიანობის გამოვლენა ინდივიდუალური პროდუქტების დონეზე წინასწარ დადგენილ სასაქონლო ჯგუფებში. ეს მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებდა საქართველოს კონკურენტული პოზიციის დადგენას კავკასიის, დსთ-ს, ევროკავშირში ახალშესული ქვეყნების, ევროკავშირის ყველა სახელმწიფოსა და დანარჩენი მსოფლიოს ტენდენციების ანალიზთან მიმართებაში[1].

[1] Competitiveness of Georgian agriculture. 8 groups of products and 30 products.Capacity Development to the Ministry of Agriculture of Georgia, a Technical Assistance Project funded by EU and implemented by FAO.

კვლევამ აჩვენა, რომ, ზოგადად, საქართველოს კარგი პოზიციები აქვს მემცენარეობის პროდუქტების წარმოების მიმართულებით, მარცვლეული კულტურების წარმოების გარდა. იგივე შეიძლება ითქვას ზეთოვანი კულტურების წარმოების ანალიზის შედეგებზე. კერძოდ, მზესუმზირის წარმოებისა და ექსპორტის ტენდენციები საქართველოსათვის დანარჩენი მსოფლიოს ტენდენციაზე უარესია. პრაქტიკაში ეს აისახება იმაში, რომ გაყიდვაში არსებული მზესუმზირის ზეთის აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოში უცხოური წარმოშობისაა.

რძისა და რძის პროდუქტების წარმოებაში საქართველოში არსებული ტენდენცია აჩვენებს, რომ ჩვენში ამ სექტორის განვითარება ჩამორჩება მსოფლიოს გასაშუალოებული განვითარების ტენდენციას. ამაში იგულისხმება ის, რომ დანარჩენ მსოფლიოში, მათ შორის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობს წარმოების ინტენსიფიკაცია. ამ ქვეყნებში უფრო სწრაფად იზრდება პირუტყვის წველადობა და აქედან გამომდინარე მცირდება რძისა და რძის პროდუქტების თვითღირებულება. კვერცხის წარმოებაში საქართველოს პოზიციები, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად ნეიტრალურია. ზოგადად, კვერცხი ეგრეთ წოდებულ „არასავაჭრო საქონელს“ მიეკუთვნება, რაც იმას გულისხმობს, რომ ამ პროდუქტის ექსპორტირება, განსაკუთრებით დიდ მანძილებზე, მალფუჭებადობისა და მაღალი სატრანსპორტო დანახარჯების გამო, მიმზიდველი არ არის. კვერცხისა და რძის ქვესექტორებში მიმდინარე ტენდენციების ჩვენს მიერ გაკეთებული ანალიზის მართებულობას ამყარებს საქსტატის წელიწდეულების ინფორმაციაც. 2013-17 წლებში კვერცხის იმპორტი, საშუალოდ, წარმოების 2%-ს არ აღემატება, მაშინ, როცა რძით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2013 წლის 90%-დან 2017 წლის 82%-მდე შემცირდა[2].

ყველა სახის ხორცის წარმოება-ექსპორტში, გარდა ცხვრისა და თხის ხორცისა, საქართველოს განვითარების ტენდენციები, გლობალურ ტენდენციებთან შედარებით, არასახარბიელოა. ეს დასტურდება ყოველწლიური სტატისტიკური წელიწდეულებითაც. ამ ქვესექტორში საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს, ხოლო თვითუზრუნველყოფის ყველაზე დაბალი კოეფიციენტი ქათმის ხორცის შემთხვევაში დასტურდება და 2017 წლისთვის მხოლოდ 32%-ს შეადგენს. მაღალია იმპორტზე დამოკიდებულების ხარისხი ღორისა და საქონლის ხორცის შემთხვევაშიც[3]. ასეთ ფონზე, ამ პროდუქციის წარმოებაში კონკურენტულ უპირატესობაზე ლაპარაკი ძალიან რთულია. მართალია, ქართულ ბაზარზე მოქმედებს რამდენიმე გადამამუშავებელი, მაგრამ რთულია იმაზე ლაპარაკი, რომ ისინი წარმოებაში მთლიანად ადგილობრივ ნედლეულს იყენებენ. თუ ზოგად სურათს გავაანალიზებთ, მზა ხორცპროდუქტების ვაჭრობაში მთლიანად დომინირებს იმპორტული პროდუქცია და ეს ტენდენცია დროთა განმავლობაში ადგილობრივი მწარმოებლის სასიკეთოდ არ იცვლება. პროდუქტის ერთადერთი სახეობა ხორცპროდუქტებში, რომელშიც საქართველოს კონკურენტული უპირატესობა გააჩნია, ცხვრისა და თხის ხორცია. აქ, 2013 წლიდან მოყოლებული, იზრდება თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, ხოლო ბოლო ორი წლის მანძილზე საქართველო ნეტო-ექსპორტიორად გადაიქცა ძირითადად ცოცხალი ცხვრის ექსპორტის ხარჯზე.

საკმაოდ კონკურენტუნარიანია საქართველოს პოზიციები ხილისა და კაკლოვნების წარმოებასა და ექსპორტში. მართალია, მსოფლიოს მთლიან წარმოებაში საქართველოს პოზიცია შედარებით უმნიშვნელოა, მაგარამ ცალკეული ხილის ექსპორტისა და წარმოების ზრდის ტემპი საკმარისად დამაიმედებელია.

ცხრილი #1. 2013-16 წ ნაჭუჭგაუცლელი თხილის საშუალო წარმოება			
ქვეყანა	ტონა	კგ ერთ სულზე	ტონა/ჰა
აზერბაიჯანი	31,861	3.31	1.17
საქართველო	34,575	8.75	1.76
ირანი	14,951	0.19	0.69
თურქეთი	516,250	6.60	0.44
მსოფლიო	813,285	0.11	1.34

წყარო: FAOSTAT

2013-16 წლების თხილის წარმოების გასაშუალოებული მაჩვენებლები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს გააჩნია საკმარისი რესურსული ბაზა იმისთვის, რომ ეს დარგი მკვეთრად იყოს ექსპორტზე ორიენტირებული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თხილის ექსპორტი 2000-იანი წლების დასაწყისიდან ძირითადად ნაჭუჭგაუცლელი

[2] ცხრილი 4.11. რძისა და რძის პროდუქტების ბალანსი. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017. საქსტატი
[3] ცხრილი 4.6, 4.7, 4.8, 4.10. რძისა და რძის პროდუქტების ბალანსი. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017. საქსტატი

სახით ხორციელდებოდა. მოგვიანებით, შესაბამისი გადამამუშავებელი სიმძლავრეების შექმნის კვალობაზე, ექსპორტში დომინანტური როლის შესრულება ნაჭუჭგაცლილმა (გადამუშავებულმა) თხილმა დაიმკვიდრა. გარდა ამისა, ქართველმა ექსპორტიორებმა თანდათან მოახერხეს ბაზრების დივერსიფიცირებაც და სადღეისოდ ქართული თხილი შედის ევროპის საკმაოდ ბევრ ქვეყანაში.

ცხრილი #2. 2013-16 წ ყურძნის საშუალო წარმოება			
ქვეყანა	ტონა	კგ ერთ სულზე	ტონა/ჰა
სომხეთი	247,519	84.86	15.22
აზერბაიჯანი	147,453	15.33	10.92
საქართველო	192,275	48.66	3.78
ირანი	2,463,808	31.05	11.24
რუსეთი	498,645	3.47	8.37
თურქეთი	3,959,191	50.58	8.65
უკრაინა	443,778	9.94	9.13
მსოფლიო	76,235,348	10.33	10.76
ევროკავშირი	25,237,740	49.73	8.02

წყარო: FAOSTAT

საინტერესოა საერთაშორისო შედარებები ყურძნის წარმოებაშიც. გასაკვირი არაა, რომ ამ დარგში საქართველო აშკარად გამოკვეთილ კონკურენტულ უპირატესობას ფლობს. აქაც, ისევე, როგორც თხილის შემთხვევაში, მცირეა საქართველოს წილი მსოფლიოს მთლიან წარმოებაში, მაგრამ გამოირჩევა ერთ სულ მოსახლეზე წარმოების შედარებით მაღალი დონით. თურქეთისა და სომხეთის შედარებით მაღალი მოსავლიანობა, სავარაუდოდ, განპირობებული უნდა იყოს ამ ქვეყნების მეტ ორიენტაციაზე სასუფრე ყურძნის ჯიშებზე. მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით ჩამორჩენა დასაძლევია და ეს სავსებით შესაძლებელია.

ღვინის წარმოება-ექსპორტში საქართველოს კონკურენტუნარიანობა ემპირიულად დადასტურებული ფაქტია. 2000 წლიდან დაწყებული საქართველო ნელა, მაგრამ საკმაოდ თანმიმდევრულად იკავებს პოზიციებს საერთაშორისო ბაზრებზე. საყურადღებოა, რომ თანდათანობით იზრდება უცხოეთის ბაზრებზე რეალიზებული ღვინის საშუალო ფასიც. 1995 წლიდან ეს მაჩვენებელი ლიტრზე 1 დოლარიდან 2008 წელს – 3,5 დოლარამდე გაიზარდა[4]. მართალია, 2009-2011 წლებში ადგილი ჰქონდა ფასის ერთგვარ სტაბილიზაციას, რაც საერთაშორისო საფინანსო კრიზისით უნდა იყოს განპირობებული, მაგრამ აშკარაა, რომ საქართველოს კონკურენტული პოზიციები არსებითად არ დაკნინებულა, მიუხედავად იმისა, რომ 2006 წლიდან მოქმედებდა რუსეთის ემბარგო. ამის მიზეზად ის მიგვაჩნია, რომ სწორედ პირველადი წარმოების დონეზე არსებული რაოდენობრივი, ხარისხობრივი და ასორტიმენტის უპირატესობანი განაპირობებენ ქართული მეღვინეობის კონკურენტულ უპირატესობებს. მართალია, 2000-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა დამატებითი სიმძლავრეები, მაგრამ ღვინის ინდუსტრიის განვითარების ტენდენციები ადასტურებს, რომ პირველადი წარმოების მოცულობების გასაზრდელად საწარმოო სიმძლავრეების წინასწარ შექმნა არც აუცილებელი და არც საკმარისი პირობაა. პირიქით, გადამამუშავებელი სფეროს წარმატებისთვის აუცილებელია, თუმცა, საკმარისი არ არის, შესაბამისი სანედლეულო ბაზის არსებობა.

კონკურენტულია საქართველოს პოზიციები მანდარინის წარმოებასა და ექსპორტში. მართალია, აქ უპირატესობა ისე მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი, როგორც ყურძნის შემთხვევაში, მაგრამ მაინც საკმაოდ თვალშისაცემია, თუმცა წარმოების მოცულობა აშკარად არ არის საკმარისი სერიოზული სიდიდის რაიმე გადამამუშავებელი ინდუსტრიის შესაქმნელად. საქართველოში არსებული წარმოების მაჩვენებლები, როგორც აბსოლუტური მოცულობის, ისე მოსავლიანობის თვალსაზრისით, ჯერადად ჩამორჩება უშუალო კონკურენტების – ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს[5,6].

ხილის წარმოების სფეროში კიდევ ერთი დარგი, სადაც საქართველოს კონკურენტული პოზიცია მეტ-ნაკლებად გამოკვეთილია, ვაშლის წარმოებაა.

[4] Is Georgia the next 'new' wine-exporting Country? Kym Anderson, Wine Economics Research Centre, School of Economics, University of Adelaide, Australia

[5] Competitiveness of Georgian agriculture.8 groups of products and 30 products. Capacity Development to the Ministry of Agriculture of Georgia, a Technical Assistance Project funded by EU and implemented by FAO.

[6] FAOSTAT. http://www.fao.org/faostat/en/#data

ცხრილი #3. 2013-16 წ ვაშლის საშუალო წარმოება			
ქვეყანა	ტონა	კგ ერთ სულზე	ტონა/ჰა
სომხეთი	108,536	37.21	10.76
აზერბაიჯანი	252,427	26.25	9.20
საქართველო	60,450	15.30	3.72
ირანი	2,686,796	33.86	11.93
რუსეთი	1,663,311	11.56	8.61
თურქეთი	2,776,120	35.47	16.10
მსოფლიო	85,968,055	11.64	16.53
ევროკავშირი	12,562,481	24.75	23.31

წყარო: FAOSTAT

ზემოთ მოყვანილ ცხრილში საინტერესოა ის, რომ წარმოების ეფექტიანობის უკიდურესად დაბალი მაჩვენებლების პირობებშიც კი, საქართველო ახერხებს იყოს მეტ-ნაკლებად კონკურენტუნარიანი. გარდა ამისა, ეს ცხრილი აჩვენებს იმასაც, რომ პოზიციის შესანარჩუნებლადაც კი აუცილებელი იქნება მასიური ინვესტიციები ახალი ბაღებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით.

საქართველოში ხილის წარმოების ანალიზისას სასარგებლოა საქსტატის 2013-2017 წლების მონაცემების გაცნობა.

ცხრილი #4 ხილის წარმოება საქართველოში (ათასი ტონა)					
	2013	2014	2015	2016	2017
ხილი, სულ	217.6	210.0	144.3	186.4	114.1
მათ შორის:					
ვაშლი	68.6	82.3	25.7	65.2	19.7
მსხალი	17.0	14.2	11.6	10.7	5.6
კომში	2.1	0.8	0.5	1.2	0.5
ქლიავი, ჭანჭური, ღოღნაშო	8.7	13.1	4.5	8.5	3.8
ბალი, ალუბალი	5.6	5.4	2.5	3.7	2.1
გარგარი, ჭერამი	0.7	1.0	0.7	1.5	0.6
ატამი, ვაშლატამა	23.7	24.9	23.1	33.3	32.3
ტყემალი, ალუჩა	10.3	8.4	10.9	9.5	7.8
კაკალი	10.8	4.2	5.6	3.6	3.3
თხილი	39.7	33.8	35.3	29.5	21.4
სუბტროპიკული ხილი	27.8	20.1	21.4	15.8	13.0
მათ შორის:					
ხურმა, კარალიოკი	-	-	-	10.0	8.9
სხვა სუბტროპიკული ხილი	-	-	-	5.1	4.1
კენკროვანი ხილი	0.7	1.1	1.1	3.0	3.2
მათ შორის:					
მარწყვი, ხენდრო	-	-	-	2.6	2.7
ჟოლო	-	-	-	0.2	0.3
დანარჩენი კენკროვანი ხილი	-	-	-	0.2	0.1
დანარჩენი ხილი	1.9	0.8	1.2	1.2	0.8

წყარო: საქსტატი

აქ საყურადღებოა წარმოების ჯამური მაჩვენებლების უკიდურესი ვარიაბელურობა. ყველა ძირითადი ხილის ჯამური წარმოების მოცულობა ამ ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში თითქმის 100%-ია. ეს მიუთითებს წარმოების ტექნოლოგიების დაბალ დონეზე. ასეთ პირობებში ძნელია, ვიქონიოთ მოლოდინი, რომ ინვესტორები მეტ-ნაკლებად სერიოზულ ინვესტიციებს განახორციელებენ გადამამუშავებელ სიმძლავრეებში.

ხილის ზემოთ მოყვანილი მრავალი სახეობიდან მხოლოდ ვაშლის, მსხლის, ატმის, ქლიავის, თხილისა და ხურმის წარმოების სიდიდე აღემატება 10 ათას ტონას განსახილველ პერიოდში – ერთი რომელიმე წლის განმავლობაში, ხოლო წარმოების საშუალო მაჩვენებლები მხოლოდ ვაშლის, მსხლისა და ატმის შემთხვევაში აჭარბებს 10 ათას ტონას, რაც საკმაოდ მოკრძალებული სიდიდის თანამედროვე საწარმოს სიმძლავრედ თუ ჩაითვლება. იმ პირობებში, როცა გადამუშავების სფეროში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მასშტაბის ეფექტსა და ხარჯების მინიმალიზაციას, წარმოების ნედლეულის ასეთი მოკრძალებული მიწოდებით სერიოზული გადამამუშავებელი ინდუსტრიის შექმნაზე ქვეყანაში საუბარი არ უნდა იყოს.

გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების შემაფერხებელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ხილის წარმოების დიდი გეოგრაფიული დისპერსია. წარმოების გაბნეული და ფრაგმენტირებული ბუნება ართულებს ლოგისტიკურ პროცესებსა და კონსოლიდაციას, რაც გადამწყვეტია ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების ინდუსტრიაში. ყურძნის, თხილის, ციტრუსის, ვაშლისა და ატმის გარდა, სხვა ხილის წარმოება მეტ-ნაკლებად თანაბრადაა გადანაწილებული მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს ნიშნავს იმას, რომ პროდუქცია ხშირ შემთხვევაში იწარმოება მეჩხრად დასახლებულ, რთულად მისადგომ რეგიონებში, რაც სერიოზული დამაბრკოლებელი ფაქტორია ამ სფეროში ინვესტიციების ჩასადებად.

საინტერესო სურათს იძლევა ხილის ცალკეული სახეების შენახვის ვადების ანალიზიც.[7]

ცხრილი #5 ხილის შენახვის ვადები	
კულტურა	დღე
ვაშლი	90-240
გარგარი	7-14
ლურჯი მოცვი	10-18
მაყვალი	2-3
ყურძენი	56-180
ქლიავი	14-28
მანდარინი	14-28
ატამი	14-28

საქართველოში მეტ-ნაკლებად დიდი რაოდენობით წარმოებული კულტურებიდან, ეკონომიკური თვალსაზრისით, მხოლოდ ვაშლისა და ყურძნის შენახვაა შესაძლებელი ხანგრძლივი ვადით. დანარჩენი პროდუქტი მალფუჭებადის კატეგორიას მიეკუთვნება. ამის გამო, ძალიან მნიშვნელოვანია სწორედ წარმოების მეტ-ნაკლებად სერიოზული მოცულობების მიღწევა იმისათვის, რომ თუნდაც შემნახველი და სამაცივრე სიმძლავრეები, როგორც ხილ-ბოსტნეულის გადამუშავების ერთ-ერთი ქვედარგი, დაიტვირთოს ადეკვატურად.

ბოსტნეულის გადამამუშავებელი ინდუსტრიის განვითარების პოტენციალის შესაფასებლად მოგვყავს საქართველოს შედარება მეზობელ ქვეყნებთან და ქვეყანათა მნიშვნელოვან ჯგუფებთან კიტრის ჯამური მოსავლის, მოსავლიანობისა და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. კიტრის წარმოება საქართველოში ძალიან უმნიშვნელო მასშტაბისაა და ბევრად ჩამორჩება უშუალო მეზობლებს – სომხეთსა და აზერბაიჯანსაც კი. საშუალო მოსავლიანობის მაჩვენებელი 2013-16 წლებში საქართველოში ჯერადად ნაკლებია მსოფლიოს გასაშუალოებულ მაჩვენებელზე, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე ხელმისაწვდომობით ბევრად ჩამორჩება, როგორც მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს, ასევე მეზობელი ქვეყნებისაც. ცხადია, ისევე, როგორც ხილის ცალკეული კულტურების გადამუშავების შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია ერთეული საწარმოების წარმატებით ფუნქციონირება და პროდუქციის ექსპორტზე გატანაც კი, მაგრამ საქართველოში წარმოებული კიტრის, როგორც ნედლეულის რაოდენობა არ იძლევა ქმედუნარიანი ინდუსტრიის შექმნის შესაძლებლობას.

ცხრილი #6. 2013-16 წ კიტრის საშუალო წარმოება			
ქვეყანა	ტონა	კგ ერთ სულზე	ტონა/ჰა
სომხეთი	83,418	28.60	32.51
აზერბაიჯანი	220,065	22.88	16.05
საქართველო	24,175	6.12	7.39

[7] Post Harvest Management&Value Addition of Fruits&Vegetables. Tamil Nadu Agricultural University

ირანი	2,326,715	29.32	31.09
რუსეთი	1,855,964	12.90	26.93
თურქეთი	1,792,351	22.90	46.99
მსოფლიო	77,234,042	10.46	36.24
ევროკავშირი	2,869,698	5.65	55.20

წყარო: FAOSTAT

ცხრილ #7-ში ასახულია 2013-2016 წლებში პომიდვრის წარმოების გასაშუალოებული მაჩვენებლის შედარება გეოგრაფიული მეზობლებისა და ქვეყნების ბლოკებთან. აქაც, ისევე, როგორც კიტრის შემთხვევაში, საქართველოს აშკარად აკლია გადამუშავების ინდუსტრიისთვის საჭირო ნედლეული. მოსავლიანობაში სხვაობა საქართველოსა და თურქეთს შორის ხუთმაგია, ხოლო, ერთ სულ მოსახლეზე წარმოების მიხედვით, მეზობელ სახელმწიფოს საქართველო ათჯერ ჩამორჩება. ასეთ პირობებში, ადგილობრივ ნედლეულზე მომუშავე ინდუსტრია თურქულს კონკურენციას ვერ გაუწევს.

ცხრილი #7. 2013-16 წ პომიდვრის საშუალო წარმოება			
ქვეყანა	ტონა	კგ ერთ სულზე	ტონა/ჰა
სომხეთი	298,205	102.23	43.06
აზერბაიჯანი	500,003	51.99	19.81
საქართველო	60,525	15.32	12.12
ირანი	6,126,531	77.20	39.44
რუსეთი	2,822,539	19.62	23.80
თურქეთი	12,221,250	156.14	64.87
უკრაინა	2,175,848	48.72	27.86
მსოფლიო	172,159,032	23.32	35.70
ევროკავშირი	17,085,449	33.67	64.15

წყარო: FAOSTAT

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების დინამიკის ზედაპირული გაცნობა და მისი შედარება მეზობელ ქვეყნებთან და ქვეყნების მნიშვნელოვან ბლოკთან ცხადყოფს, რომ, გამონაკლისების გარდა (თხილი, ყურძენი და შესაძლოა, ატამი და ვაშლი), საქართველოს არ აქვს შესაბამისი სანედლეულო ბაზა იმისათვის, რომ იგი, საერთაშორისო თვალსაზრისით, კონკურენტუნარიანად ჩაითვალოს.

საქართველოს საერთაშორისო პოზიციების გასაცნობად დიაგრამა #1-ში გამოვყავით ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების ის პროდუქტები, რომელთა ჯამური ექსპორტი 2009-17 წლებიდან თუნდაც ერთ რომელიმეში აღემატება 1 (ერთ) მილიონ ამერიკულ დოლარს.

აქ ყურადსაღებია ის, რომ ამ ტიპის პროდუქციის ექსპორტში ლიდერის პოზიციაში ვაშლის წვენი გამოდის. წლების განმავლობაში მაღალია ვაშლის წვენის ექსპორტის ვარიაბელურობა, რაც სავარაუდოდ, უკავშირდება ნედლეულის წარმოების ვარიაბელურობას და აგრეთვე იმას, რომ ამ სფეროში სახელმწიფო დროდადრო ატარებს სუბსიდირების პროგრამებს. საინტერესოა, რომ ვაშლის წვენის ექსპორტი მაქსიმუმს აღწევს იმ წელს, როცა ვაშლის წარმოება არ არის მრავალწლიანი მაქსიმუმის დონეზე და მნიშვნელოვნად ჩამორჩება როგორც 2011, ასევე 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს. 2014 წელს ვაშლის წარმოება 2012 წლის მაჩვენებელს თითქმის ორჯერ აღემატება, მაშინ, როცა ვაშლის წვენის ექსპორტი 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე ორჯერ ნაკლებია. ამის მსგავს შედეგებს იძლევა მანდარინის წარმოების პიკური მაჩვენებლისა და ციტრუსის წვენის მაქსიმალური მოცულობების შედარება. წარმოების პიკი 2013 წელზე მოდის, ხოლო წვენის ექსპორტისა – 2014 წელზე[8]. სხვა საანგარიშო პერიოდებში ნედლეულის მოცულობასა და წვენების ექსპორტის ღირებულებას შორის თითქმის არ არის კორელაცია. აუხსნელია 2017 წელს ჯემების, ხილის ჟელეს, მარმელადების, ხილისა და კაკლის პიურეს, ხილისა და კაკლის პასტის ექსპორტის ღირებულების მეტად მკვეთრი ზრდა წინა წლების თითქმის უმნიშვნელო მაჩვენებლებიდან.

[8] საქსტატი. მრავალწლოვანი კულტურების წარნოება. http://geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo

დიაგრამა #1 საშუალებას იძლევა გაკეთდეს რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა. კერძოდ, ყურძნისა და თხილის გადამუშავების პროდუქტების გარდა, სხვა ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების პროდუქტების ექსპორტის ღირებულება ძალიან დაბალია და არ აჩვენებს ზრდის ტენდენციას; ექსპორტის მონაცემებზე, სავარაუდოდ, დიდ გავლენას ახდენს სახელმწიფო პროგრამები; სავარაუდოა, რომ გადამუშავებას ხშირ შემთხვევაში ექვემდებარება შედარებით დაბალი ხარისხის ნედლეული, რომლის პირდაპირი რეალიზაცია რთულია. ეს ალბათ მიანიშნებს იმაზე, რომ ხილის გადამუშავების ინდუსტრია პირველად წარმოებასა და რეალიზაციაზე მეტ დამატებულ ღირებულებას ყოველთვის არ ქმნის.

დიაგრამა 1. ცალკეული ხილ-ბოსტნეულის გადამუშავების პროდუქტებისა და წვენების ექსპორტი საქართველოდან 2009-2017 (ათასი აშშ დოლარი)



სახელმწიფოს მასტიმულირებელი პოლიტიკის ცალკეული ასპექტების მოკლე ანალიზი

2013 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობაში მოქმედი პროგრამებიდან ჩვენ ყურადღება მივაქციეთ „ერთიანი აგროპროექტის“ პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს როგორც პირველადი წარმოების, ისე გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების სტიმულირებას. ამ პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტის – შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში, პირველადი და გადამამუშავებელი დარგების საწარმოთა ძირითადი საშუალებების გასაზრდელად შეღავათიანი კრედიტის სახით 2013 წლიდან 2017 წლის ბოლომდე გაიცა 575,170,132 ლარი და 220,441,279 ამერიკული დოლარი. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში, 2014-17 წლებში ჯამური საინვესტიციო დაბანდება (სახელმწიფოსა და ბენეფიციარის კონტრიბუცია) შეადგენს 24,217,789 აშშ დოლარსა და 4,257,803 ლარს, შესაბამისად, დოლარსა და ლარში განთავსებული საინვესტიციო პროდუქტისათვის[9]. გარდა ამისა, მოქმედებს ლიზინგისა და აგროდაზღვევის პროექტებიც, რომელთა დეტალურ განხილვას აქ არ შევუდგებით.

პირველადი წარმოების სტიმულირების მიზნით, ახალი ბაღების გაშენების ხელშესაწყობად მოქმედებს პროგრამა „დანერგე მომავალი“, რომლის ფარგლებშიც, 2015-17 წლებში ბენეფიციარების თანადაფინანსებითა და სახელმწიფოს ხელშეწყობით, კერძო სექტორი გეგმავს ახალი ბაღების გარკვეული ფართობის გაშენებას, რაც დეტალურად მოცემულია ქვემოთ, ცხრილ #9-ში[10].

[9] საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2017 წლის ანგარიში, გვ 22-23
[10] საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015,16, 17 წლების წლის ანგარიშები

ცხრილი #9. ბენეფიციარების მიერ გასაშენებელი ფართობი ჰექტრებში წლების მიხედვით			
	2015	2016	2017
ატამი	6	8	9
ბალი	27	22	28
ბროწეული	20	0	16
გარგარი		1	9
ვაშლი	235	325	205
თხილი	87	399	83
კაკალი	243	661	811
კომში			23
ლურჯი მოცვი	23	26	67
მაყვალი		12	64
მსხალი	5	13	11
ნუში	26	212	203
ჟოლო	1	10	83
ტყემალი	10	6	2
ქლიავი	35	43	106
შინდი	1	0	0
ხურმა	29	20	63
სანერგე		4	
ფეიხოა	40		
სულ	788	1762	1783

საყურადღებოა, რომ პროგრამა ,,დანერგე მომავლის“ ფარგლებში, ბენეფიციარების მხრიდან მოთხოვნა ფიქსირდება უმეტესწილად კაკლოვნებზე ან ხილის ისეთ სახეობებზე, რომლებიც ძირითადად გადაუმუშავებელი სახით მიდის მომხმარებლამდე. ისიც სავარაუდოა, რომ თანამედროვე ბაღების მეპატრონენი, ისევე, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების წამყვან ქვეყნებში, აქცენტს პირდაპირ მარკეტინგზე აკეთებენ.

ცხადია, წარმოდგენილი მასალის ფარგლებს სცილდება სხვადასხვა სახის სახელმწიფო პროგრამების ავკარგიანობის განხილვა, მაგრამ ზემოთმოყვანილი მასალით შევეცადეთ შეგვემოწმებინა ის, თუ რამდენად მართებულია თეზა იმის შესახებ, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი ინდუსტრიის სიმძლავრეების შექმნა შესაძლებელს გახდიდა ნედლეულის გასაღების დამატებითი საშუალების გაჩენას და სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის სრულად რეალიზაციას. ჩვენი აზრით, ეს პოზიცია მართებული არ არის.

დასკვნა

ემპირიული მასალის ანალიზი და საერთაშორისო შედარებები ცხადყოფს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობა თვალსაწიერ მომავალში, უპირველეს ყოვლისა, პირველად წარმოებას უკავშირდება. ამ სფეროში საქართველოს აქვს რიგი უპირატესობები, რომელთა რეალიზაცია პირდაპირ არ უკავშირდება დარგში გატარებულ სახელმწიფო პოლიტიკას. ასე რომ იყოს, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამების შედეგები უკვე მეტ-ნაკლებად უნდა ასახულიყო, როგორც გადამამუშავებელი ინდუსტრიის, ასევე პირველადი წარმოების შედეგებზე.

მეორე – იმისათვის, რომ გადამამუშავებელი ინდუსტრია კონკურენტულად ჩაითვალოს, აუცილებელია ქვეყანას გააჩნდეს კონკურენტული უპირატესობები შესაბამისი ნედლეულის წარმოების სფეროში. სწორედ ამის დასტურია ის, რომ საქართველო საკმაოდ კარგ პოზიციებს ფლობს დამუშავებული თხილისა და ღვინის ექსპორტში. საქართველო ამ დარგებში ექსპორტიორი გახდა მასტიმულირებელი სახელმწიფო პროგრამების ამოქმედებამდე გაცილებით ადრე. ამგვარად, ფართო გაგებით, საქართველო ბევრად უფრო ნაკლებად კონკურენტუნარიანია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების სფეროში, ვიდრე პირველად წარმოებაში, თუ არ ჩავთვლით ტრადიციულ დარგებსა და ნიშურ მიმართულებებს.

საქართველოში წარმოებული ნედლეული, სპეციფიკური სფეროების გარდა, მეტისმეტად მცირეა იმისათვის, რომ აგრარული პროდუქციის გადამუშავების დარგის სტიმულირება, სახელმწიფო პოლიტიკის თვალსაზრისით, გამართლებული იყოს. იმისათვის, რომ გადამუშავების დარგის პოტენციალის რეალიზაციაზე იყოს საუბარი, აუცილებელი, თუმცა არასაკმარისია ნედლეულის წარმოების მრავალჯერადი ზრდა.

რეკომენდაციები

თუ სახელმწიფო მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების სტიმულირებას და ამ გზით დასაქმების ახალი წყაროების შექმნას სოფლად, მიგვაჩნია, რომ ეს ადეკვატური პოლიტიკა არ არის. ამის მიზეზი ისაა, რომ, ზოგადად, ასეთი ტიპის საწარმოები ბევრ სამუშაო ადგილს, მით უმეტეს, მუდმივ სამუშაო ადგილს არ ქმნიან. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკმაოდ ხშირად მომხმარებელი, მით უმეტეს, განვითარებულ ქვეყნებში, უფრო მეტად აფასებს ნედლი პროდუქტის მოხმარებას, ვიდრე მისი წვენის ან ინდუსტრიული გადამუშავების სხვა პროდუქტის. აქედან გამომდინარე, საქართველოში წარმოებული ხილისა და ბოსტნეულის კონკურენტული უპირატესობის რეალიზაცია უმეტესწილად წარმოების რაოდენობისა და ხარისხის ზრდას უნდა უკავშირდებოდეს.

სახელმწიფო უნდა შეეცადოს, ხელი შეუწყოს წარმოების ინტენსიფიკაციას წვრილ მწარმოებლებში ახალი ტექნოლოგიების გავრცელებისა და წახალისების გზით. ამაში შედის შესაბამისი საექსტენციო საქმიანობა, ახალი ჯიშების გამოცდა, ცოდნის გავრცელების სხვადასხვა სქემის ამოქმედება და სხვა. სასარგებლო იქნება, მაგალითად, ყურძნის წარმოებაში სასუფრე ჯიშების პრომოცია და გავრცელების ხელშეწყობა მცირე ზომის მეურნეობებში. ეს პროცესი უნდა მიმდინარეობდეს ყურძნის წარმოების ოპტიმიზაციის ფონზე, რაშიც იგულისხმება მეტი ორიენტაცია საექსპორტო ბაზრებზე და სასუფრე ყურძნის წარმოებით ჩანაცვლება იმ საღვინე ყურძნის წარმოებისა, რომლის რეალიზაცია გლეხებს სულ უფრო უჭირთ და რომლის გაყიდვის სტიმულირებისთვის სახელმწიფო ხშირად მიმართავს სუბსიდირების სქემებს, რომელთა ეფექტიანობა ძალიან სათუოა.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების ზრდა ძალიან ხანგრძლივი და დროში გაწელილი პროცესი იქნება. სახელმწიფოს პოზიტიური როლი, ჩვენი აზრით, უმეტესწილად შესაბამისი საგანმანათლებლო და ინფორმაციის გავრცელების პროგრამებს უნდა უკავშირდებოდეს. აგრეთვე, სახელმწიფო უნდა შეეცადოს დანერგოს ფერმერთა წინასწარი გაფრთხილების რაიმე სისტემა, რაც მათ თავიდან აცილებს აზიური ფაროსანას მსგავსი რაიმე დაავადების ან მავნებლის გავრეცელების შედეგად დიდი ზარალის უეცარ დადგომას, რისი ლიკვიდაციაც მოგვიანებით დიდ სახელმწიფო ასიგნებებს მოითხოვს. სახელმწიფომ ასევე ხელი უნდა შეუწყოს თანამედროვე ინფრასტრუქტურის, მაგალითად, საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების გამართულ მუშაობას და პროდუქციის ტრანსპორტირების გზაზე არსებული ლოგისტიკური დაბრკოლებების ლიკვიდაციას.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ფიზიკური ინფრასტრუქტურის მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა და რეკომენდაციები შემდგომი კვლევისა და პოლიტიკის განხორციელებისათვის

ლაშა დოლიძე

შესავალი

სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება წარმოების მოცულობისა და ეფექტიანობის ზრდის ერთ-ერთი უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტორია. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის ფორმულირებისას, ისევე, როგორც ბევრ განვითარებად ქვეყანაში, საქართველოშიც გაისმის მნიშვნელოვანი კითხვები ამ სფეროში სახელმწიფოს როლისა და ადგილის შესახებ. ეს კითხვები ეხება სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურაში სახელმწიფოს მიერ ინვესტირების აუცილებლობას და სიდიდეს, აგრეთვე იმას, თუ როდის უნდა განხორციელდეს ეს ინვესტიციები.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგალითად, საირიგაციო და, განსაკუთრებით, სადრენაჟე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, საქართველოს დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, მოითხოვს სახელმწიფოს ჩარევას, ხოლო ინფრასტრუქტურა, რომელიც ფერმერებს მექანიკური ან სხვა სერვისებით უზრუნველყოფს (მექანიზაცია, შემნახველი, სამაცივრე და გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურა, სასაკლაოები, სასოფლო-სამეურნეო კონსულტაცია), ასეთი ჩარევის აუცილებლობას არ ქმნის.

წარმოდგენილი ნაშრომით მოკლედაა მიმოხილული სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში და მისი განვითარების დინამიკა. ასევე, წარმოდგენილია მცდელობა, დაუკავშირდეს სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და მწარმოებლურობის დინამიკას. შევეცადეთ გამოგვეტანა დასკვნა იმასთან დაკავშირებით, შესაძლებელია თუ არა სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის დღევანდელი მდგომარეობა განიხილებოდეს, როგორც უმთავრესი შემაფერხებელი ფაქტორი დარგის განვითარების გზაზე. ასევე, წარმოდგენილია რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გამოიკვეთოს უფრო მკაფიო კავშირი სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურასა და სოფლის მეურნეობის განვითარების დონესა და დინამიკას შორის და რას უნდა ითვალისწინებდეს ამ მიმართულებით ჩასატარებელი კვლევები.

მეთოდოლოგიური განმარტება

კვლევის მიზნებით, სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურაში გაერთიანებულია წარმოების საშუალებები, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ საბოლოო პროდუქტის წარმოებაში და ხარჯების ფორმირებაში. ესაა როგორც საირიგაციო და სადრენაჟე ინფრასტრუქტურა და მასზე ხელმისაწვდომობა, ასევე წვდომა მექანიზაციასთან. გარდა ამისა, ამაშივე მოიაზრება მზა პროდუქციის შენახვასა და გასაღებაში მონაწილე ფიზიკური ინფრასტრუქტურა, როგორიცაა შემნახველი, სამაცივრე, სასაწყობე სათავსოები და სასაკლაოები.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მასში არაა საუბარი სასათბურე მეურნეობებზე შემდეგი ორი მიზეზით: 1) ამ ტიპის სასოფლო-სამეურნეო წარმოება ზოგადად საკმაოდ თავისებური ხასიათისაა და ცალკე კვლევას მოითხოვს და 2) 2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში სათბურებს მთელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მხოლოდ 0,09% უკავია. იმერეთის რეგიონშიც კი, სადაც ყველაზე ფართოდაა გავრცელებული სასათბურე წარმოება, მას მთელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის 0,7% უკავია.[1]

კვლევა არ ეხება ზოგადი დანიშნულების ინფრასტრუქტურას, კერძოდ, მაგისტრალებსა და შიდა მუნიციპალურ გზებს. ასევე, ნახსენები არ არის სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ინფრასტრუქტურა, რაც მოიცავს საკვლევ და საცდელ-სადემონსტრაციო საქმიანობის წარმოებას, როგორც სახელმწიფო სექტორში, ასევე კერძო სექტორსა და საკვლევ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ასევე, განხილული არ არის სასოფლო-სამეურნეო მომსახურების

[1] 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგები. http://census.ge/ge/results/census1

ისეთი სპეციფიკური სფერო, როგორიცაა ფერმერთა მომსახურების ცენტრები. ისინი წარმოდგენილია ყველა მუნიციპალიტეტში, ხშირ შემთხვევაში რამდენიმე ერთეულით, მათ მიერ გაწეული საკონსულტაციო მომსახურების ხარისხი კი ცალკე კვლევის საგანი უნდა გახდეს.

დამუშავებულია ოფიციალური სტატისტიკა სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, რომელიც მოიპოვება ოფიციალური წყაროებით (საქსტატი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო), ასევე მსოფლიო ბანკის განვითარების ინდიკატორები და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სტატისტიკა, რამაც გარკვეული საერთაშორისო შედარებების გაკეთების საშუალება მოგვცა. ასევე, გამოყენებულია რამდენიმე უცხოელი ავტორის კვლევა.

საირიგაციო და დრენაჟის ინფრასტრუქტურის მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა

უახლოეს წარსულში, საბჭოთა კავშირის ეკონომიკის პირობებში, საირიგაციო და სადრენაჟე ინფრასტრუქტურა გადამწყვეტ როლს თამაშობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. შპს „საქართველოს მელიორაციის“ ინფორმაციით, თავის დროზე ირიგაციით უზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი 278 ათას ჰექტარს შეადგენდა, ხოლო დრენირებული იყო 105 ათასი ჰექტარი. 90-იანი წლების მძიმე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ საბოლოოდ მწყობრიდან გამოიყვანა სისტემა და, იმავე შპს „საქართველოს მელიორაციის“ ინფორმაციით, 2012 წლისათვის წყალუზრუნველყოფილი სავარგულების ფართობი 45 ათას ჰექტარამდე დავიდა, ხოლო დრენირებული ფართობი – 14 ათას ჰექტარამდე[2].

საბჭოთა პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა სისტემას, რომელიც ორიენტირებული იყო მაღალსპეციალიზებული პროდუქტის, მათ შორის ჩაის, ციტრუსებისა და სუბტროპიკული კულტურების, ასევე ხილის, ყურძნის და მისი პროდუქტების ექსპორტზე საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ დაკარგა გარანტირებული ბაზრები, რაც იმას ნიშნავს, რომ უწინდელი რაოდენობით გამოშვების დონეზე დაბრუნება მოკლე და საშუალო ვადიან პერიოდში მიუღწეველი ამოცანაა, რადგანაც ბოლო 30 წლის განმავლობაში თავად საქართველო გახდა გახსნილი საგარეო ვაჭრობის მიმართ, შეიცვალა მისი სოფლის მეურნეობის, ისევე, როგორც ყოფილი საექსპორტო ბაზრების პროფილი და განვითარდა სხვა მრავალი ობიექტური პროცესი, მათ შორის, ტექნოლოგიური და დემოგრაფიული ცვლილებები, რომელმაც ქვეყანა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ცხადია, ეჭვს არ იწვევს, რომ საირიგაციო და სადრენაჟე ინფრასტრუქტურის აღდგენა მნიშვნელოვანი ამოცანაა, მაგრამ არ უნდა შეიქმნას იმის მოლოდინი, რომ მხოლოდ ეს ღონისძიება გამოიწვევს საქართველოში სპეციალიზებული სასურსათო პროდუქციის წარმოების ნახტომისებურ ზრდას.

დიაგრამა 1. გასარწყავებული და დრენირებული ფართობის დინამიკა საქართველოში (ჰექტარი)



წყარო: შპს „საქართველოს მელიორაცია“

[2] http://www.ag.ge/Ge/Mission#

ამჟამად, სახელმწიფო თავად და დონორების მხარდაჭერით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს ,,საქართველოს მელიორაციის“ ძალებით ახორციელებს სარწყავი და სადრენაჟე ინფრასტრუქტურის აღდგენის პროგრამებს. დიაგრამა #1-ზე ნაჩვენებია საირიგაციო და სადრენაჟე ინფრასტრუქტურის აღდგენის დინამიკა. 2012 წლიდან 2018 წლის ჩათვლით, გასარწყავებული ფართობი დაახლოებით სამჯერაა გაზრდილი და თუ 2012 წელს 45 ათასი ჰექტარს ითვლიდა, 2018 წელს 127 ათას ჰექტარამდე გაიზარდა. დაახლოებით იგივე დინამიკაა დრენირებული ფართობის შემთხვევაში, რომელიც 2012 წლის 14 ათასი ჰექტარიდან 2018 წელს 27,9 ათას ჰექტარამდე გაიზარდა.

ირიგაციისა და დრენაჟის მიმართულებით განხორციელებული და მიმდინარე საქმიანობის შესახებ კარგ წარმოდგენას ქმნის მელიორირებული ფართობის ცვლილების ამსახველი რუკების შედარება.

რუკა #1 მელიორირებული ფართობი 2012 წელს

რუკებზე საკმაოდ კარგად ჩანს, რომ დრენაჟისა და ირიგაციის განლაგება ემთხვევა იმ ტერიტორიებს, სადაც განვითარებული იყო და კვლავაც მეტ-ნაკლებად განვითარებული რჩება მაღალსპეციალიზებული სოფლის მეურნეობა, რაშიც მოიაზრება მეხილეობა, ციტრუსის წარმოება, მევენახეობა, მეღვინეობა და მაღალშემოსავლიანი ერთწლოვანი კულტურები.

უნდა აღინიშნოს, რომ დრენირებული ფართობი ძირითადად მოდის აჭარის ჩრდილო დასავლეთ ნაწილზე, სადაც ტრადიციულად განვითარებულია მეციტრუსეობა და სუბტროპიკული მეხილეობა, ასევე გურიის დაბლობ ზონაზე, სადაც ასევე გამოკვეთილია მეციტრუსეობა და მეჩაიეობა, ასევე სიმინდის წარმოება. გარდა ამისა, დრენაჟით დაფარული ტერიტორია მოიცავს სამეგრელოს სამხრეთსა და სამხრეთ დასავლეთ ნაწილს, ასევე იმერეთის უკიდურეს დასავლეთს, გურიისა და სამეგრელოს მომიჯნავე ტერიტორიებს. ამ ტერიტორიებზე დრენაჟის განვითარება საშუალებას იძლევა განვითარდეს სიმინდის, საკვები კულტურების, ნაწილობრივ ჩაის, ასევე სხვა კულტურების წარმოება.

ირიგაციით დაფარულია აღმოსავლეთ საქართველოს სწორედ ის ტერიტორიები, სადაც მაღალია სპეციალიზებული მეხილეობის განვითარების პერსპექტივა (შიდა ქართლი და კახეთი), ასევე მევენახეობაზე ორიენტირებული კახეთის რეგიონები. ირიგაცია მნიშვნელოვანია ქვემო ქართლისათვის, როგორც მაღალი ღირებულების მქონე ერთწლოვანი კულტურების მწარმოებელი რეგიონისათვის. მეხილეობის მნიშვნელოვანი პოტენციალია სამცხე-ჯავახეთში, რომელიც ასევე დამოკიდებულია სამელიორაციო სისტემების განვითარებაზე.

რუკა #2 მელიორირებული ფართობი 2018 წელს



2018 წელს დრენაჟითა და ირიგაციით დაფარული ფართობების ვიზუალური ასახვა საკმაოდ კარგად აჩვენებს, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები დამაკმაყოფილებელი ტემპით ვითარდება და საქართველოში თანდათანობით იქმნება საირიგაციო და სადრენაჟე ინფრასტრუქტურა, რომელიც წარმოების სპეციალიზებული დარგების განვითარების საშუალებას იძლევა.

შპს „საქართველოს მელიორაციის“ სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს 2025 წლისათვის დრენირებული ფართობის – 100 ათას ჰექტარამდე, ხოლო გასარწყავებული ფართობის 200 ათას ჰექტრამდე ზრდას. საირიგაციო და სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაციის დღევანდელი ტემპებიდან გამომდინარე, ეს ამოცანა საკმაოდ რეალისტური ჩანს.

წარმოდგენილი კვლევის მიზანი არ არის სარეაბილიტაციო სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის მონიტორინგი, მაგრამ ოფიციალური ინფორმაციის მოკლე მიმოხილვა აჩვენებს, რომ საირიგაციო და სადრენაჟე სისტემების მოუწესრიგებლობის პრობლემა თანდათანობით გვარდება და არსებული დინამიკიდან გამომდინარე, მისი დღევანდელი მდგომარეობა არ უნდა ჩაითვალოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ხელშემშლელ უმთავრეს ფაქტორად.

უფრო საფუძვლიანი დასკვნის გასაკეთებლად აუცილებელი იქნება უფრო ჩაღრმავებული ანალიზი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი აბონენტი მოიხმარს სისტემის მომსახურებას და როგორ იცვლება მათი დინამიკა დროთა განმავლობაში, რეგიონების მიხედვით, აგრეთვე ის, თუ როგორ იცვლება მორწყულ ფართობზე მოყვანილი კულტურები. ასევე აუცილებელია შეფასდეს საირიგაციო სისტემის გამოყენება ხარჯეფექტიანობის თვალსაზრისით და მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რამდენად სწრაფად მიმდინარეობს ახალ ტექნოლოგიებზე, მათ შორის წვეთოვანი სარწყავი სისტემის გამოყენებაზე გადასვლა ინდივიდუალური მეურნეობების დონეზე. ყოველივე ამის მიუხედავად, ის ფაქტი, რომ საირიგაციო და სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაციის მიმართულებით მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება, გვაფიქრებინებს, რომ, მართალია, ამ სფეროს ბევრი აკლია განვითარების თანამედროვე სტანდარტებამდე, მაგრამ მისი დღევანდელი მდგომარეობა და დინამიკა სოფლის მეურნეობის განვითარების დონის ადეკვატურია.

მექანიზაციასთან წვდომის მოკლე მიმოხილვა

2012 წელს სოფლის მეურნეობის მთავარ ეკონომიკურ პრიორიტეტად გამოცხადების შემდეგ, სახელმწიფო დიდ ყურადღებას აქცევს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასთან წვდომის საკითხებს. 2012 წლიდან დაწყებული, სახელმწიფო აქტიურად იყო ჩართული ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოყვანის პროცესში, ასევე თვითონაც უწევდა მექანიზაციის მომსახურებას კერძო სექტორს, როგორც საგაზაფხულო ხვნა-თესვის კამპანიების ფარგლებში, ასევე მისი განხორციელების შემდეგაც.

სადღეისოდ საქათველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში ფუნქციონირებს შპს „მექანიზატორი“, რომელიც დაინტერესებულ ფერმერებს კომერციულ მომსახურებას სთავაზობს. ამჟამად მის პარკშია 1055 ტრაქტორი, 117 კომბაინი და დაახლოებით 500 იმპლემენტი.

გარდა ამისა, სხვადასხვა დონორული ორგანიზაციების დახმარებითა და კერძო მომსახურების სფეროს განვითარების კვალობაზე, საქართველოს მუნიციპალიტეტებში, ეგრეთ წოდებულ ფერმერთა მომსახურების ცენტრებთან, ჩამოყალიბდა პროფესიული მექანიზაციის მომსახურების სერვისები. თავად ფერმერებსაც ჰყავთ თავის განკარგულებაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პარკი, რომელიც თანდათანობით ახლდება.

საინტერესო სურათს იძლევა, საქართველოსა და მისი რეგიონების მასშტაბით, მეურნეობათა საკუთრებაში არსებული ტექნიკის რიცხოვნობის შედარება 2004 და 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგების მიხედვით. როგორც ცხრილი #1 აჩვენებს, ადგილი აქვს ტექნიკის სახეობების რიცხოვნობისა და ტექნიკის მთლიან პარკში ტექნიკის ტიპების პროპორციის ცვლილებებს. შედარებით ჭარბმიწიან კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში გარკვეულწილად მოიმატა ამა თუ იმ სახის ტრაქტორების რაოდენობამ. ყველაზე გამოკვეთილი ზრდა ფიქსირდება შიდა ქართლის რეგიონში. შემცირებულია ტრაქტორების რიცხვი შედარებით მცირემიწიან იმერეთში, ხოლო ყველაზე გამოკვეთილად ეს ქვემო ქართლის შემთხვევაში შეინიშნება. ამ რეგიონში შედის შედარებით ჭარბმიწიანი და მცირემიწიანი მუნიციპალიტეტები.

ფიქსირდება ხელის ტრაქტორების რიცხოვნობის ზრდა რამდენიმე რეგიონში. ეს შესაძლოა, განპირობებული იყოს სახელმწიფოს აქტივობით ამ სფეროში, ასევე 90-იანი წლების მიწის რეფორმის შემდეგ ნაკვეთების დაწვრილმანებით და იმითაც, რომ შედარებით იაფი და ენერგოტევადი ხელის ტრაქტორების შეძენა უფრო ადვილი გახდა. საინტერესოა, რომ მთლიანობაში შემცირებულია საკუთრებაში არსებული სატვირთო ავტომობილების რაოდენობა, თუმცა, ზოგ რეგიონში მატება ფიქსირდება. ამის მიზეზი შესაძლოა, იყოს საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი პარკის მწყობრიდან გამოსვლა, ასევე ის, რომ თანამედროვე საავტომობილო ტრანსპორტი შედარებით უფრო ეფექტურია და მეტი სამუშაოს შესრულება შეუძლია. ამის გათვალისწინებით, ძნელია იმაზე ლაპარაკი, რომ გადასაზიდი საშუალებების რიცხვის შემცირება რაიმე არსებით დამაბრკოლებელ პრობლემას წარმოადგენს.

ცხრილი #1

	2004			2014		
საკუთრებაში არსებული ტექნიკის რაოდენობა	I	II	III	I	II	III
იმერეთი	2 063	5112	1543	992	6444	1119
კახეთი	3 431	3 636	4 340	3 581	1 693	3 142
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1 233	138	1 005	957	139	566
სამცხე-ჯავახეთი	1 791	3 024	2 793	2 315	3 412	3 550

ქვემო ქართლი	2 734	985	2 009	1 264	806	2 466
შიდა ქართლი	2 315	6 801	1 875	3 336	7 252	2 049
სხვა რეგიონები	1 516	841	5 200	1 011	2 266	2 067

ლეგენდა
I – რომელიმე სახის ტრაქტორი
II – ხელის ტრაქტორი
III – სატვირთო ავტომობილი

წყარო: საქსტატი.

საკმაოდ საინტერესოა **ცხრილი #2**, რომელიც ერთგვარად ავსებს ცხრილ#1-ში მოწოდებულ ინფორმაციას. აქაც, როგორც წინა შემთხვევაში, უმეტეს სასოფლო-სამურნეო რეგიონებში ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების კლებას. ტრაქტორების გამოყენება შემცირებულია ყველა რეგიონში, ხოლო ხელის ტრაქტორების გამოყენება გაზრდილია შედარებით მცირემიწიან იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში და მცხეთა-მთიანეთის, აჭარისა და გურიის რეგიონებში, რომლებიც ცხრილში სხვა რეგიონების მუხლში არიან გაერთიანებულნი. 2014 წელს, 2004 წელთან შედარებით, უფრო მეტად სატვირთო ავტომობილები გამოიყენეს მხოლოდ ორ რეგიონში – ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, სხვაგან კლებაა დაფიქსირებული. ამ მდგომარეობის მიზეზებზე საუბარი საკმაოდ ძნელია. გამორიცხული არ არის, რომ, 2004 წელთან შედარებით, უბრალოდ შემცირებულია სოფლად საოჯახო მეურნეობათა რიცხვი, რაც საკმაოდ ლოგიკური დასკვნაა. გარდა ამისა, სავარაუდოდ, მიმდინარეობს სასოფლო ნაკვეთების ნელი კონსოლიდაციის ტენდენციაც, რაც ამცირებს ტექნიკის ჯამური გამოყენების რიცხვს. ყოველ შემთხვევაში, ტექნიკის გამოყენების კლება იმდენად თვალშისაცემი არ არის, რომ შესაძლებელი იყოს საუბარი მექანიზაციისა და ტრანსპორტირების ინფრასტრუქტურის ფუნდამენტურ პრობლემებზე.

ცხრილი #2

	2004			2014		
მეურნეობათა რიცხვი, ვინც ტექნიკა გამოიყენა	I	II	III	I	II	III
იმერეთი	83 052	13111	21727	61662	18437	18980
კახეთი	75 577	11090	41095	52332	8158	32805
სამეგრელო-ზემო სვანეთი	65 001	442	17450	45632	1435	14040
სამცხე-ჯავახეთი	28 469	8159	17250	24693	13879	22044
ქვემო ქართლი	41 204	3998	15409	24233	6131	16792
შიდა ქართლი	40 495	15041	18986	25979	14328	12972
სხვა რეგიონები	47 771	2 049	42 035	34 093	11 392	26 934

ლეგენდა
I – რომელიმე სახის ტრაქტორი
II – ხელის ტრაქტორი
III – სატვირთო ავტომობილი

წყარო: საქსტატი.

იმისათვის, რომ უფრო მკაფიო წარმოდგენა შეიქმნას საქართველოს მექანიზაციასთან წვდომის საკითხზე, მოყვანილია **გრაფიკი #1**. გრაფიკი აჩვენებს, 2009 წლიდან 2017 წლის ჩათვლით, საქართველოში იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულებას დოლარებში. საინტერესოა, რომ იმპორტის პიკი ემთხვევა 2012-13 წლების პერიოდს, როდესაც სოფლის მეურნეობა გამოცხადდა განვითარების პრიორიტეტად. ამ პერიოდში ფიქსირდება თვლიანი, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო დანიშნულებისათვის გამოსაყენებელი ტრაქტორების იმპორტის ჯერადი ზრდა. შედარებით ნაკლებად, მაგრამ ასევე გამოკვეთილად იზრდება ნახევრად მისაბმელებისათვის გამოსაყენებელი ტრაქტორების იმპორტის ღირებულება, თუმცა 2010 წლიდან. რაც შეეხება მუხლუხიან ტრაქტორს, მისი იმპორტის ღირებულება შედარებით სტაბილური რჩება მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში.

საინტერესოა 2012 წლის შემდგომი პერიოდის ანალიზი. პიკიდან მკვეთრად ვარდნის შემდეგ, იმპორტის მოცულობა მეტ-ნაკლებად თანაბარი რჩება წლიდან წლამდე. ეს გვაფიქრებინებს, რომ კერძო სექტორი საკუთარი ძალებით ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლებას. გარდა ამისა, 2012 წელს შესყიდული ტექნიკა სისტემაში რჩება და შეუძლია ფერმერთა მოთხოვნის დაკმაყოფილება კომერციული სერვისების გაწევის გზით. ჩვენს ხელთ

არსებული ინფორმაციით, მიმდინარეობს შპს ,,მექანიზატორის“ სარგებლობაში არსებული ტექნიკის თანდათანობით გასხვისების პროცესი, რაც იმას ნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დეფიციტი არ უნდა აღინიშნებოდეს. ამგვარად, მიგვაჩნია, რომ ტექნიკის დეფიციტის გამო მიწების დაუმუშავებლობის მტკიცება გაუმართლებელი იქნებოდა.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასთან წვდომის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ ამ სფეროში, ისევე, როგორც ინფრასტრუქტურის სხვა ტიპების სრულფასოვანი ანალიზის ჩასატარებლად

გრაფიკი 2. სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორების იმპორტი 000 აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

აუცილებელია მისი შეფასება ეფექტურობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით, რაც თვისებრივად განსხვავებული ამოცანაა. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი ინფორმაციით, შეგვიძლია, სავსებით მართებულად ვივარაუდოთ, რომ, მართალია, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხარისხი და მდგომარეობა არ არის საუკეთესო, არსებული ტექნიკის პარკი და მისი მდგომარეობა ადეკვატურად ემსახურება დარგის მოთხოვნებს. წინსვლა ამ მიმართულებით უფრო მეტად დამოკიდებული იქნება ახალი ტექნოლოგიებისა და ნოუ ჰაუს დანერგვაზე, ასევე მთელ რიგ ინსტიტუციონალურ საკითხებზე, როგორიცაა მიწისა და ტექნოლოგიის ბაზრების განვითარება, სასოფლო-სამეურნეო კვლევა-დანერგვა და სხვა. ამ მოსაზრებას ეხმიანება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სტატისტიკისა და მსოფლიო ბანკის განვითარების ცალკეული ინდიკატორების ანალიზი

ცხრილი #3 ქვეყნების შედარება ცალკეული პარამეტრებით

	2009	2015	2016
ქვეყანა	I	II	III
სომხეთი	291,6	53	6161,4
აზერბაიჯანი	148,2	24,2	2139,3
საქართველო	216,9	142,1	1355,8
საბერძნეთი	1004,7	120	18025,9
ტაჯიკეთი	310,2	80,3	1002,4
თურქეთი	395,3	106,7	15107,7
ევროპა და ცენტრალური აზია	329,6	77,2	14129,5

წყარო: FAO, WB.

ლეგენდა
I – ტრაქტორის რაოდენობა 100 მ^2 სახნავ ფართობზე
II – სასუქის გამოყენება კგ/ჰა
III – დამატებული ღირებულება ერთ დასაქმებულზე (აშშ დოლარი)

ცხრილი #3 ნათლად აჩვენებს, რომ მეტ-ნაკლებად მსგავსი ქვეყნებისთვისაც კი ძალზე რთულია დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, თუ რამდენად განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფაქტორების გამოყენების ინტენსივობა დარგის განვითარების დონეს დროის ამა თუ იმ მონაკვეთში. ამის გასარკვევად საჭიროა ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების კონტექსტის, ისტორიის, პირობებისა და სხვა ფაქტორების ჩაღრმავებული კვლევა. გარდა ამისა, ზემოთმოყვანილი ცხრილი იმასაც აჩვენებს, რომ ამა თუ იმ დონეზე ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარებისთვის საჭიროა კონკურენტული უპირატესობების კარგად გამოყენება, მართებული სტიმულირება, ტექნოლოგიების ათვისება და სხვა მრავალი მასტიმულირებელი ფაქტორის ერთობლიობა, რაც საბოლოო შედეგში უნდა აისახოს.

წვდომა სამაცივრე სათავსოებთან, ელევატორებთან და სასაკლაოებთან

რამდენიმე წლის წინ საქსტატის ეგიდით ჩატარდა სამაცივრე მეურნეობების, ელევატორებისა და სასაკლაოების გამოკვლევები, რაც საშუალებას იძლევა, შეფასდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურის ფიზიკური სიდიდე და პროდუქციით დატვირთულობა.

ცხრილი #4. სათავსოების მახასიათებლები

ელევატორებისა და მაცივრების ზოგადი მდგომარეობა	I	II	III	IV
2014	167 722	80	39 215	...
2015	231 331	67	40 209	28 863
2016	246 566	88	43 950	38 975
2017	318 032	102	89 674	9 959
სამაცივრე მეურნეობები	I	II	III	IV
2014	99587	267	7882	...
2015	96971	226	8282	5130
2016	102491	277	9378	3756
2017	108893	353	8945	3041

ლეგენდა
I – მოცულობა ($მ^3$)
II – პირთა (ორგანიზაციათა) რიცხვი, ვისგანაც შესყიდულია სარეალიზაციო პროდუქცია
III – გაყიდული იმპორტირებული პროდუქცია (ტონა)
IV – გაყიდული ადგილობრივი პროდუქცია (ტონა)

Source: საქსტატი.

როგორც ელევატორების, ისე სამაცივრე მეურნეობების შემთხვევაში, გამოკვეთილია შემდეგი ორი მეტად მნიშვნელოვანი ტენდენცია: 1) იზრდება სათავსოების ტევადობა, თუმცა ეს ძალიან მკაფიოდ მხოლოდ ელევატორების შემთხვევაშია გამოკვეთილი. 2) გაყიდული იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა გაცილებით ჭარბობს ადგილობრივ რეალიზებული პროდუქციის მოცულობას. ცხადია, მხოლოდ ოთხი წლის ინფორმაციის ანალიზი საკმარისი არ არის შორსმიმავალი დასკვნების გასაკეთებლად, მაგრამ აქაც შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოში წარმოებული პროდუქციის მოცულობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმისთვის, რომ თუნდაც არსებული შემნახველი სიმძლავრეები დაიტვირთოს ადეკვატურად. აქედან გამომდინარე, ლაპარაკი იმაზე, რომ შემნახველ სიმძლავრეებთან წვდომის ნაკლებობა ხელს უშლის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას, სამართლიანი არ იქნება.

ამ მოსაზრებას ეხმიანება სამაცივრე მეურნეობების მეპატრონეთა ინტერვიუები, ადგილზე ჩატარებული დათვალიერებები და გამოკითხვებიც. ცალკეულ შემთხვევებში იკვეთება, რომ მეტ-ნაკლებად მსხვილი მწარმოებლები ცდილობენ, საკუთარი სამაცივრე მეურნეობები შექმნან და მცირე მწარმოებლებისგან პროდუქცია შემავსებლის სახით მიიღონ[3].

[3] http://eugeorgia.info/ka/article/465/samacivre-meurneobebi-sezonurad-da-nawilobrivi-datvirtvit-mushaoben/

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) კვლევების მიხედვით, რომლებიც გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით ჩატარდა, საქართველოში საკმაოდ მწვავედ დგას წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვის, დამუშავებისა და მარკეტინგის პრობლემები. აღნიშნულია ისიც, რომ მწვავეა შემნახველი სათავსოების ხარისხისა და მენეჯმენტის ეფექტიანობის პრობლემებიც, მაგრამ ამავე დროს აღინიშნება ისიც, რომ წარმოების დღევანდელი მოცულობა აშკარად არაა საკმარისი სამაცივრე მეურნეობების ნაკლებობაზე სალაპარაკოდ. დიდია წარმოების ფრაგმენტაცია, დაბალია პროდუქციის მოყვანაში, კრეფაში, დაფასოებასა და ტრანსპორტირებაში არსებული ტექნოლოგიების და გათვითცნობიერებულობის დონე. ამ პრობლემების გადაჭრის გარეშე კი არსებული სიმძლავრეების გამოყენებაც არ იქნება შესაძლებელი. FAO-ს ექსპერტების აზრით, აშკარა კომერციული პერსპექტივა აქვს თხილის შემნახველი სათავსოების მშენებლობას, ოღონდ იმ პირობით, თუ შეიქმნება სათანადო ფინანსური ინფრასტრუქტურა, იმოქმედებს პროდუქციის საყოველთაოდ მიღებული სტანდარტები, ამაღლდება წარმოებული პროდუქციის ხარისხი და ერთგვაროვნება[4]. რაც შეეხება ვაშლს, მსხალს, კენკროვნებს, ატამს, მწვანილეულს და სხვა, შედარებით მალფუჭებად პროდუქტებს, ამ მიმართულებით განვითარება დიდად იქნება დამოკიდებული ფერმერების კომპეტენციის ზრდაზე წარმოებისა და მარკეტინგის სფეროებში. რაღა თქმა უნდა, საჭირო იქნება წარმოებული პროდუქციის მოცულობის ზრდა, რაც შეამცირებს თვითღირებულებას და როგორც გამყიდველს, ისევე შემსყიდველს პროდუქციის სამაცივრე მეურნეობაში დასაწყობების სტიმულს მისცემს[5].

რაც შეეხება სასაკლაოებთან წვდომას, **ცხრილი#5**, რომელიც ასახავს საქსტატის მიერ ჩატარებული კვლევას, ცხადყოფს, რომ მოსახლეობასა და ბიზნესს ამ სფეროზეც საკმაოდ მიუწვდება ხელი.

ცხრილი #5. სასაკლაოებში დაკლული პირუტყვის სულადობა

	2014	2015	2016	2017
მსხვილფეხა (სული)	185 160	192 254	185 753	215 713
წვრილფეხა (სული)	55 278	6 073	25 914	291 842
ღორი (სული)	...	87 516	97 741	100 927
ფრინველი (ფრთა)	...	9 415 412	9 620 566	10 050 794
სხვა (სული)	...	1 336	1 905	7 718

წყარო: საქსტატი

საქსტატის ინფორმაციიდან ასევე ვიგებთ, რომ თანდათანობით იზრდება სასაკლაოებში დასაქმებულთა რაოდენობა. ასე მაგალითად, 2014-დან 2017 წლამდე დასაქმებულთა რაოდენობა თითქმის გაორმაგდა და 620-დან 1060-მდე იმატა. დაახლოებით 40%-ით იმატა იმ სუბიექტთა რაოდენობამ, ვისაც მომსახურება გაეწია, მათ შორის, საოჯახო მეურნეობების რიცხვი, ვინც ამ სერვისით ისარგებლა, დაახლოებით ორჯერ გაიზარდა. აქედან გამომდინარე, ფიზიკური წვდომის თვალსაზრისით, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სასაკლაოებთან ფიზიკური წვდომა, როგორც შესაბამისი სექტორის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი, არსებული მდგომარეობის ადეკვატურია. თუმცა, ამავე დროს, ეს არ გულისხმობს, რომ ეს სფერო სრულიად გამართულად და დაწინაურებული ქვეყნების სტანდარტების დონეზე ფუნქციონირებს.

დასკვნა

სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის ნაწილის ზოგადი მიმოხილვის მოტივაციას წარმოადგენდა პოზიციის ჩამოყალიბება იმის შესახებ, თუ რამდენად სუსტადაა განვითარებული ეს სფერო და რამდენად უშლის ხელს იგი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის განვითარებას. გაანალიზებული ინფორმაცია მიანიშნებს, რომ ეს სფერო საქართველოში მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია ეკონომიკის საერთო განვითარების დონის გათვალისწინებით. ცხადია, მოლოდინი იმისა, რომ უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარების დონე წინ უსწრებდეს დარგის ან ზოგადად ეკონომიკის განვითარების დონეს, რეალისტური არ არის.

[4] Concept Paper on the Implementation of a Warehouse Receipt System in Georgia. Analysis and Recommendations; GCP/GEO/001/EC: Technical Capacity Development of the Ministry of Agriculture of Georgia; Vincent Morabito and Lucas Caltrider; January 2016

[5] Consultancy report on Postharvest Technologies and Export Value Chains; GCP/GEO/001/EC: Technical Capacity Development of the Ministry of Agriculture of Georgia; Elhadi M. Yahia, May, 2017

უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის ამ ნაწილში გამოუყენებელი სიმძლავრეებიც კი არსებობს. მაგალითად, შემნახველ და სამაცივრე სათავსოებში შეინიშნება შესანახი ხილისა და ბოსტნეულის დეფიციტი. იგივე ეხება ელევატორებს, რომლებიც გაცილებით მეტად იტვირთება იმპორტით, ვიდრე ადგილობრივი წარმოებით. მეტ-ნაკლებად ადეკვატურია მდგომარეობა მექანიზაციასთან წვდომის თვალსაზრისით. სავარაუდოდ, მეტია გასაკეთებელი საირიგაციო და სადრენაჟე ინფრასტრუქტურის აღსადგენად, თუმცა, აქაც განვითარების ტემპი აჭარბებს ზოგადად სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპებს.

გრაფიკი 3. ცალკეული პროდუქციის ფიზიკური წარმოების ინდექსები



წყარო: საქსტატი

გრაფიკი #3 აჩვენებს, რომ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფიზიკური წარმოების ინდექსები სახარბიელო არ არის და გაძნელებულია წარმოების 2014 წლის დონეზე შენარჩუნებაც კი. საინტერესოა, რომ იმავე პერიოდში ფერმერთათვის არც თუ ისე ხელსაყრელად ვითარდებოდა ფერმის კართან ფასების დინამიკა ლარებში.

გრაფიკი 4. ფერმის კართან ფასების (ლარის) ინდექსები



წყარო: საქსტატი

2014 წლიდან მხოლოდ ხილის ფერმის კართან ფასები გაიზარდა დაახლოებით 30 პროცენტით ლარებში. ინფლაციისა და ვალუტის კურსის დევალვაციის პირობებში, ეს შესაძლებელია, რეალური ფერმის კართან ფასების შემცირებასაც კი ნიშნავდეს. ეს მოვლენათა უარყოფითი განვითარებაა საქართველოს სოფლის მეურნეობაში, რომელიც საკმაოდ დამოკიდებულია წარმოების საშუალებების (შხამ-ქიმიკატები, ტექნიკა, ენერგომატარებლები, სასუქების ნაწილი, ტექნოლოგიები) იმპორტზე. გარდა ამისა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ 2008 წლის პიკის მერე, გლობალური სასოფლო-სამეურნეო ფასები კვლავაც იკლებს, როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. აქედან გამომდინარე იკლებს საქართველოში რეალიზებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალური ფასები. ეს წნეხში აქცევს ქართველ ფერმერებს, რომლებმაც, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაუმჯობესონ წარმოების ტექნოლოგიები წარმოების მოცულობის გასაზრდელად და თვითღირებულების შესამცირებლად.

ზემოთ წარმოდგენილი ორი გრაფიკით იმის თქმა გვსურს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დინამიკა არ შეიძლება ცალსახად დავუკავშიროთ შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების სისუსტეს. პრობლემა გაცილებით უფრო ღრმაა და უკავშირდება წარმოების ტექნოლოგიებს, ინსტიტუციონალურ სირთულეებს, დემოგრაფიულ გამოწვევებსა და ინოვაციებისა და წარმოების მასტიმულირებელი შესაბამისი სიგნალების ნაკლებობას. მხოლოდ ყველა ამ ფაქტორის ერთობლიობა და სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება შეაძლებინებს ფერმერებს, აამაღლონ პროდუქტიულობა, რაც მათ თვითღირებულების შემცირებისა და მოგების გაზრდის საშუალებას მისცემს.

რეკომენდაციები

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ხელშესაწყობად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სახელმწიფომ გააგრძელოს საირიგაციო და სადრენაჟე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროცესი. ამავე დროს, მნიშვნელოვანი იქნება ამ დარგში კერძო სექტორთან თანამშრომლობისკენ მიმართული სქემების ამოქმედება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა, რაც შეამცირებს ირიგაციისა და დრენაჟის მომსახურების თვითღირებულებას და შესაბამისად საფასურს ფერმერთათვის.

მიგვაჩნია, რომ უნდა გაგრძელდეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პრივატიზაციის პროცესი, ხოლო შემნახველი და სამაცივრე ინფრასტრუქტურის შექმნის პროცესი უნდა მიმდინარეობდეს საბაზრო ძალებით. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს პოზიტიური როლი უნდა შემოიფარგლებოდეს ზოგადად სასოფლო ინფრასტრუქტურისა და გზების გაუმჯობესებით.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის ზოგადი ჩამორჩენის პირდაპირი დაკავშირება ინფრასტრუქტურულ საკითხებთან, სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებისგან იზოლაციით, გამართლებული არ არის, ამიტომაც რეკომენდებულია ჩატარდეს კვლევები შემდეგი მიმართულებებით:

1. ჩაღრმავებული კვლევა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურით (ირიგაცია და დრენაჟი) მოსარგებლეთა კმაყოფილებაზე აქცენტირებით. ასევე, უნდა შეფასდეს მისი მოხმარების ღირებულება ფერმერისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის პერსპექტივით. ამაში ასევე მოიაზრება ირიგაციის ალტერნატიული საშუალებების (წვეთოვანი რწყვა) პერსპექტივები, გავრცელების სისწრაფე და მისი გამოყენების ხელშემწყობი მექანიზმების რეკომენდება;

2. მექანიზაციის გასაუმჯობესებლად შესაბამისი ფინანსური სქემების რეკომენდების მიზნით, უფრო დეტალურად უნდა შეფასდეს ქვეყანაში არსებული და განახლებადი ტექნიკის პარკის მახასიათებლები, გამოყენების დონე;

3. აუცილებელია შეფასდეს ფერმერთა ტექნოლოგიური კომპეტენციის დონე და დადგინდეს მექანიზმები, რომლითაც შესაძლებელი გახდება ტექნოლოგიურად გათვითცნობიერებული ფერმერების მიერ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის უფრო ეფექტიანად გამოყენება.

არასასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლები და პერსპექტივები საქართველოს რამდენიმე რეგიონისათვის

ლაშა დოლიძე

შესავალი

2018 წელს, პროექტის ფარგლებში, რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების ავტორობით ჩატარდა 30კვლევა. ამის მიზანი იყო წინასწარ შერჩეულ ხუთ სამიზნე რეგიონში: სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში, შიდა ქართლში, კახეთსა და ქვემო ქართლში გამოვლენილიყო განვითარების დამაიმედებელი პერსპექტივის მქონე რამდენიმე სპეციფიკური დარგი. შესწავლილი იქნა ამ რეგიონების მდგომარეობა და განვითარების ტენდენცია სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, სერვისებისა და სხვა სპეციფიკური მიმართულებებით. ამის შემდეგ გაჩნდა საჭიროება, რომ, ერთგვარი ზოგადი მიმოხილვის სახით, იმავე სამიზნე რეგიონების ეკონომიკური მდგომარეობა და პერსპექტივები ნაჩვენები ყოფილიყო მშპ-ს ზრდის, დასაქმების სტრუქტურის, შრომის ანაზღაურების, ინვესტიციებისა და წამყვანი დარგების ურთიერთკავშირის თვალსაზრისით.

წინამდებარე მიმოხილვა არ წარმოადგენს დარგობრივი სპეციფიკით მოტივირებული ზემოხსენებული კვლევის გაგრძელებას. მისი ამოცანაა უფრო თვალსაჩინო გახდეს შერჩეული რეგიონების ზოგადი პროფილი, ერთმანეთისგან განმასხვავებელი ძირითადი ეკონომიკური მახასიათებლები, ასე ვთქვათ, მაკრო დონეზე, რაც შექმნის შესაძლებლობას, მოგვიანებით უფრო ჩაღრმავებული კვლევების საშუალებით გამოიკვეთოს განვითარების სავარაუდო სცენარები და ტრაექტორია.

მეთოდოლოგიური განმარტება

თავისი მიზნებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მიმოხილვა არ ეყრდნობა სხვა კვლევებს. გაანალიზებულია მხოლოდ რაოდენობრივი მონაცემები, რომლებიც მოვიძიეთ ოფიციალური სტატისტიკური წყაროდან – საქსტატიდან. მონაცემები არასრულად ფარავს 2016-2017/18 წლების პერიოდს. ვინაიდან გამოყენებულია ერთი წყარო – საქსტატი – დიაგრამებსა და ცხრილებში იგი მითითებული არაა. მასალაში მოყვანილი ყველა გაანგარიშება და რიცხვი მოყვანილია საქსტატის ინტერნეტგვერდზე განთავსებული მასალის გამოყენებით.

კვლევის სფეროს არ მიეკუთვნება სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, ასევე მეთევზეობა და თევზჭერა. გარდა ამისა, განხილული არ არის შემდეგი დარგები: ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება; განათლება; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა. ეს მიმართულებები ან დიდ წილად სახელმწიფოს მიერაა უზრუნველყოფილი, ან მისი მიმწოდებელი კერძო სტრუქტურები რეგიონებში მოქმედებენ უნიფიცირებული სქემით/ტარიფით. ამის გამო ამ დარგების განვითარების მიხედვით რეგიონების შედარება ღირებული ინფორმაციის მატარებელი არაა, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია, სწორედ ეს დარგები იზიდავენ კვალიფიციური მუშახელის მნიშვნელოვან ნაწილს და შედარებით მაღალი ანაზღაურებითაც გამოირჩევიან.

კვლევის დასაწყისში ნაჩვენებია რეგიონების ზოგადი დემოგრაფიული მდგომარეობა ბოლო წლების განმავლობაში, მშპ-სა და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ცვლილება, დასაქმების სტრუქტურა და დინამიკა, ხელფასის რაოდენობა და ცვლილება დროთა განმავლობაში, ასევე ინვესტიციები ძირითად კაპიტალში და წარმოებული დამატებული ღირებულების რაოდენობა და დინამიკა.

შედარებისათვის გამოყენებულია საქართველოსა და თბილისის საშუალო მაჩვენებლებიც. მართალია, თბილისის ეკონომიკა და მისი ძირითადი მახასიათებლები რადიკალურად განსხვავდება რეგიონებისაგან, დედაქალაქის საერთო ფონზე ჩვენება მაინც საჭიროდ მიგვაჩნია, ვინაიდან მისი დინამიკა დიდ გავლენას ახდენს რეგიონების დემოგრაფიულ და ეკონომიკურ განვითარებაზე, მიგრაციის, მუშახელზე მოთხოვნისა და სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრების ჩათვლით.

საძიებელი რეგიონების თბილისთან და დანარჩენ საქართველოსთან შედარების შემდეგ გაანალიზებულია რეგიონები ცალ-ცალკე დამატებული ღირებულების შექმნის, დასაქმების, ხელფასებისა და ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მიხედვით. საძიებელი სექტორებია დარგები, რომლებიც ზემოთმოყვანილი პარამეტრების მხრივ განმსაზღვრელ როლს თამაშობენ რეგიონების მშპ-ს ფორმირებაში. ამისათვის გამოყენებულია საქსტატის მიერ მოწოდებული ინფორმაცია – NACE-ს უზოგადესი, პირველი დონის დარგობრივი კლასიფიკატორი. კვლევაში გამოყენებულია ფორმალური დასაქმების სტატისტიკა, ვინაიდან ეს უკეთ ასახავს ეკონომიკის არასასოფლო-სამეურნეო დარგების მდგომარეობასა და განვითარების უზოგადეს ტენდენციებს. თითოეული რეგიონისათვის გამოყოფილია დარგები, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ ადგილობრივი მშპ-ს ფორმირებაში. შემდეგ განხილულია მათ მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების დინამიკა. ამის შემდეგ გაანალიზებულია ფორმალური დასაქმების რიცხოვნობა წამყვან დარგებში და მისი დინამიკა. მესამე ეტაპზე გაანალიზებულია ხელფასების დინამიკა დარგების მიხედვით. ანალიზის ბოლო ნაწილში წარმოდგენილია ფიქსირებულ კაპიტალში ინვესტირების დინამიკა. თითოეული რეგიონის მიმოხილვას დაერთვის მოკლე შემაჯამებელი დასკვნა.

რეგიონების ზოგადი დახასიათება დემოგრაფიულ ჭრილში

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან აღინიშნებოდა საქართველოს მოსახლეობის მკვეთრი კლება, რაც სხვადასხვა ფაქტორით იყო განპირობებული. მოსახლეობის კლების ტენდენცია ახალი ათასწლეულის დასაწყისშიც გაგრძელდა, თუმცა ტენდენცია შედარებით შენელდა. ტრენდი გრძელდება სადღეისოდაც, რასაც ადასტურებს დიაგრამა #1. ამასთან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, თბილისის მოსახლეობა 2006-16 წლებში მნიშვნელოვანწილად რეგიონებიდან მიგრაციის ხარჯზე გაიზარდა. ამავე დროს, ოფიციალური მონაცემები იმასაც ადასტურებს, რომ მოსახლეობის შემცირება ჩვენს საკვლევ რეგიონებში იმდენად დრამატული არ არის, რომ მუშახელის დეფიციტი მათი არასასოფლო-სამეურნეო სექტორების განვითარების გადამწყვეტი დამაბრკოლებელი ფაქტორი გამხდარიყო.

დიაგრამა #1. საქართველოს მოსახლეობა (1000)



2000-იანი წლების დასაწყისიდან აღინიშნება საქართველოს მშპ-ს სტაბილური ზრდა, თუმცა ეს ზრდა ყველა რეგიონისათვის თანაბარი არ ყოფილა. ცხადია, თანდათანობით გამოიკვეთა თბილისის, როგორც წამყვანი რეგიონის როლი, თუმცა ბოლო წლებში აღინიშნება რეგიონულ დონეზე მშპ-ს ზრდის ერთგვარი სტაბილიზაციაც.

დიაგრამა #2. მშპ საბაზისო ფასებში ერთ სულ მოსახლეზე (ათასი ლარი)



ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მაჩვენებლები თბილისში დაახლოებით 2.5-3-ჯერ სჭარბობს რეგიონების საშუალო მაჩვენებლებს და გასული საუკუნის 90-იან წლებში არსებული უზარმაზარი განსხვავება დღესდღეობით უკვე ისე მკაფიოდ გამოკვეთილი არაა. ცხადია განსხვავება დიდია და შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ რეგიონებში მწირია დასაქმებისა და განვითარების პოტენციალი, თუმცა, ამავე დროს შეიძლება იმის თქმა, რომ თანდათანობით რეგიონებშიც იქმნება ზრდისა და დასაქმების გარკვეული პერსპექტივები.

ამ მოსაზრებასვე ადასტურებს როგორც რეგიონებში ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს, ასევე თბილისის ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ფარდობის ანალიზი.

ცხრილი #1. მშპ საბაზისო ფასებში ერთ სულ მოსახლეზე (საქართველო=1)

	2006	2009	2012	2015	2017
თბილისი	1,71	1,62	1,70	1,63	1,63
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0,76	0,80	0,71	0,81	0,74
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	0,65	0,81	0,76	0,71	0,72
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	0,65	0,62	0,62	0,60	0,56
კახეთი	0,67	0,62	0,60	0,65	0,67
ქვემო ქართლი	0,90	0,77	0,76	0,75	0,71

2006-17 წლების პერიოდში, თბილისის ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მაჩვენებლები საქართველოს საშუალო მაჩვენებელზე სტაბილურად მაღალი რჩება. ამავე დროს, აღსანიშნავია, ერთ სულ მოსახლეზე ფარდობითი მშპ-ს კლების ტენდენციები რეგიონებში მკაფიოდ გამოკვეთილი არ არის, ანუ განსხვავება რეგიონებსა და თბილისს შორის ფარდობითი მნიშვნელობით არ იზრდება. საფიქრებელია, რომ რეგიონებიდან თბილისისაკენ მოსახლეობის მიგრაციის მასტიმულირებელი მთავარი ფაქტორი არა იმდენად ეკონომიკური განვითარების ტემპებში არსებული განსხვავება, არამედ ცხოვრების დონეში არსებული აბსოლუტური განსხვავებაა. ამის საფუძველზე შესაძლებელია გამოითქვას ვარაუდი, რომ რეგიონებში დასაქმების პერსპექტივების გაფართოების შემთხვევაში, შესაძლოა, თანდათანობით შემცირდეს თბილისში მიგრაციის ტემპიც.

ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრი, რითაც რეგიონები მკვეთრად ჩამორჩებიან ეკონომიკურად დაწინაურებულ თბილისსა და აჭარას, ფიქსირებულ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციებია.

ცხრილი #2. ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (მილიონი ლარი)

	2006	2009	2012	2015	2017
საქართველო	2 055	2 158	3 246	4 334	5 586
თბილისი	1 382	1 719	2 330	3 319	4 172
სამეგრელო-ზემო სვანეთი	124	74	266	160	248
იმერეთი	67	83	133	100	105
შიდა ქართლი	29	50	33	41	146
კახეთი	15	16	51	41	102
ქვემო ქართლი	153	75	178	286	141

ყველა საძიებელ რეგიონში, ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციები არასტაბილურია და ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, თბილისთან შედარებით, გაცილებით მცირე. თბილისისაგან განსხვავებით, როცა საქმე კაპიტალურ ინვესტიციებს ეხება, რეგიონებში ადგილი არ აქვს მათ თანდათანობით დაგროვებას. ცალკეული წლების აღმასვლის შემდეგ ადგილი აქვს ინვესტიციების წლიური მოცულობის სწრაფ კლებას. ეს შესაძლოა აიხსნას ინფრასტრუქტურული ან ენერგეტიკული პროექტების თავისებურებებით, აგრეთვე იმით, რომ რეგიონების ეკონომიკა მცირეა ზომით, მათში ნაკლებია დარგების არჩევანი და ისინი ნაკლებად კაპიტალტევადია ზოგადად საქართველოსთან და მათ შორის თბილისთან შედარებით. საინტერესოა, რომ იმერეთის რეგიონში, რომელიც სამეგრელოს რეგიონს გაცილებით აღემატება როგორც მოსახლეობით, ისე ქალაქების სიდიდითაც, საშუალოდ ორჯერ ნაკლებია ინვესტიციების აბსოლუტური მნიშვნელობა, ხოლო ერთ სულზე მაჩვენებელი კიდევ უფრო გამოკვეთილად მცირეა. ერთგვარი გამოცოცხლებაა ამ მხრივ კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში 2015 და 2017 წელს, მაგრამ ჩამორჩენა დიდი რჩება და ძნელია იმაზე ლაპარაკი, ტენდენციის სახეს მიიღებს თუ არა ამ რეგიონებში ფიქსირებულ აქტივებში ინვესტირების ზრდა. ქვემო ქართლი ერთადერთი რეგიონია, სადაც ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების მოცულობა 2006 წლის დონეზე ნაკლებია. აქ 2012-დან 2015 წლამდე დაფიქსირდა მნიშვნელოვანი ზრდა, რომელიც 2017 წელს არსებითი კლებით შეიცვალა. ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების დეფიციტი და მერყეობა რეგიონებში საკმაოდ მრავლისმეტყველი ფაქტია იმ თვალსაზრისით, რომ ესაა ერთგვარი ასახვა რეგიონებში არსებული ნეგატიური ეკონომიკური და სოციალური კლიმატისა. ეს დამაფიქრებელია და მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს საკმაოდ ბევრი აქვს გასაკეთებელი ე.წ. „საზოგადო სიკეთეების“ რეგიონების მოსახლეობისათვის უფრო ეფექტურად, თანმიმდევრულად მისაწოდებლად.

ზოგადად, რეგიონებსა და დედაქალაქს შორის ეკონომიკურ განვითარებაში არსებული სხვაობა საკმაოდ დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის, ხოლო ჩვენი კვლევის მიზნებისათვის შესაძლოა იმ ვარაუდის დაშვება, რომ საქართველოს რეგიონებში არსებობს ეკონომიკური განვითარების გარკვეული გამოუყენებელი პოტენციალი. ამავე დროს, ვინაიდან ფარდობითი განვითარების დონეთა სხვაობა რეგიონებისათვის ბოლო ათწლეულის განმავლობაში არ უარესდება, ეს გვაფიქრებინებს, რომ რეგიონებში მუშახელისა და ეკონომიკური პოტენციალის რეალიზაციის მნიშვნელოვანი რესურსი არსებობს. ამაში ის იგულისხმება, რომ სწორი კონდიციების პირობებში, სავსებით შესაძლებელია, რეგიონებში მიღწეულ იქნას თბილისზე მაღალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები. ეს, თავის მხრივ, გაზრდის რეგიონების მიმზიდველობას, როგორც მოსახლეობისთვის, ის ინვესტორთათვის.

სამეგრელო-ზემო სვანეთის უმთავრესი ეკონომიკური თავისებურებები და ტენდენციები

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, დამატებული ღირებულების შექმნის თვალსაზრისით, გამოირჩევიან დამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა და ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი. ეს დარგები დროთა განმავლობაში მეტ-ნაკლებად სტაბილურ ზრდას აჩვენებს, თითოეული მათგანის აბსოლუტური მაჩვენებლები დიდი არ არის და მათ მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების ჯამს აღემატება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფერო, რომელზედაც მთელი რეგიონის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების ნახევარზე მეტი მოდის.

დიაგრამა #3. სამეგრელო, ოთხი წამყვანი დარგის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)



სავარაუდოდ, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროს ასეთი დომინაცია სამეგრელოს რეგიონში განპირობებულია იმით, რომ აქ ფუნქციონირებს ფოთის პორტი და ყულევის ნავთობტერმინალი. გამორიცხული არ არის, რომ ამ დარგში 2015 წლიდან დაფიქსირებული მკვეთრი ზრდა განპირობებულია დამატებითი სატრანსპორტო აქტივობითაც, რაშიც ალბათ სახელმწიფოც გარკვეულ როლს თამაშობს. მხედველობაში გვაქვს ანაკლიის ირგვლივ მიმდინარე სამუშაოები.

ცხრილი #3. ფორმალური დასაქმების დინამიკა სამეგრელოს რეგიონში დარგების მიხედვით

	2006	2009	2012	2015	2017
მთელი დასაქმება	20862	21031	23709	27304	30021
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	4403	5681	5661	6616	7288
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების შეკეთება	2150	2550	3875	5315	6546
გადამამუშავებელი მრეწველობა	2994	2589	3564	3906	4616
მშენებლობა	3830	2426	3171	2498	2286
ოპერაციები უძრავ იქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	973	960	1245	904	1690
სასტუმროები და რესტორნები	448	972	705	1229	1452

საინტერესოა, რომ დამატებული ღირებულების შემქმნელი ძირითადი დარგები მეტ-ნაკლებად დასაქმების შემქმნელების როლშიც გვევლინებიან. თანმიმდევრულად და სტაბილურად იზრდება ფორმალური დასაქმება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში. დასაქმების გამოკვეთილი ზრდაა ვაჭრობაში და მისი თანმდევი მომსახურების საქმიანობაში. დამამუშავებელი მრეწველობის ფორმალური სამუშაო ადგილების მატებამ 2006-17 წლებში 60%-ზე მეტი შეადგინა. საინტერესოა კლება მშენებლობის დარგში, რაც სავარაუდოდ, გამოწვეული უნდა იყოს თავად ამ საქმიანობის ბუნებით, რაც უკავშირდება იმას, რომ კაპიტალური მშენებლობების გარკვეულ ეტაპებზე მაღალია მოთხოვნა მუშახელზე, სხვა ეტაპებზე კი – არა. იზრდება უძრავი ქონებით ოპერაციებსა და იჯარაში, ასევე მომხმარებლისათვის სხვა მომსახურების გაწევის სფეროში დასაქმებულთა რიცხვი. დამაიმედებელია ზრდა სასტუმროების ბიზნესსა და რესტორნებშიც. ეს ალბათ უკავშირდება სვანეთისა და სამეგრელოს ზღვისპირა ზოლის ტურისტული პოტენციალის თანდათანობით ათვისებას.

საინტერესო სურათს იძლევა სამეგრელოს წამყვანი ეკონომიკური დარგების ანაზღაურების დინამიკა. მართალია, ანაზღაურების თვალსაზრისით, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა ლიდერობს, დამატებული ღირებულების შემქმნელი წამყვანი დარგების ჩამონათვალს არ მიყვება იგივე დარგები ხელფასების სიდიდისა და ზრდის თვალსაზრისით.

ცხრილი #4. ხელფასების დინამიკა სამეგრელოს რეგიონში დარგების მიხედვით (ლარი/თვე) და საშუალო წლიური ზრდა (%)

	2006	2012	2017	ზრდა %
საშუალო ხელფასი ყველა დარგისთვის	278,8	527,4	758,2	22,66%
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	482,8	1096,9	1271,8	21,95%
მშენებლობა	571,3	462,9	721,8	10,53%
გადამამუშავებელი მრეწველობა	125,0	339,6	555,9	37,06%
სამთო მოპოვებითი მრეწველობა	216,4	610,2	506,6	19,51%
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	135,5	403,1	497,2	30,58%
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების შეკეთება	119,5	247,5	449,0	31,31%
სასტუმროები და რესტორნები	81,5	223,2	365,1	37,33%

აღსანიშნავია ისიც, რომ ხელფასის ზრდის ტემპები, ზოგადად, ჩამორჩება დამატებული ღირებულების ზრდის ტემპებს, მიუხედავად იმისა, რომ საშუალოდ, ისინი საკმარისად მაღალია. აქვე დავძენთ, რომ თავად ხელფასის რაოდენობაც დიდი არ არის, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორებიცაა დამამუშავებელი მრეწველობა, ვაჭრობა და სერვისები, ასევე სასტუმროები და რესტორნები. ამის მიზეზი ალბათ ისაა, რომ ვაჭრობის, მომსახურების, სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესი ჯერ არ მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის მუშახელს და თავად ამ დარგის განვითარების ტემპსაც არ მიუღწევია სრული პოტენციალისთვის, რაც აუცილებელია მუშახელზე მოთხოვნის კიდევ უფრო გასაზრდელად.

ცხრილი #5. ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში სამეგრელოს რეგიონში დარგების მიხედვით (მილიონი ლარი)

	2006	2012	2017
ყველა დარგი	124,4	265,7	248,4
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	16,5	223,0	75,6
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	0,6	2,2	28,6
დამამუშავებელი მრეწველობა	7,0	30,4	17,1
მშენებლობა	92,6	2,0	5,2

ცხრილი #5, რომელშიც წარმოდგენილია დარგებში განხორციელებული ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიცია, საკმაოდ არასახარბიელო სურათს იძლევა. იკვეთება ინვესტიციების უკიდურესი მერყეობა და დამოკიდებულება ერთ სპეციფიკურ დარგზე, რომლის კონიუნქტურული ცვლილება გადამწყვეტ გავლენას ახდენს კრებსით ინვესტიციებზე. ინვესტიციების ასეთი დინამიკა შეიძლება რადიკალურად შეცვალოს ერთ რომელიმე დარგში მეტ-ნაკლებად დიდი პროექტის წამოწყებამ ან დამთავრებამ. ასე მაგალითად, ანაკლიის პროექტის რეალიზაციის შედეგად შესაძლოა, გაუმჯობესდეს რეგიონის ინფრასტრუქტურული სურათი და კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს მისი, როგორც უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო კვანძის როლი. ეს, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტ ინვესტიციას მოიზიდავს და დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის.

საინტერესოა, რომ ძალზე უმნიშვნელოა ინვესტიციები სასტუმროებსა და რესტორნებში. ეს, ერთი მხრივ, მიუთითებს იმაზე, რომ ადგილი აქვს შედარებით მცირე ზომის ტურისტული და საკვები ობიექტების განვითარებას. თავისთავად, ეს ჯანსაღი ტენდენციაა, ვინაიდან აუცილებელი არ არის ამ დარგის ზრდისთვის მეგაპროექტების დაფინანსება, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ იმისთვის, რომ ტურიზმის დარგმა რეგიონის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს, საჭირო იქნება მეტი ინვესტიცია ფიქსირებულ აქტივებში.

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ სამეგრელოს რეგიონის წამყვანი დარგების განვითარების დინამიკას, დამატებული ღირებულების შექმნის თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად მიყვება დასაქმების დინამიკა, თუმცა, შედარებით ნაკლებად – შრომის ანაზღაურების დინამიკა. ეს განპირობებული უნდა იყოს იმ ფაქტით, რომ მზარდი მომსახურების სფეროს დასაქმება არ მოითხოვს მაღალ კვალიფიკაციას და შედარებით ჭარბია მუშახელის მიწოდება, რაც აისახება კიდეც შედარებით დაბალ ანაზღაურებაში. ფიქსირებულ აქტივებში ინვესტირების თვალსაზრისით, წამყვანი დარგების დამატებული ღირებულებისა და დასაქმების დინამიკა ფაქტობრივად არაა კორელაციაში ინვესტირებასთან. ეს საკმაოდ დამაფიქრებელია და შესაძლოა, უკავშირდება ინფრასტრუქტურულ, კაპიტალის ხელმისაწვდომობის, მენეჯერული კვალიფიკაციის, ნეგატიური ეკონომიკური მოლოდინების, ან სხვა პრობლემებს. სავარაუდოდ, ანაკლიის პროექტის რეალიზაციის შემდეგ გაიზრდება, როგორც რეგიონის ფიქსირებულ აქტივებში ინვესტირებული თანხების სიდიდე, ისე ამ მხარის საინვესტიციო პოტენციალი ზოგადად.

იმერეთის უმთავრესი ეკონომიკური თავისებურებები და ტენდენციები

იმერეთის რეგიონის განვითარების თავისებურებას დიდ წილად განსაზღვრავს საქართველოს მასშტაბით საკმაოდ დიდი სამრეწველო პოტენციალი, რომელიც თავმოყრილია ამ რეგიონის უდიდესი ქალაქების: ქუთაისის, ზესტაფონისა და ჭიათურის ირგვლივ. დიაგრამა #4 მკაფიოდ აჩვენებს, რომ ამ რეგიონის დამამუშავებელი მრეწველობის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება 2017 წლისათვის მეტია, ვიდრე სიდიდით მომდევნო ოთხი დარგის ჯამური დამატებული ღირებულება. სხვა დარგებიდან აღსანიშნავია სამთო მოპოვებითი ინდუსტრია, რომლის ზრდასაც 2006-17 წლების პერიოდში თითქმის მთლიანად ემთხვევა ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევა. საინტერესოა, რომ სამთომოპოვებით ინდუსტრიას, რომელიც იმერეთის რეგიონისათვის ერთგვარად ტრადიციული დარგია, განვითარების ტემპებით აჭარბებს როგორც მშენებლობა, ასევე ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი. დიაგრამაში მოყვანილი ტენდენცია მიუთითებს ეკონომიკის თანდათანობით რეორიენტაციაზე სერვისის მიმართულებით, თუმცა, საინტერესოა ის, რომ დამამუშავებელი მრეწველობა საკმაოდ დამაჯერებლად ლიდერობს და სავარაუდოდ, მოკლე და საშუალო ვადიან პერიოდებში ადვილად შეინარჩუნებს ლიდერი დარგის პოზიციებს.

დიაგრამა #4. იმერეთი, ხუთი წამყვანი დარგის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)



ცხრილი #6 ასახავს იმერეთის რეგიონის უმთავრეს არასასოფლო-სამეურნეო დარგებში ფორმალური დასაქმების დინამიკას 2006-17 წლებში.

ცხრილი #6. ფორმალური დასაქმების დინამიკა იმერეთის რეგიონში დარგების მიხედვით

	2006	2009	2012	2015	2017
მთელი დასაქმება	37371	35361	43815	46934	51986
გადამამუშავებელი მრეწველობა	7443	10843	13683	13267	12958

ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების შეკეთება	5513	4359	7500	10339	11878
მშენებლობა	3225	2837	5076	4147	4837
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	1742	2064	2630	2761	3348
სასტუმროები და რესტორნები	847	803	1768	1994	2730
სამთომოპოვებითი მრეწველობა	5110	1201	2223	2708	2492

მართალია რყევებით, მაგრამ მთლიანობაში იზრდება დასაქმება დამამუშავებელ მრეწველობაში, ვაჭრობასა და მის ჯგუფში გაერთიანებულ სერვისულ ინდუსტრიაში. ნელა იზრდება მშენებლობაში დასაქმებულთა რიცხვი. ზრდის ყველაზე მკაფიოდ გამოკვეთილი ტენდენცია და ტემპი ჩანს უძრავი ქონებით ოპერაციებში, იჯარასა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევაში, ასევე სასტუმროებისა და რესტორნების სფეროში. სტაგნაციაა სამთომოპოვებით ინდუსტრიაში, სადაც დასაქმებულთა რიცხვი, 2006 წელთან შედარებით, ორჯერ და მეტად შემცირდა. სამთომოპოვებით ინდუსტრიაში დასაქმების კლება სერიოზულ გავლენას ახდენს მთელი დასაქმების რიცხოვნობაზე.

ცხრილი #7 აჩვენებს ხელფასების დინამიკას დარგების მიხედვით. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ იმერეთში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ის დარგებია, რომლებიც ასევე ყველაზე დიდ დამატებულ ღირებულებას ქმნიან. საშუალო ხელფასის თვალსაზრისით, ლიდერია სამთომოპოვებითი მრეწველობა, რაც, სავარაუდოდ, განპირობებულია ამ სამუშაოს სპეციფიკითა და რისკიანობით.

ცხრილი #7. ხელფასების დინამიკა იმერეთის რეგიონში დარგების მიხედვით (ლარი/თვე) და საშუალო წლიური ზრდა (%)

	2006	2012	2017	ზრდა %
საშუალო ხელფასი ყველა დარგისთვის	165,4	481	698	35,17%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	227,8	714,4	944,5	34,55%
მშენებლობა	235,1	597,2	842,5	29,86%
დამამუშავებელი მრეწველობა	165,2	534,1	770,2	38,85%
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	189,3	400,4	596,5	26,26%
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების შეკეთება	110,1	332,2	447	33,83%
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	111	325,9	417,3	31,33%
სასტუმროები და რესტორნები	65,8	190,6	293,9	37,22%

ზოგადად, იმერეთის რეგიონში საკმაოდ დაბალია საშუალო ხელფასის დონე ყველა დარგისათვის, რაც მუშახელის შედარებითი სიჭარბით უნდა აიხსნას. ისიც აღსანიშნავია, რომ მაღალია ხელფასების ზრდის ტემპი საკვლევ პერიოდში. ამის მიზეზი ნაწილობრივ ისიცაა, რომ საკვლევი პერიოდის დასაწყისში, 2006 წელს, ძალიან დაბალი იყო ხელფასები ყველა დარგში. ხელფასები დღესაც ძალიან დაბალია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში, ასევე სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესში.

ცხრილი #8. ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში იმერეთის რეგიონში დარგების მიხედვით (მილიონი ლარი)

	2006	2012	2017
ყველა დარგი	67,1	133,4	104,7
გადამამუშავებელი მრეწველობა	12,8	55,9	35,3
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების შეკეთება	2,2	6,1	12,9

სამთომოპოვებითი მრეწველობა	6,5	10,9	12,6
მშენებლობა	1,6	16,2	10,3

ცხრილი #8 ასახავს რეგიონის წამყვანი დარგების ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების დინამიკას. ზოგადად, რეგიონში ინვესტიციების უჩვეულოდ დაბალი მოცულობა ფიქსირდება. უცნაურია ინვესტიციების დაბალი დონე დამამუშავებელი მრეწველობისთვის, მით უმეტეს, რომ ეს დარგი რეგიონში ძალზე დიდ როლს თამაშობს. ის დარგებიც კი, რომლებიც შედარებით დაბალი ბაზიდან საკმაოდ სწრაფად ვითარდებიან, ინვესტიციების სერიოზულ ნაკლებობას განიცდიან. მიგვაჩნია, რომ იმისათვის, რათა იმერეთის ეკონომიკის წამყვანმა დარგებმა შეინარჩუნონ არსებული დინამიკა, საჭირო იქნება უახლოეს მომავალში ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების სერიოზული ზრდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიკური ზრდის, დასაქმებისა და დასაქმებულთა ანაზღაურების არსებული დინამიკის შენარჩუნება გაჭირდება. ის ფაქტი, რომ რეგიონის ეკონომიკა, სხვა რეგიონებთან შედარებით, მეტადაა დამოკიდებული ტრადიციულ მძიმე მრეწველობასა და სამთომოპოვებით დარგზე, გვაფიქრებინებს, რომ უახლოეს მომავალში მთავრობისათვის მნიშვნელოვანი იქნება რეგიონის ტურისტული პოტენციალის ათვისების ხელშესაწყობი ღონისძიებების განხორციელება და მის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში ინვესტირება. ვფიქრობთ, რომ რიკოთის გავლით საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობა მნიშვნელოვნად გამოაცოცხლებს რეგიონის სატრანსპორტო სექტორს და ზოგადად გააუმჯობესებს საინვესტიციო ფონს.

შიდა ქართლის უმთავრესი ეკონომიკური თავისებურებები და ტენდენციები

შიდა ქართლის ეკონომიკა, დამატებული ღირებულების შექმნის თვალსაზრისით, ყველაზე მცირეა საკვლევ რეგიონებს შორის. ამის მიზეზია მოსახლეობის შედარებითი სიმცირე, დიდი ქალაქების ნაკლებობა და ეკონომიკის ნაკლები დივერსიფიკაცია. ამ რეგიონის დამამუშავებელი მრეწველობა უმეტესწილად სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებაზეა ორიენტირებული, თუ არ ჩავთვლით კასპის მუნიციპალიტეტში განლაგებულ მსხვილ სამრეწველო ობიექტს.

დიაგრამა #5. შიდა ქართლი, ოთხი წამყვანი დარგის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება (მლნ ლარი)



აღსანიშნავია ისიც, რომ 2008 წლის ომის შემდეგ, 2009 წლიდან მოყოლებული ფიქსირდება დამამუშავებელი მრეწველობის დამატებული ღირებულების მკვეთრი ზრდა, რაც უეცრად ნეგატიური ტენდენციით იცვლება 2015 წელს. 2017 წელს დამამუშავებელი მრეწველობის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების სიდიდე იმდენად მცირეა, რომ მას თითქმის ეწევიან ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი და მშენებლობა და სერვისის სხვა სფეროებიც კი, რომლებიც, სხვა რეგიონებთან შედარებით, საკმაოდ დაბალ ნიშნულზე დგანან.

ცხრილი #9 აჩვენებს შიდა ქართლის რეგიონში ფორმალური დასაქმების დინამიკას დარგების მიხედვით. საინტერესოა, რომ რეგიონში დასაქმების გამოკვეთილად პოზიტიური დინამიკა მხოლოდ ვაჭრობის, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის სფეროში აღინიშნება. მთლიანი დასაქმება ძალიან ნელი ტემპით იზრდება, ხოლო დამატებული ღირებულების ყველაზე დიდი მოცულობის შემქმნელ დამამუშავებელ მრეწველობაში სულაც ადგილი აქვს დასაქმების კლებას. იგივე ეხება მშენებლობის სფეროსაც. დასაქმება ერთგვარად იზრდება სხვა დარგებში, თუმცა მისი აბსოლუტური მაჩვენებლები ჯერჯერობით მეტად მცირეა.

ცხრილი #9. ფორმალური დასაქმების დინამიკა შიდა ქართლის რეგიონში

	2006	2009	2012	2015	2017
მთელი დასაქმება	14743	14087	13815	16844	18575
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების შეკეთება	1736	1775	3003	4318	5816
დამამუშავებელი მრეწველობა	5597	4217	4609	4329	4339
მშენებლობა	2914	2215	1699	2253	2168
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	432	441	557	695	857
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	444	228	427	824	771
სასტუმროები და რესტორნები	374	361	460	797	578

დასაქმების ზრდის დუნე დინამიკა მეტად სათუოს ხდის შიდა ქართლის არასასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებს. უცნაურია, მაგრამ მცირეა ტრანსპორტის როლიც, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის საგზაო და სარკინიგზო მაგისტრალები.

ცხრილი #10 ასახავს ხელფასების დინამიკას, რომელიც ასევე არ არის შთამბეჭდავი. ანაზღაურება ყველაზე მაღალია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში, თუმცა ეს დარგი არ არის ლიდერი არც დამატებული ღირებულების და არც დასაქმების რიცხოვნობის მიხედვით.

ცხრილი # 10. ხელფასების დინამიკა შიდა ქართლის რეგიონში დარგების მიხედვით (ლარი/თვე) და საშუალო წლიური ზრდა (%)

	2006	2012	2017	ზრდა %
საშუალო ხელფასი ყველა დარგისთვის	161,8	436,1	564,4	29,07%
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	328,2	590,6	1320,5	33,53%
მშენებლობა	226,2	667,7	788,2	29,04%
დამამუშავებელი მრეწველობა	180,6	567,5	653,5	30,15%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	204,9	232,6	640,9	26,07%
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	122,0	300,7	566,0	38,66%
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების შეკეთება	72,9	237,5	363,1	41,51%
სასტუმროები და რესტორნები	72,8	116,1	178,0	20,38%

მაღალია ხელფასების ზრდა მშენებლობაში, თუმცა არც ეს დარგია ლიდერი დამატებული ღირებულების შექმნაში. უკიდურესად დაბალია ხელფასები სასტუმროებისა და რესტორნების სფეროში, სადაც ანაზღაურება ასევე ნელი ტემპით იზრდება. ეს, სავარაუდოდ, მეტყველებს ამ სფეროს შედარებით ნაკლებ განვითარებაზე ამ რეგიონში. როგორც ჩანს, შიდა ქართლში ეკონომიკის გადასვლა სერვისების მიმართულებით შედარებით ნელა მიმდინარეობს.

ფიქსირებულ აქტივებში ინვესტირების დინამიკის განხილვა ერთგვარი გაგრძელებაა ზემოთმოყვანილი მსჯელობისა იმის შესახებ, რომ რეგიონის დინამიკას აშკარად აკლია ზრდის გამოკვეთილი ზონები. ზოგადად, საკმაოდ დაბალია ინვესტირების მაჩვენებლები და მაღალია მათი ვოლატილობა (იხ. ცხრილი #11).

ცხრილი #11. ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში შიდა ქართლის რეგიონში დარგების მიხედვით (მილიონი ლარი)

	2006	2012	2017
ყველა დარგი	29,1	33,0	145,7
გადამამუშავებელი მრეწველობა	24,3	19,2	115,5
ოპერაციებიუძრავიქონებით,იჯარადამომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	0,2	0,7	20,7
მშენებლობა	1,8	4,0	3,6
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების შეკეთება	1,2	3,0	2,5

თუ არ ჩავთვლით 2017 წელს დამამუშავებელ მრეწველობაში ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების უეცარ ზრდას, ისევე, როგორც ინვესტიციების მოცულობის ნახტომს ოპერაციებში უძრავი ქონებით, იჯარასა და მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევაში, რეგიონში მიმდინარე საინვესტიციო აქტივობაში რაიმე ტენდენციაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ძალიან ძნელია.

შიდა ქართლის არასასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის განვითარების მოკლე მიმოხილვა 2006-17 წლებისათვის აჩვენებს მის ერთგვარ სტაგნაციურ ხასიათს. არ ჩანს კორელაცია დაწინაურებული დარგების განვითარებასა და დასაქმების მაჩვენებლებს შორის. საინვესტიციო საქმიანობა იმდენად მწირია, რომ ძალიან ძნელია განვითარების ტენდენციების განჭვრეტა თუნდაც უახლოესი მომავლისათვის.

კახეთის უმთავრესი ეკონომიკური თავისებურებები და ტენდენციები

კახეთის არასასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის დამატებული ღირებულების შემქმნელი ოთხი უმთავრესი დარგია დამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, ასევე ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

დიაგრამა #6. კახეთი, ოთხი წამყვანი დარგის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება (მილიონი ლარი)



კახეთის დამამუშავებელი მრეწველობის მამოძრავებელია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზა და მეღვინეობა. ამ სფეროში 2015 წლამდე ადგილი ჰქონდა დამატებული ღირებულების თანდათანობით ზრდას, ხოლო 2017 წლიდან აღინიშნება მკვეთრი მატება. წამყვანი ოთხიდან დანარჩენი სამის დინამიკა საკმაოდ დუნეა, მხოლოდ 2015 წლიდან

შედარებით დაჩქარებული ტემპებით ზრდას იწყებს მშენებლობა, სადაც მანამდე ნელი ტემპით კლება აღირიცხებოდა. საბოლოოდ, დამამუშავებელი მრეწველობის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება სიდიდით მომდევნო სამი დარგის მიერ შექმნილ ჯამურ დამატებულ ღირებულებას.

დასაქმების დინამიკა გარკვეულ კორელაციაშია დამატებული ღირებულების შექმნის პროცესთან, თუმცა დამსაქმებელი დარგების ჩამონათვალი მთლიანად არ მიყვება დამატებული ღირებულების შემქმნელი დარგების ჩამონათვალს. ცხადია, ვაჭრობისა და თანმდევი მომსახურების სფეროში სამუშაო ადგილების შექმნა არ მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებებს, რაც ალბათ ხსნის იმას, თუ რატომ იზრდება სტაბილურად დასაქმება ამ სფეროში. მყარად იზრდება დასაქმება დამამუშავებელი ინდუსტრიის მიმართულებითაც. განსახილველ პერიოდში არც ერთ წელიწადს არ აღინიშნება დასაქმების კლება ამ დარგში. ვოლატილურია დასაქმება მშენებლობაში, ხოლო სასტუმროებისა და რესტორნების მიმართულებით აღინიშნება დასაქმების მკვეთრი ზრდა, რაც სავარაუდოდ, გამოწვეულია კახეთის, როგორც ტურისტულად მიმზიდველი რეგიონის მნიშვნელობის თანდათანობით ზრდით.

ცხრილი #12. ფორმალური დასაქმების დინამიკა კახეთის რეგიონში

	2006	2009	2012	2015	2017
მთელი დასაქმება	15863	14227	16158	19414	23592
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების შეკეთება	2771	2436	3531	5568	6818
გადამამუშავებელი მრეწველობა	3850	2865	4110	5008	5590
მშენებლობა	1459	1847	3067	1445	2259
სასტუმროები და რესტორნები	210	120	507	1045	1249
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	543	464	679	552	1183
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	409	248	367	495	889
სამთომოპოვებითი მრეწველობა	164	547	441	689	569

ხელფასების დინამიკა მხოლოდ ნაწილობრივ მიყვება დასაქმებასა და დამატებული ღირებულების შექმნის დინამიკას (ცხრილი #13). აქ ლიდერია მომპოვებელი მრეწველობა, რაც ალბათ იმით უნდა აიხსნას, რომ კახეთში წარმოდგენილია ნავთობისა და სხვა წიაღისეულის მოპოვება, ხოლო დარგის გამოშვება და მასში დასაქმებულთა რიცხოვნობა საკმაოდ მცირეა.

ცხრილი # 13. ხელფასების დინამიკა კახეთის რეგიონში დარგების მიხედვით (ლარი/თვე) და საშუალო წლიური ზრდა (%)

	2006	2012	2017	ზრდა %
საშუალო ხელფასი ყველა დარგისთვის	141,2	384,0	593,9	35,05%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	219,6	664,0	1498,0	56,85%
მშენებლობა	181,7	538,3	834,9	38,29%
დამამუშავებელი მრეწველობა	180,1	370,2	659,9	30,53%
სასტუმროები და რესტორნები	65,3	240,6	631,6	80,60%
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	85,2	219,1	597,3	58,42%
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების შეკეთება	117,0	231,4	401,8	28,62%
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	86,2	200,7	376,1	36,36%

მაღალია დამამუშავებელ ინდუსტრიაში დასაქმებულთა ხელფასის ზრდის ტემპი, თუმცა მისი აბსოლუტური მნიშვნელობა მაინც ორჯერ და მეტად ჩამორჩება სამთომოპოვებით დარგში დასაქმებულთა ხელფასს. სწრაფად ზრდის ტენდენცია ახასიათებს სასტუმროებისა და რესტორნების სფეროში დასაქმებულთა ხელფასებს, რაც უკავშირდება

კახეთის ტურისტული პოტენციალის თანდათანობით ათვისებას და სავარაუდოდ იმასაც, რომ ამ მხარეს საკმაოდ დივერსიფიცირებული სოფლის მეურნეობა გააჩნია.

ცხრილი #14 ასახავს კახეთის რეგიონში 2006-17 წლებში ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებულ ინვესტიციებს დარგების მიხედვით. სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესში ინვესტიციების დინამიკა, რაც მთლიანი ინვესტიციების თითქმის ნახევარს შეადგენს, ადასტურებს ამ მხარის ეკონომიკის თანდათანობით ორიენტაციას ტურიზმის მიმართულებით.

ცხრილი #14.ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში კახეთის რეგიონში დარგების მიხედვით (მილიონი ლარი)

	2006	2012	2017
ყველა დარგი	15,2	51,4	102,2
სასტუმროები და რესტორნები	0,4	1,7	50,6
დამამუშავებელი მრეწველობა	8,7	23,6	26,5
მშენებლობა	0,3	1,9	4,8
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების შეკეთება	2,0	0,7	2,1
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	0,0	0,0	1,7
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	0,0	0,2	0,7
სამთომოპოვებითი მრეწველობა	0,4	1,1	0,6

ამავე დროს, ძალიან მწირია ინვესტიციები სხვა დარგებში. ლოგიკურად, დამამუშავებელ ინდუსტრიაში გაცილებით მეტი ინვესტიციები უნდა იდებოდეს, თუმცა ეს ასე არ არის. რაც შეეხება სხვა სფეროებს, მათში განხორციელებული ინვესტიციების აბსოლუტური სიდიდე თითქმის უმნიშვნელოა.

საბოლოოდ, კახეთის ეკონომიკაში ბოლო დროს იკვეთება ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ტენდენცია. სტაბილურად მზარდია დამამუშავებელი მრეწველობა, თუმცა მისი მდგრადობის შესანარჩუნებლად აუცილებელი იქნება ფიქსირებული აქტივების მოცულობის სწრაფი ზრდა. ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებისთვის ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კაპიტალდაბანდებების სწრაფი ზრდა.

ქვემო ქართლის უმთავრესი ეკონომიკური თავისებურებები და ტენდენციები

ქვემო ქართლის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია დამამუშავებელი მრეწველობის მკვეთრი დომინაცია, ასევე მომპოვებელი დარგის საკმაოდ ძლიერი პოზიციები (იხ. დიაგრამა #7).

დიაგრამა #7. ქვემო ქართლი, ოთხი წამყვანი დარგის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება (მლნ ლარი)



სავარაუდოდ, ეს გარემოება განპირობებულია იმით, რომ ქალაქ რუსთავში თავმოყრილია მძლავრი სამრეწველო შესაძლებლობები, ხოლო კაზრეთში წარმოდგენილია მნიშვნელოვანი საექსპორტო პოტენციალის მქონე მოპოვებითი საქმიანობა. დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ტრენდი სტაბილური და პოზიტიურია, თუმცა 2015 წელს დაფიქსირდა ერთგვარი ვარდნა. ოთხი ლიდერი დარგიდან დანარჩენი სამი შედარებით ნელა, მაგრამ უწყვეტად იზრდება დაახლოებით 10 წელია.

დასაქმების დინამიკის ამსახველი ცხრილი #15 გვაუწყებს, რომ რეგიონის უმთავრესი დამსაქმებელი დამამუშავებელი მრეწველობაა, რაც არაა გასაკვირი რეგიონის უდიდეს ქალაქში თავმოყრილი პოტენციალის გამო. ამავე დროს, ამ სფეროს დასაქმების მაჩვენებლები არ შეიძლება დახასიათდეს, როგორც მზარდი, ვინაიდან ბოლო 12 წლის ზრდის გასაშუალოებული მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია დროთა განმავლობაში დაფიქსირებული რყევების გამო.

ცხრილი #15. ფორმალური დასაქმების დინამიკა ქვემო ქართლის რეგიონში

	2006	2009	2012	2015	2017
მთელი დასაქმება	26216	28460	33509	36600	41905
დამამუშავებელი მრეწველობა	7425	9872	10959	10396	9866
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების შეკეთება	3436	3221	5588	7507	9212
სამთომოპოვებითი მრეწველობა	1229	1906	2241	2927	3461
მშენებლობა	2008	1741	3494	3300	3455
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	1132	1353	1632	1722	2785
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	2303	938	1170	1146	2198
სასტუმროები და რესტორნები	514	490	814	1214	1267

სწრაფად იზრდება დასაქმება ვაჭრობისა და თანმდევ სერვისებში, რაც დამახასიათებელია მთელი საქართველოსთვის და, სავარაუდოდ, ადასტურებს იმას, რომ ამ სფეროში შედარებით ადვილია სამუშაო ადგილების შექმნა შედარებით დაბალი კაპიტალტევადობის გამო. სამთომოპოვებითი მრეწველობა აჩვენებს დასაქმების სტაბილურ და გამოკვეთილ ზრდას. იზრდება დასაქმება სხვა სფეროებშიც. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა და სასტუმროები და რესტორნები 2009 წლის ჩავარდნის შემდეგ ასევე აჩვენებენ პოზიტიურ ტენდენციას.

ქვემო ქართლის რეგიონში, სხვა რეგიონებთან შედარებით, მაღალია ხელფასების დონე. ეს გამოწვეულია წამყვან დარგებში არსებული მაღალი ხელფასებითა და დასაქმების მაჩვენებლით. შედარებით ნაკლებად კაპიტალტევადი დარგებიც კი, სხვა რეგიონებთან შედარებით, მაღალ ანაზღაურებას სთავაზობენ დასაქმებულებს. ამავე დროს, ქვემო ქართლის რეგიონში, სხვა რეგიონებთან შედარებით, უფრო დაბალია ზოგადად ხელფასის, ასევე დარგების მიხედვით ხელფასის ზრდის ტემპი.

ცხრილი #16. ხელფასების დინამიკა შიდა ქართლის რეგიონში დარგების მიხედვით (ლარი/თვე) და საშუალო წლიური ზრდა (%)

	2006	2012	2017	ზრდა %
საშუალო ხელფასი ყველა დარგისთვის	281,3	663,0	817,3	24,21%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	837,4	1140,0	1562,3	15,55%
მშენებლობა	370,4	823,4	972,8	21,89%
დამამუშავებელი მრეწველობა	312,3	887,8	846,5	22,59%
სასტუმროები და რესტორნები	181,9	615,3	615,2	28,18%
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	335,6	419,1	598,1	14,85%
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების შეკეთება	111,9	266,9	423,5	31,54%
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	66,9	161,4	338,9	42,21%

ცხრილი #17 ასახავს რეგიონში ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების დინამიკას. ისევე, როგორც სხვა რეგიონების შემთხვევაში, იკვეთება ინვესტიციების დეფიციტი, რომელთა მოცულობა არ შეესაბამება დამატებული ღირებულებისა და დასაქმების მაჩვენებლებს.

ცხრილი #17. ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში ქვემო ქართლის რეგიონში დარგების მიხედვით (მილიონი ლარი)

	2006	2012	2017
ყველა დარგი	153,2	177,6	141,4
სამთომოპოვებითი მრეწველობა	18,0	6,2	35,7
გადამამუშავებელი მრეწველობა	122,4	28,3	30,7
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	0,5	100,0	22,4
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების შეკეთება	1,4	5,2	9,4
მშენებლობა	2,3	5,2	3,9
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	1,8	1,9	3,9
სასტუმროები და რესტორნები	0,0	0,8	1,1

ეს განსაკუთრებით ეხება დამამუშავებელ მრეწველობას, სადაც 2006 წლის პიკური მაჩვენებლის შემდეგ ფიქსირდება მოცულობების ოთხმაგი კლება. უცნაურად გამოიყურება უძრავი ქონებით ოპერაციების, იჯარისა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევის სფერო, სადაც 2006 წლიდან 2012 წლამდე ინვესტიციების დონე თითქმის ნულიდან 100 მილიონ ლარამდე იზრდება, შემდეგ კი, 2017 წლისათვის, მცირდება დაახლოებით ხუთჯერ. დანარჩენ დარგებში ინვესტიციების მოცულობა უმნიშვნელოა და არ შეესაბამება მათი მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელ მოთხოვნებს.

მთლიანობაში, ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია დამამუშავებელი მრეწველობის დომინაცია და მომპოვებელი დარგის ძლიერი პოზიციები, რითაც ის იმერეთის რეგიონს ჰგავს. ამავე დროს, იმერეთისგან განსხვავებით, მაღალია ხელფასების დონე. დასაქმების ტენდენციები მეტ-ნაკლებად მიყვება დამატებული ღირებულების ზრდის ტენდენციებს. ისევე, როგორც ყველა საკვლევ რეგიონში, ქვემო ქართლშიც ფიქსირდება ძირითად აქტივებში ინვესტიციების ნაკლებობა და დიდი მერყეობა.

დასკვნები

ხუთ სამიზნე რეგიონში არასასოფლო-სამეურნეო დარგების ერთგვარი „მაკრო მიმოხილვის“ შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება. უმთავრესია ის, რომ დამატებული ღირებულების შექმნის დინამიკას წლების განმავლობაში ახასიათებს დიდი ვარიაბელურობა. იგივე ეხება დასაქმების მაჩვენებლებსაც. მერყეობა დამახასიათებელია ხელფასების მაჩვენებლებისათვისაც, თუმცა, მერყეობის ზომა დროთა განმავლობაში შემცირების ტენდენციას იძენს. სამეგრელოს რეგიონის ეკონომიკური პროფილის განმსაზღვრელი დარგებია და, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალშიც იქნება ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა და სასტუმროებისა და რესტორნების სფერო. იმერეთის და ქვემო ქართლის რეგიონების პროფილს განსაზღვრავენ დამამუშავებელი და სამთომოპოვებითი მრეწველობა. კახეთის რეგიონში კარგ პოზიციებს ფლობს დამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო სანადლეულო ბაზას ეყრდნობა. აქ ასევე კარგად ვითარდება სასტუმროებისა და რესტორნების სფერო. შიდა ქართლის ეკონომიკურ პროფილში დომინანტი დარგის გამოყოფა შედარებით ძნელია, თუმცა აქაც დამამუშავებელი მრეწველობა ლიდერობს. ყველა სამიზნე რეგიონში იკვეთება და სტაბილურად იზრდება (თუმცა, სხვადასხვა საწყისი წერტილიდან) ვაჭრობისა და სერვისების და, შედარებით ნაკლებად გამოკვეთილი ტრენდით, მშენებლობის სფერო.

ხუთივე რეგიონის შემთხვევაში, იზრდება დასაქმება, თუმცა დასაქმების ზრდა მხოლოდ მეტ-ნაკლებად კორელირებს დამატებული ღირებულების დინამიკასთან. ხელფასების ზრდის დინამიკის კორელაცია დამატებული ღირებულების ზრდასთან კიდევ უფრო ნაკლებად გამოკვეთილი ჩანს.

ხუთივე საძიებელ რეგიონს ახასიათებს მეტისმეტად მწირი საინვესტიციო აქტივობა, რომელიც ამას გარდა ძალზე ვოლატილურია. ერთ დასაქმებულზე ან შექმნილი დამატებული ღირებულების ერთეულზე ფიქსირებულ აქტივებში ინვესტირება იმდენად მცირეა, რომ, სავარაუდოდ, საკმარისი არ არის მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში ზრდის ტემპების შესანარჩუნებლად.

რეკომენდაციები

ხუთი სამიზნე რეგიონის წარმოდგენილმა „მაკრო მიმოხილვამ“ აჩვენა საკმაოდ საინტერესო ტენდენციები ეკონომიკურ ზრდასთან, დასაქმებასთან და ინვესტიციებთან დაკავშირებით. ეს პირველი ნაბიჯი ქმნის კარგ შესაძლებლობას მომავალში რეგიონების განვითარების მამოძრავებელი ძალების უფრო ჩაღრმავებულად გამოკვლევისათვის, რაშიც შედის ზოგადი ეკონომიკური კლიმატი, განვითარების დეტალური ტენდენციები და ურთიერთკავშირები ძირითად ეკონომიკურ პარამეტრებს შორის. კვლევის საგანი უნდა გახდეს ძირითადი პარამეტრების დიდი ვარიაბელურობა საქართველოს საშუალო და თბილისის მაჩვენებელთან შედარებით. ასევე საინტერესოა კაპიტალდაბანდებების მეტისმეტი სიმწირის გამომწვევი მიზეზების ჩაღრმავებული კვლევაც. სასურველია მუშაობა სახელმწიფოსა და ადგილობრივი ტერიტორიული ორგანოების მიერ „საზოგადო სიკეთეების“ მიწოდების ეფექტიანობის ამაღლების რეკომენდაციების შესამუშავებლად, რაც გააუმჯობესებდა ადგილებზე ინფრასტრუქტურის ზოგად მდგომარეობას, პირველადი სახელმწიფო სერვისების ხარისხს და სხვა პარამეტრებს, რაც, თავის მხრივ, გააუმჯობესებდა საინვესტიციო კლიმატსაც.

მომავალში რეგიონებში ეკონომიკური ფონისა და საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად აუცილებელი იქნება ინფრასტრუქტურის განახლებაში დაბანდებების განხორციელება. მიგვაჩნია, რომ მთავრობამ უნდა გააგრძელოს და ბოლომდე მიიყვანოს დაგეგმილი და მიმდინარე პროექტები მაგისტრალების მშენებლობებისა და სატრანსპორტო არტერიების და კვანძების განვითარებისა. ეს უთუოდ მისცემს ბიძგს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგის განვითარებას, რომელიც უმნიშვნელოვანესია საქართველოს, როგორც სატრანზიტო დერეფნის პოტენციალის სრულად ასათვისებლად.

რეგიონებში ეკონომიკური და სოციალური ვითარების გასაუმჯობესებლად და მათი, როგორც საცხოვრებლად საინტერესო დანიშნულების ადგილის მიმზიდველობის გასაზრდელად, აუცილებელი იქნება ადგილობრივი ინფრასტრუქტურული პროექტების გაგრძელება და დასრულება, რაც გამოიხატება წყლის მიწოდების, საკანალიზაციო სისტემების, ადგილობრივი პირველადი ჯანდაცვისა და განათლების ობიექტების მოწესრიგების საკითხებში. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებით, არამედ იმით, რომ იქმნება შესაძლებლობა მუშახელის მიწოდების ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და დასაქმების მეტი სივრცის შესაქმნელად.

ამასთანავე, მიზანშეწონილია დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერების გზების გამონახვაზე მუშაობა. ეს მნიშვნელოვანია იმით, რომ ამით შესაძლებელი ხდება, ადგილებზე გაჩნდეს ეკონომიკური რესურსი, რომელიც უფრო ეფექტიანად მისამართდება ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებზე, როგორებიცაა ტურიზმი, რეკრეაცია და სერვისები. ამასთანავე, ეს იძლევა საშუალებას, უკეთეს კონდიციებში იმყოფებოდეს ადგილობრივი სასოფლო-სამერნეო მიწის რესურსი, რაც, თავის მხრივ, სოფლის მეურნეობის განვითარების წინაპირობაა. სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდა და დოვლათის დაგროვება გადამწყვეტ როლს თამაშობს სოფლად და რეგიონებში სიღარიბის დაძლევაში, რაც ახალ იმპულსს სძენს ეკონომიკურ ზრდას.

რეკომენდაციები

შეჯამება

ავტორთა ჯგუფის მიერ მომზადებული კვლევები ეხება საქართველოს ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური განვითარების საკმაოდ ფართო სპექტრს. კვლევებში დასმული ამოცანები წარმოშობს შემდგომში მათი გაღრმავების საჭიროებას, ამასთანავე ახლავე იკვეთება კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა შესრულება სახელმწიფოს მიერ დააჩქარებს შესაბამისი სექტორის განვითარებას და მიმდინარე ინსტიტუციონალურ რეფორმებს.

რეკომენდაციები ორ ნაწილად იყოფა – რეკომენდაციები სექტორების მიხედვით და ზოგადი რეკომენდაციები, თუ როგორ გაუმჯობესდეს პოლიტიკის შემუშავების პროცესი მცირე და საშუალო ბიზნესის მონაწილეობით.

ტურიზმის გლობალური ტენდენციების კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აუცილებელია სახელმწიფომ იზრუნოს ერთგვარი „ქოლგა სტრატეგიის“ განვითარებაზე, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას, დაგეგმოს და განახორციელოს გრძელვადიანი პოლიტიკა სამიზნე ბაზრებზე დასამკვიდრებლად და გლობალური ტენდენციების მაქსიმალურად გამოსაყენებლად. იმისათვის, რომ ტურიზმის ეკონომიკური ეფექტი მაქსიმალურად აისახოს საზოგადოების რაც შეიძლება მეტ ჯგუფზე, მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ზომის მეწარმეების გზაზე აღმართული ბარიერების მოხსნა და მათთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა თანამედროვე ტექნოლოგიური უნარების გასავითარებლად. სახელმწიფომ უნდა გააგრძელოს თანმიმდევრული მოქმედება საჰაერო, საგზაო, სარკინიგზო და სხვა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. ძალზე მნიშვნელოვანი იქნება ტურისტული ატრაქციების, მუზეუმებისა და პარკების ერთმანეთთან კავშირში განვითარების ხელშეწყობა და მომხმარებლისთვის მათი ჩვენებისას თანამედროვე ვიზუალური და სხვა საშუალებების მაქსიმალურად გამოყენება. ამასთან, პოლიტიკის უკეთ განსასაზღვრად, ალბათ მნიშვნელოვანი იქნება ტურიზმის მიმართულებით კიდევ უფრო ჩაღრმავებული კვლევის ჩატარება, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა გაგვეანალიზებინა, თუ რამდენად მიჰყვება ქართული ტურისტული ინდუსტრია გლობალურ ტრენდებს, რამდენად ღრმავდება კონკურენტული უპირატესობა ამ მიმართულებით და რა უნდა გაკეთდეს ქვეყანაში საშუალო და გრძელვადიან პერიოდში ამ დარგიდან მიღებული ეკონომიკური სარგებლის გასაზრდელად.

ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად გამიზნული სახელმწიფო პროგრამების, მათ შორის, „აწარმოე საქართველოს“ მიმართულებით, აუცილებელია განისაზღვროს წარმატების კრიტერიუმები და დადგინდეს პროგრამის მოქმედების ვადები. ასეთი პროგრამები არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, საჭიროა, მოძიებულ იქნას მათი კერძო სექტორში თანდათანობით გადასვლის გზები. პროგრამის მოქმედების პერიოდში აუცილებლად უნდა შემუშავდეს შიდა და გარე მონიტორინგის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და გამჭვირვალე მექანიზმები, რაც შექმნიდა საშუალებას პროგრამის მიმდინარეობის კორექციისა. საჭიროა კრიტიკულად შეფასდეს პროგრამის გეოგრაფიული არეალების არჩევის ინსტრუმენტები და გაუმჯობესდეს დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებულობა.

საქართველოს სამუზეუმო პოტენციალის სრულად ასათვისებლად აუცილებელია სახელმწიფომ მოახერხოს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ინვენტარიზაცია და დახვეწა, რაც საშუალებას მისცემს მუზეუმებს, მოიპოვონ ფინანსური უზრუნველყოფის დამატებითი წყაროები და მეტი ავტონომია. ამავე დროს, უნდა შემუშავდეს უნიფიცირებული და გამჭვირვალე სახელმწიფო სამუზეუმო პოლიტიკა. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მუზეუმების ფინანსურ მდგრადობას, პერსონალის გადამზადებას და მნახველთა სპეციფიკურ ჯგუფებზე გათვლილი ინტერაქტიული პროგრამების დანერგვას. იგივე ეხება მუზეუმების პოპულარიზაციას თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით, გამართულ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული კვლევების წარმოებას ვალიდური სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენებით, რაც სახელმწიფოსაც და ცალკეულ მუზეუმებს განვითარების სათანადო პოლიტიკის შემუშავებაში დაეხმარება. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მუზეუმების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას, უკეთ აღჭურვას და ავტონომიურობას, რათა ამ უკანასკნელებმა უფრო ეფექტიანად შეძლონ ქვეყნის შიგნით და გარეთ საქმიანი ურთიერთობების წარმოება. საჭიროა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება მომხმარებელთათვის ინფორმაციის მისაწოდებლად და დათვალიერების წასახალისებლად.

მიწაზე საკუთრების უფლების საკითხის მოსაგვარებლად რეკომენდაცია წარმოდგენილია პრაქტიკული შესაძლებლობიდან გამომდინარე. დღეს არსებული ეკონომიკური, პოლიტიკური და ინსტიტუციონალური კონდიციების გათ-

ვალისწინებით, ამჟამად რეკომენდებულია სახელმწიფოს როლის მინიმიზაცია ამ სფეროში, რაც მიწაზე საკუთრების უფლების პრობლემის მოგვარებას დროში მეტისმეტად გადასწევს, თუმცა ეს უფრო ოპტიმალურ ვარიანტადაა მიჩნეული, ვინაიდან, სხვა შემთხვევაში, საჭირო ხდება შესაბამისი ინსტიტუციონალური და პოლიტიკური ფონის მომზადება, რაც რეალისტური არაა.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მექანიზმებით სრულად სარგებლობისათვის აუცილებელია სახელმწიფომ წაახალისოს და ხელი შეუწყოს ბიზნესის ჩართულობას დონორებისა და სახელმწიფოს მიერ სპონსირებულ საინფორმაციო და საგანმანათლებლო საქმიანობაში. პირველ რიგში, ეს მცირე მეწარმეებსა და მიკრო საწარმოებს ეხება. იმისათვის, რომ მომზადდეს შესაბამისი საფუძველი ქართული აგრარული პროდუქციის ევროკავშირში გასატანად, სახელმწიფომ ძალისხმევა უნდა მიმართოს ლაბორატორიული შესაძლებლობების ხარისხობრივი განვითარებისაკენ. ამ შემთხვევაში, ლაბორატორიების სიმრავლე შესაძლოა სულაც არ იყოს ხარისხის გარანტია, რომლის უზრუნველსაყოფად საჭიროა შესაბამისი ჩარჩო კანონმდებლობის გამართული მუშაობა აკრედიტაციისა და სერტიფიცირების სისტემების კარგ ფუნქციონირებასთან ერთად. ძალიან დიდი პოზიტიური როლის შესრულება ამ საქმეში შეუძლიათ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, რომლებმაც ინფორმაცია უნდა მიაწოდონ ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პროდუქციის მწარმოებლებს ევროკავშირის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან მიახლოებისთვის საჭირო ნაბიჯებთან დაკავშირებით.

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შედეგად მიღებული სარგებლის მაქსიმიზაციისთვის რეკომენდებულია საპრივატიზაციო ქონების გაყიდვის მექანიზმების დახვეწაზე მუშაობის დაწყება, რაც გააადვილებს ინვესტირებას და გაზრდის საწარმოო შესაძლებლობებს. ასევე რეკომენდებულია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა დეფინიციის თვალსაზრისით, რაც მიმართული უნდა იყოს ასეთი ტიპის საწარმოთა ანგარიშგების გასაუმჯობესებლად. თავად მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს აქვთ მოთხოვნა და მოლოდინი, რომ მათთვის მოქმედებდეს სხვადასხვა შეღავათები, მაგალითად, კომუნალური ტარიფისა თუ სხვა თემებში, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ამ თვალსაზრისით სპეციფიკური შეღავათების აუცილებლობაზე საუბარი დისკუსიის საგანი შეიძლება იყოს.

სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის გადამუშავების სფეროში სახელმწიფომ, პირველ რიგში, ხელი უნდა შეუწყოს პირველადი წარმოების გაფართოებას, რაშიც შედის ექსტენცია, ახალი ტექნოლოგიებისა და ცოდნის გავრცელების წახალისება. პირველადი წარმოების გასაფართოებლად აუცილებელია სახელმწიფო ხელს უწყობდეს ისეთი რისკების შემცირებას, რომელთა მართვა ვერ ხერხდება ინდივიდუალური ფერმერების დონეზე. ეს ეხება დაავადებებისა და მავნებლების მასობრივი გავრცელების პრევენციას და სხვა. ზოგადად, დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების წინაპირობად მიჩნეული უნდა იყოს ნედლეულის წარმოების ზრდა, ვინაიდან დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების სტიმულირება სახელმწიფო რესურსებით, სავარაუდოდ, მასშტაბურ შედეგებს ვერ მოიტანს მრავალი ობიექტური ფაქტორის მოქმედების გამო. სასურველია სახელმწიფოს კონცენტრაცია სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საკითხებზე, რაც მოიცავს ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების რეაბილიტაციის გაგრძელებას. სახელმწიფომ ასევე უნდა გააგრძელოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პრივატიზაციის პროცესი, რაც ხელს შეუწყობს ფერმერების წვდომას თანამედროვე ტექნიკასთან და გაზრდის მწარმოებლურობას. ასევე საჭიროა, ჩატარდეს ჩაღრმავებული კვლევა სოფლის მეურნეობის ზრდის სხვა სექტორებისაგან ჩამორჩენის მიზეზების გამოსაკვლევად.

საქართველოს რეგიონების ეკონომიკური განვითარების არამდგრადობისა და ინვესტიციების დეფიციტის მიზეზების საკვლევად საჭიროა ქვეყანაში კვლევაზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების პრაქტიკის დამკვიდრება და გამყარება. ამას გარდა, სასურველია და მნიშვნელოვანია რეგიონებში ეკონომიკური განვითარების პოტენციალის ასამაღლებლად ინფრასტრუქტურის განახლებაში დაბანდებების განხორციელება. მთავრობამ უნდა გააგრძელოს და ბოლომდე მიიყვანოს დაგეგმილი და მიმდინარე პროექტები მაგისტრალების მშენებლობებისა, სატრანსპორტო არტერიების და კვანძების განვითარებისა. რეგიონების, როგორც საცხოვრებლად საინტერესო ადგილების მიმზიდველობის ზრდისათვის და განვითარების ბაზისის შესაქმნელად, საჭიროა ადგილობრივი ინფრასტრუქტურული პროექტების გაგრძელება და დასრულება, რაც გამოიხატება წყლის მიწოდების, საკანალიზაციო სისტემების, ადგილობრივი პირველადი ჯანდაცვისა და განათლების ობიექტების მოწესრიგების საკითხებში. ასევე, მიზანშეწონილია დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერების გზების გამონახვაზე მუშაობა, რაც, თავის მხრივ, დაეხმარება სოფლად სიღარიბის დაძლევასა და რეგიონების ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებას.

ზოგადი რეკომენდაციები:

მოკრძალებული ზომის და ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობისა და ცოდნის ნაკლებობის გამო, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესისთვის პრობლემას წარმოადგენს საკუთარი ინტერესების გაჟღერება და დაცვა. ამას რომ მიაღწიოს, მცირე და საშუალო ბიზნესმა თავის პრობლემებზე უნდა ისაუბროს და საკუთარი ხედვები, სტრატეგიები და წინადადებები ჩამოაყალიბოს ბიზნეს ასოციაციების მეშვეობით. თუმცა, ხელისუფლება (ყველა დონეზე) ბიზნეს ასოციაციებს თანაბარ პარტნიორად მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს, როდესაც ისინი პროფესიონალური, მრავალი ბიზნესისგან შემდგარი ასოციაციებია, რომლებსაც შეუძლიათ ხელისუფლებას შესთავაზონ საკითხების მოგვარების ეფექტიანი და მდგრადი გზები. მცირე და საშუალო ბიზნესის მთავარი პრობლემა ის არის, რომ ეკონომიკური პოლიტიკა უმთავრესად ორიენტირებულია მსხვილ ბიზნესზე (ამის გამოსწორება შეიძლება მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებების უკეთესი შეფასებით და მცირე და საშუალო ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის დიალოგით, სასურველია სექტორული ასოციაციების მეშვეობით), ფინანსების ხელმისაწვდომობაზე, კვალიფიციური მუშახელის (ადამიანური რესურსების) ხელმისაწვდომობაზე, ცოდნის მიღებაზე განვითარებული საკონსულტაციო ბაზრის მეშვეობით და გამჭვირვალე და ქმედით მიწის ბაზარზე. მნიშვნელოვანია არა მარტო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა, არამედ მისი განხორციელების მონიტორინგი და ზეგავლენის შეფასება.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესმა შეძლოს პროფესიონალურ, წარმომადგენლობითობაზე დაფუძნებული, ძლიერი ასოციაციების შექმნა, რომელიც პარტნიორი იქნება ხელისუფლებისთვის პოლიტიკის წარმოების პროცესში დიალოგისთვის.

კონკრეტული რეკომენდაციები

- მნიშვნელოვანია რეგულარულად შეფასდეს მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებები, ხელი შეეწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმისაწვდომობას ბიზნესის განვითარების სერვისებთან და შესრულდეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსის შეფასების რეკომენდაციები.

- გასამარტივებელია განაცხადის წარდგენის პროცედურები, მნიშვნელოვანია გაიზარდოს კონკურენცია საბანკო სექტორში და შემუშავდეს სპეციალური პროდუქტები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის (სექტორის საჭიროებების გათვალისწინებით).

- შესაქმნელია დამატებითი საკონსულტაციო სერვისები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რომ ამაღლდეს ფინანსური წიგნიერება, გაძლიერდეს ბიზნესის დაგეგმვის შესაძლებლობა და გაუმჯობესდეს მართვის პრაქტიკა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის დამოუკიდებელი სპეციალიზებული პლატფორმის მეშვეობით.

- აუცილებელია არასაბანკო ინსტიტუტების წახალისება (ვენჩურული საინვესტიციო ფონდები, კერძო ინვესტორები, ფონდების მოზიდვის პლატფორმები/კამპანიები, სხვა) და ალტერნატიული ფინანსური ინსტრუმენტების (გარანტიები, გირაო, ობლიგაციები, ლიზინგი, ფაქტორინგი, სხვა) შემუშავება და განვითარება.

- შესამუშავებელია პროგრამები მიკროსაფინანსო ინსტიტუტებისთვის (ევროკავშირის წყაროების და ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობის ზრდა).

- ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის სერვისის კომპანიებს – ბუღალტრებს, კონსულტანტებს, საექსპორტო და ფინანსურ მრჩევლებს, ნოტარიუსებს, ადვოკატებს და ინჟინრებს, დანერგონ ევროპული სტანდარტები და კონსულტაცია გაუწიონ მცირე და საშუალო ბიზნესს მათ შესახებ.

- უნივერსიტეტებსა (კვლევა) და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად შესამუშავებელია ინსტრუმენტები საინვესტიციო მზაობის შესაფასებლად.

- შესაქმნელია ხელსაყრელი სამართლებრივი გარემო საინვესტიციო ფონდების, კერძო ინვესტორების, ფონდების მოზიდვის (crowdfunding) და ელექტრონული კომერციისთვის.

- მნიშვნელოვანია ონლაინ ტრენინგების ორგანიზება მენეჯერული და ბიზნეს უნარების გაზიარებისა და სწავლებისთვის.

- დასანერგია პოლიტიკის და ბიზნესისთვის სახელმწიფო დახმარების გავლენის შეფასების სისტემა.

- მნიშვნელოვანია გაფართოვდეს და უზრუნველყოფილი იყოს საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგი ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის თანაბარი ჩართულობით, მათ შორის კერძო სექტორის ორგანიზაციების ჩართულობით პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

- მთავრობამ უნდა შეიმუშაოს და დანერგოს უნივერსალური ინსტრუმენტი საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ეფექტიანობის და ხარისხის გაზომვისა და შეფასებისთვის.

- მნიშვნელოვანია გაძლიერდეს კერძო და საჯარო სექტორების შესაძლებლობები ტრენინგის, გამოცდილების გაზიარების და საუკეთესო ევროპული პრაქტიკის განხორციელების გზით. ონლაინ სწავლება შეიძლება ეკონომიური ალტერნატივა იყოს, თუმცა იგი, შესაძლოა, ვერ მიწვდეს ყველა ბენეფიციარს.

- ევროპის სივრცითი ინფორმაციის გაიდლაინების საფუძველზე ჩამოსაყალიბებელია ქმედითი მიწის ბაზარი, ასევე საგარანტიო ფონდები.

- დასანერგია უზრუნველყოფის შეფასების სათანადო მეთოდები TEGOVA-ს გაიდლაინების საფუძველზე.

- მნიშვნელოვანია დაინერგოს საერთაშორისოდ აღიარებული ხარისხის ინფრასტრუქტურის სერვისები (QIS) და წახალისდეს რეგიონული თანამშრომლობა ამ სფეროში.

- უმნიშვნელოვანესია განათლების სისტემის რეფორმირება და ბიზნეს საზოგადოების ჩართვა სასწავლო გეგმის შემუშავებაში.

- ევროკავშირის შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ერთად უნდა შემუშავდეს „დუალური სისტემის“ მიდგომა თეორიული და პრაქტიკული პროფესიული განათლების და მომზადების მიმართ.

- შესამუშავებელი და დასანერგია კერძო სექტორის საჭიროებების პროგნოზირების სისტემა და გასაუმჯობესებელია განათლების ბაზრის რეგულირება.

- უნდა შეიქმნას სტიპენდიების სისტემა, რომელიც ყოველწლიურად გადაიხედება და მოერგება კერძო სექტორის მოთხოვნებს.

პოლიტიკის ხედვები ეკონომიკურ განვითარებაზე

DCFTA მცირე და საშუალო ბიზნესისთვის / DCFTA for SMEs

მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა 85
ტელ.: 032 220 73 05
ელ. ფოსტა: iguruli@eprc.ge